

Arnold Chikobava Institute of Linguistics

Medea Sagliani

Grammatical Category of a Person and a Number in Svan

Tbilisi

2011

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მედეა საღლიანი

პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში

თბილისი

2011

წიგნი განკუთვნილია ქართველურ ენათა სპეციალისტთათვის, სტუდენტთათვის და, აგრეთვე, ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **მურმან სუხიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **როენა ჭკადუა**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ვაჟა შენგელია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **მერაბ ჩუხუა**

ტექნიკური რედაქტორი — **ლევან ვაშაკიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა — **თინათინ გაბროშვილი**
ყდის დიზაინი — **ზეზვა საღლიანი**

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2011
© მ.საღლიანი

ISBN 978-9941-10-347-6

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 7
Preface 8

თავი I. პირის კატეგორია 9
§ 1. ოპოზიცია როგორობის (ანუ ვითარების) მიხედვით 9
§ 2. ოპოზიცია რომელობის მიხედვით 10
§ 3. სუბიექტური აფიქსები 10
§ 4. ობიექტური აფიქსები 35
§ 5. პირის ნიშნებისა და ზმნისწინების ურთიერთმიმართება 47
§ 6. უზმნისწინო ფორმათა უღლების ნიმუშები 50
§ 7. ზმნისწინებისა და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართება 53
§ 8. ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზი 58
§ 9. სუბიექტურ პირთა მორფემები ზმნისწინიან ფორმებში 63
§ 10. ობიექტურ პირთა მორფემები ზმნისწინიან ფორმებში 67

თავი II. რიცხვის კატეგორია 71
§ 11. სუბიექტურ პირთა მრავლობითობის გამოხატვა 71
§ 12. ობიექტურ პირთა მრავლობითის გამოხატვა 72
§ 13. ოპოზიცია ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით 76
§ 14. სუბიექტური პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები 77
§ 15. ობიექტურ პირთა ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები 79
სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი 88
§ 16. სუბიექტური და ობიექტური წყობა 89
უღლების პარადიგმები აწმყოში (პირთა ყველა შესაძლო კომბინაციით) 92
პირისა და რიცხვის ნიშნები სერიებისა და მწკრივების მიხედვით 99

თავი III. S_1 პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან 102

ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა საძიებელი 186
გამოყენებული ლიტერატურა 229
პირობითი ნიშნების განმარტება 232
შემოკლებათა განმარტებანი 233

Contents

Grammatical Category of a Person and a Number in Svan

Summary 169

Chapter I Person Category 169

§ 1. Opposition according to quantitiveness (or condition) 169

§ 2. Opposition according to quantitiveness 169

§ 3. Subjective affixes 170

§ 4. Objective affixes 172

§ 5. Interrelation of personal markers and preverbs 173

§ 6. Models of conjugation of the forms without a preverb 173

§ 7. Interrelation of preverbs and their neighboring prefixal morphemes 173

§ 8. Distributive analysis of preverbs 173

§ 9. Morphemes of subjective persons in the forms with a preverb 173

§ 10. Morphemes of objective person in the forms with preverbs 175

Chapter II Number Category 177

§ 11. Plural of subjective persons 177

§ 12. Plural of objective persons 177

§ 13. Opposition according to inclusive-exclusive 178

§ 14. Inclusive-exclusive morphemes of a subjective person 178

§ 15. Inclusive-exclusive morphemes of objective persons 180

Chapter III Towards the Issue of S_1 Personal Marker at the Stems Beginning with a Consonant in Svan 183

Index of stems and word-forms 186

Reference 229

Explanation of symbols 232

Explanation of abbrivations 233

ვუძღვნი ძვირფასი მშობლების — **შოთა საღლიანისა**
და კატო (ეკატერინე) მიქიანის
ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

*წინამდებარე გამოკვლევა — **„პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში“** შეიქმნა დღემდე არსებული სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და თანამედროვე სვანური მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური მასალის სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია თითოეულ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პარადიგმატული სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც სვანური ენის პუბლიკაციებში წარმოდგენილი, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული სათანადო საილუსტრაციო მასალა. აღნიშნული საკითხის კვლევა მხოლოდ ტრადიციულად ცნობილი სვანური დიალექტების (**ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა** და **ლენტეხურის**) მასალის ანალიზით არ შემოიფარგლება, არამედ შეძლებისდაგვარად არის გამოყენებული როგორც სათანადო **ჩოლურული** მასალა, ასევე **ლახამულური** კილოკავის მონაცემებიც. საჭიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გამოყენებულია, ასევე, ამა თუ იმ დიალექტის კილოკაური მონაცემებიც.*

Dedicated to the memory of my deare
parents – **Shota Sagliani** an
Kato (Ekaterine) Mikian

Preface

*The present research – "**Grammatical category of a person and a number in Svan** was created on the basis of scientific literature existing up-to-date and synchronic-diachroni analysis of the modern Svan various dialectological material. A paradigmatic system con nected with each issue under discussion in view of the relevant illustrative material repre sented in Svan publications as well as obtained by us during the field-work, is represented fo illustrativenees. The research of the mentioned issue is not limited only with the analysis o traditional well-knovn Svan dialectal material (**Upper Bal, Lower Bal, Lashkhian** an **Lentekhian**), but the relevant **Cholurian** material as well as the data of **Lakhamulian** sub dialect are also used. If need be the sub-dialectal data of this or that dialect is also used.*

„ვინც ზმნა იცის, მან ენაში თითქმის ყველაფერი იცის..."
პროფ. ჰ. შუხარდტი

თ ა ვ ი I

პირის კატეგორია

ზმნას სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, მორფოლოგიურ კატეგორიათა (**პირი, რიცხვი, დრო, კილო** — უღვლილების კატეგორიები), **ასპექტი, გვარი, ქცევა, კაუზატივი** — წარმოქმნის კატეგორიები) განსაკუთრებული სიუხვე ახასიათებს.

სვანური ზმნის პირველი სრული მიმოხილვა, როგორც ცნობილია, ეკუთვნის აკადემიკოს ვარლამ თოფურიას, რომლის ფუნდამენტური ნაშრომი „სვანური ენა, I, ზმნა" დღემდე რჩება ქართველ თუ უცხოელ ენათმეცნიერთა სამაგიდო წიგნად. სწორედ ამ ნაშრომის საფუძველზე შეიქმნა — ალ. ონიანის, მ. ქალდანის, ზ. ჭუმბურიძის, ნ. ანდღულაძის, მ. სუხიშვილის, ნ. აბესაძის, ლ. ნოზაძის, ი. ჩანტლაძის, რ. ჭკადუას... სვანური ზმნის შესახებ არსებული შრომები. წინამდებარე მიმოხილვაც, რომელიც პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიის შესწავლით შემოიფარგლება, აღნიშნულ ნაშრომს ემყარება.

პირის მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით საპირისპირო ფორმები, როგორც ცნობილია, მხოლოდ ზმნას მოეპოვება. პირიან ფორმებში კი ტრადიციულად ოპოზიციის ორ სახეს გამოყოფენ: 1. ვითარების ანუ როგორობის მიხედვით დაპირისპირება, ე. ი. პირთა ოპოზიცია: **სუბიექტური—ობიექტური,** 2. რომელობის მიხედვით დაპირისპირება, ე. ი. პირთა ოპოზიცია: **პირველი—მეორე—მესამე**.

§ 1. **ოპოზიცია როგორობის (ანუ ვითარების) მიხედვით**. სვანურში ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, ვითარების, ანუ როგორობის მიხედვით ოპოზიციის ორ წევრს გამოყოფენ: **სუბიექტურ** პირსა და **ობიექტურ** პირს.

გრამატიკული პირი (თუ პირები) შეიძლება გამოხატული იყოს როგორც მხოლობით, ისე — მრავლობით რიცხვში, ხოლო შეწყობილი პირის ნაცვალსახელთა რაოდენობის გათვალისწინებით ზმნა შეიძლება იყოს **ერთპირიანი** (ეს ერთი პირი, ჩვეულებრივ, სუბიექტია), **ორპირიანი** (ერთი პირი სუბიექტია, მეორე — ობიექტი) და **სამპირიანი** (ერთი სუბიექტია, ორი — ობიექტი).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ ზმნას პირდაპირი **ობიექტი** ეწყობა, მას **გარდამავალს** უწოდებენ, მაგრამ, თუ ზმნასთან მხოლოდ სუბიექტია შეწყობილი, ან სუბიექტი და ირიბი ობიექტი, ის **გარდაუვალი** იქნება. მაშასადამე, ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია, სამპირიანი — გარდამავალი, ორპირიანი კი გარდამავალიც შეიძლება იყოს და გარდაუვალიც.

სუბიექტური (ე. ი. მოქმედი, აქტიური) პირი გამოიხატება ერთი რიგის პირის ნიშნებით, რომელთაც **სუბიექტური პირის ნიშნებს** უწოდებენ; ხოლო ობიექტური (ე. ი. სამოქმედო, უმოქმედო, პასიური) პირი — მეორე რიგის პირის ნიშნებით, რომელთაც **ობიექტური პირის ნიშნების** სახელწოდებით აღნიშნავენ. სხვაგვარად — სუბიექტური პირის ნიშნები **ვინის რიგის ნიშნებია,** ხოლო ობიექტური პირის ნიშნები კი — **მანის რიგის ნიშნები**.

პროფ. ალ. ონიანი ვინის რიგის ნიშნებს **სავალდებულო,** ანუ **ობლიგატორული პირის ნიშ-**

ნებს უწოდებს, ხოლო მანის რიგის ნიშნებს — **არასავალდებულო**, ანუ **არაობლიგატორული პირის ნიშნებს**[1] (ონიანი 1978, 40), მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ადვილი არ არის დიდი ხნიდან დამკვიდრებულ, საყოველთაო ტრადიციად ქცეულ ტერმინებზე ერთბაშად ხელის აღება და მათ ნაცვლად ახალი ტერმინების უმტკივნეულოდ დამკვიდრება, ამიტომ იგი თავის ნაშრომში პირობითად ტოვებს ტრადიციულ ტერმინებს (ონიანი 1998, 113).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად: „**სუბიექტურია ნიშანი**, რომელიც პირს ზმნის ფორმაში სუბიექტად, ანუ მოქმედად სახავს, და **ობიექტურია ნიშანი**, რომელიც ზმნის ფორმაში გამოხატულ პირს ობიექტად, ანუ უმოქმედოდ წარმოგვიდგენს“ (შანიძე 1973, 195; ჩიქობავა 1950, 050).

სვანურში (**resp**. ქართველურ ენებში) ზმნა პოლიპერსონალურია (მრავალპირიანია), ე. ი. ზმნის სისტემაში გამოხატულია არა მხოლოდ სუბიექტური პირი, არამედ ობიექტური პირებიც — **პირდაპირი** (ბრუნვაცვალებადი ობიექტური პირის აღმნიშვნელი) და **ირიბი** (ბრუნვაუცვლელი ობიექტური პირის აღმნიშვნელი).

§ 2. **ოპოზიცია რომელობის მიხედვით**. სვანურ ზმნაში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, გამოიყოფა ოპოზიციის სამი წევრი: **პირველი პირი, მეორე პირი** და **მესამე პირი**. ამ ოპოზიციის (ე. ი. რომელობის) მიხედვით საპირისპირო ფორმები (ე. ი. პირველი, მეორე და მესამე) სუბიექტურ პირსაც მოეპოვება და ობიექტურსაც (როგორც პირდაპირს, ისე — ირიბს).

რა თავისებურებებია სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნების განაწილების მხრივ წარმოდგენილი სვანურში?

როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ნიშნები სვანურ ზმნაში რეალიზდება პრეფიქსების სახით, ხოლო მათი მრავლობითი რიცხვის ნიშნები კი — სუფიქსების სახით. თითქმის ანალოგიური სურათია სხვა ქართველურ ენებშიც, თუმცა ზოგიერთი განსხვავება აქაც შეინიშნება, რის შესახებაც (**არსებულ საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და თანამედროვე სვანური დიალექტოლოგიური მასალის სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე**) სათანადო ადგილას გვექნება მსჯელობა.

§ 3. **სუბიექტური აფიქსები**. სუბიექტური პრეფიქსების განხილვისას ზმნები პირობითად ორ ჯგუფად იყოფა: ხმოვნითდაწყებული და თანხმოვნითდაწყებული. **ხმოვნითდაწყებულ ფუძეს**, როგორც ცნობილია, პირველი სუბიექტური პირის გამოსახატავად ყოველთვის დაერთვის პრეფიქსი /**ხუ-**/, მეორე სუბიექტური პირის ნიშნად — /**ხ-**/, ხოლო მესამე პირის აღმნიშვნელად (ქართული ზმნისგან განსხვავებით) არც პრეფიქსი მოგვეპოვება და დროთა რიგში არც სუფიქსი: წმინდა ფუძეა წარმოდგენილი. პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, „მე-3 სუბიექტური პირის ნიშანი სვანურში უმეტესად დაკარგულია, თუმცა, სადაც დაცულია, იგი პრეფიქსად არის წარმოდგენილი, მაშინ როცა ქართულსა და კოლხურში სუფიქსად გვევლინება“ (ჭუმბურიძე 2007, 140). რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, იგი იწარმოება სპეციალური ნიშნებით, კერძოდ, პირველი და მეორე პირისათვის გამოყენებულია /**-დ**/, ხოლო მესამისათვის — /**-ხ**/ და ამით სვანური უპირისპირდება დანარჩენ ქართველურ ენებს.

[1] **ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულმა ტერმინებმა ფეხი ვერ მოიკიდეს და მათი შემოღება საცილობლად იქცა** (იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბ., 1980, 184-194), **ამიტომ, ვფიქრობთ, უფრო უპრიანი იქნება დიდი ხნიდან დამკვიდრებული ტრადიციული ტერმინების ხმარება.**

სუბიექტურ (ე. წ. ხმოვნითდაწყებულ) ზმნათა უღლების ნიმუშები (აწმყოში) სვანური ენის დიალექტებისა და ზოგი კილოკავის მიხედვით

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	ხუ-აშყუდი „ვრეცხავ“	ხუ-აშყუდი	ხუ-აშყუდი	ხუ-აშყუედი	ხუ-აშყუდი
2	ხ-აშყუდი „რეცხავ“	ხ-აშყუდი	ხ-აშყუდი	ხ-აშყუედი	ხ-აშყუდი
3	აშყუდი „რეცხავს“	აშყუდი	აშყუდი	აშყუედი	აშყუდი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Si ლ-აშყუდი-დ „ვირეცხავთ“	ლ-აშყუდი-დ	ლ-აშყუდი-დ	ლ-აშყუედი-დ	ლ-აშყედი-დ
	Se ხუ-აშყუდი-დ „ვირეცხავთ“	ხუ-აშყუდი-დ	ხუ-აშყუდი-დ	ხუ-აშყუედი-დ	ხუ-აშყუდი-დ
2	ხ-აშყუდი-დ „ირეცხავთ“	ხ-აშყუდი-დ	ხ-აშყუდი-დ	ხ-აშყუედი-დ	ხ-აშყედი-დ
3	აშყუდი-ხ „ირეცხავენ“	აშყუდი-ხ	აშყუდი-ხ	აშყუედი-ხ	აშყედი-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	ხუ-ისყი „იკეთებ“	ხუ-ისყი	ხუ-ისყი	ხუ-ისყეი	ხუ-ისყი
2	ხ-ისყი „იკეთებ“	ხ-ისყი	ხ-ისყი	ხ-ისყეი	ხ-ისყი
3	ისყი „იკეთებს“	ისყი	ისყი	ისყეი	ისყი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Si ლ-ისყი-დ „იკეთებთ“	ლ-ისყი-დ	ლ-ისყი-დ	ლ-ისყეი-დ	ლ-ისყი-დ
	Se ხუ-ისყი-დ „იკეთებთ“	ხუ-ისყი-დ	ხუ-ისყი-დ	ხუ-ისყეი-დ	ხუ-ისყი-დ
2	ხ-ისყი-დ „იკეთებთ“	ხ-ისყი-დ	ხ-ისყი-დ	ხ-ისყეი-დ	ხ-ისყი-დ
3	ისყი-ხ „იკეთებენ“	ისყი-ხ	ისყი-ხ	ისყეი-ხ	ისყი-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	ხუ-ადგარი „ვკლავ“	ხუ-ადგარი	ხუ-ადგარი	ხუ-ადგარი	ხუ-ადგარი
2	ხ-ადგარი „კლავ“	ხ-ადგარი	ხ-ადგარი	ხ-ადგარი	ხ-ადგარი
3	ადგარი „კლავს“	ადგარი	ადგარი	ადგარი	ადგარი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Si ლ-ადგარი-დ „ვკლავთ“	ლ-ადგარი-დ	ლ-ადგარი-დ	ლ-ადგარი-დ	ლ-ადგარი-დ
	Se ხუ-ადგარი-დ „ვკლავთ“	ხუ-ადგარი-დ	ხუ-ადგარი-დ	ხუ-ადგარი-დ	ხუ-ადგარი-დ
2	ხ-ადგარი-დ „კლავთ“	ხ-ადგარი-დ	ხ-ადგარი-დ	ხ-ადგარი-დ	ხ-ადგარი-დ
3	ადგარი-ხ „კლავენ“	ადგარი-ხ	ადგარი-ხ	ადგარი-ხ	ადგარი-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.
1	ხუ-ადგარნე „ვაპურებ“	ხუ-ადგარი	ხუ-ადგარგნე	ხუ-ადგარუნე	ხუ-ადგარგნე	ხუ-ადგარი
2	ხ-ადგარნე „ვაპურებ“	ხ-ადგარი	ხ-ადგარგნე	ხ-ადგარუნე	ხ-ადგარგნე	ხ-ადგარი
3	ადგარნე „ვაპურებს“	ადგარი	ადგარგნე	ადგარუნე	ადგარგნე	ადგარი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

		ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.
1	Si	ლ-ადგარნე-დ „ვაპურებთ“	ლ-ა-დგარი-დ	ლ-ა-დგარნე-დ	ლ-ადგარუნე-დ	ლ-ა-დგარგნე-დ	ლ-ადგარი-დ
	Se	ხუ-ადგარნე-დ „ვაპურებთ“	ხუ-ა-დგარი-დ	ხუ-ადგარნე-დ	ხუ-ადგარუნე-დ	ხუ-ადგარგნე-დ	ხუ-ადგარი-დ
2		ხ-ადგარნე-დ „ვაპურებთ“	ხ-ადგარი-დ	ხ-ადგარგნე-დ	ხ-ადგარუნედ	ხ-ადგარგნე-დ	ხ-ადგარი-დ
3		ადგარნე-ხ „ვაპურებენ“	ადგარი-ხ	ადგარგნე-ხ	ადგარუნე-ხ	ადგარგნე-ხ	ადგარი-ხ

სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, მრავლობით რიცხვში პირველი პირი ორგვარი ფორმით გვევლინება: **ინკლუზიურითა** (ნიშანი: ლ- — -დ) და **ექსკლუზიურით** (ნიშანი: ხუ- — -დ). გამოდის, რომ „მრავლობით რიცხვში სვანური 4 პირს არჩევს: პირველს **ინკლუზიურს**, პირველს **ექსკლუზიურს**, მეორეს და მესამეს“ (შანიძე 1980, 169).

ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევის ნიშან-კვალი, რამდენადაც ცნობილია, ძველ ქართულშია შემონახული (ობიექტურ პირებში), ახალ ქართულში კი არ იძებნება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ჩვენეული ფორმა**, როგორც წესი, თანაბრად იხმარება, მოუბართან ერთად იგულისხმება ისიც, ვისაც ის მიმართავს. მაგ. „ვამზადებთ“ — ამაში იგულისხმება არა მარტო „მე და შენ“ ან „მე და თქვენ“, არამედ „მე და ის“, „მე და ისინი“. სვანურში კი აქ თავ-თავისი ფორმაა გამოყენებული: **„ლამარედ“** და **„ხუმარედ“**, ამ ორ ფორმას შორის კი სვანურში ის განსხვავებაა, რომ **„ლამარედ“** ინკლუზიურია (ე. ი. ისეთი ფორმაა, რომელიც მოუბართან მე-2 პირს აერთიანებს: „ვამზადებთ მე და შენ“, „ვამზადებთ მე და თქვენ“, ე. ი. ჩვენ — შენიანად, შენთან ერთად), **„ხუმარედ“** კი ექსკლუზიურია (ე. ი. ისეთი ფორმაა, რომელიც მოუბართან მე-2 პირს გამორიცხავს, სამაგიეროდ მე-3 პირს ჩარიცხავს: „ვამზადებთ მე და ის“, „ვამზადებთ მე და ისინი“, ე. ი. ჩვენ — უშენოდ).

მაშასადამე, **„ინკლუზია** გულისხმობს ისეთ ფორმას ზმნისას, რომელსაც ეწყობა „ჩვენ“ და ეს „ჩვენ“ შინაარსით იგივეა, რაც „მე და შენ“ ან „მე და თქვენ“, ხოლო ექსკლუზია გულისხმობს ისეთ ფორმას ზმნისას, რომელსაც ეწყობა „ჩვენ“ და ეს „ჩვენ“ შინაარსით უდრის ერთ-ერთს ამ ხუთ წყვილთაგანს: „მე და იგი“, „მე და იგინი“, „მე და მან“, „მე და მას“, „მე და მათ“. ინკლუზიურ ფორმაში მხოლობითი რიცხვის პირველ პირთან (ე. ი. მოუბართან) ერთად ყოველთვის გამოხატულია მე-2 პირი, ექსკლუზიურში კი მხოლობითი რიცხვის პირველ პირთან ერთად მე-3 პირი. სახელიც იმის მიხედვითაა დარქმეული, მე-2 პირი ნაგულისხმევია ფორმაში თუ არა“ (შანიძე 1980, 169).

ზემოთწარმოდგენილი ექსკლუზიური (**ხუ-იშუუდი-დ** „ვირეცხავთ“, **ხუ-ისყი-დ** „ვიკეთებთ“, **ხუ-ადგარი-დ||ხუ-ადგარი-დ** „ვაპურებთ“, **ხუ-ადგარი-დ** „ვკლავთ“) ფორმების გვერდით სვანურში, ჩვეულებრივ, გავრცელებულია ინკლუზიური (ლ-იშუუდი-დ „ვირეცხავთ“, ლ-ისყი-დ „ვიკეთებთ“, ლ-ადგარი-დ „ვაპურებთ“, ლ-ადგარი-დ „ვკლავთ“) ფორმებიც. **Se**-ის გამოსახატავად, როგორც ვხედავთ, იხმარება **ხუ- — -დ**, სადაც **ხუ-** არის I და III პირის მაჩვენებელი, **-დ** კი — პლურალობისა (ანუ მრავლობითობისა), ხოლო **Si**-ის გამოსახატავად გამოყენებულია **ლ- — -დ**, სადაც **ლ-** არის I და II პირის მაჩვენებელი, **-დ** კი — მრავლობითობისა[1].

[1] დაწვრილებითი მიმოხილვა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ იხ. ქვემოთ.

ტაბულა I

სუბიექტურ ნიშანთა ცხრილი

პირი	მხოლობითი რ.	მრავლობითი რ.
1	ხუ-	Si ლ- — -დ Se ხუ- — -დ
2	ხ-	ხ- — -დ
3 ლ-,	Ø-	ლ-, Ø- — -ხ

თანხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ, როგორც ცნობილია, პირველი სუბიექტური პირის ნიშნად /-უ-/ გვაქვს, ოღონდ არა პრეფიქსის, არამედ ინფიქსის სახით[1], რომელიც მოქცეულია ფუძის თავკიდურ თანხმოვანსა და მომდევნო ხმოვანს შორის, ხოლო მეორე პირს და დროთა რიგში მესამე პირს არავითარი ფორმანტი არ მოეპოვება:

1. *უCVC > *CუVC > CუC
2. უCVC > CუVC‖CუC

მრავლობით რიცხვში /-დ/ და /-ხ/ ბოლოსართი დაერთვის მხოლობითის ფორმებს, ხოლო Si-სათვის პრეფიქსად /ლგ-/ გვევლინება, რომელსაც ფუძისეული ხმოვნის ამოღება შეუძლია (თოფურია 1967, 4).

სუბიექტურ (ე. წ. თანხმოვნითდაწყებულ) ზმნათა უღლების ნიმუშები სვანური ენის დიალექტებისა და ზოგი კილოკავის მიხედვით

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლ'მხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	ღური ← *ღუჭგრი „წავალ, მივალ“	ღური ← *ღუჭგრი	ღური ← *ღუჭგრი	ღური ← *ღუჭგრი	ღური ← *ღუჭგრი
2	ღგრი „წახვალ, მიხვალ“	ღგრი	ღგრი	ღგრი	ღგრი
3	ღგრი „წავა, მივა“	ღგრი	ღგრი	ღგრი	ღგრი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლ'მხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Si ლგ-ღრი-დ „წავალთ, მივალთ“	ლგ-ღრი-დ	ლგ-ღრი-დ	ლგ-ღრი-დ	ლგ-ღრი-დ
	Se ღური-დ „წავალთ, მივალთ“	ღური-დ	ღური-დ	ღური-დ	ღური-დ
2	ღგრი-დ „წახვალთ, მიხვალთ“	ღგრი-დ	ღგრი-დ	ღგრი-დ	ღგრი-დ
3	ღგრი-ხ „წავლენ, მივლენ“	ღგრი-ხ	ღგრი-ხ	ღგრი-ხ	ღგრი-ხ

[1] დაწვრილებითი მიმოხილვა ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია ნაშრომის მე-3 თავში.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	პჭიდე‖პუდე „მოვიტან“	პჭიდე	პუდე	პჭიდე	პუდე
2	პიდე „მოიტან“	პიდე	პგდე	პიდე	პგდე
3	პიდე „მოიტანს“	პიდე	პგდე	პიდე	პგდე

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Sı ლგ-პდე-დ „მოვიტანთ“	ლგ-პდე-დ	ლგ-პდე-დ	ლგ-პდე-დ	ლგ-პდე-დ
	Se პჭიდე-დ‖პუდე-დ „მოვიტანთ“	პჭიდე-დ	პუდე-დ	პჭიდე-დ	პუდე-დ
2	პიდე-დ	პიდე-დ	პგდე-დ	პიდე-დ	პგდე-დ
3	პიდე-ს	პიდე-ს	პგდე-ს	პიდე-ს	პგდე-ს

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	დჭიგე‖დუგე „ვაკრობ“	დჭიგე	დგგე	დჭიგე	დგგე
2	დიგე	დიგე	დგგე	დიგე	დგგე
3	დიგე	დიგე	დგგე	დიგე	დგგე

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Sı ლგ-დგე-დ „ვაკრობთ“	ლგ-დგე-დ	ლგ-დგე-დ	ლგ-დგე-დ	ლგ-დგე-დ
	Se დჭიგე-დ „ვაკრობთ“	დჭიგე-დ	დჭიგე-დ	დჭიგე-დ	დგგე-დ
2	დიგე-დ „აკრობთ“	დიგე-დ	დგგე-დ	დიგე-დ	დგგე-დ
3	დიგე-ს „აკრობენ“	დიგე-ს	დგგე-ს	დიგე-ს	დგგე-ს

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	ტჭიხე‖ტუხე „ვაბრუნებ“	ტჭიხე	ტგხე	ტჭიხე	ტგხე
2	ტიხე „აბრუნებ“	ტიხე	ტგხე	ტიხე	ტგხე
3	ტიხე „აბრუნებს“	ტიხე	ტგხე	ტიხე	ტგხე

[1] აღნიშნული ლექსემა სვანური ენის სამ დიალექტში თითქმის ერთნაირად იუღლება, გამონაკლისია ბალსზემოური დიალექტი, სადაც მხ. რიცხვის პირველ პირში პჭიდე'ს პარალელურად არარედუცირებული პუდე დასტურდება (შესაბამისად მრ. რიცხვის პირველ პირშიც გვექნება ორ-ორი ფორმა: პჭიდედ‖პუდედ), და ჩოლურული, რომელიც შედარებით განსხვავებულადაა წარმოდგენილი, მაგ.: მხ. რ. პუდე, პგდე, პგდე-დ, პგდე-ხ, საინტერესოა ის, რომ Se პირის ნიშანი ჭ ჩოლურულში დაკარგულია (შდრ. ჩოლ. პგდე-დ „მოვიტანთ მე და ის ან მე და ისინი“ და ზს., ქს. პჭიდე-დ, ასევე ჩოლ. ღგრი-დ „წავალთ მე და ის ან მე და ისინი“ და ზს., ქს. ღური-დ).

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Si ლგ-ტხე-დ „ვაბრუნებთ“	ლგ-ტხე-დ	ლგ-ტხე-დ	ლგ-ტხე-დ	ლგ-ტხე-დ
	Se ტშიხე-დ „ვაბრუნებთ“	ტშიხე-დ	ტგხე-დ	ტშიხე-დ	ტგხე-დ|ტშიხე-დ
2	ტიხე-დ „აბრუნებთ“	ტიხე-დ	ტგხე-დ	ტიხე-დ	ტგხე-დ
3	ტიხე-ხ „აბრუნებენ“	ტიხე-ხ	ტგხე-ხ	ტიხე-ხ	ტგხე-ხ

ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, სუბიექტური პირველი პირის მორფემის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ, ძირითადად, ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს: ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით Si პირის მორფემისათვის შ-/ვ-/ პრეფიქსია ამოსავალი [ქართ. ვ-ხატავ, სვან. ხ-შ-ახტაშ-ი, მეგრ. ფ-ხანტუნ-ქ (შუხარდტი 1895, 48; შანიძე 1925, 182; დონდუა 1967, 280; დეეტერსი 1930, 26; თოფურია 1967, 5; ჩიქობავა 1946, 123 ...)]; მეორე თვალსაზრისის მიხედვით პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსისათვის ამოსავალია /ხშ/ მორფემა (კლიმოვი 1965, 225; ონიანი 1978, 161-165; გამყრელიძე 1979). აკად. ნ. მარი Si პირის ფორმანტად /ჰშ-/ს ვარაუდობს, რომელიც სვანურმა, მისი მოსაზრების თანახმად, /ხშ-/-ს სახით შემოგვინახა (Mapp 1914, 22-23).

ძირითადი საბუთი ამ მეორე თვალსაზრისის მომხრეთათვის ის არის, რომ ორი სხვადასხვა პირის პრეფიქსული მორფემის ერთმანეთის გვერდით თავმოყრა ქართველური ენებისათვის არ არის დამახასიათებელი (ონიანი 1978, 160-161). Oз /ხ-/ და /ჰ-/ და Si /შ-/ მორფემათა თავმოყრა ზმნის თავკიდურ პოზიციაში ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში (შე-ხ-უ-აბთ, მი-ხ-უ-ეც, ჰ-უ-ი-ცოდე...) და შემდეგდროინდელ ქართულში (ვ-ჰ-კითხე, მი-ვ-ს-წერე...), როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ინოვაციადაა მიჩნეული.

პრეფიქსული მონოპერსონალიზმის საფუძველზე შინაგანი რეკონსტრუქციით პირველი სუბიექტური პირის მორფემად ქართველურ ენებში /*ხშ-/ პრეფიქსია აღდგენილი, რომელიც ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე „... რეინტერპრეტირებული იქნა როგორც Oз ind /ხ-/ და /შ-/ პრეფიქსთა კომბინაცია“ (გამყრელიძე 1979, 49). /ხშ-/-ს გააზრებას პირველი სუბიექტური პირის ამოსავალ მორფემად, პროფ. მ. სუხიშვილის ვარაუდით, გარკვეულად ეწინააღმდეგება შ-/ვ- ფონემის ფონეტიკური სტატუსი ქართველურ ენებში. ამასთანავე, იგი არ იზიარებს ბუნებრივი ხშ/ხვ მიმდევრობის დაშლასა და თავკიდურა ხ-ს დაკარგვას მეტაანალიზის საფუძველზე (სუხიშვილი 1986, 55), ვინაიდან თავკიდურა ვ-ს წინ ქართველურ ენებში უკანაენისმიერნი ვითარდებიან (ვ. თოფურია, ლ. კიკნაძე).

რაც შეეხება სვანურს, აქ სუბიექტური პირველი პირის ალომორფთა განაწილებას მორფოფონემატური საფუძველი უნდა ჰქონდეს. მაქცევრიან ფორმებთან (ე. ი. ხმოვნების წინ) /ხშ/ ალომორფია წარმოდგენილი (ხშ-ახტაშ-ი „ვხატავ“, ხშ-ახზაშ-ი „ვხაზავ“, ხშ-ითხ-ი „ვპოულობ“, ხშ-ავნ-ი „ვხნავ“...), მაქცევრიანი ფორმები კი ბევრ შემთხვევაში ირიბი ობიექტის შემცველი ფორმებია; ირიბი ობიექტი კი ზმნაში, როგორც წესი, ყოველთვის უნდა აღინიშნებოდეს, თუმცა სვანურში პირველი და მეორე პირის ფორმებში ირიბი ობიექტის ნიშანი არ ჩანს (ხშ-ა-ჰუდ-ი „ვაძლევ“, ხ-ა-ჰუდ-ი „აძლევ“... ხშ-ა-მნე „ვაჭმევ“, ხ-ა-მნე „აჭმევ“, ხშ-ათრე „ვასმევ“, ხ-ა-თრე „ასმევ“...), რასაც ორგვარი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: „I. ირიბი ობიექტის ნიშანი /-ხ-/ ფონეტიკურადაა დაკარგული პირველსა და მეორე პირში: 1. *ხშ-ხ-ა-ჰუდი>ხშ-ა-ჰუდი. 2. *ხ-ხ-ა-ჰუდი>ხ-ა-ჰუდი... სუბიექტური პირველი პირის ამოსავალ მორფემად ამ შემთხვევაში /ხშ-/ გვევლინება. II. პირველი სუბიექტური პირის მორფემა იყო /შ-/ და ირიბობიექტიან ფორმებში სვანური ენის ფონემატური სტრუქტურისათვის თანხმოვანთა არაბუნებრივი შ-ხ მიმდევ-

რობა შეიცვალა ბუნებრივ ხ-ჟ მიმდევრობად მეტათეზისის შედეგად (ე. ი. *ჟ-ხ-ა-ჰუდი>ხჟ-ა-ჰუდი). პირის ნიშანთა კანონიკურ მიმდევრობაში SıO3 ind დაირღვა მორფემათა მიმდევრობის მკაცრად განსაზღვრული რიგი... SıO3 ind>O3indSı და /ხჟ-/ გააზრებული იქნა სუბიექტური პირველი პირის ალომორფად, პოზიციურ (ხმოვნისწინა) ვარიანტად და აქედან ანალოგიით გავრცელდა უირიბობიექტო მაქცევრიან ზმნებთანაც (ხჟ-ა-ხტაჟუი „ვხატავ“, ხჟ-ამარე „ვამზადებ“, ხჟ-აშხი „ვწვავ“, ხჟ-იშხუნი „ვინახავ“...)“. თანაც „ამ ანალოგიისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ ფაქტსაც, რომ უირიბობიექტო ნეიტრალური ქცევის მაქცევრიან ფორმებსაც, თავის მხრივ, ეწარმოება სასხვისო ქცევის ირიბობიექტიანი ფორმები (ხჟ-ასყი „ვაკეთებ“, ხო-სყი<*ხჟ-ოსყი „ვუკეთებ“...)“, ხოლო „უმაქცევრო ზმნებთან, სადაც ირიბი ობიექტი არა გვაქვს, სუბიექტური პირველი პირის /ჟ/ ინფიქსად წარმოგვიდგება, ე. ი. არაბუნებრივი უ+C მიმდევრობა ბუნებრივ C+უ მიმდევრობად იქცა: *უდიგე>დუიგე „ვაქრობ“, *უტიხე>ტუიხე „ვაბრუნებ“ (სუხიშვილი 1986, 57-58).

გარდა ამისა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ I და II პირში სუბიექტური პირის ნიშნად /ხჟ-/ და /ხ-/ პრეფიქსების გვერდით, როგორც ჩანს, *ჰუ- და *ჰ- პრეფიქსებიც უნდა გვქონოდა. ამასთან დაკავშირებით „განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პრეფიქსების პრევერბში ჩაქსოვა. წინდებული ად- I და II პირის ფორმებში (ლახამულურის გამოკლებით) ყოველთვის წარმოდგენილია ათ-ის სახით“ — წერს პროფ. ვ. თოფურია (1967, 4-5) და ეს მცირეოდენი აღრევა ინოვაციად მიაჩნია, მაგ.:

	ზემოსვან.	ლნტ.	ლშხ.
	ა ო რ ი ს ტ ი		
1	ჩ ოთ-მახ („გავაახლე“)	ჩუ ათ-უ-ამეჩ („დავაბერე“)	ჩ ოთ-კალაუ („გავლეწე“)
2	ჩუ ათ-მახ	ჩუ ათ-ამეჩ	ჩუ ათ-კალაუ
3	ჩუ ად-მახე	ჩუ ად-ამეჩე	ჩუ ად-კალუე

რა შეიძლება ითქვას ად- წინდებულის შესახებ სვანურში დღევანდელი ვითარების მიხედვით? არის კი იგი აორისტის I და II პირის ფორმებში ყოველთვის ათ-ის სახით წარმოდგენილი, როგორც ამას პროფ. ვ. თოფურია ფიქრობს?

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ სქემას, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც სვანური ენის პუბლიკაციებში წარმოდგენილი, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული სათანადო საილუსტრაციო დიალექტოლოგიური მასალა (I, II, III პირის ჩვენებით მხოლობითში)[1]

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.
1	ჩ ოთ-ეპე „დავიმალე“	ჩ ოთ-ეპე	ჩ ოს-ეპეუ	ჩუ ჲთ-უ-ეპ ̓უ ̓	ჩ ოთ-ეპეუ	ჩ ოთ-უ-ეპე
2	ჩუ ათ-ეპე „დაიმალე“	ჩუ ჰ̓ეთ-ეპე	ჩუ ეს-ეპეუ	ჩუ ჲთ-ეპე ქ ̓უ ̓	ჩუ უთ-ეპეუ	ჩუ ჲთ-ეპე
3	ჩუ ჲთ-პჰე „დაიმალა“	ჩუ ჰ̓ეთ-პჰაე	ჩუ ეს-პაეუ	ჩუ ჲთ-ეპაჟუ	ჩუ ა̓ეთ-ეპეუ	ჩუ ჲთ-პაე
1	ჩ ოთ-უუდ „დავიძინე“	ჩ ოთ-უუდ	ჩ ოთ-უუ		ჩ ოთ-უუ	ჩ ოთ-უუდ
2	ჩუ ჲთ-უუდ „დაიძინე“	ჩუ ჰ̓ეთ-უუდ	ჩუ ეთ-უუ		ჩუ ეთ-უუ	ჩუ ჲთ-უუდ
3	ჩუ ჲდ-უუდა „დაიძინა“	ჩუ ჰ̓ეთ-უუდა	ჩუ ედ-უუე		ჩუ ა̓ეთ-უუე	ჩუ ჲდ-უუა
1	ჩუ ოთ-ბეგ „გავამაგრე“	ჩ ოდ/თ-ბეგ	ჩ ოთ-ბეგ	ჩუ ათ-უ-აბეგგუ	ჩ ოთ-ბეგ	ჩუ ოთ-ბეგ
2	ჩუ ათ-ბეგ „გაამაგრე“	ჩუ ადთ-ბეგ	ჩუ ათ-ბეგ	ჩუ ათ-აბეგ	ჩუ ათ-ბეგ	ჩუ ათ-ბეგ
3	ჩუ ად -ბეგე „გაამაგრა“	ჩუ ად/თ-ბეგე	ჩუ ად-ბეგე	ჩუ ად-აბეგ	ჩუ ადდ/-ბეგე	ჩუ ად-ბეგე
1	ჩო თ-უუფ „დავიკარგე“	ჩ ოთ-უეფ		ჩუ ათ-უეფ	ჩ ოთ-უეფ	ჩუ ოთ-უეფ
2	ჩუ ჲთ-უუფ „დაიკარგე“	ჩუ ათ-უეფ		ჩუ ათ-უეფ	ჩუ ათ-უეფ	ჩუ ჲთ-უეფ
3	ჩუ ათ-უუფ „დაიკარგა“	ჩუ ათ-უაფ		ჩუ ათ-უაფ	ჩუ ათ-უაფ	ჩუ ათ-უაფ
1	ჩო თ-კუშირ „დავამტვრიე“	ჩო დ/თ-კუშირ		ჩუ ათ-უ-აკუშირ		ჩუ ოთ-კუშირ
2	ჩუ ათ-კუშირ „დაამტვრიე“	ჩუ ადთ-კუშირ		ჩუ ათ-აკუშირ		ჩუ ათ-კუშირ
3	ჩუ ად-კუშურე „დაამტვრია“	ჩუ ადთ-კუშურე		ჩუ ად-აკუშურე		ჩუ ად-კუშურე
1	ჩ ოთ-ქარუჲნ „დავიკარგე“		ჩ ოთ-ქარუენ		ჩ ოთ-ქარუენ	
2	ჩუ ჲთ-ქარუჲნ „დაიკარგე“		ჩუ ეთ-ქარუენ		ჩუ ეთ-ქარუენ	
3	ჩუ ჲდ-ქარუჲნ „დაიკარგა“		ჩუ ეთ-ქარუჲნ		ჩუ ეთ-ქარუჲნ	
1	ჩუ ოთ-ბერიჯ „აძოვთხარე“	ჩ ოდ/თ-ბერჯ			ჩ ოთ-ბერჯ	ჩ ოდ/თ-ბერჯ „ჩავთხარე“
2	ჩუ ათ-ბერიჯ „აძოთხარე“	ჩუ ადთ-ბერჯ			ჩუ ათ-ბერჯ	ჩუ ადთ-ბერჯ
3	ჩუ ად-ბერჯე „აძოთხარა“	ჩუ ადთ-ბერჯე			ჩუ ადთ-ბერჯე	ჩუ ადთ-ბერჯე
1	ჩ ოთ-შიხჲნ „დავიწვი“	ჩ ოთ-შიხენ	ჩ ოთ-შიხენ	ჩუ ჲთ-უ-შიხენ	ჩ ოთ-შიხენ	ჩუ ათ-უ-შიხენ
2	ჩუ ჲთ-შიხჲნ „დაიწვი“	ჩუ ჰ̓ეთ-შიხენ	ჩუ ეთ-შიხენ	ჩუ ჲთ-შიხენ	ჩუ ეთ-შიხენ	ჩუ ჲთ-შიხენ
3	ჩუ ჲდ-შიხჲნ „დაიწვა“	ჩუ ჰ̓ეთ-შიხჲან	ჩუ ედ-შიხჲნ	ჩუ ჲდ-შიხჲნ	ჩუ ედ/თ-შიხჲნ	ჩუ ჲდ-შიხან
1	ჩ ოთ-ბიზ „გავაძღე“	ჩ ოდ/თ-ბიზ	ჩ ოთ-ბიზ	ჩუ ათ-უ-აბიზ	ჩ ოთ-ბიზ	ჩუ ოთ-ბიზ
2	ჩუ ათ-ბიზ „გააძღე“	ჩუ ადთ-ბიზ	ჩუ ათ-ბიზ	ჩუ ათ-აბიზ	ჩუ ათ-ბიზ	ჩუ ათ-ბიზ
3	ჩუ ად-ბიზე „გააძღა“	ჩუ ადთ-ბიზე	ჩუ ად-ბიზე	ჩუ ად-აბიზე	ჩუ ადთ-ბიზე	ჩუ ად-ბიზე
1	ჩ ოთ-ეკმ „ჩავყევი“	ჩ ოთ-ეკმ	ჩ ოთ-ეკმ	ჩუ ჲთ-უ-ეკმ	ჩ ოთ-ეკმ	ჩუ ათ-უ-ეკმ
2	ჩუ ჲთ-ეკმ „ჩაყევი“	ჩუ ჰ̓ეთ-ეკმ	ჩუ ეთ-ეკმ	ჩუ ჲთ-ეკმ	ჩუ ეთ-ეკმ	ჩუ ათ-ეკმ
3	ჩუ ჲთ-ჳკმ „ჩაყვა“	ჩუ ჰ̓ეთ-ჳკმ	ჩუ ეთ-ჳკმ	ჩუ ჲთ-ეჳკმ	ჩუ ეთ-ჳკმ	ჩუ ჲდ-ჳკმ
1	ჩ ოთ-ზიგ „დავასახლე“	ჩ ოდ/თ-ზიგ	ჩ ოთ-ზიგ	ჩუ ათ-უ-აზიგ	ჩ ოთ-ზიგ	ჩ ოდ/თ-ზიგ
2	ჩუ ათ-ზიგ „დაასახლე“	ჩუ ადთ-ზიგ	ჩუ ათ-ზიგ	ჩუ ათ-აზიგ	ჩუ ათ-ზიგ	ჩუ ადთ-ზიგ
3	ჩუ ად-ზიგე „დაასახლა“	ჩუ ადთ-ზიგე	ჩუ ად-ზიგე	ჩუ ათ-აზიგ	ჩუ ადთ-ზიგე	ჩუ ადთ-ზიგე

[1] უნდა ითქვას, რომ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა ჯგუფი (**ელისაბედ გაზდელიანი, როენა ჭკადუა, მედეა საღლიანი, ლელა გოგლეშიანი, ნატო შავრეშიანი**) ამა თუ იმ გრამატიკული საკითხის კვლევისას მხოლოდ ტრადიციულად გამოყენებული სვანური დიალექტური მასალის ანალიზით არ შემოიფარგლება, არამედ შეძლებისდაგვარად იყენებს ჩოლურულ მასალასაც და ლახამულური კილოკავის მონაცემებსაც.

ბზ.	ბგ.	ლბზ.	ლბტ.	სოლ.	ლხმ.
1 ჩ ოთ-ან „ლაპები“	ჩ ოთ-ან	ჩ ოთ-ან	ჩვე ათ-ენ-ან	ჩ ოთ-ან	ჩ ოთ-ან
2 ჩვე ათ-ან „ლაპიო“	ჩვე ათ-ან	ჩვე ათ-ან	ჩვე ათ-ან	ჩვე ათ-ან	ჩვე ათ-ან
3 ჩვე ად-ენ „ლაპა“	ჩვე ათ-ენ	ჩვე ათ-ენ	ჩვე ად-ენ	ჩვე ათ-ენ	ჩვე ათ-ენ
1 ჩ ოთ-ეკ-ან „აიპაკიდა ჩხეკრი“	ჩ ოთ-ეკ-ან		ჩვე ათ-ენ-ეკ-ან		ჩვე ათ-ენ-ეკ-ან
2 ჩვე ათ-ენ-ეკ-ან „აიპაკიდა ...“	ჩვე ათ-ენ-ეკ-ან		ჩვე ათ-ენ-ან		ჩვე ათ-ენ-ან
3 ჩვე ათ-ენ-ან „აიპაკიდა ...“	ჩვე ად-ენ-ან		ჩვე ათ-ენ-ან		ჩვე ათ-ენ-ან
1 ჩ ოთ-ისკოთან „ლაპაკიდი, ლაპიესი გაიპიდი“	ჩ ოთ/ო-ისკოთან			ჩო ო-ისკოთან	ჩვე ათ-ისკოთან
2 ჩვე ათ-ისკოან „აიპაკიდი, ლაპიესი გაიპიდი“	ჩვე ად/ო-ისკოთან			ჩვე გად/ო-ისკოთან	ჩვე ათ-ისკოთან
3 ჩვე ად-ისკოან „აიპაკიდა, ლაპიესი გაიპიდა“	ჩვე ად/ო-ისკოთან			ჩვე გად/ო-ისკოან	ჩვე ათ-ისკოან
1 ჩ ოთ-თკ, „ჩაკიპიდე“	ჩ ოთ/ო-თკ-ენ	ჩ ოთ-თკ-ენ	ჩვე ათ-ენ-თკ-ენ	ჩ ოთ-თკ-ენ	ჩვე ათ-თკ-ენ
2 ჩვე ათ-თკ-ან „ჩაკიპიდე“	ჩვე ად/ო-თკ-ენ	ჩვე ად/ო-თკ-ენ	ჩვე ად-თკ-ენ	ჩვე ად/ო-თკ-ენ	ჩვე ათ-თკ-ენ
3 ჩვე ად-თკ-ან „ჩაკიპიდა“	ჩვე ად/ო-თკ-ენ	ჩვე ად-თკ-ენ	ჩვე ად-თკ-ენ	ჩვე გად/ო-თკ-ენ	ჩვე ათ-თკ-ენ
1 ჩ ოთ-ნაბნაბ „აიპიდიკი“	ჩ ოთ/ო-ნაბნაბ		ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ		ჩვე ათ-ნაბნაბ
2 ჩვე ათ-ნაბნაბ „აიპიდიკი“	ჩვე ად/ო-ნაბნაბ		ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ		ჩვე ათ-ნაბნაბ
3 ჩვე ად-ნაბნაბ „აიპიდიკა“	ჩვე ად/ო-ნაბნაბ		ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ		ჩვე ად/ო-ნაბნაბ
1 ჩ ოთ-ლაბაკენ „აბაკიპენ“	ჩ ოთ/ო-ლაბაკენ	ჩ ოთ-ლაბაკენ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლაბაკენ	ჩვე ად/ო-ლაბაკენ
2 ჩვე ათ-ლაბაკენ „აბაკიპენ“	ჩვე ად/ო-ლაბაკენ	ჩვე ად/ო-ლაბაკენ	ჩვე ად-ლაბაკენ	ჩვე გად/ო-ლაბაკენ	ჩვე ად/ო-ლაბაკენ
3 ჩვე ად-ლაბაკენ „აბაკიპენა“	ჩვე ად/ო-ლაბაკენ	ჩვე ად-ლაბაკენ	ჩვე ად-ლაბაკენ	ჩვე გად/ო-ლაბაკენ	ჩვე ად/ო-ლაბაკენ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ		ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ		ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ		ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ		ჩვე ათ-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ		ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ		ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
1 ჩ ოთ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩ ოთ/ო-ლიბ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩ ოთ-ლიბ	ჩვე ათ-ლიბ
2 ჩვე ათ-ლიბ „ბეგიპიბე“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ
3 ჩვე ად-ლიბ „ბეგიპიბა“	ჩვე ად/ო-ლიბ	ჩვე ად-ლიბ	ჩვე ად-ენ-ეკ-ენ-ეკ-ენ	ჩვე გად/ო-ლიბ	ჩვე ად/ო-ლიბ

თანამედროვე სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებზე დაკვირვებამ და დამატებითი დიალექტოლოგიური მასალების მოძიებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ:

1. წინდებული **ად-** აორისტის I და II პირის ფორმებში ყოველთვის **ათ-**ის სახით არ არის წარმოდგენილი, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული.

2. **ად-** და მისი ფონეტიკური ვარიანტი **ათ-** ძალზე ხშირად (როგორც ტექსტებში, ასევე ზეპირ მეტყველებაშიც) ერთსა და იმავე ზმნაში ერთმანეთის პარალელურადაც იხმარება და ცალ-ცალკეც. იგივე მდგომარეობაა მე-3 პირშიც, სადაც **ად-** და **ათ-** ხშირად მონაცვლეობს. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ბალსქვემოურისა და ჩოლურულის შესახებ.

3. ზოგ ზმნაში ან მხოლოდ **ად-** წინდებულიანი ფორმაა გამოყენებული ან **ათ-** წინდებულიანი.

4. ამასთანავე, I პირის ფორმაში, ზემოსვანურში, ლაშხურსა და ჩოლურულში, **ად-** წინდებული **ოთ-**ის ან **ოდ-**ის სახით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ლენტეხურს და, ნაწილობრივ, ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავს, იქ I პირში, ძირითადად, **ათ-/ად-** წინდებულები იხმარება. რაღა თქმა უნდა, სათანადო საილუსტრაციო მასალა სვანური ენის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებშიც გამოვლინდა.

5. მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ **ათ-/ად-** წინდებულების პარალელურ ხმარებას, რაც პროფ. ვ. თოფურიას შედარებით ახალ მოვლენად მიაჩნია (1967, 19), მხოლოდ ლახამულურ მეტყველებაში არა აქვს ადგილი, იგი სვანური ენის სხვა დიალექტებსა თუ კილოკავებშიც დადასტურდა.

როდესაც პროფ. ვ. თოფურია სუბიექტურ პრეფიქსებთან დაკავშირებულ ფონეტიკურ მოვლენებზე საუბრობს, შენიშნავს, რომ „ბალსზემოურში **Si** -ჳ- პრევერბისეულ ჳ-ს ვერ იმსგავსებს თუ წინდებულის შემდეგ სათავისოს მაქცევარი **ი-** ან ვნებითის **ი-**, **ე-** არის ნაგულები (დაცული იქნება ის თუ ამოღებული), სხვა დიალექტებში კი — ბალსქვემოურსა და ლაშხურში (ზოგჯერ იფარულსა და აგრეთვე უშგულურშიც) ასიმილაციას აქვს ადგილი" (იქვე, 13). სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

		ბზ.	ბქ.	ლშხ.	
1	ჳხჳ-იყდ	ოხჳ-იყდ	ოხ-ყიდ	(←*ან-ხჳ-ი-ყიდ) „ვიყიდე"
2	ჳ ხ-იყდ	ჳხ-იყდ	ეხ-ყიდ	(←*ან- ხ-ი-ყიდ)
1	ჳთჳ-იგ	ოთ-იგ	ოთ-იგ	(←*ათჳ-ი-გ) „დავიდგი"
2	ჳთ -იგ	ჳთ-იგ	ეთ-იგ	
1	ჳთჳ-მეჩჳნ	ოთ-მეჩენ	ოთ-მეჩენ	(←*ათჳ-ი-მეჩენ) „დავბერდი"
2	ჳთ -მეჩჳნ	ჳთ-მეჩენ	ეთ-მეჩენ	
1	ლაჳხჳ-ჳუედ ეცერ.	ლოხ-ჳედ	ლოხ-ჭედ	(←*ლა-ხჳ-ე-ჭედ → ლნტ. ლაჳ-ხჳ-ე-ჳუედ) „ვითხე"
2	ლაჳ ხ -ჳუედ	ლაჳხ-ჳედ	ლეხ-ჭედ	

ნათქვამია ისიც, რომ „**ად-** და **ეს-** პრევერბთა **ა-** და **ე-** ელემენტების დამსგავსების შემდეგ **Si** -ჳ- არ ჩანს, თუნდაც მას უშუალოდ მოსდევდეს მაქცევარი თუ მავნებითებელი (გინდ **გ**) ხმოვანი" (იქვე). დავასახელოთ მკვლევართა მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით სანიმუშოდ მოყვანილი რამდენიმე ცნობილი მაგალითი:

1	ზს., ლშხ. **ოთ-გგ** „ავაგე"	ზს. **ოთ-აბ**,	ლშხ. **ოხ-აბ** „დავაბი"	ბქ. **ოხ-ჳგუშ** „დავასხი"
2	**ათ-გგ**	**ათ-აბ**	**ეს-აბ**	**ეს-ჳგუშ**
1	ბზ. **ოთ-ეყჩ** (||იშვიათად: **ოთჳ-ეყჩ**),	„	**ოთ-ეყჩ** „თავი დავანებე",	**ქოთ-ელუკ** „გავეკიდე"
2	**ათ-ეყჩ**	**ათ-აბ** —	**ეთ-ეყჩ**	**ქჳთ-ელუკ**

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ისიც, რომ „ლენტეხურში **Si** -უ- ჩვეულებრივ პრევერბს მოსდევს და არსად ასიმილაციას არ იწვევს" (თოფურია 1967, 13-14), რაც ჩვენი საანალიზო მასალითაც დადასტურდა (მაგ.: **ჩუ ჲთ-უ-ეპჟ˹უ˺** „დავიმალე", **ჩუ ათ-უ-აბგგუ** „გავამაგრე", **ჩუ ჲთ-უ-შიხენ** „დავიწვი", **ჩუ ათ-უ-აბიზ** „გავაძღე", **ჩუ ჲთ-უ-ეპმ** „ჩავყევი", **ჩუ ჲთ-უ-თგრენ** „ჩავეთრიე", **ჩუ ჲთ-უ-ელაბნენ** „დავიფიცე", **ჩუ ჲთ-უ-ლუგურენ** „გავსუქდი", **ჩუ ათ-უ-აშხუნ** „შევინახე", **ჩუ ჲთ-უ-წაბურენ** „გავიპარსე" და ა. შ.). ნაწილობრივ ლენტეხურის მსგავსი ვითარება გვაქვს ლახამულურ კილოკავშიც (შდრ. ლხმ.: **ჩუ ათ-უ-შიხენ** „დავიწვი", **ჩუ ჲთ-უ-ეპმ** „ჩავყევი", **ჩუ ჲთ-უ-ეღუპ** „გავეკიდე", **ჩუ ჲთ**-სიკ-თენ „უკეთესი გავხდი", **ჩუ ჲთ-თგრ** „ჩავეთრიე" და ა. შ.). რაც შეეხება სხვა დიალექტებსა თუ კილოკავებს, იქ მსგავსი შემთხვევა არ დადასტურებულა.

გამონაკლისის სახით შეგვხვდა ერთი მაგალითი (**ჩუ ათ-უეფ** „დავიკარგე"), სადაც /-უ-/ პირის ნიშნად არ დადასტურებულა სვანური ენის არც ერთ დიალექტსა და კილოკავში, რაც გასაკვირი არ არის, ვინაიდან ორი წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური /-უ-/ თანხმოვანი ერთმანეთის გვერდით სვანურში ვერ ძლებს და, როგორც წესი, ერთ-ერთი მათგანი იკარგება. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ფუძისეული **თ** აღნიშნულ ლექსემაში სვანური ენის ყველა დიალექტში დაკარგულია, რაც, როგორც ჩანს, წინდებულისეულ **თ**'სთან მეზობლობამ განაპირობა.

საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ (თვალსაჩინოებისთვის საანალიზოდ ავიღებთ ლენტეხურ ფორმას, რადაგანაც იქ, სუსტი რედუქციის გამო, ფორმები უფრო სრულადაა წარმოდგენილი): **ჩუ ათ-უეფ < *ჩუ ათ-უ-უეფ < *ჩუ ათ-უ-ა-თუეფ < *ჩუ ად-უ-ა-თუეფ**.

/-უ-/ **Si** ნიშნად (ზემოაღნიშნულ საანალიზო ფორმებში), ლენტეხურის გარდა, თითქოს სვანური ენის არც ერთ დიალექტში არ იყო მოსალოდნელი. ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმატული სისტემაც ამასვე გვიდასტურებს. ძირითადად ეს ასეცაა, თუმცა თანამედროვე ბალსქვემოურ მეტყველებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ **Si** /-უ-/, ლენტეხურის მსგავსად, აქაც ფიქსირდება, მაგრამ /-უ-/ს ხმარების მხრივ აქ ერთგვაროვნებას ადგილი ნამდვილად არა აქვს და მისი ხმარების შემთხვევები არც ისე რეგულარულია როგორც ლენტეხურში. პირისნიშნიანი და უპირისნიშნო ფორმების პარალელური ხმარება ბალსქვემოური დიალექტის კილოკავებში ძალზე ხშირია[1].

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმის სახით ცალკე წარმოვადგენთ ბალსქვემოური დიალექტის მაგალითებს

	პირისნიშნიანები	უპირისნიშნოები
1	ჩ ოთ-უ-ეპქ „დავიმალე"	ჩ ოდ-ეპქ
2	ჩუ ჲ/ეთ-ეპქ „დაიმალე"	ჩუ ჲ/ედ-ეპქ
3	ჩუ ჲ/ეთ-პჲ/აქ „დაიმალა"	ჩუ ჲ/ედ-პჲ/აქ
1	ჩ ოთ-უ-უქდ „დავიძინე"	ჩ ოდ-უქდ „დავიძინე"
2	ჩუ ჲ/ეთ-უქდ „დაიძინე"	ჩუ ჲ/ედ-უქდ „დაიძინე"
3	ჩუ ჲ/ეთ-უქდა „დაიძინა"	ჩუ ჲ/ედ-უქდა „დაიძინა"
1	ჩ ოთ-უ-ბგგ „გავამაგრე"	ჩ ოდ/თ-ბგგ
2	ჩუ ად/თ-ბგგ „გაამაგრე"	ჩუ ად/თ-ბგგ
3	ჩუ ად/თ-ბგგე „გაამაგრა"	ჩუ ად/თ-ბგგე

[1] პირისნიშნიანი ფორმები, ძირითადად, გაბმულ მეტყველებაში შეინიშნება, ხოლო ცალკეული ფორმების წარმოთქმის დროს ინფორმატორები ხან უპირისნიშნო ფორმებს ანიჭებენ უპირატესობას ხან კი — პირისნიშნიანებს.

	პირისნიშნიანები	უპირისნიშნოები
1	ჩ ოთ-უ-შიხენ „დავიწვი“	ჩ ოდ-შიხენ
2	ჩუ ჳ/ეთ-შიხენ „დაიწვი“	ჩუ ჳ/ედ/თ-შიხენ
3	ჩუ ჳ/ეთ-შიხჳ/ან „დაიწვა“	ჩუ ჳ/ედ/თ-შიხჳ/ან
1	ჩ ოთ-უ-ბიზ „გავაძღე“	ჩ ოდ/თ-ბიზ
2	ჩუ ად/თ-ბიზ „გააძღე“	ჩუ ად/თ-ბიზ
3	ჩუ ად/თ-ბიზე „გააძღო“	ჩუ ად/თ-ბიზე
1	ჩ ოთ-უ-ზიგ „დავასახლე“	ჩ ოდ/თ-ზიგ
2	ჩუ ად/თ-ზიგ „დაასახლე“	ჩუ ად/თ-ზიგ
3	ჩუ ად/თ-ზიგე „დაასახლა“	ჩუ ად/თ-ზიგე
1	ჩ ოთ-უ-აბ „დავაბი“	ჩ ოდ-აბ
2	ჩუ ად/თ-აბ „დააბი“	ჩუ ად/თ-აბ
3	ჩუ ად/თ-აბე „დააბა“	ჩუ ად/თ-აბე
1	ჩ ოთ-უ-ეღუჭ „გავეკიდე ქვემოთ“	ჩ ოდ-ეღუჭ
2	ჩუ ჳ/ეთ/დ-ეღუჭ „გაეკიდე ქვემოთ“	ჩუ ჳ/ეთ/დ-ეღუჭ
3	ჩუ ჳ/ეთ/დ-ღუაჭ „გაეკიდა ქვემოთ“	ჩუ ჳ/ეთ/დ-ღუაჭ
1	ჩ ოთ-უ-სიკთენ „უკეთესი გავხდი“	ჩ ოდ/თ-სიკთენ
2	ჩუ ჳ/ედ/თ-სიკთენ „უკეთესი გახდი“	ჩუ ჳ/ედ/თ-სიკთენ
3	ჩუ ჳ/ედ/თ-სიკთან „უკეთესი გახდა“	ჩუ ჳ/ედ/თ-სიკთან
1	ჩ ოთ-უ-თგრ/დ „ჩავეთრიე“	ჩ ოდ/თ-თგრ/დ
2	ჩუ ჳ/ედ/თ-თგრ/დ „ჩაეთრიე“	ჩუ ჳ/ედ/თ-თგრ/დ
3	ჩუ ჳდ/თ-თგრ/და „ჩაეთრია“	ჩუ ჳდ/თ-თგრ/და
1	ჩ ოთ-უ-ნაბნენ „დავიფიცე“	ჩ ოდ/თ-ნაბნენ
2	ჩუ ჳ/ედ/თ-ნაბნენ „დაიფიცე“	ჩუ ჳ/ედ/თ-ნაბნენ
3	ჩუ ჳ/ედ/თ-ნაბნან „დაიფიცა“	ჩუ ჳ/ედ/თ-ნაბნან
1	ჩ ოთ-უ-ლუგურენ „გავსუქდი“	ჩ ოდ/თ-ლუგურენ
2	ჩუ ჳ/ედ/თ-ლუგურენ „გასუქდი“	ჩუ ჳ/ედ/თ-ლუგურენ
3	ჩუ ჳ/ედ/თ-ლუგურჳ/ან „გასუქდა“	ჩუ ჳ/ედ/თ-ლუგურჳ/ან
1	ჩ ოთ-უ-იშხენ „შევინახე“	ჩ ოდ/თ-იშხენ
2	ჩუ ჳ/ედ/თ-იშხენ „შეინახე“	ჩუ ჳ/ედ/თ-იშხენ
3	ჩუ ჳ/ედ/თ-შხენ „შეინახა“	ჩუ ჳ/ედ/თ-შხენ
1	ჭ/ჩ ოთ-უ-წაბურენ „გავიპარსე“	ჭ/ჩ ოდ/თ-წაბურენ
2	ჭ/ჩუ ჳ/ედ/თ-წაბურენ „გაიპარსე“	ჭ/ჩუ ჳ/ედ/თ-წაბურენ
3	ჭ/ჩუ ჳ/ედ/თ-წაბურან „გაიპარსა“	ჭ/ჩუ ჳ/ედ/თ-წაბურან
1	ჩ ოთ-უ-ჯგრჳუ „დავიჯერე“	ჩ ოდ/თ-ჯგრჳუ
2	ჩუ ჳ/ედ/თ-ჯგრჳუ „დაიჯერე“	ჩუ ჳ/ედ/თ-ჯგრჳუ
3	ჩუ ჳ/ედ/თ-ჯგრუე „დაიჯერა“	ჩუ ჳ/ედ/თ-ჯგრუე
1	ჩ ოთ-უ-ჯგმჳრ „ვიხმარე“	ჩ ოდ/თ-ჯგმჳრ
2	ჩუ ჳ/ედ/თ-ჯგმჳრ „იხმარე“	ჩუ ჳ/ედ/თ-ჯგმჳრ
3	ჩუ ჳ/ედ/თ-ჯგმრე „იხმარა“	ჩუ ჳ/ედ/თ-ჯგმრე
1	ჩ ოთ-უ-სოყ „გავაგიქე“	ჩ ოდ/თ-სოყ
2	ჩუ ად/თ-სოყ „გააგიქე“	ჩუ ად/თ-სოყ
3	ჩუ ად/თ-სოყე „გააგიქა“	ჩუ ად/თ-სოყე
1	ჩ ოთ-უ-ჴაც „დავლუპე“	ჩ ოდ/თ-ჴაც
2	ჩუ ად/თ-ჴაც „დაღუპე“	ჩუ ად/თ-ჴაც
3	ჩუ ად/თ-ჴაცე „დაღუპა“	ჩუ ად/თ-ჴაცე
1	ჩ ოთ-უ-ჴერინ „ჩავიყვანე“	ჩ ოდ-ჴერინ
2	ჩუ ჳ/ედ/თ-ჴერინ „ჩაიყვანე“	ჩუ ჳ/ედ-ჴერინ
3	ჩუ ჳ/ედ/თ-ჴერნე „ჩაიყვანა“	ჩუ ჳ/ედ-ჴერნე

აღნიშნული პარადიგმიდან თვალნათლივ ჩანს ის სხვაობა, რაც ამ პარალელურ ფორმებს შორის შეინიშნება. პირველ სვეტში მოცემულია ის საანალიზო ფორმები, სადაც **Si** /-უ-/ **ად**-წინდებულისგან მიღებულ **ათ/ეთ/ოთ**-ის მეზობლადაა წარმოდგენილი, მეორე სვეტში კი — ის ფორმები, სადაც /-უ-/ პირის ნიშანი არ გვაქვს. გამოდის, რომ **დ**'ონთან **Si** /-უ-/ იკარგება, ხოლო **თ**'სთან, რომელიც **დ**-ს გაფშვინვიერების შედეგადაა მიღებული, შენარჩუნებულია.

როგორც ვხედავთ, ბალსქვემოურ დიალექტში წარმოდგენილი **Si** /-უ-/, რომელიც ჩვეულებრივ პრევერბს მოსდევს, ლენტეხურისგან განსხვავებით, ზოგ ფორმაში ასიმილაციას იწვევს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ნაწილობრივ ლენტეხურის მსგავსი ვითარება დასტურდება ლახამულურ კილოკავში". ამ უკანასკნელში ერთადერთი მაგალითი დავაფიქსირეთ, როდესაც **Si** /-უ-/ პრევერბთან მეზობლობაში ასიმილაციას იწვევს (შდრ. ლხმ. **ჩ ოთ-უ-ეპე** „დავიმალე"). შესაძლოა, მსგავსი მაგალითები კვლავაც დაიძებნოს.

გამონაკლისის სახით შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც /-უ-/ პირის ნიშნად **თ**'სთანაც არ გამოვლინდა (შდრ., ბქ.: **ჩ ოთ-უეფ** „დავიკარგე", **ჩ ოთ-ეპმ** „ჩავყევი, გავეკიდე", **ჩ ოთ-ჲსყ** „შევარიგე" ...).

პროფ. ვ. თოფურია სვამს კითხვას იმის შესახებ თუ რით არის გამოწვეული პირველ ორ პირში ზმნისწინისეული **-დ-**ს **-თ-დ** ქცევა (იქვე, 5) და მოყავს ა. შანიძის თვალსაზრისი: „სუბიექტური II პირის პრეფიქსის ძირითადი სახეა /ჰ/, რომელიც... **ად**-თან თვით იკარგება, მაგრამ არა უკვალოდ, არამედ მეზობელ **დ**'ონს აფშვინვიერებს, **თ**'ანად აქცევს და თვითონ ამ **თ**'ანის ფშვინვიერებაშია მიჩქმალული: **ადჰ > ათ**" (შანიძე 1957, 182). ე. ი. **ად**- წინდებულისაგან მიღებულ **ათ**-ს ხსნიან **დ**-სა და **ჰ**-ს შერწყმით და II პირის სუბიექტურ პრეფიქსად **ჰ**-ს ვარაუდობენ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვა არგუმენტებიც არსებობს, ესენია: ა) თანხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ II პირის ნიშნად **ნულ**ის „არსებობა", რომელიც **ჰ**-ს გაქრობის შედეგს უნდა წარმოადგენდეს (მაგ., **დიგე, ტიხე, ჴიდე**...), ბ) **ეს-/ას-** პრევერბის მომდევნო პოზიციაში **ჰ**-ს შესაძლო დაკარგვა ფონეტიკურ ნიადაგზე, მაგ., ზს. ეს-ჲ-გუშ ← *ეს-ჰ-ჲგუშ („დაასხი"), ჩუ ეს-ჲდ ← * ჩუ ეს-ჰ-ჲდ („დადევი"), ლშხ. ჩუ-ეს-იბ ← *ჩუ ეს-ჰ-იბ („დაიბი"), ლნტ. ჭ'ას-ჲგ ← *ჭი ას-ჰ-ჲგ („დაადგი"), და გ) **ხ**-ს **ჰ**-საგან მიღების სარწმუნო ალბათობა (**ხ**←**ჰ**: ზს. **ხეხუ** ← ***ჰეხუ** „ცოლი", რადგანაც ქვემოსვანურში **ჱეხუ** გვაქვს — იხ. იქვე სქოლიოში). იგივე ითქმის I პირის **-უ**-სთან ნაგულისხმებ **ჰ**-ს შესახებაც [**ოთ-მჲხ** ← * **ად-ჰუ-მჲხ** და სხვა (თოფურია 1967, 5)].

გამოდის, რომ I და II პირისათვის ორ-ორი ფორმანტი ივარაუდება: I-ისათვის — /**ხუ-**/, /***ჰუ-**/, ხოლო II-ისათვის /**ხ-**/, /***ჰ-**/. /**ხუ-**/ და /**ხ-**/ დაცულია ხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ, ხოლო პრეფიქსი /***ჰ-**/ უკვალოდ იკარგება თანხმოვნითდაწყებულ ფუძეთა წინ და **ეს-/ას-** პრევერბის შემდეგ, **ად-** წინდებულს კი ერწყმის (თოფურია 1967, 4-5).

ტაბულა II

სუბიექტურ ნიშანთა ცხრილი

პირი	მხოლობითი რ. A. ხმ. დაწყ. ფ.	B. თანხმ. დაწყ. ფ.	მრავლობითი რ. A. ხმ. დაწყ. ფ.	B. თანხმ. დაწყ. ფ.
			Se ლ- — -დ	ლ-გ- — -დ
1	ხუ- -უ-, *ჰუ-	პრევერბ	Si ხუ- — -დ	-უ-, *ჰუ- — -დ
2	ხ- Ø-, *ჰ-	ად-თან	ხ- — -დ	Ø-, *ჰ- — -დ
3	ლ-, Ø- Ø-		ლ-, Ø- — -ხ	Ø- — -ხ

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია მესამე სუბიექტური პირის ნიშნის უცნაური ბედი ქართველურ ენებში. ყველა დანარჩენი პირი (I, II), როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური, თავსართების საშუალებით იწარმოება, ხოლო მესამე სუბიექტური პირის საწარმოებლად ბოლოსართები გამოიყენება. პროფ. მ. ქალდანის აზრით, სწორედ „ამ გარემოებამ დაარღვია პირის გამოხატვის თანმიმდევრული სისტემა და თავისებური დისონანსი შეიტანა ქართველური ზმნის უღვლილების სისტემაში“ (ქალდანი 1979, 208). ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლის ვითარებას გვიჩვენებს სვანური ენა, სადაც, სხვა ქართველური ენებისაგან განსხვავებით, რამდენიმე ზმნამ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი /ლ-/ პრეფიქსის სახით შემოგვინახა (შუხარდტი 1895; შანიძე 1925; თოფურია 1931, 2-3; ჩიქობავა 1940, 41). ესენია: ლ-ი „არის“, ლ-ასუ „იყო“, ლ-გგ „დგას“, ლა-ლ-ემ „შეჯამა“, ლა-ლ-გშ „დალია“ (ქალდანი 1979, 208). მიუხედავად მასალის სიმცირისა, ქართველური ენების თითქმის ყველა სპეციალისტი აღიარებდა, რომ ეს /ლ-/ მესამე სუბიექტური პირის ნიშანია და, აქედან გამომდინარე, კეთდებოდა დასკვნა, რომ „სვანურს ოდესღაც I და II პირის მსგავსად III პირისთვისაც გამოყენებული ჰქონია პრეფიქსი: იგი ყოფილა /ლ-/“ (თოფურია 1931, 2-3; ანდღულაძე 1968, 178-200). მ. ქალდანი სვამს კითხვას: „მაგრამ თუ ეს ვარაუდი სწორია, რატომ მხოლოდ რამდენიმე ზმნას შემორჩა იგი? რა მოუვიდა სხვაგან“? (ქალდანი 1979, 209) და ეს კითხვად დარჩება მანამ, სანამ მესამე სუბიექტური პირის ნიშნის კვალი სხვაგანაც არ იქნება მიგნებული მნიშვნელოვანი რაოდენობით (იქვე).

ახალი დამატებითი დიალექტოლოგიური მასალების მოძიებისა და გულდასმით შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ „უირიბობიექტო ლა- წინდებულიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი შემონახულია დღემდე მთელ სვანურში, ოღონდ არა მარტო ლ'ს, არამედ მისი ბგერინაცვლის ჲ'სა და ნ'ს სახით“. როგორც ავტორი შენიშნავს, „ჲ ლ'ს პალატალიზაციის შედეგი ჩანს“, რომელიც „გვხვდება ლენტეხურში, ბალსზემოურში, ბალსქვემოურის ბეჩოურ, ცხუმარულ, ფარულ, ლახამულურ კილოკავებსა და ლაშხურისა და ჩუბეხეურის ზოგ თქმაში“, მაგ.:

1. ლო-ხუ-ნ̌არ̌ჰ „გავუნათე“	ლო-ხუ-კ̌აჩ „აღვმართე“
2. ლა-ხ-ნ̌არ̌ჰ	ლა-ხ-კ̌აჩ
3. ლა-ჲ-ნარჰე	ლა-ჲ-კაჩე

როგორც ვხედავთ, /-ჲ-/ მესამე პირს განასხვავებს პირველი და მეორე პირისაგან და იგი ამ პირის ნიშნად მიჩნეულ ლ'ს პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს. ამ წესს მიჰყვება მ. ქალდანის მიერ ზემოჩამოთვლილ დიალექტებში უირიბობიექტო ლა- წინდებულიანი ზმნის თითქმის ყველა მესამე სუბიექტური პირი: ლა-ჲ-ჩხუარე „გამოფშუნა“, ლა-ჲ-თე „მომკა“, ლ̌ა-ჲ-ღირალ „წაიმღერა“, ლ̌ა-ჲ-შდირალ „წაითამაშა“, ლ̌ა-ჲ-ხირნან „გაჯავრდა“, ლ̌ა-ჲ-წგრნან „გაწითლდა“ და აგრეთვე ე. წ. უსუბიექტო ზმნებიც: ლა-ჲ-შდუე „წამოთოვა“, ლა-ჲ-უჩხე „წამოწვიმა“, ლა-ჲ-კუერმე „გაყინა“, ლ̌ა-ჲ-რჯჰან „განათდა, ინათა“ და სხვ. (ქალდანი 1979, 209-210). ამრიგად, ამ მაგალითებში წარმოდგენილი /-ჲ-/ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად დასახელებული ლ'ს ბგერინაცვლადაა მიჩნეული (ქალდანი 1959, 96-99). ზოგი ენათმეცნიერის ვარაუდით კი, ეს /-ჲ-/ ქცევის ნიშნისეული ხმოვნების ნარედუქციალად არის მიჩნეული (შანიძე 1925, 224), რასაც არ ეთანხმება მ. ქალდანი (1959, 96-99).

დიდძალი დიალექტოლოგიური მასალების მოძიებისა და შესწავლის შედეგად გაირკვა ისიც, რომ „/ლ-/ თავსართის ნაცვლად /ნ-/ გვხვდება მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ბალსქვემოურის კალაშურ, ხერხვაშულ და ლაშხრაშულ მეტყველებაში, ლაშხურის სასაშურ თქმაში, ჩოლურულში, ბალსზემოურის კალურ და ლაღამურ მეტყველებაში და კოდორის ხეობის სვანურის გენწვიშურ თქმაში“ (ქალდანი 1959, 97; ქალდანი 1958, 215-216). აღნიშნულ დიალექტებსა თუ კილოკავებში

უირიბობიექტო ლა- წინდებულიანი ზმნის თითქმის ყველა მესამე სუბიექტური პირი ნ'არით არის წარმოდგენილი, მაგ.:

1. ლო-ხუ-შდირალ „წავითამაშე"	ლო-ხუ-ტებდალ „გავთბი"
2. ლა-ხ-შდირალ	ლა-ხ-ტებდალ
3. ლა-ნ-შდირალ	ლა-ნ-ტებდალ

ნ'არით არის წარმოდგენილი III პირის ფორმაში შემდეგი ზმნებიც: ლა-ნ-ტიხ „დაიბრუნა", ლა-ნ-შხებ „შეკერა", ლა-ნ-წაბურე „გაპარსა", ლა-ნ-მარე „მოამზადა", ლა-ნ-მეზრე „დალოცა და ა. შ. აქაც ჩანს, რომ /ნ-/ მესამე სუბიექტურ პირს განასხვავებს პირველი და მეორე პირისაგან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სწორედ ამ პირის ნიშანია (ქალდანი 1979, 210).

მაშასადამე, მესამე სუბიექტური პირის უძველეს ნიშნად სვანურში უნდა ვივარაუდოთ /ლ-/ და მისი პოზიციური ვარიანტები /ჲ-/ და /ნ-/, რომლებიც შემოგვინახეს ლა- წინდებულიანმა ზმნებმა (ლა-ლ-ემ „შეჭამა", ლა-ჲ-თე „მომკა", ლა-ნ-ჭემე „წათიბა"...). არც ერთ სხვა წინდებულიან ზმნაში ამ ლ'ს კვალი არ ჩანს, რისი მიზეზიც, მ. ქალდანის ვარაუდით, ის არის, რომ იმ მარტივ წინდებულთაგან (ან-, ად-, ეს- და ლა-) სვანურში, რომლებიც ადრიდანვე ზმნას შეერწყა, ერთადერთია ლა- წინდებული, რომელიც ხმოვანზე ბოლოვდება, დანარჩენები, როგორც ვხედავთ, ყველა ბოლოთანხმოვნიანებია. სწორედ ამ თანხმოვანზე დამთავრებულ წინდებულებთან (თანხმოვანთა თავმოყრის გამო) ვერ გაძლო მესამე სუბიექტური პირის ნიშანმა ლ'მ. რასაც ვერ ვიტყვით ლა- წინდებულიანი ზმნების შესახებ, სადაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნის (ლ'ს ან მისი ბგერინაცვლის ჲ'სა და ნ'ს) შენახვისათვის ხელსაყრელი ფონეტიკური პოზიცია არსებობს. „პირის ნიშანს ამ პოზიციაში ქცევის ნიშნები მოსდევდა. ამ ქცევის ნიშანსა და ლა- წინდებულის ა ხმოვანს შორის იყო მოქცეული მესამე სუბიექტური პირის /ლ-/ თავსართი (*ლა-ლ-აჭემე „წათიბა", *ლა-ლ-ათე „მომკა", *ლა-ლ-იხირნან „გაბრაზდა")". როგორც /ლ-/, ასევე მისი პოზიციური ვარიანტები /ჲ-/ და /ნ-/, ხმოვანთგამყარის როლსაც ასრულებდნენ (ქალდანი 1979, 212).

ამ ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მ. ქალდანი და ალ. ონიანი /ლ-/ პრეფიქსს აღადგენენ საერთოქართველურისათვის სუბიექტური მესამე პირის ნიშნის არქეტიპად, თუმცა ლ'ს გენეზისის შესახებ არსებობს სხვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც ეკუთვნის პროფ. ნ. ანდღულაძეს. მან, ადრიდანვე ცნობილი /ლ-/ თავსართიანი ხუთი სვანური ზმნის ჩვენებაზე დამყარებით, თავის გამოკვლევაში „კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში" ერთ-ერთმა პირველმა სცადა III პირის /ლ-/ თავსართის წარმომავლობის დადგენა კავკასიური ენების მონაცემებზე დაყრდნობითა და ქართველურ ენათა პირის ნიშნების სისტემის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. მისი ცნობილი დებულებებია:

„1. სვანურს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არ ჰქონდა ისევე, როგორც არ ჰქონდა იგი ქართულს განვითარების გარკვეულ პერიოდში (შდრ. პირველი და მეორე პირის ფორმები).

2. სვანურის /ლ-/ პრეფიქსი მესამე სუბიექტური პირის გამოხატვის საჭიროებას არ გაუჩენია შემდეგშიაც.

3. სვანური ზმნების /ლ-/ პრეფიქსი ნაშთია კლასოვანი უღვლილებისა, რომელიც ამოსავალია ქართველურ ენათა პიროვანი უღვლილებისათვის საერთოდ.

4. /ლ-/ პრეფიქსის დაკარგვა უნდა უკავშირდებოდეს კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ზმნის სტრუქტურაში, რაც პირველ რიგში

მესამე პირის უფორმობას გულისხმობს პირის გამოხატვის თვალსაზრისით" (ანდღულაძე 1968, 187).

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ავტორისათვის ცნობილ ხუთ სვანურ ზმნაში დაცული /ლ-/ თავსართი კვალიფიცირებულია როგორც ნივთის კლასის ექსპონენტი. ამ ვარაუდს არ იზიარებს პროფ. მ. ქალდანი და თვლის, რომ ნ. ანდღულაძის დასკვნები ჯეროვნად დასაბუთებული არაა, რაც გამოიხატება პირველ რიგში იმაში, რომ „ნ. ანდღულაძე თავისი დებულებების ერთ-ერთ ძირითად საბუთად თვლის /ლ-/ თავსართიანი ზმნების სიმცირეს სვანურში" (ქალდანი 1979, 216), რასაც ემყარება სწორედ მისი ერთი ძირითადი დებულება: „სვანური ზმნების /ლ-/ პრეფიქსი ნაშთია კლასოვანი უღვლილებისა"-ო (ანდღულაძე 1968, 187).

ამ დებულებასთან დაკავშირებით მ. ქალდანი აღნიშნავს, რომ „მესამე სუბიექტური პირის ნიშანი სვანურს მხოლოდ ხუთ ზმნაში კი არ შემორჩა, როგორც ეს ნ. ანდღულაძეს ჰგონია, /ლ-/ და მისი პოზიციური ვარიანტები /ნ-/ და /ჲ-/ ... რამდენიმე ასეულ ზმნაშია წარმოდგენილი" (ქალდანი 1979, 217), რაც, მართალია, ჩვენი საილუსტრაციო მასალითაც დადასტურდა, თუმცა საკითხის საბოლოოდ გადაჭრა მაინც ნაადრევი გვეჩვენება.

ნ. ანდღულაძეს მიაჩნია, რომ სვანური ენის გარდაუვალ სტატიკურ ზმნებში /ლ-/ თავსართი მხოლოდ ნაკვთთა პირველი წყების ფორმებში ვლინდება, გარდამავალ ზმნებში კი — მეორე წყების ფორმებში (ანდღულაძე 1968, 179). რასაც არ ეთანხმება პროფ. მ. ქალდანი, რადგანაც „ლ'ს პოზიციური ბგერინაცვალი /ჲ-/ გვხვდება ნაკვთთა პირველი წყების ფორმებში გარდაუვალ ზმნებთანაც (ჲ-ჳრად „წავიდა") და გარდამავალ ზმნებშიც (ჲ-ჳთრე „სვამს", ჲ-ჳგემ „აშენებს", ჲ-ჳრში „საწოლს შლის"...). ასევე ნაკვთთა მეორე წყების ფორმებში ლ'ს პოზიციურ ვარიანტს ნ'ს ან ჲ'ს ვხვდებით არა მარტო გარდამავალ ზმნებში..., არამედ გარდაუვალ ერთპირიან ზმნებშიც" (ქალდანი 1979, 218).

ამასთანავე, ნ. ანდღულაძის აზრით, მესამე პირში გამოვლენილი /ლ-/ პრეფიქსი „ნივთის კატეგორიის ექსპონენტია, ხოლო პირის რომელობის თვალსაზრისით ნივთის კლასის ისეთ სისტემაში, რომელიც ამოსავლად კლასიან სისტემას გულისხმობს, ნივთის კატეგორიის ობიექტის გადმონაშთ ექსპონენტს სწორედ მესამე სუბიექტური პირის ფორმაში უნდა მოველოდეთ, რადგანაც პირველი და მეორე პირის სუბიექტის ფორმებში სუბიექტური პირის ნიშნებია წარმოდგენილი" (ანდღულაძე 1968, 196). ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება პროფ. მ. ქალდანი, რადგანაც, მისი აზრით, „/ლ-/ და მისი პოზიციური ვარიანტები /ნ-/ და /ჲ-/ დიდი რაოდენობით გვხვდება ისეთ გარდაუვალ ერთპირიან ზმნებში, რომლებიც მხოლოდ ადამიანის ანუ სუბიექტის მოქმედებას აღნიშნავენ, სადაც III პირში ნივთის ან ობიექტის არსებობაზე არც ახლა და არც წარსულში ლაპარაკიც შეუძლებელია" (ქალდანი 1979, 219).

ნ. ანდღულაძის აზრით, „სვანურს სუფიქსად მესამე პირის ნიშანი არა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართულიდან ნასესხებ -ს სუფიქსს. იგივე ითქმის II ტიპის აორისტის თავისებურებათა შესახებ" (ანდღულაძე 1968, 181). ამიტომ „სუფიქსის გაჩენას ვერ დავუკავშირებთ /ლ-/ პრეფიქსის ფუნქციის დაჩრდილვას"-ო (ანდღულაძე 1968, 182).

ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ქალდანი შენიშნავს: „მართალია, სხვა მწკრივებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად სუფიქსის კვალი არ შეინიშნება, მაგრამ კავშირებითის -ს და განსაკუთრებით აორისტში წარმოდგენილი ვითარება ბევრის მთქმელია. ამ უკანასკნელ მწკრივში რამდენიმე ზმნასთან (მაგ., ესსგურდ-ა „დაჯდა", ადყურდ-ა „დაწვა", ლჳ-ჲ-უჟდ-ა „წაიძინა"...) აორისტის ნიშანი -ა'ს სახით დღემდე არის შემონახული. ეს -ა უნდა ჰქონოდა ამ მწკრივის მესამე პირში ყველა ზმნას: გარდაუვალსაც და გარდამავალსაც... -ა და სხვა სუფიქსები იმ ეპოქის მონაცემები ჩანს, როცა ქართველური ენების პირიანი უღვლილების სტრუქტურაში მოხდა დიდი გარდატეხა,

რომელიც სხვა ქართველური ენების მესამე პირში სუფიქსაციის საბოლოო გამარჯვებითა და პრეფიქსაციის სრული გაქრობით დასრულდა, სვანურში კი სუფიქსაციამ თითქოს მხოლოდ აორისტის და კავშირებითის ფორმაშიღა გაიკაფა გზა და შესაძლებელი გახდა ერთდროულად ორ ნიშანს მოეყარა თავი: /ლ-/ თავსართს, რომელიც ქრონოლოგიურად უწინარესი ჩანს, და -ა ბოლოსართს, რომელიც შედარებით გვიანდელია, მაგრამ ფუძენამდე მაინც ადის, რასაც ქართ.-სვან. -ა და ზან. -უ (< -ო) შესატყვისობის რეალურად არსებობა ადასტურებს" (ქალდანი 1979, 219-220).

პროფ. ნ. ანდღულაძის თვალსაზრისით, სვანურის იმ ზმნებს, რომლებშიც ახლა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არა გვაქვს, არც არასდროს ჰქონიათ იგი, რადგანაც, მისი აზრით, „/ლ-/ რომ დაკარგულიყო, მას მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქცია უნდა დაეკარგა, მაგრამ ამ ხუთ ზმნაში ხომ იგივე ფუნქციით — მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციით შემოგვრჩა? აწმყოში რაღა ვუყოთ? აწმყოში ხომ მესამე პირი უნიშნოა... ამგვარად, პირის კატეგორიით შემოფარგვლა ამჯერად ვერ ხსნის ძირითად საკითხს, /ლ-/ პრეფიქსიანი ფორმების გადაშენების საკითხს" (ანდღულაძე 1968, 185). მ. ქალდანმა კვლევა-ძიების შედეგად, ჯერ კიდევ ნ. ანდღულაძის ნაშრომის დაბეჭდვამდე დიდი ხნით ადრე დაადასტურა, რომ „/ლ-/ და მისი პოზიციური ბგერინაცვალი /ნ-/ და /ჲ-/ ასეულ ზმნაში შემოგვინახა სვანურმა ენამ" (ქალდანი 1959, 96-100; 1958, 215-217).

როგორც უკვე ვთქვით, ნ. ანდღულაძე /ლ-/ პრეფიქსს კლასოვანი უღვლილების ნაშთად მიიჩნევს სვანურში. კლასოვანი უღვლილება კი, მისი ვარაუდით, „ამოსავალია ქართველურ ენათა პიროვანი უღვლილებისათვის საერთოდ" (ანდღულაძე 1968, 187). ავტორის ამ ვარაუდში, როგორც მ. ქალდანი შენიშნავს, ჩნდება ძალიან ბევრი კითხვები და სერიოზული დაბრკოლებები (ქალდანი 1979, 221-222). საბოლოოდ მ. ქალდანი, ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად, ასეთ დასკვნამდე მივიდა: „სვანურ ზმნებში დაცული /ლ-/ ნიშანი ნაშთად უნდა მივიჩნიოთ III სუბიექტური პირისა" (თოფურია 1967, 3). მისი აზრით, „ამ დებულებას მხარი შეუმაგრა ლ'ს პოზიციურ ბგერინაცვალთა (ჲ: ჲ-გთრე „სვამს", ლა-ჲ-ჳემ-ე „მოთიბა"... და ნ: ლა-ნ-იშ „დალია", ლჳ-ნ-კიდ „აიღო"...) დიდი რაოდენობით გამოვლინებამ სვანური ენის დღევანდელ დიალექტებში" (ქალდანი 1979, 222).

პროფ. დ. მელიქიშვილი იზიარებს კლასოვანი უღვლილების ოდინდელ არსებობას და აქედან გამომდინარე აკეთებს დასკვნას, რომ „პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების პერიოდში ისახება რა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიაც (რომელიც პირის კატეგორიის გაგებასაც შეიცავს), სუბიექტურ უღვლილებაში ინკლუზივის ნიშნად ფუნქციადაკარგული /ლ-/ კლასის ნაშთი იქნა გამოყენებული", რაც, მისი აზრით, „მოულოდნელი არ უნდა იყოს" (მელიქიშვილი 1980, 188).

ჩვენი ვარაუდით, ნ'ს შემცველი საანალიზო ზმნური ფორმების სხვაგვარი ინტერპრეტაციაც არ არის გამორიცხული.[1]

თვალსაჩინოებისათვის შევეცდებით პარადიგმის სახით სრულად წარმოვადგინოთ /ლ-/ და მის პოზიციურ ბგერინაცვალთა /ჲ-/ და /ნ-/ პრეფიქსიანი ზმნური ფორმები სვანური ენის დიალექტებისა და ზოგიერთი კილო-კავის მიხედვით. საენათმეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულ საანალიზო მასალას დაემატება ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული საილუსტრაციო მასალაც:

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა გვექნება ქვემოთ.

	გზ.	გკ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.
1	ლო-ხუ-ათ „მოვკვე“	˹ლ˺ო-ხუ-ათ˺	ლო-ხ-თი		ლო-ხ-თი	˹ლ˺ო-ხუ-ათ
2	ლა-ხ-ათ „მომკვე“	˹ლ˺ა-ხ-ათ	ლა-ხ-თი		ლა-ხ-თი	˹ლ˺ა-ხ-ათ
3	ლა-ჲ-თე „მომკა“	ლა-ჲ-თე‖ლა-ნ-თე	ლა-ჲ-თჲე‖ლა-ნ-თჲე	ლა-ჲ-თიე	ლა-ჲ-თჲე‖ლა-ნ-თჲე	ლა-ჲ-თე
1	ლო-ხუ-იცუ „მოვიკიდე“	˹ლ˺ო-ხუ-იცუ	ლო-ხუ-იცუ	ლა-ხუ-იცუ	ლო-ხუ-იცუ	ლა-ხუ-იცუ
2	ლა-ხ-იცუ „მოიკიდე“	˹ლ˺ა-ხ-იცუ	ლე-ხ-იცუ	ლა-ხ-იცუ	ლე-ხ-იცუ	ლა-ხ-იცუ
3	ლა-ჲ-ცუე „მოიკიდა“	ლა-ჲ-ცუე‖ლა-ნ-ცუე	ლე-ნ-ცუე	ლა-ჲ-ცუე	ლე-ჲ-ცუე	ლა-ჲ-ცუე
1	˹ლ˺ო-ხუ-კაჩ „აღვმართე“	˹ლ˺ო-ხ˹უ˺-კაჩ				˹ლ˺ო-ხ˹უ˺-კაჩ
2	˹ლ˺ა-ხ-კაჩ „აღმართე“	˹ლ˺ა-ხ-კაჩ				˹ლ˺ა-ხ-კაჩ
3	ლა-ჲ-კაჩე „აღმართა“	ლა-ჲ-კაჩე				ლა-ჲ-კაჩე
1		ლო-ხუ-კუერმ				ლო-ხუ-კუერმ
2		ლა-ხ-კუერმ				ლა-ხ-კუერმ
3	ლა-ჲ-კუერმე „გაყინა“	ლა-ჲ-კუერმე			ლა-ჲ-კუერმე˺	ლა-ჲ-კუერმე
1	ლო-ხუ-რიჰ „გავანათე“	˹ლ˺ო-ხუ-ნარჰ „მიუნათე“			ლო-ხ-ნარი	˹ლ˺ო-ხუ-ნარჰ
2	ლა-ხ-რიჰ „გაანათე“	˹ლ˺ა-ხ-ნარჰ „მიუნათე“			ლა-ხ-ნარი	˹ლ˺ა-ხ-ნარჰ
3	ლა-ჲ-რჲე‖ლა-ჲ-ნარჰე „გაანათა“	˹ლ˺ა-ხ-ნარჰე „მიუნათა“, მაგრამ ლა-ჲ-ნარჰე „გაანათა“			ლა-ხ-ნარჲე	ლა-ჲ-ნარჰე
1	ლო-ხუ-რჩჩინ „გავავლე“	ლო-ხუ-რჩჩინ				ლო-ხუ-რჩჩინ
2	ლა-ხ-რჩჩინ „გაავლე“	ლა-ხ-რჩჩინ				ლა-ხ-რჩჩინ
3	ლა-ჲ-რჩჩნე „გაავლო“	ლა-ჲ-რჩჩნე				ლა-ჲ-რჩჩნე
1	ლო-ხუ-იჩხუ „წამოვწვიმე“	˹ლ˺ო-ხ˹უ˺-უჩხ	ლო-ხ-უჩხ		ლო-ხ-უჩხ	˹ლ˺ო-ხ˹უ˺-უჩხ
2	ლა-ხ-უიჩხუ „წამოწვიმე“	ლა-ხ-უჩხ	ლა-ხ-უჩხ		ლა-ხ-უჩხ	˹ლ˺ა-ხ-უჩხ
3	ლა-ჲ-უჩხე „წამოწვიმა“	ლა-ჲ-უჩხე‖ლა-ნ-უჩხე	ლა-ნ-უჩხე	ლა-ჲ-უჩხე	ლა-ჲ-უჩხე‖ლა-ნ-უჩხე	ლა-ჲ-უჩხე
1	ლო-ხ-ყუინ „მივიწვინე“	ლო-ხუ-ყუინ	ლო-ხუ-ყუინ	ლა-ხუ-ყუინ	ლო-ხუ-ყუინ	ლა-ხუ-ყუინ
2	ლა-ე-ხ-ყუინ „მიიწვინე“	ლა-ე-ყუინ	ლე-ხ-ყუინ	ლა-ხ-ყუინ	ლე-ხ-ყუინ	ლა-ხ-ყუინ
3	ლა-ჲ-ყუინე „მიიწვინა“	ლა-ჲ-ყუინე‖ლა-ნ-ყუინე	ლე-ჲ-ყუინე	ლა-ჲ-ყუინე	ლე-ჲ-ყუინე	ლა-ჲ-ყუინე
1	ლო-ხუ-შდუუ „წამოვთოვე“	˹ლ˺ო-ხუ-შდუუ	ლო-ხუ-შდუუ		ლო-ხუ-შტუუ	˹ლ˺ო-ხუ-შდუუ
2	ლა-ხ-შდუუ „წამოთოვე“	˹ლ˺ა-ხ-შდუუ	ლა-ხ-შდუუ		ლა/ე-ხ-შტუუ	˹ლ˺ა-ხ-შდუუ
3	ლა-ჲ-შდუე „წამოთოვა“	ლა-ჲ-შდუე‖ლა-ნ-შდუე	ლა-ნ-შდუუე	ლა-ჲ-შტუუე	ლა/ე-ჲ-შტუუე‖ლუ-ნ-შტუუ	ლა-ჲ-შდუე
1					ლო-ხ-შყოდ²	
2					ლა- ხ-შყოდ	
3	ლა-ჲ-შყუედ „გარეცხა“	ლა-ჲ-შყუედ		ლა-ჲ-შყუედ	ლა-ხ-შყოდე	ლა-ჲ-შყუედ

[1] ჩვენ მიერ წარმოდგენილი პარადიგმატული სისტემიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ჲ (‖ლ/ნ) მესამე პირს ნამდვილად განასხვავებს პირველი ორისაგან, რაც, ერთი შეხედვით, იმის საფუძველს იძლევა, რომ აღნიშნული ფორმანტები (ლ/ნ/ჲ) მე-3 სუბიექტური პირის პრეფიქსებად მივიჩნიოთ, თუმცა საკითხის საბოლოოდ გადაჭრა მაინც ნაადრევად გვეჩვენება.

[2] მოცემული ზმნური ფორმა „მივარეცხე“-ს მნიშვნელობით გამოიყენება ჩოლურულში.

№	ბრ.	ბ.ქ.	ლ.მ.	ლ.ტ.	ჩ.ლ.	ლ.მ.
1	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ „ტაძრისებური“	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ				ლ[illegible]-ხ-ჩე-ჩხვარ
2	ლა-ხ-ჩხვარ „ტაძრისებური“	ლა-ხ-ჩხვარ				[illegible]ა-ხ-ჩხვარ
3	ლა-ა-ჩხვარე „ტაძრისებრი“	ლა-ა-ჩხვარე				ლა-ა-ჩხვარე
1		ლო-ხ-ფურ-ზე-ვენ „ლაფუთელი“		ლა-ა-ფურ-ზე-ვენე		ლა-ა-ფურ-ზე-ვენე
2		ლა-ხ-ფურ-ზე-ვენ „ლაფუთელი“				
3		ლა-ა-ფურ-ზე-ვენე „ლაფუთელა“				
1	ლო-ხ-ე-ტხერილ „ტაძრული“	ლო-ხ-ე-ტხერილ				ლო-ხ-ე-ტხერილ
2	ლა-ხ-ტხერილ „ტაძრული“	ლა-ხ-ტხერილ				ლა-ხ-ტხერილ
3	ლა-ა-ტხერილე „ტაძრულა“	ლა-ა-ტხერილე				ლა-ა-ტხერილე
1	ლო-ჩ-ჭვე „ძროხიანი“	ლო-ჩ-ჭვე		ლა-ა-ჭვე-ე		ლო-ჩ-ჭვე
2	ლა-ჩ-ჭვე „ძროხიანი“	ლა-ჩ-ჭვე				ლა-ჩ-ჭვე
3	ლა-ა-ჭვე-ე „ძროხიანა“	ლა-ა-ჭვე-ე				ლა-ა-ჭვე-ე
1		ლა-ხ-ა-ხარ „ტაძარი“				
2						
3						
1	ლო-ხ-ე-ნ-ძვილ „ვრცელი“	ლო-ხ-ე-ნ-ძვილ	ლო-ხ-ე-ძვილ	ლა-ხ-ე-ნ-ძვილ	ლო-ხ-ე-ძვილ	ლა-ხ-ე-ნ-ძვილ
2	ლა-ხ-ე-ნ-ძვილ „ვრცელი“	ლა-ხ-ე-ნ-ძვილ	ლა-ხ-ე-ძვილ	ლა-ხ-ე-ნ-ძვილ	ლა-ხ-ე-ძვილ	ლა-ხ-ე-ნ-ძვილ
3	ლა-ა-ე-ნ-ძვილე „ვრცელა“	ლა-ა-ე-ნ-ძვილ[illegible]-ა-ნ-ძვილ	ლა-ა-ე-ძვილე	ლა-ა-ე-ნ-ძვილ	ლა-ნ-ძვილ[illegible]-ა-ძვილე	ლა-ა-ე-ნ-ძვილ
1	ლ[illegible]-ხ-ე-ყ-ყ[illegible]	ლ[illegible]-ხ-ე-ყ-ყ[illegible]				ლ[illegible]-ხ-ე-ყ-ყ[illegible]
2	ლა-ხ-ე-ყ-ყ[illegible]	ლა-ხ-ე-ყ-ყ[illegible]				ლა-ხ-ე-ყ-ყ[illegible]
3	ლა-ა-ყ-ყ[illegible]	ლა-ა-ყ-ყ[illegible]ლა-ა-ყ-ყ[illegible]				ლა-ა-ყ-ყ[illegible]
1	ლ[illegible]-ა-ლ[illegible]	ლა-ნ-ლ[illegible]-ა-ლ[illegible]				ლა-ა-ლ[illegible]
2	ლა-ა-ლ[illegible]					
3	ლა-ა-ლ[illegible]					
1	[illegible]-ხ-ე-ნ-ძვილ „ვრცელი“	[illegible]-ხ-ე-ნ-ძვილ				[illegible]-ხ-ე-ნ-ძვილ
2	[illegible]-ხ-ე-ნ-ძვილ „ვრცელი“	[illegible]-ხ-ე-ნ-ძვილ				[illegible]-ხ-ე-ნ-ძვილ
3	[illegible]-ა-ე-ნ-ძვილე „ვრცელა“	[illegible]-ა-ე-ნ-ძვილ[illegible]-ა-ნ-ძვილ				[illegible]-ა-ე-ნ-ძვილ
1	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ „ტაძრისებური“	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ	ლო-ხ-ძვილ	ლა-ხ-ე-ძვილ	ლო-ხ-ძვილ	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ
2	ლა-ხ-ჩხვარ „ტაძრისებური“	ლა-ხ-ჩხვარ	ლა-ხ-ძვილ	ლა-ხ-ე-ძვილ	ლა-ხ-ძვილ	ლა-ხ-ჩხვარ
3	ლა-ა-ჩხვარე „ტაძრისებრი“	ლა-ა-ჩხვარე	ლა-ა-ძვილე	ლა-ა-ე-ძვილ	ლა-ნ-ძვილ[illegible]-ა-ძვილე	ლა-ა-ჩხვარე
1	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ „ტაძრისებური“	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ	ლო-ხ-ძვილ	ლა-ხ-ე-ძვილ	ლო-ხ-ძვილ	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ
2	ლა-ხ-ჩხვარ „ტაძრისებური“	ლა-ხ-ჩხვარ	ლა-ხ-ძვილ	ლა-ხ-ე-ძვილ	ლა-ხ-ძვილ	ლა-ხ-ჩხვარ
3	ლა-ა-ჩხვარე „ტაძრისებრი“	ლა-ა-ჩხვარე	ლა-ა-ძვილე	ლა-ა-ე-ძვილ	ლა-ნ-ძვილ[illegible]-ა-ძვილე	ლა-ა-ჩხვარე
1	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ „ტაძრისებური“	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ	ლო-ხ-ძვილ	ლა-ხ-ე-ძვილ	ლო-ხ-ძვილ	ლო-ხ-ჩე-ჩხვარ
2	ლა-ხ-ჩხვარ „ტაძრისებური“	ლა-ხ-ჩხვარ	ლა-ხ-ძვილ	ლა-ხ-ე-ძვილ	ლა-ხ-ძვილ	ლა-ხ-ჩხვარ
3	ლა-ა-ჩხვარე „ტაძრისებრი“	ლა-ა-ჩხვარე	ლა-ა-ძვილე	ლა-ა-ე-ძვილ	ლა-ნ-ძვილ[illegible]-ა-ძვილე	ლა-ა-ჩხვარე

	ბზ.	ბქ.	ლმბ.	თრტ.	ჩოლ.	ლხქ.
1	ლო-ხ-ჭე-ჯმერი „მოგიხმარე“	ლი-ხ-ჭე-მარე	ლო-ხ-ჭემარ	ლო-ხ-ჭემარ	ლო-ხ-ჭე-ჯმერ	
2	ლუ-ხ-ჭე-ჯმერი „მოიხმარე“	ლუ-ხ-ჭე-მარე	ლუ-ხ-ჭემარ	ლუ-ხ-ჭემარ	ლუ-ხ-ჭე-ჯმერ	
3	ლჳე-ა-ჭემერ „მოიხმარა“	ლჳე-ა-ჭემერ„ლი-ნ-ჭემე	ლჳ-ა-ჭემერ„ლი-ა-ჭემე	ლჳ-ა-ჭემერ	ლჳ-ა-ჭე-ჯმერ	
1	ლო-ხ-ჭე-ზელალ „ვიარე“	ლი-ხ-ჭე-ზელალ	ლო-ხ-ჭე-ზელალ	ლო-ხ-ჭე-ზელალ	ლო-ხ-ჭე-ზელალ	
2	ლი-ხ-ჭე-ზელალ „იარე“	ლი-ხ-ჭე-ზელალ	ლი-ხ-ჭე-ზელალ	ლი-ხ-ჭე-ზელალ	ლი-ხ-ჭე-ზელალ	
3	ლა-ა-ჭე-ზელალე „იარა“	ლა-ა-ჭე-ზელალე	ლა-ა-ჭე-ზელალე	ლა-ა-ჭე-ზელალე	ლა-ა-ჭე-ზელალე	
1	ლო-ხ-ჭე-ითერ „ვისწავლე“	[illegible]-ხ-ჭე-ითერ		ლო-ხ-ჭე-ითერ	[illegible]-ხ-ჭე-ითერ	
2	ლი-ხ-ითერ „ისწავლე“	[illegible]-ხ-ითერ		ლი-ხ-ითერ	[illegible]-ხ-ითერ	
3	ლა-ა-ითერ	ლა-ა-ითერ[illegible]-ნ-ითერ		ლუ-ა-ითერ	ლა-ა-ითერ	
1	ლო-ხ-ჭე-ილებილ „ვასრულებდი“	ლი-ხ-ჭე-ილებილ	ლო-ხ-ჭე-ილებილ	ლი-ხ-ჭე-ილებილ	ლი-ხ-ჭე-ილებილ	
2	ლი-ხ-ილებილ „ასრულებდი“	ლი-ხ-ილებილ	ლი-ხ-ილებილ	ლი-ხ-ილებილ	ლი-ხ-ილებილ	
3	ლა-ა-ჭერ „ასრულებდა“	ლა-ა-ჭემერ[illegible]-ნ-ჭერ	ლა-ა-ჭერ	ლა-ა-ჭერ	ლა-ა-ჭერ	
1	ლო-ხ-ჭე-ჯმერ „მოგიხმარე“	ლი-ხ-ჭე-ჯმერ	ლო-ხ-ჭე-ჯმერ	ლო-ხ-ჭე-ჯმერ	ლო-ხ-ჭე-ჯმერ	
2	ლუ-ხ-ნაჯმერ „მოიხმარე“	ლუ-ხ-ნაჯმერ	ლუ-ხ-ნაჯმერ	ლუ-ხ-ნაჯმერ	ლუ-ხ-ნაჯმერ	
3	ლჳე-ა-ნაჯმერ „მოიხმარა“	ლჳ-ა-ნაჯმერ	ლჳ-ა-ნაჯმერ	ლჳ-ა-ნაჯმერ	ლჳ-ა-ნაჯმერ	
1	ლო-ხ-ჭუჯუნელ „ვრთო გავბერდე“	ლო-ხ-ჭუჯუნელ	ლო-ხ-ნაჯუნელ	ლო-ხ-ნაჯუნელ	ლო-ხ-ჭუჯუნელ	
2	ლუ-ხ-ჭუჯუნელ „ერთო გაბერდე“	ლუ-ხ-ჭუჯუნელ	ლუ-ხ-ნაჯუნელ	ლუ-ხ-ნაჯუნელ	ლუ-ხ-ჭუჯუნელ	
3	ლჳ-ა-ნუჯუნელე „ერთო გაბერა“	ლჳ-ა-ნუჯუნელე	ლჳ-ა-ნაჯუნელე	ლჳ-ა-ნაჯუნელე	ლჳ-ა-ნუჯუნელე	
1						
2						
3	ლჳ-ა-ჩოგჯან „ანთასპარეზე“	ლჳ-ა-ჩოგჯან		ლჳ-ა-ჩოგჯან	ლჳ-ა-ჩოგჯან	
1	ლო-ხ-ჭე-სეგილალ „ვაუფუნებდე მოფიცხებდე“	ლო-ხ-ჭე-სეგილალ	ლო-ხ-სეგილალ	ლო-ხ-სეგილალ	ლო-ხ-ჭე-სეგილალ	
2	ლი-ხ-სეგილალ „ვაიფუნებდე იპრეხდე“	ლი-ხ-სეგილალ	ლი-ხ-სეგილალ	ლი-ხ-სეგილალ	ლი-ხ-სეგილალ	
3	ლჳ-ა-სეგილალე „აიფუნებდა იპრეხდა“	ლჳ-ა-სეგილალე[illegible]-ნ-სეგილალე	ლჳ-ა-სეგილალე	ლჳ-ა-სეგილალე[illegible]-ნ-სეგილალე	ლჳ-ა-სეგილალე	
1	ლო-ხ-ჭე-სეგერ „ვაუფუნებ“	ლო-ხ-ჭე-სეგერ			ლი-ხ-ჭე-სეგერ	
2	ლი-ხ-სეგერ „ვაიფუნებ“	ლი-ხ-სეგერ			ლი-ხ-სეგერ	
3	ლჳ-ა-სეგერე „ვაიფუნებს“	ლჳ-ა-სეგერე[illegible]-ნ-სეგერე			ლჳ-ა-სეგერე	

	ბზ.	ბქ.	ლშ.	ლნტ.	ჩოლ.	ლტქ.
1			ლოო-ხჭ-ფიქრ ჯ-ფიფიქრე" ლუ-ხ-ფიქრ ჯ-ფიფიქრე" ლუ-ნ-ფიქრე ჯ-ფიფიქრა"			
2				ლა-ა-ქსეთრე ჯ-ფიფიქრა"		
3						
1						
2						
3						
1	ლოო-ხჭ-ტებ-ლ ჯ-ტებ" ლა-ხ-ტებ-ლ ჯ-ტებ" ლა-ა-ტებ-ლ ჯ-ტებ"	ლოო-ხჭ-ტებ-ლ ლუ-ხ-ტებ-ლ ლუ-ა-ტებ-ლ	ლა-ხჭ-ტებ-ლ ლა-ხ-ტებ-ლ ლა-ა-ტებ-ლ	ლოო-ხჭ-ტებ-ლ ლუ-ხ-ტებ-ლ ლუ-ა-ტებ-ლ	ლო-ხჭ-ტებ-ლ ლო-ხ-ტებ-ლ ლო-ა-ტებ-ლ
1	ლოო-ხჭ-ტ-ლ ჯ-ტ" ლა-ხ-ტ-ლ ჯ-ტ" ლა-ა-ტ-ლ ჯ-ტ"	ლოო-ხჭ-ტ-ლ ლუ-ხ-ტ-ლ ლუ-ნ-ტ-ლ	ლა-ხჭ-ტ-ლ ლა-ხ-ტ-ლ ლა-ა-ტ-ლ	ლოო-ხჭ-ტ-ლ ლუ-ხ-ტ-ლ ლუ-ნ-ტ-ლ	ლო-ხჭ-ტ-ლ ლო-ხ-ტ-ლ ლო-ა-ტ-ლ
2	ლოო-ხჭ-ლ ჯ-ტ" ლა-ხ-ლ ჯ-ტ" ლა-ა-ლ ჯ-ტ"	ლოო-ხჭ-ლ ლუ-ხ-ლ ლუ-ნ-ლ	ლა-ხჭ-ლ ლა-ხ-ლ ლა-ა-ლ	ლოო-ხჭ-ლ ლუ-ხ-ლ ლუ-ნ-ლ	ლო-ხჭ-ლ ლო-ხ-ლ ლო-ა-ლ
3	ლოო-ხჭ-ნ ჯ-ტ" ლა-ხ-ნ ჯ-ტ" ლა-ა-ნ ჯ-ტ"	ლოო-ხჭ-ნ ლუ-ხ-ნ ლუ-ნ-ნ	ლა-ხჭ-ნ ლა-ხ-ნ ლა-ა-ნ	ლოო-ხჭ-ნ ლუ-ხ-ნ ლუ-ნ-ნ	ლო-ხჭ-ნ ლო-ხ-ნ ლო-ა-ნ
1						
2		ლოო-ხ-ტ-ლ „ჩაგობნე" ლუ-ხ-ჯიპან „ტაიძნე" ლუ-ნ-ჯიპან „ტაიძნა"			
3						
1	ლოო-ხ-ტ-ლ „ჩაგობნე" ლა-ხ-ტ-ლ „ტაიძნე" ლა-ა-ტ-ლ „ტაიძნა"	ლოო-ხ-ლ-ნ ლუ-ხ-ლ-ნ ლუ-ნ-ლ-ნ	ლა-ხ-ლ-ნ ლა-ხ-ლ-ნ ლა-ა-ლ-ნ	ლოო-ხ-ლ-ნ ლუ-ხ-ლ-ნ ლუ-ნ-ლ-ნ	ლო-ხ-ლ-ნ ლო-ხ-ლ-ნ ლო-ა-ლ-ნ
1	ლოო-ხ-ტ-ლ-ნ „ჩაგობნე" ლა-ხ-ტ-ლ-ნ „ტაიძნე" ლა-ა-ტ-ლ-ნ „ტაიძნა"			ლოო-ხ-ტ-ლ-ნ ლუ-ხ-ტ-ლ-ნ ლუ-ნ-ტ-ლ-ნ	ლო-ხ-ტ-ლ-ნ ლო-ხ-ტ-ლ-ნ ლო-ა-ტ-ლ-ნ
2						
3						
1	ლოო-ხ-ტ-ლ-ნ „ჩაგობნე" ლა-ხ-ტ-ლ-ნ „ტაიძნე" ლა-ა-ტ-ლ-ნ „ტაიძნა"	ლოო-ხ-ტ-ლ-ნ ლუ-ხ-ტ-ლ-ნ ლუ-ნ-ტ-ლ-ნ	ლა-ხ-ტ-ლ-ნ ლა-ხ-ტ-ლ-ნ ლა-ა-ტ-ლ-ნ	ლოო-ხ-ტ-ლ-ნ ლუ-ხ-ტ-ლ-ნ ლუ-ნ-ტ-ლ-ნ	ლო-ხ-ტ-ლ-ნ ლო-ხ-ტ-ლ-ნ ლო-ა-ტ-ლ-ნ

	ზმ.	ზქ.	ლშმ.	ლტქ.	ჩოლ.	ლხმ.
1			ლი-ხ-ლარ-ალ „წყვილში“			
2			ლუ-ხ-ლარ-ალ „წითლებში“			
3			ლუ-ნ-ლარ-ალ „წითლებზე“			
1				ლა-ხ-ტრელ-ალ „წვიმაზე“	ლი-ხ-შხებ-ალ	ლი-ხ-შხებ-ალ
2				ლა-ხ-ტრელ-ალ „წვიმაში“	ლე/ა-ხ-შხებ-ალ	ლა-ხ-შხებ-ალ
3				ლა-ა-ტრელ-ალ/ალე „წვიმაზე“	ლუ-ა-შხებ-ალე	ლა-ა-შხებ-ალე
1	ლი-ხ-შხებ-ალ „შვილზე“	ლი-ხ-შხებ-ალ	ლი-ხ-შხებ-ალ		ლი-ხ-შხებ-ალ	ლი-ხ-შხებ-ალ
2	ლა-ხ-შხებ-ალ „შესარე“	ლა-ხ-შხებ-ალ	ლუ-ხ-შხებ-ალ		ლე/ა-ხ-შხებ-ალ	ლა-ხ-შხებ-ალ
3	ლა-ა-შხებ-ალე „შესარა“	ლა-ა-შხებ-ალე	ლუ-ნ-შხებ-ალე		ლუ-ა-შხებ-ალე	ლა-ა-შხებ-ალე
1	ლი-ხ-ლებ-ალ „ძეგანის“	ლი-ხ-ლებ-ალ	ლი-ხ-ლებ-ალ	ლი-ხ-ლებ-ან	ლი-ხ-ლებ-ან	ლი-ხ-ლებ-ან
2	ლა-ხ-ლებ-ალ „ძეგანის“	ლა-ხ-ლებ-ან	ლა-ხ-ლებ-ან	ლა-ხ-ლებ-ან	ლა-ხ-ლებ-ან	ლა-ხ-ლებ-ან
3	ლა-ა-ლებ-ალ „ძეგანის“	ლა-ა-ლებ-ან‖ლა-ნ-ლებ-ან		ლა-ა-ლებ-ან	ლა-ა-ლებ-ან	ლა-ა-ლებ-ან
1	ლი-ხ-წვრნ-ალ „ბავშვიოლი“	ლი-ხ-წვრნ-ან				ლი-ხ-წვრნ-ან
2	ლა-ხ-წვრნ-ალ „ბავშვიოლი“	ლა-ხ-წვრნ-ან				ლა-ხ-წვრნ-ან
3	ლა-ა-წვრნ-ალ „ბავშვიოლა“	ლა-ა-წვრნ-ან				ლა-ა-წვრნ-ან
1	ლი-ხ-ბატ-ალ „წვიმიბატივე“	ლი-ხ-ბატ-ალ	ლი-ხ-ბატ-ალ	ლა-ხ-ბატ-ალ	ლი-ხ-ბატ-ალ	ლი-ხ-ბატ-ალ
2	ლა-ხ-ბატ-ალ „წიმიბატივე“	ლა-ხ-ბატ-ალ	ლუ-ხ-ბატ-ალ	ლა-ხ-ბატ-ალ	ლა/ა-ხ-ბატ-ალ	ლა-ხ-ბატ-ალ
3	ლა-ა-ბატ-ალე „წიმიბატივე, ლაბატა“	ლა-ა-ბატ-ალე	ლუ-ნ-ბატ-ალ	ლა-ა-ბატ-ალ	ლუ-ა-ბატ-ალე	ლა-ა-ბატ-ალ
1	ლი-ხ-ხირნ-ან „ბავშვიობი“	ლი-ხ-ხირნ-ან			ლი-ხ-ხირნ-ან	ლა-ხ-ხირნ-ან
2	ლა-ხ-ხირნ-ან „ბავშვიობი“	ლა-ხ-ხირნ-ან			ლუ-ხ-ხირნ-ან	ლა-ხ-ხირნ-ან
3	ლა-ა-ხირნ-ან „ბავშვიობა“	ლა-ა-ხირნ-ან			ლა-ა-ხირნ-ან	ლა-ა-ხირნ-ან
1	ლი-ხ-ებ-ალ „ძოვებელი, ბოგითალე“	ლი-ხ-ებ-ალ	ლი-ხ-ებ-ალ	ლა-ხ-ებ-ალ'	ლი-ხ-ებ-ალ	ლა-ხ-ებ-ალ
2	ლა-ხ-ებ-ალ „ძოვებელი, მოითალე“	ლა-ხ-ებ-ალ	ლუ-ხ-ებ-ალ	ლა-ხ-ებ-ალ'	ლუ-ხ-ებ-ალ	ლა-ხ-ებ-ალ
3	ლა-ა-ებ-ალ „ძოვებლა, მოითალა“	ლა-ა-ებ-ან‖ლა-ნ-ებ-ან	ლუ-ნ-ებ-ალ	ლა-ა-ებ-ალ	ლუ-ა-ებ-ალ	ლა-ა-ებ-ალ

	ბზ.	ბქ.	წზხ.	ლბტ.	ჩოლ.	ლხმ.
1	ხჭე-ი „ვარ“	ხჭე-ი	ხჭე-ი	ხჭე-ი	ხჭე-ი	ხჭე-ი
2	ხ-ი „ხარ“	ხ-ი	ხ-ი	ხ-ი	ხ-ი	ხ-ი
3	ლი-ი „არის“	ლი-ი	ლი-ი	ლი-ი	ლი-ი	ლი-ი
1	ხჭე-ვსიც „ვიყავით“	ხჭე-ვსიც	ხჭე-ას	ხჭე-ას	ხჭე-ას	ხჭე-ვსიც
2	ხ-ვსიც „იყავით“	ხ-ვსიც	ხ-ას	ხ-ას	ხ-ას	ხ-ყსიც
3	ლა-ვსიც „იყო“	ლა-ვსიც	ლა-ას	ლა-ას	ლა-ას	ლა-ვსიც
1	ხ-ჳ(← ხჭე-ჳა) „ვიდოდით“	ხ-ჳა (← ხჭე-ჳა)	ხ-ჳა (← ხჭე-ჳა)	ხ-ჳა (← ხჭე-ჳა)‖ლა-ჳ-ი	ხ-ჳა (← ხჭე-ჳა)	ხ-ჳა (← ხჭე-ჳა)
2	ხ-ჳა „იდოდი“	ხ-ჳა	ხ-ჳა	ჯხ-ხჭე-ი		
3	ლ-ჳა „იდა“	ლ-ჳა	ლ-ჳა	ხ-ჳა‖ლ-ჳახი	ხ-ჳა	ხ-ჳა
				ლ-ჳა	ლ-ჳა	ლ-ჳა
1	ხ-ჳსიც (← ხჭე-ჳსიც) „ვდიოდით“			ხჭე-ვსიც		
2	ხ-ჳსიც „იდიოდი“			ხ-ვსიც		
3	ა-ჳსიც „იდიოდა“			ა-ჳსიც		
1	ხ-ჳ-ი (← ხჭე-ჳსიც) „ვდიოდე“	ხ-ჳ-ი (← ხჭე-ჳსიც) „ვდიოდე“		ხ-ვ-ი		
2	ხ-ჳ-ი „იდიოდე“	ხ-ჳ-ი „იდიოდე“		ხ-ი		
3	ა-ჳ-ი „იდიოდეს“	ა-ჳ-ი „იდიოდეს“		ა-ი‖ა-ი		
1	ხ-ჳ-ი (← ხჭე-ჳსიც) „ვდიოდე“	ხ-ჳ-ი (← ხჭე-ჳსიც) „ვდიოდე“		ხჭე-ხჭე-ვ‖ლა-ხჭე-ვ	ხჭე-ხჭე-ვ	ხჭე-ხჭე-ვ
2	ხ-ჳ-ი „იდიოდე“	ხ-ჳ-ი „იდიოდე“		ხ-ვ-ი	ხ-ვ-ი	ხ-ვ-ი
3	ა-ჳ-ი „იდიოდეს“	ა-ჳ-ი „იდიოდეს“		ა-ი‖ა-ი	ა-ვ-ი	ა-ვ-ი
1						
2						
3						

ა-ბეჩილ „წუკილას“

ლა- წინდებულიანი ზმნების უმრავლესობას, როგორც მოცემული პარადიგმიდან თვალნათლივ ჩანს, აორისტსა და აწმყოში სამივე პირის ფორმა ეწარმოებათ, თუმცა გამონაკლისის სახით შეგვხვდა რამდენიმე **ლა-** პრეევერბიანი ზმნური ფორმა, რომელთაც **ლა-** მხოლოდ მესამე პირის ფორმაში აქვთ შემორჩენილი (შდრ. ლნტ.: ლა̈-**ჲ**-თიე „მომკა“, ლა-**ჲ**-შტუუე „წამოთოვა“, ლა̈-**ჲ**-შუუედ „გარეცხა“, ლა̈-**ჲ**-ფურშკუინე „დაფშვნა“, ლა-**ჲ**-ჭემ-ე „მოთიბა, წათიბა“, ლა̈-**ჲ**-ჯგმ̈არე „მოიხმარა“, ლა-**ჲ**-ჭკუარე „გაიფიქრა“; ბზ., ჩოლ. ლა-**ჲ**-კუერმე „გაყინა“; ზს. ლა-**ჲ**-შუუედ „გარეცხა“; ლხმ. ლა-**ჲ**-ფურშგუინე „დაფშვნა“; ბქ. ლა-**ნ**-ბა/ა̈რ, ლხმ. ლა-**ჲ**-ბარ „დაბანა“; ბქ. ლა-**ნ**-ლექურე||ლა-**ჲ**-ლექურე „დაფქვა“; ბზ. ლა̈-**ჲ**-რგჰა̈ნ, ბქ., ლნტ. ლა̈-**ჲ**-რგჰან „განათდა, ინათასავით“; ლშხ. **ჲ**-გჩად „წავიდა“ და ა. შ.), პირველსა და მეორე პირში კი სხვა ზმნისწინები ენაცვლება. ფაქტია, რომ მესამე პირის ფორმათა წარმოებაც საკმაოდ შერყეულია სვანურში[1], რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სწორედ ინოვაციასთან.

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის, ბალსზემოელი, რ. იოსელიანისთვის **ლა-ჲ-შუუედ** „გარეცხა“, **ლა-ჲ-რგჩხნე** „გაავლო“, **ლა-ჲ-კუერმე** „გაყინა“ და ა. შ. ტიპის ფორმათა წარმოება უცხო ნამდვილად არ არის, თუმცა მათ პარალელურად **ლა̈-შუუედ||ა-შუუედ, ად-რგჩხნე, ად-კუერმე** ტიპის ფორმებსაც იყენებს.

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სხვაობაა ერთი დიალექტის შიგნითაც კი. ჩვენ მეტი თვალსაჩინოებისათვის სპეციალურად შევისწავლეთ და აღვნუსხეთ **ლა-** წინდებულიანი ზმნები ლახამულური კილოკავის მიხედვით და შევუდარეთ ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავის მონაცემებს. აღნიშნული მასალის მოძიებაში დაგვეხმარა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი რ. ჭკადუა, რომელიც დიდი ხანია მუშაობს სვანური ზმნის მორფოლოგიაზე. გაირკვა, რომ ლახამულური კილოკავი, რომელიც დიდი არქაულობით გამოირჩევა, **ლა-** წინდებულიან ზმნათა ხმარების მხრივ, ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან დიდად არ განსხვავდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ მესამე პირში სუბიექტური პირის გამოსახატავად იშვიათი გამონაკლისების გარდა /ლ-/-ს პოზიციურ ბგერინაცვლად მიჩნეული /**ჲ**-/ გვხვდება; რაც შეეხება /**ნ**-/-ს, იგი სულ ორიოდე ზმნაში დაფიქსირდა (შდრ., ლხმ. ლა̈-**ნ**-ემ „შეჭამა“, ლა-**ნ**-იშ „დალია“), რომელიც ისედაც ცნობილი იყო საენათმეცნიერო ლიტერატურიდან.

მართალია, ბალსზემოურში, I და II პირში, როგორც ჩვენ მიერ შედგენილი პარადიგმიდან ჩანს, ლა-**ჲ**-შუუედ||**ლა̈-შუუედ** (||**ა-შუუედ**) „გარეცხა“ ფორმას **ო-შუოდ** „გავრეცხე“, **ა-შუოდ** „გარეცხე“ ფორმები უპირისპირდება, მაგრამ რადგან ბალსზემოურ მეტყველებაში იშვიათად||სპორადულად მაინც დაჩნდება **ლო̈-**შუოდ „გავრეცხე“ ფორმაც, ეს იმაზე მეტყველებს, რომ **ლა-** წინდებულიანი ზმნები I და II პირსაც აწარმოებდნენ (შდრ. მრავლობითი რიცხვის ფორმა — **ლო̈-ხ-**ოშუუდ „გავურეცხე“). საინტერესოა, რამ გამოიწვია **ლა-** წინდებულისეული ხმოვნის სიგრძე ბალსზემოურ **ლა̈-**შუუედ ფორმაში, როდესაც **ლა-ჲ-**შუუედ ფორმაში იგივე **ლა-** უგრძელხმოვნოდ არის წარმოდგენილი? როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს კომბინატორულ სიგრძესთან. სვანურში, კერძოდ, სვანური ენის გრძელხმოვნიან დიალექტებში, არის შემთხვევები, როდესაც ფუძისეული (ან თანდებულისეული) **ი** ხმოვანი წინამავალი ხმოვნის გავლენით ხმოვნობას კარგავს, თვითონ იოტად იქცევა და შემდეგ გამვლენელ ხმოვანს აგრძელებს [ჟღენტი 1949, 75 (შდრ. ლშხ. **ბა̈რახ||ბა̈ჲრახ** „ბაირაღი“ — იხ. მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005)]. ვფიქრობთ, რომ აქაც ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. **ლა-ჲ-**შუუედ და **ლა̈-**შუუედ „გარეცხა“ ფორმითაც და შინაარსითაც თითქმის ერთი და იგივეა, მათ შორის რაიმე სემანტიკურ სხვაობას ვერ ვხედავთ. როგორც ჩანს, მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მიჩნეული /**ლ**-/-ს პოზიციური ბგერინაცვლის /-**ჲ**-/-ის გაქრობამ მოახდინა გავლენა წინამავალ წინდებულისეულ **ა-**ზე და დააგრძელა. საანალიზო ფორმის ფონეტიკური ტრანსფორმაცია კი ასე წარმოგვიდ-

[1] ძველი თაობის წარმომადგენლები უფრო ხშირად ხმარობენ ამ ფორმებს, ვიდრე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

გება: ბზ. ლჳ-შუუედ < ლა-ჲ-შუუედ <* ლა-ლ-შუუედ.

სვანურში მესამე სუბიექტური პირის ნიშნის გამოსახატავად, როგორც უკვე ითქვა, გამოყენებულია პრეფიქსი /ლ-/ (ხუთიოდე ზმნაში)[1] და მისი პოზიციური ვარიანტები /ნ-/ და /ჲ-/, რომლებიც მრავალ ზმნაში დაფიქსირდა (შდრ. ლა-ჲ-შ||ლა-ნ-იშ||ლა-ლ-გშ „დალია"...). ცნობილია ისიც, რომ /ლ-/-ს მესამე სუბიექტური პირის ნიშნად თითქმის ყველა ენათმეცნიერი აღიარებდა და, რაღა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისს ჩვენც ვიზიარებთ, თუმცა პროფესორ მაქსიმე ქალდანის მიერ გამოვლენილმა /ნ-/ პრეფიქსიანმა ფორმებმა, სადაც /ნ-/ /ლ-/-ს პოზიციურ ბგერინაცვლადაა მიჩნეული (ე. ი. მესამე სუბიექტური პირის ნიშნად), გვავარაუდებინა შემდეგი: ხომ არ არის /ნ-/ ან წინდებულის ნაშთი? მაგ., შდრ. ლა-ნ-უჩხე ← *ლა-ან-უჩხე „წამოწვიმა", ლა-ნ-თე ← *ლა-ან-თე „მომკა", ლჳ-ნ-სკორე ← *ლა-ან-სკორე „გაიფიქრა"..., სადაც ა+ა ხმოვანთკომპლექსიდან, როგორც წესი, ერთ-ერთი ხმოვანი უნდა დაკარგულიყო, ე. ი. შესაძლოა ელიზია განხორციელებულიყო, რასაც გვავარაუდებინებს ლა-ნ-უჩხე, ლა-ნ-თე, ლჳ-ნ-სკორე ფორმების პარალელურად ან-უჩხე „წამოწვიმა", ან-თე „მომკა", ჳნ-სკორე „გაიფიქრა" და ა. შ. ფორმთა არსებობა; ეს პარალელური ფორმები სემანტიკურად დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული ამგვარი ინტერპრეტაცია, რადგანაც რთულ ზმნისწინებში, მორფემათა ზღვარზე, როგორც ცნობილია, ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში ადგილი აქვს ელიზიას, ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში ხდება ხმოვანთშერწყმა (შდრ. ბზ., ლშხ. ჭ'ანსკინე ← ჭა+ან-სკინე, ბქ. ჭ'ანსკინე ← ჭა+ან-სკინე, ლნტ. ჭ'ანასკინე ← ჭა+ან-ასკინე „გამოხტა", ბზ., ლშხ. ჭ'ადგათუე ← ჭა+ად-გათუე, ბქ. ჭ'ადგათუე ← ჭა+ად-გათუე, ლნტ. ჭ'ადაგათუე ← ჭა+ად-აგათუე „გაათავა" და ა. შ.).

ცნობილი ენათმეცნიერის კ. ჰ. შმიდტის თვალსაზრისით, სვანური /ლ-/ პრეფიქსი ორ წყაროდან უნდა მომდინარეობდეს: „ა) პერფექტული ასპექტის ინდიკატორია, შდრ. პრევერბი /ლა-/; ბ) ნაზმნარი სახელის ინდიკატორია, შდრ. პრეფიქსი /ლი-/" (1982, 62-73).

ჩვენ ვიზიარებთ არაერთი ცნობილი ენათმეცნიერის შეხედულებას /ლ-/ პრეფიქსის შესახებ, რომელიც მესამე სუბიექტური პირის უძველეს ნიშნადაა მიჩნეული (ცნობილ ხუთიოდე ზმნაში), ხოლო, რაც შეეხება /ნ-/-ს, როგორც უკვე ითქვა, იგი შესაძლოა ან- პრევერბის ნაშთიც აღმოჩნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლ → ნ||ჲ ფონეტიკურ გარდაქმნაზე მსჯელობას ერთი შეხედვით ლ → ნ პროცესიც უჭერს მხარს როგორც საკუთრივ სვანური ფონდის სიტყვებში [მაგ.: სვან. ჳუუნ||ჳუონ „საზარდული" : ქართ. (ხევს.) მ-წყვილ-ი „საზარდული" : ზან. (მეგრ.) წყურ- (← ჳუურ-), სვან. ჳუუნ||ჳუონ ← *ჳუუნ ← *ჳუუნილ; სვან. ჳგმინ „ქერი" : ქართ. წინოლ-ი ← წიმოლ-ი : ზან. ჭიმურ-ი, სვან. ჳგმინ ← *ჳგმელ და სხვ.), ასევე ნასესხებ ლექსიკაშიც (მაგ.: ქართ. ჩერგილ-ი → სვან. ჩერგუნ...] (ჩუხუა 2000-2003, 17; 2003, 219), მაინც ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის ირგვლივ ახალი მასალის მოძიება და ჲ-სა და ნ-ს ლ-ს ბგერინაცვლად მიჩნევის საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. მითუმეტეს, რომ ლ → ნ ფონეტიკური პროცესი, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალის მიხედვით, მხოლოდ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქმედებს (იქვე).

[1] შესაძლოა /ლ-/ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მივიჩნიოთ ლგჟჩ||კაჩ „აღმართულია, დგას ერთ ადგილას გაშეშებული" ზმნურ ფორმაშიც. თუ ჩვენი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა, მაშინ იმ ხუთიოდე ლ- პრეფიქსიან ზმნას, რომელიც სვანთმეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, დაემატება მეექვსეც. აღნიშნული საანალიზო ფორმა ბალსქვემოურის გარდა სვანური ენის არც ერთ დიალექტში არ დაფიქსირებულა, ამ უკანასკნელშიც იშვიათობას წარმოადგენს, თუმცა ფაქტია, რომ არსებობს და იგი არაერთი ადამიანისგან გვსმენია, ცხადია, არც ჩვენი მეტყველებისთვის არის უცხო. არ არის გამორიცხული, რომ სვანურში კიდევ დაიძებნოს მსგავსი მაგალითები.

შენიშვნა. რადგანაც ჩვენი გამოკვლევა ამჯერად მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებს შეეხება, ამიტომ პრევერბებთან დაკავშირებულ ფონეტიკურ პროცესთა განხილვისაგან თავს შევიკავებთ და მსჯელობას მომავლისთვის გადავდებთ.

§ 4. **ობიექტური აფიქსები.** ობიექტური პირი, როგორც უკვე ითქვა, ორი სახისა გვაქვს: **პირდაპირი** და **ირიბი. პირდაპირია** ობიექტი მაშინ, თუ იგი **ბრუნვაცვალებადია,** ე. ი. ხან **მიცემით** ბრუნვაში დგას, ხანაც — **სახელობითში:** დრნა ახტაჴუი **სურაჴ**-ს „გოგონა ხატავს სურათს", დრნად ადხატუე **სურაჴ** „გოგონამ დახატა სურათი". **ირიბია** ობიექტი მაშინ, თუ იგი **ბრუნვაუცვლელია:** ყოველთვის **მიცემით** ბრუნვაში დგას: დრნა ლეხსგიდნი||ლჴხსგიდნი **სურაჴ**-ს „გოგონა შეხედავს სურათს", დრნა ლოხსგიდდა **სურაჴ**-ს „გოგონამ შეხედა სურათს". მაშასადამე, პირდაპირ ობიექტს ორი ბრუნვა ჰქონია: სახელობითი და მიცემითი, ხოლო ირიბს — ერთი: მიცემითი.

ობიექტურ პირებს, **პირდაპირსაც** და **ირიბსაც,** ისევე როგორც ქართულში, პირის ნიშნებად თავსართები აქვთ, თუმცა პირდაპირი და ირიბი ობიექტი სვანურ ზმნაში, განსხვავებით ქართულისაგან, ერთნაირი ნიშნებით არ არის წარმოდგენილი.

განვიხილოთ ობიექტური (ე. ი. **პირდაპირი** და **ირიბი**) პირის ნიშნები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში.

ობიექტური პრეფიქსების განხილვისასაც ზმნების ორი ჯგუფი გამოიყოფა: **ხმოვნითდაწყებული** და **თანხმოვნითდაწყებული.**

A. **ხმოვნითდაწყებულ ფუძეთა წინ** 1. პირველი ობიექტური პირის აღმნიშვნელად გამოიყენება **მ-** პრეფიქსი, მეორე ობიექტური პირის აღმნიშვნელად — **ჯ-** პრეფიქსი, ხოლო მესამე ობიექტური პირის გამოსახატავად — **Ø-** და **ხ-**. ბრუნვაუცვლელობიექტიან (ე. წ. ირიბდამატებიან) ზმნებში ყოველთვის **ხ-** გვხვდება, ხოლო ბრუნვაცვალებადობიექტიანში (ე. წ. პირდაპირდამატებიანში) კი — **Ø-**. **ხ-** პრეფიქსი მუდამ მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის (ე. ი. ობიექტის) გამომხატველია ზმნაში.

2. მრავლობით რიცხვში II და III პირის ობიექტური თავსართები (**ჯ-, Ø-, ხ-**) მეორდება. მხოლობითის II პირის ფორმა მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივ **-ხ** სუფიქსით რთულდება, მესამე პირი კი იმ შემთხვევაში დაირთავს **-ხ** ბოლოსართს, როცა მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი — ენის თვალსაზრისით არა მოქმედი, ობიექტი — ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი მოქმედს, სუბიექტს წარმოადგენს (თოფურია 1967, 15).

ობიექტურ (ე. წ. ხმოვნითდაწყებულ) ზმნათა უღლების ნიმუშები (აწმყოში) სვანური ენის დიალექტებისა და ზოგი კილოკავის მიხედვით

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	მ-ატბიდე „მათბობს"	მ-ატბიდე	მ-ატბიდე	მ-ატებდე	მ-ატბიდე
2	ჯ-ატბიდე „გათბობს"	ჯ-ატბიდე	ჯ-ატბიდე	ჯ-ატებდე	ჯ-ატბიდე
3	ატბიდე „ათბობს"	ატბიდე	ატბიდე	ატებდე	ატბიდე

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-ატბიდე „გვათბობს" Oe ნ-ატბიდე „გვათბობს"	გუ-ატბიდე ნ-ატბიდე	გუ-ატბიდე	გუ-ატებდე	გუ-ატბიდე
2	ჯ-ატბიდე-ხ „გათბობენ"	ჯ-ატბიდე-ხ	ჯ-ატბიდე-ხ	ჯ-ატებდე-ხ	ჯ-ატბიდე-ხ
3	ატბიდე-ხ „ათბობენ"	ატბიდე-ხ	ატბიდე-ხ	ატებდე-ხ	ატბიდე-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	მ-ადგარი „მკლავს"	მ-ადგარი	მ-ადგარი	მ-ადგარი	მ-ადგარი
2	ჯ-ადგარი „გკლავს"	ჯ-ადგარი	ჯ-ადგარი	ჯ-ადგარი	ჯ-ადგარი
3	ადგარი „კლავს"	ადგარი	ადგარი	ადგარი	ადგარი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-ადგარი „გვკლავს" Oe ნ-ადგარი „გვკლავს"	გუ-ადგარი ნ-ადგარი	გუ-ადგარი	გუ-ადგარი	გუ-ადგარი
2	ჯ-ადგარი-ხ „გკლავენ"	ჯ-ადგარი-ხ	ჯ-ადგარი-ხ	ჯ-ადგარი-ხ	ჯ-ადგარი-ხ
3	ადგარი-ხ „კლავენ"	ადგარი-ხ	ადგარი-ხ	ადგარი-ხ	ადგარი-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	მ-ინჯრინე „თან მიახლებს"	მ-ინჯრინე	მ-ინჯრინე	მ-ინჯერნე	მ-ინჯრინე
2	ჯ-ინჯრინე „თან გიახლებს"	ჯ-ინჯრინე	ჯ-ინჯრინე	ჯ-ინჯერნე	ჯ-ინჯრინე
3	ინჯრინე	ინჯრინე	ინჯრინე	ინჯერნე	ინჯრინე

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-ინჯრინე „თან გვიახლებს" Oe ნ-ინჯრინე „თან გვიახლებს"	გუ-ინჯრინე ნ-ინჯრინე	გუ-ინჯრინე	გუ-ინჯერნე	გუ-ინჯრინე
2	ჯ-ინჯრინე-ხ „თან გიახლებენ"	ჯ-ინჯრინე-ხ	ჯ-ინჯრინე-ხ	ჯ-ინჯერნე-ხ	ჯ-ინჯრინე-ხ
3	ინჯრინე-ხ „თან იახლებენ"	ინჯრინე-ხ	ინჯრინე-ხ	ინჯერნე-ხ	ინჯრინე-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	მ-აკურები „მყინავს"	მ-აკურები	მ-აკურები	მ-აკუარები	მ-აკურეც
2	ჯ-აკურები „გყინავს"	ჯ-აკურები	ჯ-აკურები	ჯ-აკუარები	ჯ-აკურეც
3	აკურები „ყინავს"	აკურები	აკურები	აკუარები	აკურეც

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-აკურები „გვყინავს" Oe ნ-აკურები „გვყინავს"	გუ-აკურები ნ-აკურები	გუ-აკურები	გუ-აკუარები	გუ-აკურეც
2	ჯ-აკურები-ნ „გყინავენ"	ჯ-აკურები-ნ	ჯ-აკურები-ნ	ჯ-აკუარები-ნ	ჯ-აკურეც-ნ
3	აკურები-ნ „ყინავენ"	აკურები-ნ	აკურები-ნ	აკუარები-ნ	აკურეც-ნ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	მ-იცხრი „შირკვევს"	მ-იცხრი	მ-იცხრი		მ-იცხრი
2	ჯ-იცხრი „გირკვევს"	ჯ-იცხრი	ჯ-იცხრი		ჯ-იცხრი
3	ხ-ოცხრი „ურკვევს"	ხ-ოცხრი	ხ-ოცხრი		ხ-ოცხრი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-იცხრი „გვირკვევს" Oe ნ-იცხრი „გვირკვევს"	გუ-იცხრი ნ-იცხრი	გუ-იცხრი		გუ-იცხრი
2	ჯ-იცხრი-ნ „გირკვევენ"	ჯ-იცხრი-ნ	ჯ-იცხრი-ნ		ჯ-იცხრი-ნ
3	ხ-ოცხრი-ნ „ურკვევენ"	ხ-ოცხრი-ნ	ხ-ოცხრი-ნ		ხ-ოცხრი-ნ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	მ-ისტუნი „მტკივა"	მ-ისტუნი	მ-ისტუნი	მ-ისტუნი	მ-ისტუნი
2	ჯ-ისტუნი „გტკივა"	ჯ-ისტუნი	ჯ-ისტუნი	ჯ-ისტუნი	ჯ-ისტუნი
3	ხ-ოსტუნი „სტკივა"	ხ-ოსტუნი	ხ-ოსტუნი	ხ-ოსტუნი	ხ-ოსტუნი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-ისტუნი „გვტკივა" Oe ნ-ისტუნი „გვტკივა"	გუ-ისტუნი ნ-ისტუნი	გუ-ისტუნი	გუ-ისტუნი	გუ-ისტუნი
2	ჯ-ისტუნი-ნ „გტკივათ"	ჯ-ისტუნი-ნ	ჯ-ისტუნი-ნ	ჯ-ისტუნი-ნ	ჯ-ისტუნი-ნ
3	ხ-ოსტუნი-ნ „სტკივათ"	ხ-ოსტუნი-ნ	ხ-ოსტუნი-ნ	ხ-ოსტუნი-ნ	ხ-ოსტუნი-ნ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	მ-ეყხალ „მკოცნის"	მ-ეყხალ	მ-ეყალ	მ-ეყალ	მ-ეყალ
2	ჯ-ეყხალ „გკოცნის"	ჯ-ეყხალ	ჯ-ეყალ	ჯ-ეყალ	ჯ-ეყალ
3	ხ-ეყხალ „კოცნის"	ხ-ეყხალ	ხ-ეყალ	ხ-ეყალ	ხ-ეყალ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-ეყხალ „გკოცნის“ Oe ნ-ეყხალ „გკოცნის“	გუ-ეყხალ ნ-ეყხალ	გუ-ეყალ	გუ-ეყალ	გუ-ეყალ
2	ჶ-ეყხალ-ხ „გკოცნიან“	ჶ-ეყხალ-ხ	ჶ-ეყალ-ხ	ჶ-ეყალ-ხ	ჶ-ეყალ-ხ
3	ხ-ეყხალ-ხ „კოცნიან“	ხ-ეყხალ-ხ	ხ-ეყალ-ხ	ხ-ეყალ-ხ	ხ-ეყალ-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	შ-ეშდრალ „მეთამაშება“	შ-ეშდრალ	შ-ეღრალ	შ-ეტრელალ	შ-ეშტრალ
2	ჶ-ეშდრალ „გეთამაშება“	ჶ-ეშდრალ	ჶ-ეღრალ	ჶ-ეტრელალ	ჶ-ეშტრალ
3	ხ-ეშდრალ „ეთამაშება“	ხ-ეშდრალ	ხ-ეღრალ	ხ-ეტრელალ	ხ-ეშტრალ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-ეშდრალ „გეთამაშება“ Oe ნ-ეშდრალ „გეთამაშება“	გუ-ეშდრალ ნ-ეშდრალ	გუ-ეღრალ	გუ-ეტრელალ	გუ-ეშტრალ
2	ჶ-ეშდრალ-ხ „გეთამაშებიან“	ჶ-ეშდრალ-ხ	ჶ-ეღრალ-ხ	ჶ-ეტრელალ-ხ	ჶ-ეშტრალ-ხ
3	ხ-ეშდრალ-ხ „ეთამაშებიან“	ხ-ეშდრალ-ხ	ხ-ეღრალ-ხ	ხ-ეტრელალ-ხ	ხ-ეშტრალ-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	შ-ალაბ „შიყვარს“	შ-ალაბ	შ-ალაბ	შ-ალაბ	შ-ალაბ
2	ჶ-ალაბ „ეყვარს“	ჶ-ალაბ	ჶ-ალაბ	ჶ-ალაბ	ჶ-ალაბ
3	ხ-ალაბ „ეყვარს“	ხ-ალაბ	ხ-ალაბ	ხ-ალაბ	ხ-ალაბ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გუ-ალაბ „გეყვარს“ Oe ნ-ალაბ „გეყვარს“	გუ-ალაბ ნ-ალაბ	გუ-ალაბ	გუ-ალაბ	გუ-ალაბ
2	ჶ-ალაბ-ხ „გეყვართ“	ჶ-ალაბ-ხ	ჶ-ალაბ-ხ	ჶ-ალაბ-ხ	ჶ-ალაბ-ხ
3	ხ-ალაბ-ხ „ეყვართ“	ხ-ალაბ-ხ	ხ-ალაბ-ხ	ხ-ალაბ-ხ	ხ-ალაბ-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	შ-უღვა „მაქვს“	შ-უღვა/ე	შ-უღვა	შ-უღვა	შ-უღვა
2	ჶ-უღვა „გაქვს“	ჶ-უღვა/ე	ჶ-უღვა	ჶ-უღვა	ჶ-უღვა
3	ხ-უღვა „აქვს“	ხ-უღვა/ე	ხ-უღვა	ხ-უღვა	ხ-უღვა

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	Oi გ-უღვა „გვაქვს“ Oe ნ-უღვა „გვაქვს“	გ-უღვა/ე ნ-უღვა/ე	გ-უღვა	გ-უღვა	გ-უღვა
2	ჶ-უღვა-ხ „გაქვთ“	ჶ-უღვა/ე-ხ	ჶ-უღვა-ხ	ჶ-უღვა-ხ	ჶ-უღვა-ხ
3	ხ-უღვა-ხ „აქვთ“	ხ-უღვა/ე-ხ	ხ-უღვა-ხ	ხ-უღვა-ხ	ხ-უღვა-ხ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	მ-ჳსისგ „მძულ"	მ-ჳსისგ	მ-ასისგ	მ-ჳსისკ	მ-ასისგ/კ
2	ჯ-ჳსისგ „გძულს"	ჯ-ჳსისგ	ჯ-ასისგ	ჯ-ჳსისკ	ჯ-ასისგ/კ
3	ნ-ჳსისგ „სძულს"	ნ-ჳსისგ	ნ-ასისგ	ნ-ჳსისკ	ნ-ასისგ/კ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
1	0i გუ-ჳსისგ „გვძულს" 0e ნ-ჳსისგ „გვძულს"	გუ-ჳსისგ ნ-ჳსისგ	გუ-ასისგ	გუ-ჳსისკ	გუ-ასისგ/კ
2	ჯ-ჳსისგ-ნ „გძულთ"	ჯ-ჳსისგ-ნ	ჯ-ასისგ-ნ	ჯ-ჳსისკ-ნ	ჯ-ასისგ/კ-ნ
3	ნ-ჳსისგ-ნ „სძულთ"	ნ-ჳსისგ-ნ	ნ-ასისგ-ნ	ნ-ჳსისკ-ნ	ნ-ასისგ/კ-ნ

სვანურში წარმოდგენილი **-ნ** სუფიქსი — III პირის სუბიექტის ფორმანტი მრავლ. რიცხვში — იმავე როლს ასრულებს, რასაც ქართულში **-თ**.

3. მრავლობით რიცხვში ყურადღებას იქცევს I პირი ინკლუზივითა და ექსკლუზივით. ინკლუზივის (**0i**) ნიშანია **გუ-**, ხოლო ექსკლუზივის (**0e**) — **ნ-**. ორივე პრეფიქსი დღემდე კარგადაა შემონახული ზემოსვანურ დიალექტებში, ქვემოსვანურში კი მხოლოდ **გუ-** არის დაცული: **ნ-** საერთოდ არ გვხვდება, **0e** და **0i** გათქვეფილია ერთმანეთში (იქვე), რაც შესანიშნავად ჩანს შემდეგი მაგალითებიდან:

	ზს., ლნტ.		ბზ., ლშხ.
1	მ-აყა „მყავს"	მ-ალჳტ „მიყვარს"	მ-ჳრ „მაქვს"
2	ჯ-აყა	ჯ-ალჳტ	ჯ-ჳრ
3	ნ-აყა	ნ-ალჳტ	ნ-ჳრ
0i	გუ-აყა (ქვემოსვან.)	გუ-ალჳტ (ლნტ.)	გუ-ჳრ (ლშხ.)
0e	ნ-აყა გუ-აყა	ნ-ალჳტ გუ-ალჳტ	ნ-ჳრ გუ-ჳრ
2	ჯ-აყა-ნ	ჯ-ალჳტ-ნ	ჯ-ჳრ-ნ
3	ნ-აყა-ნ	ნ-ალჳტ-ნ	ნ-ჳრ-ნ

B. **თანხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ** მხ. და მრ. რიცხვში I და II პირის **მ-, გუ-, ნ-, ჯ-** თავსართებს უჩნდება თითქოსდა თანხმოვანთგასაყარი **-გ-** ბგერა, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი რიგი ფონეტიკური მოვლენები[1]. III პირის ობიექტური პრეფიქსი ნულოვანი მორფემითაა წარმოდგენილი:

[1] 1. **-გ-** ხმოვანი ფუძის ხმოვნის რედუქციას იწვევს: *მ-გ-ტიხე, ლშხ. *მ-გ-ტგხე → მ-გ-ტხე („მაბრუნებს"), *ჯ-გ-დიგე, ლშხ. *ჯ-გ-დგგე → ჯ-გ-დგე („გაკრობს")...; 2. **-გ-** წინამავალ **-უ-**სთან შერწყმით გვაძლევს **უ-**ს: *გუ-გ-ტხე → გუ-ტხე („გვაბრუნებს"); 3. **-გ-** ემსგავსება თანხმოვანთა შორის არსებულ **-უ-**ს და იქცევა **-უ-**დ: *მ-გ-კუშე → მ-უ-კუშე („მტეხს"), *ჯ-გ-კუშე → ჯ-უ-კუშე („გტეხს"), *ჯ-გ-თუფე → ჯ-უ-თუფე („გკარგავს"), *ნ-გ-თუფე → ნ-უ-თუფე („მე + მას||მათ გვკარგავს"), ზს. *მ-გ-ჰუდი → მ-უ-ჰუდი („მყიდის") და ა. შ.

1	მ-გ-ტხ-ე ← ზს., ლნტ.		*მ-გ-ტიხე	ლშხ. *მ-გ-ტგხე „მაბრუნებს“	
2	ჯ-გ-ტხე		*ჯ-გ-ტიხე	*ჯ-გ-ტგხე	
3	ტიხე, ლშხ. ტგხე				
01 02	გუ-ტხე ნ-გ-ტხე	ქვემოსვან. გუ-ტხე	*გუ-გ-ტიხე *ნ-გ-ტიხე	*გუ-გ-ტგხე, ლნტ. *გუ-გ-ტიხე *ჯ-გ-ტგხე-ხ	
2	ჯ-გ-ტხე-ხ		*ჯ-გ-ტიხე-ხ		
3	ტიხე, ლშხ. ტგხე				

C. სამეცნიერო ლიტერატურაში III პირის ობიექტურ პრეფიქსად ჰ-საც ვარაუდობენ, რომელიც (ე. ი. 03), ვ. თოფურიას აზრით, ფონეტიკურად იგივეა, რაც II პირის სუბიექტური პრეფიქსი ხ-[1], თანაც S2 ხ- პირველად ჰ-საგან წარმომდგარად მიიჩნევა. ჰ-ს პრიმარობის სასარგებლოდ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები (თოფურია 1967, 16): 1. მოსალოდნელი 03 *ჰ- ად- პრევერბის „დ'ონს აფშვინვიერებს“, ე. ი. *ადჰ > აო-: ზს., ლშხ. ოთ-ხატუე, ლნტ. აო-ოხატაუე ← *ად-ჰ-ოხატაუე = და-ჰ-უხატა, ლშხ. ეთ-თშიხან, ლნტ. აო-ეშიხან ← *ად-ჰ-ეშიხან/ან = და-ჰ-ეწვა...; 2. *ჰ- ფონეტიკურ ნიადაგზე იკარგება ეს-/ას- წინდებულის უშუალო მეზობლობაში: ლშხ. ოს-ბე ← *ეს-ჰ-ობე, ლნტ. ას-ობე ← *ას-ჰ-ობე = და-ჰ-უბა, ბზ. ეს-ოზი ← *ეს-ჰ-ოზი = მი-ჰ-უდის, ზს. ეს-გუეშ ← *ეს-ჰ-აგუეშ (შდრ. ლნტ. ას-ა-გუეშ) = და-ჰ-ასხა... (შანიძე 1925, 182) და 3. ჰ- შესაძლებელია ხ-დ იქცეს. მაშასადამე, ჰ-ს შესაძლებელი გადასვლა ხ-დ და მეგრულ-ჭანურში 03 ნულის „არსებობა“, რაც ჰ-ს გაქრობის შედეგადაა მისაჩნევი, პრაქართულში თავსართად ჰ-ს ავარაუდებინებს პროფ. ვ. თოფურიას. მისი აზრით, სწორედ პრაქართულიდან უნდა ჰქონდეს წამოღებული ჰ- სვანურს. გამომდინარე იქიდან, რომ: a. „პირველი ჯგუფის დრო-კილოებში ხ'ანად არის ქცეული და მხოლოდ ხმოვნების წინ გვხვდება“: ხ-ოშხი ← *ჰ-ოშხი = ჰუწვავს...; b. „ან- ნაწილაკის შემდეგ ხ'ანად იქცევა მაშინ, როდესაც წინამავალი ნ'არი იკარგება (ანჰ > ახ)“, მაგ.: ზს., ლშხ. ო-ხ-ჯიდ, ლნტ. ა-ხ-ოჯიდ ← *ან-ჰ-ოჯიდ = მო-ჰ-უტანა... და c. ად-, ეს-/ას- პრევერბთა მეზობლად ქრება (შანიძე 1925, 182), ფიქრობენ, რომ „03 ხ- ← *ჰ-საგან, ხოლო უკანასკნელი წინარექართულიდან გადმოჰყვა სვანურს“ (თოფურია 1967, 16-17).

ტაბულა III

ობიექტურ ნიშანთა ცხრილი

პ.	A. ხმ. დაწყ. ფ.	B. თანხმ. დაწყ. ფ.	მხოლობითი რ. A. ხმ. დაწყ. ფ.	მრავლობითი რ. B. თანხმ. დაწყ. ფ.
1	მ-	მ-გ-	01 გუ- 02 ნ-	გუ- ← გუ- + -გ- ნ-გ-
2	ჯ-	ჯ-გ-	ჯ- — -ხ	ჯ-გ- — -ხ
3	Ø-	Ø-	Ø-	Ø-
	*ჰ-, ხ-		*ჰ-, ხ- — -ʿხ	

[1] იხ. ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, შრომები, თბილისი, 1967, გვ. 5.

პროფ. ვ. თოფურიას დაკვირვებით:

1. მყოფადსრულსა და დროთა II და III ჯგუფში წარმოებულ რამდენიმე ზმნას **ად-**წინდებულის გვერდით შემონახული აქვს როგორც II პირის სუბიექტური, ასევე III პირის ობიექტური პრეფიქსი **ხ-**:

	a. S2 ხ-: ბზ., ბეჩ.	ეცერ., ლხმ.	ლნტ.
		ა ო რ ი ს ტ ი	
1	ოთ-ხუ-ა̈ჷ	ოთ-ხუ-ა̈ (‖ ეცერ. ოთხა̈)[1]	ათ-ხუ-ა̈ „წავიღე“
2	ათ- ხ-ა̈ჷ	ათ- ხ-ა̈	ათ- ხ-ა̈
3	ად- იე	ად-აე, ად-ა̈ჷე	ად- ა̈ე
		კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ II	
1	ოთ-ხუ-ია	ოთ-ხუ-ა̈ჷა‖ოთ-ხ-ია (‖ოთ-ხ-ა̈ჷა)	ათ-ხუ-აჷა „წავიღო“
2	ათ- ხ-ია	ათ- ხ-ა̈ჷა‖ათ-ხ-ია	ათ- ხ-აჷა
3	ად- იას	ად- ა̈ჷას‖ად- იას	ად- აჷას
		მ ყ ო ფ ა დ ი	
1	ბზ. ოთ-ხუ-ი˹ი˺	ოთ-ხუ-ა̈ჷსგ (‖ოთხა̈ჷსგ)	ათ-ხუ-ა̈ჷეს˹კ˺ „წავიღებ“
2	ათ- ხ-ი˹ი˺	ათ- ხ-ა̈ჷსგ	ათ- ხ-ა̈ჷეს˹კ˺
3	ად- ი˹ი˺	ად- ა̈ჷსგ	ად- ა̈ჷეს˹კ˺
		ა ო რ ი ს ტ ი	
1	[2]ეცერ. ოთ-ხ-გრომ‖ოთ-გრომ	ლხმ. ოთ-ხ-ურომ‖ოთ/დ-გრომ „დავიჭირე“	
2	ათ-ხ-გრომ‖ათ-გრომ	ათ-ხ-გრომ‖ათ/დ-გრომ	
3	ად-ირომ	ად-ირომ და ა. შ.	

ხ. რაც შეეხება **03** ხ-ს, იგი დაცულია შემდეგ ზმნებში:

ბზ.	ეცერ., ლხმ.	ლნტ.
	ა ო რ ი ს ტ ი	
ათ-ხ-ა̈ჷ	ათ-ხ-აჷ	„ჰქონდა, შეექნა, მოუხდა, მოედინა“
ათ-ხ-ა̈ჷ‖ათ-ხ-ა̈ჷდა	ბეჩ. ათ-ხ-აჷ˹და˺‖ათ-ხ-აჷა	ათ-ხ-აჷა „თქვა“
	ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი	
ათ-ხ-ა̈რა		„უთქვამს“
	ეცერ., ლხმ., ფარ. ოთ-ხ-გრომა‖ოთ-გრომა	„დაუჭერია“
ბზ., ბეჩ. ოთ-ხუ-ია	ბქ. „ ოთ-ხ-ია	ათ-ხ-ოჷა „წაუღია“
	„ „ ათ-ხ-არა	„მოხდომია (წამალი...)“

[1] ეცერისებური ვითარება დასტურდება ცხუმარულ კილოკავშიც.

[2] ეცერის მოსაზღვრე ფარულ კილოკავშიც იგივე ვითარებაა.

იგივე **ხ-** სხვა ფორმებშიც მეორდება, მაგ.: ბზ. **ოთ-ხ-უეჱნ** „წაეღო“, **ოთ-ხ-უიენს** „წაეღოს“ ... (იხ. „დეფექტური ზმნები“), თუმცა პროფ. ვ. თოფურიას მიერ სხვა მსგავსი ზმნები სვანურში ვერ დაიძებნა.[1]

2. რა ვითარებაა ლახამულურ კილოკავში? როგორც ვ. თოფურია შენიშნავს, ლახამულურში **ად-** წინდებულის **-დ-** ხშირად უცვლელად არის წარმოდგენილი როგორც I და II პირის ფორმებში, ისე ბრუნვაუცვლელსახელიან ზმნათა III პირშიც:

აორისტი

1 **ოდ-ჳემ** (‖**ოთ-ჳემ**) „დავთიბე“	**ად-უ-კჳრქ** „ვიშოვე“	**ად-უ-ზიგენე** „დავსახლდე“
2 **ად-ჳემ** (‖**ათ-ჳემ**) „დათიბე“	**ად- კჳრქ** „იშოვე“	**ად- ზიგენე** „დასახლდე“
3 **ად-ჳემე** „დათიბა“	**ად- კარქე** „იშოვა“	**ად- ზიგენეს** „დასახლდეს“ ან
3 **ოდ-ჳემე**‖**ოთ-ჳემე** „დაუთიბა“,	**ოდ-კალუე** „გაულეწა“,	**ოდ-დაგრა** „მოუკლავს“ და ა. შ. (იქვე, 18-19).

ამასთანავე, **-დ-** ზოგჯერ ზმნის თავკიდურ ყრუ თანხმოვანს ემსგავსება და **-ტ-**დ იქცევა ლახამულურში (იქვე, 18). მკვეთრი თანხმოვნების წინ **-თ-**ს **-ტ-**დ ქცევა ფონეტიკურად გამართლებულია და მას ადგილი აქვს არა მხოლოდ ლახამულურში, არამედ ბალსქვემოურის სხვა კილოკავებშიც. ნიმუშისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: **ატ-ყიმე** „დააბრჩო“, **ʿქ̓ʾატ-კუჳრ** „გააგდო, გადააგდო“ (იქვე), **ატ-კუერმე** „გაყინა“, **ატ-ყუჩურე** „დაამტვრია“, **ატ-ყეჩნე** „თავი დაანებებინა“, **ატ-პერნე** „გააფრინა“, **ატ-პეჟნე** „დამალა“, **ატ-პასხუე** „გალანძღა, საკადრისი პასუხი გასცა“, **ატ-კრანკე** „გააგორა“, **ოტ-კჳრქ** „ვიშოვე“, **ოტ-კუშირ** „დავამტვრიე“ და ა. შ.

პროფ. ვ. თოფურია ზემოთ წარმოდგენილი ორივე გარემოების (1. ლახამულურში უცვლელად **ად-** პრევერბის ხშირი გამოყენებისა და 2. ზოგიერთ ზმნაში მასთან **S2** და **O3 ხ-**ს შენახვის) გათვალისწინების შედეგად შესაძლებლად თვლის აღნიშნოს, რომ „შედარებითი გზით აღდგენილ **S2** და **O3 ჲ-**ს სრულებით არ ჰქონდა ადგილი სვანურშიო“, ამასთანავე „**ად-** წინდებულის **-დ-** ყრუდება **S2** და **O3 ხ-**სთან ასიმილაციის გამო, ხოლო იმ შემთხვევებში, სადაც **ათ-** დაცულია და **ხ-** არ ჩანს, უკანასკნელი იქ დაკარგულიაო“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, **ჲ-**ს პრიმარობა მაინც შესაძლებლად მიაჩნია, და, აი, რატომ: 1. „ლახამულურში **ათ-** პრევერბის ნაცვლად **ად-**ის ხმარება (ე. ი. **ათ-**ისა და **ად-**ის აღრევა) შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს“, რასაც მხარს უჭერს შემდეგი გარემოება: „ა) ყველა დიალექტში **ათ-** უგამონაკლისოდ არის გატარებული, ბ) ლახამულურშივე უპირატესად **ათ-** იხმარება[2] და გ) თუ **-დ-**ს **S2** და **O3 ხ-** აყრუებს, ეს უკანასკნელი ხომ ლახამულურშიც უნდა ყოფილიყო (და არის კიდეც ზოგან შემონახული: **ათ-ხ-ჳ, ათ-ხ-გრმ...**)“. აქედან გამომდინარე, ავტორი თვლის, რომ „ლახამულურის ეს მოვლენა ***ჲ-**ს გასაბათილებლად ვერ გამოდგება“. 2. **ად-** წინდებულის **დ-**, მართალია, **ხ-**ს შეუძლია დაიმსგავსოს და **-თ-**დ აქციოს, მაგრამ სადაც **ათ-** მოგვეპოვება და **ხ-** არ არის, იქ **ხ-**ს დაკარგვას იგი ორი გზით ვარაუდობს: „ან პირდაპირ, უშუალოდ: ***ად-ხ-ჳემ** → ***ათ-ხ-ჳემ** → **ათ-ჳემ** „დათიბე“, ან **ხ-**ს გადასვლით **ჲ-**ში: ***ად-ხ-ჳემ** → ***ათ-ხ-ჳემ** → ***ათ-ჲ-ჳემ** → **ათ-ჳემ**“, თუმცა ფონეტიკურად ერთიცა და მეორეც სვანურში შეუძლებლად მიაჩნია, რაც ***ჲ-**ს პრიორიტეტულად გამოცხადებაზე ხელს არ აღებინებს და ფიქრობს, რომ „ზემოთმოყვანილ მაგალითებში არსებული **S2** და **O3 ხ-** ***ჲ-**საგან არის წარმომდგარი ხმოვნების წინ ან ანალოგიითაა მიღებული. ამ შემთხვევაში კი **ხ-** რომ **ჲ-**საგან იყოს წარმომდგარი“, ეს საეჭვოდ მიაჩნია, რადგანაც „აგებულებით ამათ მსგავს

[1] დამატებითი მასალა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ჩვენც ვერ მოვიპოვეთ.

[2] ვინაიდან **ად-** წინდებულთან დაკავშირებით მსჯელობა გვქონდა ზემოთ — სუბიექტური პრეფიქსების განხილვისას (იხ. § 3.), ამიტომაც აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

მაგალითებში, როგორიცაა ზს. **ოთ-ა-ბ** „დავაბი“, **ათ-ა-ბ** „დააბი“ და სხვა, **ხ**-ს ადგილი არა აქვს“ და აქ **ხ**- ამავე ზმნათა **ან**-პრეევერბიანი ფორმების ანალოგიით ჰგონია მიღებული, კერძოდ:

	ბზ., ბეჩ.	ეცერ., ლხმ.	ლნტ.	შდრ.	ზს., ლნტ.
		ა ო რ ი ს ტ ი			
1	ო-ხუ-ჲდ	ო-ხუ-ჲ	ა-ხუ-ჲ „წამოვიღე, მოვიტანე“		ოთ-ხუ-ჲ˹დ˺‖ათ-ხუ-ჲ
2	ა- ხ-ჲდ	ა- ხ-ჲ	ა- ხ-ჲ		ათ-ხ-ჲ˹დ˺
3	ან- იე (ან-აე),	ან- ჲდე	ან- ჲე		
		კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ ი II			
1	ო-ხუ-ია	ო-ხუ-ჲდა	ა-ხუ-ადა „წამოვიღო“		ოთ-ხუ-ია
2	ა- ხ-ია	ა- ხ-ჲდა	ა- ხ-ადა		ათ- ხ-ია და სხვ.
		ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი			
	ბზ.	ეცერ., ლხმ.			
3	ო-ხუ-ია „მოუტანია“	ო-ხ-ია „გამოუგზავნია“(?)[1]			ოთ-ხ˹უ˺-ია
		ა ო რ ი ს ტ ი			
1		ბქ. ო-ხუ-ირმ „დავიჭირე“			ოთ-ხ-გრმ
2		ჲ- ხ-ირმ			ათ-ხ-გრმ ...
		ა ო რ ი ს ტ ი			
	ბზ.				
3	ა-ხ-ადˇდა˺	ა-ხ-ად „მოუვიდა, მოუხდა, დაყო“			ა-ხ-ად/ად „ჰქონდა, მოუხდა“
3	ა-ხ-ჲრა	ა-ხ-არა „შექმნია, მოსვლია“			ათ-ხ-ჲ/რა „თქვა“

პროფ. ვ. თოფურია ამ მოვლენას ანალოგიით იმიტომ ხსნის, რომ **ხ**- სვანური ენის ყველა დიალექტში დაცული არ არის, მათ შორის — არც ლაშხურში, სადაც არც ერთი აქ მოყვანილი მაგალითთაგანი **ხ**- ფორმანტით არ გვევლინება, და ნიმუშად მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

ა ო რ ი ს ტ ი

1 ოთ-ად „წავიღე, წავიყვანე“	შდრ. ო-ხუ-ად „წამოვიღე, წამოვიყვანე“
2 ათ-ად	ა- ხ-ად
3 ად-დე	ან- დე

კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ ი II

1 ოთ-და (‖ოთდჲ-ხუი) „წავიღო, წავიყვანო“	ო-ხუ-და „წამოვიღო, წამოვიყვანო“
2 ათ-და (‖ათდჲ- ხი)	ა- ხ-ია

მ ყ ო ფ ა დ ი

1 ოთ-დეს „წავიღებ, წავიყვან“	2. ათ-დეს „წაიღებ, წაიყვან“

[1] აღნიშნული საანალიზო ლექსემა ბალსქვემოურში „მოუღწევია“-ს მნიშვნელობით დასტურდება.

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

3 ოთ-და „წაუყვანია"... სგრთ- ია „შეუყვანია"

ა ო რ ი ს ტ ი კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ ი II

1 ოთ-გრმ „დავიჭირე" ოთ-გრმა „დავიჭირო"
2 ათ-გრმ ათ-გრმა

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

3 ჩოთ-გრმა „დაუჭერია"
ათ-ბდა „თქვა"

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

ათ-პრა||ათ-პრენა „უთქვამს" და ა. შ. (იქვე, 20-21).

5. **აფიქსები რელატიურ ზმნებში.** აბსოლუტურ ზმნებში, როგორც ცნობილია, სუბიექტური ფორმანტები მოგვეპოვება, რელატიურებში კი — სუბიექტისა და ობიექტისა. ობიექტი ორიც შეიძლება ახლდეს ზმნას, მაშინ უკანასკნელში სამი პირის ნიშანი იქნება წარმოდგენილი: სუბიექტისა და ორივე (პირდაპირი და ირიბი) ობიექტისა.

A. რელატიურ-გარდაუვალი ზმნა აწმყოში

S პზ.	O		sing. plur.	ზემოსვან.	ლენტ.	
	2		სი, სგპ	ჯ-ალპ	ჯ-ალპ-ხუი	„გ-იყვარ(ვარ)"
1 მი	3		ეჩას, ეჯაპრს	ხუ-ალპ	ხუ-ალპ-ხუი	„ვ-უყვარ(ვარ)"
	1		მი	მ-ალპ	მ-ალპ-ხი	„მ-იყვარ(ხარ)"
2 სი	Oe	ნპგ:	მი+ეჩას, ეჯაპრს	ნ-ალპ	გუ-ალპ-ხი	„გვ-იყვარ(ხარ)"
	3		ეჩას, ეჯაპრს	ხ-ალპ	ხ-ალპ-ხი	„უყვარ(ხარ)"
	1		მი	მ-ალპ		„მ-იყვარს"
	Ol	ნპგ:	მი+სი, სგპ	გუ-ალპ	გუ-ალპ	„გვ-იყვარს"
3 ეჯა	Oe	ნპგ:	მი+ეჩას, ეჯაპრს	ნ-ალპ		„გ-იყვარს, -თ"
	2		სი, სგპ	ჯ-ალპ,	ჯ-ალპ-ხ	„უყვარს, -თ"
	3		ეჩას, ეჯაპრს	ხ-ალპ,	ხ-ალპ-ხ	
1 ნპგ	Se	2	სი, სგპ	ჯ-ალპ-დ		„გ-იყვარ(ვარ)-თ"
	Se	3	ეჩას, ეჯაპრს	ხუ-ალპ-დ		„ვ-უყვარ(ვარ)-თ"
	Sl	3	" "	ლ-ალპ-დ		„ვ-უყვარ(ვარ)-თ"
	1		მი	მ-ალპ-დ		„მ-იყვარ(ხარ)-თ"
2 სგპ	Oe	ნპგ:	მი+ეჩას, ეჯაპრს	ნ-ალპ-დ	გუ-ალპ-დ	„გვ-იყვარ(ხარ)-თ"
	3		ეჩას, ეჯაპრს	ხ-ალპ-დ		„უყვარ(ხარ)-თ"
	1		მი	მ-ალპ-ზ'		
	Ol	ნპგ:	მი+სი, სგპ	გუ-ალპ-ზ'	გუ-ალპ-ხ	„მ-იყვარ-ს/-ან"
3 ეჯაპრ	Oe	ნპგ:	მი+ეჩას, ეჯაპრს	ნ-ალპ-ზ'		„გვ-იყვარ-ს/-ან"
	2		სი, სგპ	ჯ-ალპ-ზ',	ჯ-ალპ-ხ	„გ-იყვარ-ს/-ან, -ს-თ"
	3		ეჩას, ეჯაპრს	ხ-ალპ-ზ',	ხ-ალპ-ხ	„უყვარ-ს/-ან, -ს-თ"

B. რელატიურ-გარდამავალი ზმნები

	a. ე რ თ ო ბ ი ე ქ ტ ი ა ნ ი			b. ო რ ო ბ ი ე ქ ტ ი ა ნ ი			
S	O^{d-n}			O^{d}			
	მხ. მრ.			ზემოსვ.			
1 მი	2 სი, სგპ	ჯ-გ-ტხე	„გ-აბრუნებ, -თ"	ეჩას,	ჯ-აჰედი		„გ-აძლევ, -თ"
„	3 ეჩას, ეჯაპრს	ტუხე	„ვ-აბრუნებ"	ეჯაპრს	ხუ-აჰედი		„ვ-აძლევ"
	ლშხ. ტკხე		„				
2 სი	1 მი	მ-გ-ტხე	„მ-აბრუნებ"	„ „	მ-აჰედი		„მ-აძლევ"
„	Oe ნაპ	ნ-გ-ტხე	„გვ-აბრუნებ"	„ „	ნ-აჰედი		„გვ-აძლევ"
	ქვსვ. გუ-ტხე		„				
„	3 ეჩას, ეჯაპრს	ტიხე	„აბრუნებ"	„ „	ხ-აჰედი		„აძლევ"
	ლშხ. ტკხე		„				
3 ეჯა	1 მი	მ-გ-ტხე	„მ-აბრუნებს"	„ „	მ-აჰედი	„მ-აძლევს"	
„	Oi ნაპ	გუ-ტხე	„გვ-აბრუნებს"	„ „	გუ-აჰედი	„გვ-აძლევს"	
„	Oe ნაპ ზს.	ნ-გ-ტხე	„	„ „	ნ-აჰედი	„	
„	2 სი, სგპ	ჯ-გ-ტხე, -ხ	„გ-აბრუნებს, -თ"	„ „	ჯ-აჰედი, -ხ	„გ-აძლევს, -თ"	
„	3 ეჩას, ეჯაპრს	ტიხე	„აბრუნებს"	„ „	ხ-აჰედი	„აძლევს"	
	ლშხ. ტკხე		„				
Se ნაპ	2 სი, სგპ	ჯ-გ-ტხე-დ	„გ-აბრუნებ-თ"	„ „	ჯ-აჰედი-დ	„გ-აძლევ-თ"	
Se „	3 ეჩას, ეჯაპრს	ტუხე-დ	„ვ-აბრუნებთ"	„ „	ხუ-აჰედი-დ	„ვ-აძლევ-თ"	
	ლშხ. ტკხე-დ		„				
Sl „	3 „ „	ლ-გ-ტხე-დ	„	„ „	ლ-აჰედი-დ	„ვ-აძლევ-თ"	
2 სგპ	1 მი	მ-გ-ტხე-დ	„მ-აბრუნებ-თ"	„ „	მ-აჰედი-დ	„მ-აძლევ-თ"	
„	Oe ნაპ	ნ-გ-ტხე-დ	„გვ-აბრუნებ-თ"	„ „	ნ-აჰედი-დ	„გვ-აძლევ-თ"	
	ქვსვ. გუ-ტხე-დ		„				
„	3 ეჩას, ეჯაპრს	ტიხე-დ	„აბრუნებ-თ"	„ „	ხ-აჰედი-დ	„აძლევ-თ"	
	ლშხ. ტკხე-დ		„				
3 ეჯაპრ	1 მი	მ-გ-ტხე-ხ	„მ-აბრუნებ-ენ"	„ „	მ-აჰედი-ხ	„მ-აძლევ-ენ"	
„	Oi ნაპ	გუ-ტხე-ხ	„გვ-აბრუნებ-ენ"	„ „	გუ-აჰედი-ხ	„გვ-აძლევ-ენ"	
„	Oe „ ზს.	ნ-გ-ტხე-ხ	„	„ „	ნ-აჰედი-ხ	„	
„	2 სი, სგპ	ჯ-გ-ტხე-ხ	„გ-აბრუნებ-ენ"	„ „	ჯ-აჰედი-ხ	„გ-აძლევ-ენ"	
„	ეჩას, ეჯაპრს	ტიხე-ხ	„აბრუნებ-ენ"	„ „	ხ-აჰედი-ხ	„აძლევ-ენ"	
	ლშხ. ტკხე-ხ		„				

როგორც აღნიშნულმა მაგალითებმა ცხადყვეს, „რელატიურ ფორმებში ხშირად არაა წარმოდგენილი ან სუბიექტური, ან ობიექტური ნიშანი" (თოფურია 1967, 22).

ტაბულა IV

სუბიექტურ-ობიექტური აფიქსები რელატიურ ზმნებში

A. რელატ.-გარდაუვალი B. რელატ.-გარდამავალი

ა. ე რ თ ო ბ ი ე ქ ტ ი ა ნ ი ბ. ო რ ო ბ ი ე ქ ტ ი ა ნ ი

α. ხმ. დაწყ. ფ. β. თანხმ. დაწყ. ფ.

პბ.		პრეფ.	სუფ.	პრეფ.	სუფ.	პრეფ.	სუფ.	პრეფ.	სუფ.	
S	O	S	O^d	S	O^{d-n}	S	O^{d-n}	S	O^d	O^{d-n}
1	2	Ø-	ƒ-			Ø-	ƒ-ჳ-	Ø-	ƒ-	Ø-
	3	ხუ-/ºსუ-	Ø-			-უ-	Ø-	ხუ-/ºსუ-	Ø-	Ø-
2	1	Ø-	ვ-	რელატ.-გარდაუვ. პრეფიქსები		Ø-	ვ-ჳ	Ø-	ვ-	Ø-
	Oe	Ø-	ნ-			Ø-	ნ-ჳ	Ø-	ნ-	Ø-
	3	ხ-	Ø-			Ø-	Ø-	ხ-	Ø-	Ø-
3	1		ვ-			*-	ვ-ჳ-	*-	ვ-	Ø-
	OI		ჲუ-				ჲუ-		ჲუ-	Ø-
	Oe		ნ-				ნ-ჳ-		ნ-	Ø-
	2		ƒ- — , -ხ				ƒ-ჳ- — , -ხ		ƒ-	Ø- — , -ხ
	3		ხ- — , -ხ		Ø-		Ø-		ხ-/ºს-	Ø-
1	2	Ø-	ƒ- — -დ	რელატ.-გარდაუვ. აფიქსები		Ø-	ƒ-ჳ — -დ	Ø-	ƒ-	Ø- — -დ
	3	ხუ-/ºსუ-	Ø- — -დ			-უ-	Ø- — -დ	ხუ-/ºსუ-	Ø-	Ø- — -დ
	3	ლ-	Ø- — -დ			ლ-ჳ-	Ø- — -დ	ლ-	Ø-	Ø- — -დ
2	1	Ø-	ვ- — -დ			Ø-	ვ-ჳ- — -დ	Ø-	ვ-	Ø- — -დ
	Oe	Ø-	ნ- — -დ			Ø-	ნ-ჳ- — -დ	Ø-	ნ-	Ø- — -დ
	3	ხ-	Ø- — -დ			Ø-	Ø- — -დ	ხ-	Ø-	Ø- — -დ
3	1	*-	ვ- — -ზ', -ხ	*-	ვ- — -ხ	*-	ვ-ჳ- — -ხ	*-	ვ-	Ø- — -ხ
	OI		ჲუ- — -ზ', -ხ		ჲუ- — -ხ		ჲუ- — -ხ		ჲუ-	Ø- — -ხ
	Oe		ნ- — -ზ', -ხ		ნ- — -ხ		ნ-ჳ- — -ხ		ნ-	Ø- — -ხ
	2		ƒ- — -ზ', -ხ		ƒ- — -ხ		ƒ-ჳ- — -ხ		ƒ-	Ø- — -ხ
	3		ხ- — -ზ', -ხ		Ø- — -ხ		Ø- — -ხ		ხ-/ºს-	Ø- — -ხ

§ 5. **პირის ნიშნებისა და ზმნისწინების ურთიერთმიმართება.** პირთა პრეფიქსული მორფემებისათვის **ზმნისწინიან** და **უზმნისწინო** ფორმებში სხვადასხვაგვარი ფონოლოგიური პოზიცია იქმნება. ზმნისწინიან ფორმებში ეს მორფემები ხმოვნის ან თანხმოვნის მომდევნოდ არიან წარმოდგენილი, უზმნისწინო ფორმებში კი — პაუზის მომდევნოდ. აქედან გამომდინარე პირის მორფემათა უმეტესობა ამ ორ სხვადასხვაგვარ პოზიციაში სხვადასხვა ალომორფებით არის რეალიზებული. ამასთანავე, უზმნისწინო ფორმებშიც პირის ნიშანთა უმეტესობა სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი იმის მიხედვით, თუ როგორ ფონოლოგიურ პოზიციაში არიან ისინი მოქცეული. ამის გათვალისწინებით დადგენილია შემდეგი წესი: **„უზმნისწინო ფორმებში** (ე. ი. **პაუზის მომდევნოდ) პირისა და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია"** (ონიანი 1998, 114-115). ამ წესის მოქმედებით განისაზღვრება სწორედ პირის ნიშანთა გარკვეული სახის ცვლილებები. თუმცა ეს ცვლილებები, წესის შესაბამისად, მხოლოდ თანხმოვნების წინა პოზიციაში ხორციელდება (რადგანაც პირის ნიშნებისა და ხმოვნების მიმდევრობას შეზღუდვა არ ახლავს). ამ წესის მოქმედების შედეგები თანხმოვნების წინ თანამედროვე სვანურში შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1) **Si /ხუ-/ > /-უ-/** (თანხმოვნების წინ პრეფიქსის გამარტივება და ინფიქსად ქცევა), 2) **ხ- > Ø** (თანხმოვნების წინ პრეფიქსის დაკარგვა), 3)პირის ნიშანთა დიდ ნაწილში (**O1**, **O2**, **Oi**, **Oe**, **Si**,) **C** ან **CC** სტრუქტურის პირის ნიშანთა **CV** სტრუქტურისად ქცევა (თანხმოვნების წინ პირის ნიშანში ხმოვანი ელემენტის გაჩენა). სწორედ ამ ცვლილებებით არის შეპირობებული უზმნისწინო ფორმებში პირის ნიშანთა სხვადასხვა ალომორფების გამოვლენა, ალომორფებისა, რომელთა ერთი ნაწილი ამის გამო ხმოვნების წინ არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე ნაწილი — თანხმოვნების წინ (იქვე, 115).

პირველი სუბიექტური პირის მორფემის (**S1**-ის) ალომორფთა განაწილება უზმნისწინო ფორმებში, ერთი მხრივ, როგორც უკვე ითქვა, იმაზეა დამოკიდებული, ხმოვნით იწყება ზმნის ფუძე, თუ — თანხმოვნით, ხოლო, მეორე მხრივ, იმაზე, ბაგისმიერია ეს ხმოვანი, თუ — არაბაგისმიერი.

თავკიდურხმოვნიან ზმნებში (ე. ი. პოზიციაში **#—V**) **S1** მორფემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილია **ხ** ელემენტიანი პრეფიქსით, კერძოდ კი **ხუ-** ან **ხ-** ალომორფებით. **ხუ-** დასტურდება არაბაგისმიერი ხმოვნების წინ, მაგ., **ხუ-**ა̈რი „ვარ", **ხუ-**ა̈სყი „ვაკეთებ", **ხუ-**აჳნი (ლნტ. **ხუ-**აჳ̈ნი) „ვხნავ". **ხუ-**იში „ვიწვავ, ვიწვი", **ხუ-**ეში „ვეწვები", **ხუ-**აშუე „ვანთებ", **ხუ-**იშუე „ვინთებ" და ა. შ., ხოლო **ხ-** ალომორფი კი **S1** მორფემის წარმომადგენლად მხოლოდ ბაგისმიერი ხმოვნების წინ დასტურდება, მაგ., **ხ-**ოსყი „ვუკეთებ", **ხ-**ოჳნი „ვუხნავ", **ხ-**ოტხე „ვუბრუნებ", **ხ-**ომა̈რე „ვუმზადებ"; ლენტეხურში **ხუ- + ო > ხუ-**: ხუსყი /**ხუ-**ოსყი/, ხუჳნი /**ხუ-**ოჳნი/ [შდრ. **ხ-**ოსყი „უკეთებ", **ხ-**ოჳნი „უხნავ" და ა. შ. (თოფურია 1967, 11)].

საინტერესო მოვლენა დასტურდება ლენტეხურ დიალექტშივე, კერძოდ, **გ** ხმოვნის წინ **S1 მ-** ალომორფით არის გამოხატული, მაგ.: **მ-**გთრე „ვსვამ", **მ-**გრდი „ვზრდი", **მ-**გგემ „ვაგებ", **მ-**გრმი „ვიჭერ", **მ-**გლწი „ვწუბავ"... ჷ'ა-**მ-**გრდ „აღვზარდე, გავზარდე", ლა-**მ-**გშ „დავლიე", ჩუა-**მ-**გგ „ავაგე"... გარდა ამისა, **მ-** პრეფიქსია წარმოდგენილი კიდევ ერთ ზმნაში (მხოლოდ ნამყო ძირითადასა და II კავშირებითში): ჷ'ა-**მ-**გი „ავდექი", ჷ'ა-**მ-**გენ „ავდგე". სპეციალისტთა აზრით, **მ-** რომ აქ **S1** მორფემის კუთვნილებაა და არა **O1**-ისა, ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ II პირის ფორმაში მას **S2 ხ-** ენაცვლება და არა — **O2 ჯ-**: **ხ-**გთრე „სვამ", **ხ-**გრდი „ზრდი", **ხ-**გგემ „აგებ" ... თანაც არც ერთ სხვა დიალექტში ასეთ რამეს ადგილი არა აქვს (თოფურია 1967, 7-8; მაჭავარიანი 1953, 9; ონიანი 1998, 116).

სხვაგვარი ვითარებაა **თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში**, სადაც **S1** მორფემა წარმოდგენილია **/-უ-/** ინფიქსით ან **Ø**-ით. **/-უ-/ S1** მორფემად იმ შემთხვევაში დასტურდება, როდესაც ფუძის პირველი ხმოვანი, რომელსაც ეს ინფიქსი უძღვის წინ, არის **ი** ან **ე** ხმოვნები; მაგ., დ-**უ**-იგე „ვაქრობ", ტ-**უ**-იხე

„ვაბრუნებ", **გ-უეჭნი** „ვძლებ" ... Ø მორფემა კი მაშინ, როდესაც ამგვარ ზმნათა ძირეული მორფემის ხმოვანი არის **უ**, **უ** ან ძირეული ხმოვნის წინამავალი თანხმოვანი არის **უ**, მაგ., **სგურ** „ვზივარ", **ტული** (ბქ., ლნტ. **ტული**) „ვიძახი", **ყული** (ბქ., ლნტ. **ყული**) „ვყვირი", **კუშე** „ვტეხ" და სხვ. გარდა ამისა, როდესაც ძირეული მორფემის ხმოვანი არის **გ**, მაშინ **S1 -უ- + გ > უ**, მაგ., **ღური** (<ღ-უ-გრი) „მივდივარ, წავალ", **ჰუდე** (<ჰ-უ-გდე) „მოვიტან", **ყულე** (<ყ-უ-გლე) „ვამბობ" (თოფურია 1967, 4, 11; ონიანი 1998, 116).

რაც შეეხება ლაშხურ დიალექტს, იქ გვაქვს შედარებით განსხვავებული ვითარება, კერძოდ, თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში აქ **S1 -უ-** მხოლოდ და მხოლოდ ოთხ ზმნასთან დასტურდება, ესენია: **ღური** /ღ-უ-გრი/, **ჰუდე** /ჰ-უ-გდე/, **ყული** /ყ-უ-გლე/, **ჰუედნი**. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ყველა სხვა შემთხვევაში ამგვარ ზმნებში **S1** მორფემა Ø ალომორფით არის წარმოდგენილი, რასაც ადასტურებს შემდეგი მაგალითები: **გეჭნი** „ვძლებ", **სედნი** „ვრჩები", **გებნი** „ვისვრები", **დგგე** „ვაქრობ", **ცურე** „ვტოვებ" და მრავალი სხვა (თოფურია 1967, 116). ვფიქრობთ, მეორეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, აქაც ამოსავალი -უ- უნდა იყოს (გ-უ-ეჭნი, ს-უ-ედნი, გ-უ-ებნი, დ-უ-იგე, ც-უ-ურე), რომელიც, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაიკარგა.

მეორე სუბიექტური პირის მორფემის (**S2**-ის) ალომორფთა განაწილება უზმნისწინო ფორმებში იმაზეა დამოკიდებული, ხმოვნით იწყება ზმნის ფუძე, თუ — თანხმოვნით: თავკიდურხმოვნიან ზმნებში **S2** მორფემა ყოველთვის **ხ-** ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., **ხ-ჯრი** „ხარ", **ხ-ჯსყი** „აკეთებ", **ხ-აჳნი** „ხნავ", **ხ-იშხი** „იწვავ, იწვი", **ხ-ეშხი** „ეწვები", **ხ-ოსყი** „უკეთებ" ... ხოლო თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში — ყოველთვის Ø-ით, მაგ., **ჴედნი** „მოდიხარ", **ტიხე** „აბრუნებ", **დიგე** „აქრობ", **გეჭნი** „ძლებ", **სგურ** „ზიხარ" ... (ონიანი 1998, 118).

მესამე სუბიექტური პირის მორფემის (**S3**-ის) პრეფიქსული წარმომადგენლები ან მხოლოდ ზმნისწინიან ფორმებში დასტურდება, ან — მხოლოდ უზმნისწინოში. ე. ი. **S3** მორფემის ალომორფთა განაწილება ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა მონაცვლეობაზე არ არის დამოკიდებული (იქვე).

ობიექტურ პრეფიქსებში ფორმანტების მხრივ ისეთი სხვადასხვაობა არ დასტურდება, როგორც სუბიექტურებში.

პაუზის მომდევნოდ ობიექტურ პირთა მორფემები სხვადასხვა ალომორფებით არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ, ხმოვნების, ხოლო, მეორე მხრივ, თანხმოვნების წინ. აქ საუბარია პირდაპირობიექტურ პირის ნიშნებზე, რამდენადაც მხოლოდ ისინი დასტურდებიან როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების წინ; ირიბობიექტური პირის ნიშნები კი მუდამ ხმოვნების (ქცევის ან გვარის ნიშნების) წინ არიან წარმოდგენილი (იქვე).

პირველი პირდაპირობიექტური პირი ხმოვნების წინ (ე. ი. თავკიდურხმოვნიან ზმნებში) ყოველთვის **მ-** ალომორფით გამოიხატება, ხოლო თანხმოვნების წინ (ე. ი. თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში) — მუდამ **მგ-თი**, რომელსაც ლაბიალური ელემენტის შემცველ ფუძესთან, ჩვეულებრივ, **მუ-** ენაცვლება, მაგ., **მ-ამარე** (ბქ., ლნტ. **მ-ამარე**) „მამზადებს", **მ-ახტაჳი** (ლშხ. **მ-ახტაჳი**) „მხატავს", **მ-ადგაჳი** (ლშხ. **მ-ადგარი**) „მკლავს"; **მგ-ტხე** „მაბრუნებს", **მუ-ცურე** „მტოვებს", **მუ-ფშუდე** „მიშვებს" და სხვა.

რაც შეეხება **პირველ ირიბობიექტურ პირს** იგი მუდამ **მ-თი** გამოიხატება, რამდენადაც უზმნისწინო ფორმებში ის ყოველთვის ხმოვნების (ქცევის ან გვარის ნიშნების) წინ არის მოქცეული, მაგ., **მ-ათური** „მასწავლის", **მ-აჰუდი** (ლშხ. **მ-აუდი**, ლნტ. **მ-აუედი**) „მაძლევს", **მ-იხტაჳი** „მიხატავს", **მ-ეხტაჳი** „მეხატება" და ა. შ.

მეორე ობიექტური პირი ჴ- და **ჴგ-** ალომორფებით გამოიხატება. ამ ალომორფების განაწილების წესები მთლიანად ემთხვევა **O1** მორფემის **მ-** და **მგ-** ალომორფთა განაწილების წესებს (იქვე).

მეორე პირდაპირობიექტური პირი ხმოვნების წინ (ე. ი. თავკიდურხმოვნიან ზმნებში) ყოველთვის ჯ- ალომორფით გამოიხატება, ხოლო თანხმოვნების წინ (ე. ი. თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში) — ყოველთვის ჯგ-თი, რომელსაც ლაბიალური ელემენტის შემცველ ფუძესთან ჯუ-ენაცვლება, მაგ. ჯ-ამარე (ბქ., ლნტ. ჯ-ამარე) „გამზადებს“, ჯ-ახტაუი (ლშხ. ჯ-ახტაუი) „გხატავს“, ჯ-ადგარი (ლშხ. ჯ-ადგარი) „გკლავს“; ჯგ-ტხე „გაბრუნებს“, ჯუ-ცურე „გტოვებს“, ჯუ-ფშუდე „გიშვებს“ და ა. შ.

მეორე ირიბობიექტური პირი ყოველთვის ჯ- პრეფიქსით გამოიხატება (ჯგ- ვარიანტი ამ ფუნქციით არ არსებობს), რადგანაც უზმნისწინო ფორმებში ის ყოველთვის ხმოვნების წინ არის მოქცეული, მაგ., ჯ-ათური „გასწავლის“, ჯ-აჰუდი „გაძლევს“, ჯ-იხტაუი „გიხატავს“, ჯ-ეხტაუი „გეხატება“, ჯ-აყა „გყავს“ და სხვ.

მესამე ობიექტური პირი სეგმენტური მორფოლოგიური ერთეულით (ხ- პრეფიქსით) მხოლოდ იმ შემთხვევაში აღინიშნება, თუ ის ირიბი ობიექტია, III პირდაპირობიექტური პირის აღმნიშვნელად კი ასეთი ერთეული არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება. III **პირდაპირობიექტური პირი**, მაშასადამე, ოპოზიციის არამარკირებული წევრია: ამარე „ამზადებს“, ახტაუი „ხატავს“, ადგარი „კლავს“, ტიხე „აბრუნებს“, ახზაუი „ხაზავს“, ადარი „წერს“ და ა. შ. **მესამე ირიბობიექტური პირი** კი უზმნისწინო ფორმებში ყოველთვის ხ- პრეფიქსით აღინიშნება (ვინაიდან ის ყოველთვის ხმოვნის წინ არის მოქცეული), მაგ., ხ-ათური „ასწავლის“, ხ-აჰუდი „აძლევს“, ხ-ოხტაუი „უხატავს“, ხ-ოხზაუი „უხაზავს“, ხ-ეხტაუი „ეხატება“, ხ-აყა „ჰყავს“ და ა. შ (თოფურია 1967, 15).

ობიექტური პირის ნიშანთა განაწილების სქემა



§ 6. **უზმნისწინო ფორმათა უღლების ნიმუშები**. ზმნათა უღლების პარადიგმებში (უზმნისწინოშიცა და ზმნისწინიანშიც), როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, გამოიყოფა წყობის ორი სახე: **სუბიექტური** და **ობიექტური**. სუბიექტურია წყობა, როდესაც პარადიგმაში სუბიექტური პირები და მათი ნიშნები იცვლება რომელობის მიხედვით; ობიექტური კი არის წყობა, როდესაც იცვლება არა სუბიექტური, არამედ ობიექტური პირები და მათი ნიშნები. ობიექტურ წყობაში, თავის მხრივ, შეიძლება გამოიყოს წყობის ორი ქვესახე: **პირდაპირობიექტური** და **ირიბობიექტური**. პირველ შემთხვევაში პირდაპირობიექტური პირები და მათი ნიშნები იცვლება, ხოლო მეორეში — ირიბობიექტური პირები და მათი ნიშნები.

იმის მიხედვით, თუ რა სახით არის წარმოდგენილი ცალკეული პირის ნიშნები და მათი ვარიანტები, უზმნისწინო ფორმებში შესაძლოა გამოიყოს უღლების პარადიგმის რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული მოდელი. ამ მოდელთა წარმოქმნა კი, როგორც უკვე ითქვა, შემდეგი გარემოებებით არის შეპირობებული: 1) სუბიექტური წყობისაა პარადიგმა, თუ — ობიექტური, 2) პირდაპირობიექტური წყობისაა ობიექტური წყობის პარადიგმა, თუ — ირიბობიექტური, 3) შეიცავს თუ არა ზმნის ფორმა ირიბობიექტურ პირს, 4) თავკიდურხმოვნიანია ზმნა, თუ — თავკიდურთანხმოვნიანი, 5) შეიცავს თუ არა ზმნის ფუძე ლაბიალურ ელემენტს (ონიანი 1998,120).

1. **სუბიექტური წყობა**. ამ წყობის შიგნით შეიძლება გამოიყოს ორი მოდელი (I მოდელი, II მოდელი). I მოდელის მიხედვით იუღლის უირიბობიექტო (ორპირიანი გარდამავალი და ერთპირიანი) ზმნები, ხოლო II მოდელის მიხედვით კი — ირიბობიექტიანი (ორპირიანი გარდაუვალი და სამპირიანი) ზმნები.

I **მოდელი**. ამ მოდელის შიგნით შეიძლება გამოიყოს სამი ქვესახე (I_1 მოდელი, I_2 მოდელი, I_3 მოდელი). I_1 მოდელს შეადგენს ყველა თავკიდურხმოვნიანი ზმნა, I_2 მოდელს — ყველა ისეთი თავკიდურთანხმოვნიანი ზმნა, რომლის ფუძეშიც ლაბიალური ელემენტი არ მოიპოვება, I_3 მოდელს კი — ყველა ისეთი თავკიდურთანხმოვნიანი ზმნა, რომლის ფუძე ლაბიალურ ელემენტს შეიცავს. I მოდელის ნებისმიერი პარადიგმისათვის სავალდებულოა III პირის ფორმაში **0**$_3$-ის ნიშნის უქონლობა (რადგანაც აქ ყველა ზმნა უირიბობიექტოა).

I_1 მოდელის ნიმუშები:

ხუ-აჯნი „ვხნავ“	ხუ-იქუემ „ვიცვამ“	ხუ-იშხი „ვიწვები“
ხ-აჯნი „ხნავ“	ხ-იქუემ „იცვამ“	ხ-იშხი „იწვები“
აჯნი „ხნავს“	იქუემ „იცვამს“	იშხი „იწვება“
ხუ-ატბიდე „ვათბობ“	ხუ-ამპრე „ვამზადებ“	ხუ-არი „ვარ“
ხ-ატბიდე „ათბობ“	ხ-ამპრე „ამზადებ“	ხ-არი „ხარ“
ატბიდე „ათბობს“	ამპრე „ამზადებს“	არი „არის“
ხუ-ი „ვარ“	ხუგ /ხუ-გგ/ „ვდგავარ“	
ხ-ი „ხარ“	ხ-გგ „დგახარ“	
ლ-ი „არის“	ლ-გგ „დგას“	

მაშასადამე, ამ მოდელისათვის დამახასიათებელია S_1 ხუ-, S_2 ხ-და S_3 ლ- ან Ø და ამავე დროს **0**$_3$-ის ნიშნის უქონლობა.

I2 მოდელის ნიმუშები:

დ-უ-იგე „ვაქრობ“	ჯ-უ-ედნი „მოვდივარ“	ღური „წავალ“
დიგე „აქრობ“	ჯედნი „მოდიხარ“	ღგრი „წახვალ“
დიგე „აქრობს“	ჯედნი „მოდის“	ღგრი „წავა“

ამ მოდელისათვის კი დამახასიათებელია **S1** -უ-, **S2** Ø და **S3** Ø. ე. ი. II და III პირის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა.

I3 მოდელის ნიმუშები:

სგურ „ვზივარ“	ტუ̄ლი „ვიძახი“	კუ̄იშე „ვტეხ“
სგურ „ზიხარ“	ტუ̄ლი „იძახი“	კუ̄იშე „ტეხ“
სგურ „ზის“	ტუ̄ლი „იძახის“	კუ̄იშე „ტეხს“

გამოდის, რომ სამივე პირის ფორმა ერთმანეთს ემთხვევა, პირის მორფემის სეგმენტური წარმომადგენელი კი არც ერთ მათგანში არ არის წარმოდგენილი (სგურ, ტუ̄ლი, კუ̄იშე ... ტიპის ფორმათა შესახებ დაწვრილებითი მიმოხილვა წარმოდგენილია ნაშრომის მე-3 თავში).

II მოდელი. გამოყოფენ ამ მოდელის ორ ქვესახეს (II1, II2). ორივე მათგანი ირიბობიექტიანია. II1 მოდელს შეადგენს ისეთი თავკიდურხმოვნიანი ზმნები, სადაც პირის ნიშანთა მომდევნო ხმოვანი არ არის **ო**, II2 მოდელს კი ისეთი ზმნები, რომლებიც ამ **ო**-ს (სასხვისო ქცევის ნიშანს) შეიცავენ. II მოდელისათვის სავალდებულოა III პირის ფორმაში **03 ხ**-ს არსებობა.

II1 მოდელის ნიმუშები:

ხუ-ათური „ვასწავლი“	ხუ-აჭუემ „ვაცმევ“	ხუ-ეშგო „ვსთხოვ“
ხ-ათური „ასწავლი“	ხ-აჭუემ „აცმევ“	ხ-ეშგო „სთხოვ“
ხ-ათური „ასწავლის“	ხ-აჭუემ „აცმევს“	ხ-ეშგო „სთხოვს“

ამ მოდელისათვის, როგორც ვხედავთ, დამახასიათებელია **S1 ხუ**-, **S2 ხ**- და III პირის ფორმაში **03 ხ**-.

II2 მოდელის ნიმუშები:

ხ-ოხტაშური „ვუხატავ“	ხ-ოგემ „ვუდგამ“	ხ-რშუე „ვუნთებ“
ხ-ოხტაშური „უხატავ“	ხ-ოგემ „უდგამ“	ხ-რშუე „უნთებ“
ხ-ოხტაშური „უხატავს“	ხ-ოგემ „უდგამს“	ხ-რშუე „უნთებს“[1]

პარადიგმის სამივე წევრი აქ ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა. I პირის ფორმაში წარმოდგენილია **S1 ხ**-, მეორე პირისაში — **S2 ხ**-, ხოლო მესამეში — **03 ხ**-.

[1] აქ წარმოდგენილ მაგალითებში I პირის ნიშნის ხ- პრეფიქსის პარალელურად ბალსქვემოური დიალექტში ხუ- პრეფიქსიც დასტურდება, მაგ.: ხუ-ოხტაშური მი ბეფშუს ღუაშს „ვუხატავ მე ბავშვს ჯიხვს“, ხუ-ოგემ მი მეზობელს ქორს „ვუშენებ („ვუდგამ“) მე მეზობელს სახლს“, ხუ-რშუე მი დადას ლემესგს „ვუნთებ მე ბებიას ცეცხლს“...

2. **ობიექტური წყობა**. აქ შეიძლება გამოიყოს ორი მოდელი (III მოდელი, IV მოდელი). III მოდელს განეკუთვნება უირიბობიექტო, IV-ს — ყველა თავკიდურთანხმოვნიანი ზმნები.

III მოდელი. გამოყოფენ ამ მოდელის ორ ქვესახეს (III1 და III2). III1 მოდელს შეადგენს ყველა თავკიდურხმოვნიანი, ხოლო III2-ს — ყველა თავკიდურთანხმოვნიანი ზმნა.

III1 მოდელის ნიმუშები:

მ-ახტაუ „მხატავს“	მ-ამარე „მამზადებს“
ჯ-ახტაუ „გხატავს“	ჯ-ამარე „გამზადებს“
ახტაუ „ხატავს“	ამარე „ამზადებს“

ამ მოდელისათვის, როგორც ვხედავთ, დამახასიათებელია O1 მ-, O2 ჯ- და III პირის ფორმაში პირის ნიშნის უქონლობა.

III2 მოდელის ნიმუშები:

მგ-ტხე „მაბრუნებს“	მგ-ცურე‖მუ-ცურე „მტოვებს“
ჯგ-ტხე „გაბრუნებს“	ჯგ-ცურე‖ჯუ-ცურე „გტოვებს“
ტგხე „აბრუნებს“	ცურე „ტოვებს“

O1-ის ნიშანი აქ არის მგ-, O2-ისა — ჯგ- (უ ელემენტის შემცველ ფუძესთან მათ, ჩვეულებრივ, მუ-, ჯუ- ვარიანტები ენაცვლება), III პირის ფორმა ყოველთვის პირის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი.

IV მოდელის ნიმუშები:

მ-იხტაუ „მიხატავს“	მ-ათური „მასწავლის“	მ-იხალ „ვიცი“
ჯ-იხტაუ „გიხატავს“	ჯ-ათური „გასწავლის“	ჯ-იხალ „იცი“
ხ-ოხტაუ „უხატავს“	ხ-ათური „ასწავლის“	ხ-ოხალ „იცის“
მ-ალატ „მიყვარს“	მ-აყა „მყავს“	მ-აგდი „მძინავს“
ჯ-ალატ „გიყვარს“	ჯ-აყა „გყავს“	ჯ-აგდი „გძინავს“
ხ-ალატ „უყვარს“	ხ-აყა „ჰყავს“	ხ-აგდი „სძინავს“

O1-ის ნიშანი აქ ყოველთვის არის მ-, O2-ისა — ჯ-, ხოლო O3-ისა — ხ- (ონიანი 1998, 120-122).

პირის მორფემათა ალომორფების განაწილების ამ წესებს უზმნისწინო ფორმებში, პროფ. ალ. ონიანის ვარაუდით, გამონაკლისი არა აქვს. რაც შეეხება ზმნისწინიან ფორმებს, იქ ვითარება განსხვავებულია. საენათმეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია ორი ძირითადი განსხვავება: 1) ხმოვნების წინ S1 ხუ-, ხ-, S2 ხ- და O3 ხ- არ დასტურდება, სამივე მორფემა ნულოვანი ალომორფით (ან S1 უ-თი) არის წარმოდგენილი (იხ. ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, 1978, 78-80); 2) თანხმოვნების წინ O1 მ-სა და O2 ჯგ-ს, მ-, ჯ- ვარიანტები ენაცვლება. ეს განსხვავებები კი გარკვეული სახის ზმნისწინთა დართვით არის შეპირობებული (იქვე, 123).

§ 7. **ზმნისწინებისა და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართება.** თანამედროვე სვანურში, როგორც ცნობილია, არსებობს ზმნისწინთა ორი სხვადასხვა რიგი სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციით. პირველ მათგანში ერთიანდება **ლა-, ან-, ად-, ეს-,** ხოლო მეორეში — **ჟი, ჩუ, სგა, ქა** ზმნისწინები. ცნობილია ისიც, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილებაზე მხოლოდ პირველი რიგის ზმნისწინები ახდენენ გავლენას, რომელთა ძირითადი ფორმები (**ლა-, ან-, ად-, ეს-**) ყველა დიალექტში თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი, ერთადერთ გამონაკლისად ითვლება **ეს-** ზმნისწინი, რომლის ლენტეხური (ზოგ კილოკავში, აგრეთვე, ჩოლურული) ვარიანტი არის არა **ეს-**, არამედ **ას-** (თოფურია 1967, 52-70; ონიანი 1998, 123).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ამ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების რამდენიმე ზოგადი წესი, რომელთაგანაც პირველი ორი წესი ზმნისწინთა ხმოვან ელემენტებს შეეხება, დანარჩენი კი თანხმოვან ელემენტთა ნაირსახეობას, ან მათ ქონება-უქონლობას (ონიანი 1998, 123).

I წესი. ზმნისწინთა **ა** ელემენტის ნაცვლად წარმოდგენილია **ე** (ლაშხურში და ზოგჯერ ბალსქვემოურშიც; **განსაკუთრებით ცხუმარულ კილო-კავში**), **ჲ** (დანარჩენ დიალექტებში). ეს წესი შეეხება **ლა-, ან-, ად-** ზმნისწინებს ყველა დიალექტში და **ას-** ზმნისწინს ლენტეხურში. სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი საანალიზო მასალის მიხედვით, ასეთია ვითარება:

ა) სათავისო ქცევის ფორმაში, ე. ი. თუ ზმნა შეიცავს სათავისო ქცევის მორფემას, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ალომორფი იქნება **ი-, ი-** თუ **Ø**, მაგ., **ჲ-ხ-ი-სყ** „გაიკეთე“, **ლჲ-ხ-ი-ბ** (ბზ. **ლჲ-ხ-ი-ბ**, ცხუმ. **ლე-ხ-ი-ბ**) „შეიბი“, **ჲთ-ი-ბ** (ცხუმ. **ეთ-ი-ბ**) „შეიბი“, **ლჲ-ჲ-ქუ-ე** (ცხუმ. **ლე-ჲ-ქუ-ე**) „ჩაიცვა“, **ჲნ-სყ-ე** (ცხუმ. **ენ-სყ-ე**) „გაიკეთა“, **ჲთ-გემ** „აიშენებ“, **ჲდ-გემ** „აიშენებს“; ლშხ. **ე-ხ-ი-სყ, ლე-ხ-ი-ბ, ეთ-იბ, ლე-ჲ-ქუ-ე, ე-ხ-ი-შუ** „აინთე“, **ენ-ი-შუე** „აინთო“, **ეთ-ი-შუ** „დაინთე“, **ედ-ი-შუე** „დაინთო“ და სხვა (შანიძე 1957, 337; თოფურია 1967, 56-57).

ბ) სასხვისო ქცევის ფორმაში, თუ ის შეიცავს სასხვისო ქცევის მორფემის **ი-, ი-** ალომორფებს, ან **ი-**ს რედუქციის საფუძველზე მიღებულ ნულოვან ალომორფს, მაგ., **ჲ-მ-ი-ჳ(დ)** „მომიტანე“, **ჲ-ჯ-ი-ჳ(დ)** „მოგიტანე“, **ჲ-მ-ი-სყ** „გამიკეთე“, **ჲ-ჯ-ი-სყ** „გაგიკეთე“, **ჲ-მ-ჳიდ** „მომიტანა“, **ჲ-ჯ-ჳიდ** „მოგიტანა“; ლშხ. **ე-ჯ-ჳიდ, ე-მ-ი-შუ** „ამინთე“, **ლე-მ-ი-თე** „გამინაწილა“, **ლე-ჯ-ი-თე** „გაგინაწილა“ და სხვა (ონიანი 1998, 124).

გ) პრეფიქსიანი ვნებითის ფორმაში, ე. ი. თუ ზმნა შეიცავს ვნებითი გვარის მორფემის **ი-, ი-, ე-, ე-** ალომორფებს, ან **ი-**სა და **ე-**ს რედუქციის საფუძველზე მიღებულ ნულოვან ალომორფს, მაგ., **ჲთ-შიხ-ი** „დაიწვები“, **ჲდ-შიხ-ი** „დაიწვება“, **ჲთ-ყაჩ** „თავი დაანება“, **ლჲ-ხ-ტახ** „მიუბრუნდა“, **ლჲ-ხ-შად** „მიეშველა, შეეწია“; ლშხ. **ეთ-შიხ-ი, ედ-შიხ-ი, ეთ-ყაჩ, ლე-ხ-ტახ, ლე-ხ-შად, ეთ-ი-ტუენ** „გაიქეცი“[1], **ედ-ი-ტუჱნ** „გაიქცა“, **ე-ხ-ი-ტუენ** „გამოიქეცი“; ბზ. **ჲთ-ი-ტუჱნ, ჲდ-ი-ტუჱნ, ჲ-ხ-ი-ტუჱნ** (შანიძე 1957, 345-346).

ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული ზმნისწინებისა (**ლა-, ან-, ად-**) და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართების შესახებ ჩოლურულთან დაკავშირებით აქამდე არაფერი არ იყო ნათქვამი, აქედან გამომდინარე აუცილებლად მივიჩნიეთ საკითხის საგანგებოდ შესწავლა. ჩვენი დაკვირვებით, ჩოლურულში ამ მხრივ ასეთი ვითარებაა:

ა) სათავისო ქცევის ფორმაში ზმნისწინთა **ა** ელემენტის ნაცვლად უმეტესად წარმოდგენილია **ე**, მაგ.: **ე-ხ-ი-სყ** „გაიკეთე“, **ეთ-იბ** „შეიბი“, **ლე-ჲ-ქუე** „ჩაიცვა“, **ენ-სყ-ე** „გაიკეთა“, **ეთ-გემ||ედ-გემ** „აიშენებ“, **ენ-ი-შუე** „აინთო“, **ეთ-ი-შუ** „დაინთე“, **ენ-ი-შუე** „აინთო“, **ლე-ხიცუ** „მოიკიდე“, **ლე-ჲ-ცუე** „მოიკიდა“, თუმცა ი შვიათად, მაგრამ მაინც **ა**-იანი ფორმებიც გვხვდება (შდრ. **ათ-გემ||ად-გემ** „აიშენებ“ და ა. შ.).

ბ) სასხვისო ქცევის ფორმებში კი ძირითადად **ე** გვაქვს, მაგ.: **ე-მ-იჳ** „მომიტანე“, **ე-ჯ-იჳ** „მოგიტანე“, **ე-მ-ისყ** „გამიკეთე“, **ე-ჯ-ისყ** „გაგიკეთე“, **ე-მ-ჳიდ** „მომიტანა“, **ე-ჯ-ჳიდ** „მოგიტანა“, **ე-მ-ი-შუ** „ამინთე“, **ლე-მ-ი-თე** „გამინაწილა“, **ლე-ჯ-ი-თე** „გაგინაწილა“ და სხვ.

[1] იგივე ვითარებაა ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავშიც.

გ) რაც შეეხება პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებს, იქ აღნიშნული ელემენტი ასევე ე-ს სახით წარმოგვიდგება, მაგ.: ეთ-შიხ-ი „დაიწვები“, ედ-შიხ-ი „დაიწვება“, ედ-ყაჩ „თავი დაანება“, ლე-ხ-ტახ „მიუბრუნდა“, ლე-ხ-შად „მიეშველა, შეეწია“, ეთ-ი-ტუენ „გაიქეცი“, ედ-ი-ტუან „გაიქცა“, ე-ხ-ი-ტუენ „გამოიქეცი“ და ა. შ.

როგორც საანალიზო მასალიდან გამოჩნდა, ჩოლურულში თითქმის ლაშხურ-ბალსქვემოურისებური ვითარება ვლინდება, რაღა თქმა უნდა, ნიუანსური სხვაობები აქაც შეიმჩნევა, რაც გასაკვირი არც არის, რადგანაც სხვაობას თვით ერთი დიალექტის ფარგლებშიც აქვს ხოლმე ადგილი.

სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ბალსზემოურში არასინკოპირებული ე- (ასევე ē-) არ იწვევს ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტის ცვლილებას ა > ă (იქვე, 342-343). შდრ., ერთი მხრივ, ბზ. ăთ-ე-ყჩ „თავი დაანებე“, ლა-ხ-ე-ტახ „მიუბრუნდი“, ლă-ხ-ე-შდ „მიეშველე, შეეწიე“ და, მეორე მხრივ, ბქ., ლნტ. ăთ-ე-ყჩ, ლă-ხ-ე-ტახ, ლă-ხ-ე-შდ და ლშხ. ეთ-ე-ყჩ, ლე-ხ-ე-ტახ, ლე-ხ-ე-შდ (ონიანი 1998, 124). ლაშხურისებური ვითარება ვლინდება ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავშიც (შდრ. ცხუმ.: ეთ-ე-ყჩ, ლე-ხ-ე-ტახ, ლე-ხ-ე-შდ).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ლენტეხურში ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტის სხვა სახესხვაობა არ ვლინდება. რაც შეეხება დანარჩენ დიალექტებს, ამ დიალექტებისთვის ჩამოყალიბებულია კიდევ ერთი წესი:

II წესი. ოთხივე ზემოაღნიშნული ზმნისწინის ხმოვანი ელემენტები წარმოდგენილია ო-ს[1] სახით. ასეთია ვითარება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირველი სუბიექტური პირის ფორმაში (გარდა ინკლუზივის ფორმისა); ე. ი. იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნისწინს მოსდევს **S1** მორფემა, სულერთია, რომელი ალომორფია წარმოდგენილი — ნულოვანი ალომორფის ჩათვლით, მაგ., ო-ხუ-აგ „ავაგე, ავაშენე“, ლო-ხუ-აგ „მივადგი, მივაშენე“, ოთ-აგ „ავაშენე“, ოთ-ხატაუ „დავხატე“, ონ-ჯუ „მოვიტანე“, ონ-ჯ-უ-ედ „მოვედი“, ო-ჯაბ „თოვლი გავკვალე“, ოს-აგ „დავადგი, დავაშენე“ და ა. შ.

ბ) ისეთ ზმნურ ფორმებში, რომლებიც შეიცავენ გუ- პრეფიქსს (გ- ვარიანტითურთ) და რომლითაც აღინიშნება I ობიექტური პირი და მისი მრავლობითი რიცხვი (ზემოსვანურ დიალექტებში აგრეთვე — ინკლუზივი), მაგ., ლო-გუ-აბ „შეგვაბი“, ო-გუ-ხატუე „დაგვხატა“, ო-გუ-მარე „მოგვამზადა“, ო-გუ-რმე „დაგვიჭირა“; ლშხ. ო-გ-მარე, ო-გ-გრმე და სხვა.

გ) სასხვისო ქცევის ფორმაში, თუ ეს ფორმა შეიცავს სასხვისო ქცევის მორფემის ო-, ო ალომორფებს, ან ო-ს რედუქციის საფუძველზე მიღებულ ნულოვან ალომორფს, მაგ., ო-ხ-ო-ჯ(დ) „მოუტანე“, ოთ-ო-ჯ(დ) „მიუტანე“, ოთ-ჯიდ „მიუტანა“, ლშხ. ოს-გე „დაუდგა“, ო-ხ-რ-შუე „აუნთო“, ლო-ხ-რ-შუე „შეუნთო“, ოს-რ-გან „დაუდგა“ და ა. შ (ონიანი 1998, 125).

როგორც ვნახეთ, I და II წესთა ურთიერთმიმართების მიხედვით სვანური ენის დიალექტებში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის სხვაობას. როგორც აღნიშნულია, დასტურდება ზმნის ისეთი ფორმებიც, სადაც ერთდროულად ორივე წესის რეალიზაციის პირობა არსებობს (ასეთია, მაგ., სათავისო ქცევის, ან პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა I სუბიექტური პირის ფორმა). ასეთ ფორმებში ორიდან, ცხადია, მხოლოდ ერთი წესის რეალიზაციაა შესაძლებლად მიჩნეული: ან I წესისა, ე. ი. ა > ă (ე), ან II-ისა, ე. ი. ა (ე) > ო. ამ მხრივ ერთმანეთს უპირისპირდება დიალექტთა ორი ჯგუფი: ლაშხურსა და ბალსქვემოურში (ზოგი კილოკავის გამოკლებით) ასეთ შემთხვევაში II წესი ხორციელდება (ე. ი. ზმნისწინთა ა, ე > ო), ბალსზემოურსა და ბალსქვემოურის ზოგ კილოკავში (მაგ.,

[1] ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საუბარი გვქონდა სუბიექტური აფიქსების განხილვისას, ამიტომ აქ ამ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ (იხ. § 3.).

ლახამულურში) — I წესი (ე. ი. ზმნისწინთა ა > ა̈), მაგ., ლშხ. **ო-ხ-ყიდ** „ვიყიდე“, **ოთ-იგ** „ავიშენე“, **ლო-ხ-ჭოდ** „ვკითხე“, **ო-ხუ-იკ** „ავიღე“, ბქ. **ო-ხუ-ი-ყდ**, ოთ-იგ, **ლო-ხ-ჭედ**[1], **ო-ხუ-ი-კ**[2]; ბზ. **ა̈-ხუ-ი-ყდ**, **ა̈თ-უ-იგ**, **ლა̈-ხუ-ჭუედ**, **ა̈-ხუ-ი-კ** (თოფურია 1967, 13).

სპეციალურ ლიტერატურაში ბალსზემოური დიალექტისათვის კიდევ ერთი წესია ჩამოყალიბებული: **„აქ I წესი არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი პალატალურია** (წინა რიგისაა), ე. ი. **როდესაც ის ა̈-ს ან ე-ს სახით არის წარმოდგენილი**. ამის შედეგია, ერთი მხრივ, ის, რომ I წესთან კომბინაციაში II წესი არასდროს არ ხორციელდება, ე. ი. არ ხდება **ა > ო** (რადგანაც ა̈ პალატალურია), მეორე მხრივ კი ის, რომ **ე** ელემენტი (რომელიც აგრეთვე პალატალურია) არასდროს არ იძლევა **ო**-ს **ეს**- ზმნისწინში, მაგ., **ეს-უ-აბ** „დავაბი“, **ეს-უ-აგუშ** „დავასხი“, **ეს-ღ-უ-რი** „მივდივარ“... (შდრ. ლშხ. **ოს-აბ** „დავაბი“, **ოს-გოშ** „დავასხი“, **ოს-ღ-უ-რი** „მივდივარ“..., ბქ. **ოს-აბ**, **ოს-ღ-უ-რი**, **ოს-ჭერი** „მივყავარ“, **ოს-გუირ** „დავსვი“, **ოს-დე** „დაუდო“...)“ (ონიანი 1998, 125-126).

ისეთ ფორმებში, სადაც არ არსებობს I და II წესების რეალიზაციის პირობა, ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტები იმ სახითაა წარმოდგენილი, რა სახითაც ზემოაღნიშნულ ძირითად ვარიანტებში (**ლა-, ან-, ად-, ეს-**): **ა-ხ-ა̈-სყ** „გააკეთე“, **ან-სყე** „გააკეთა“, **ეს-გე** „დადგა“, **ათ-ა-კურ** „დააგდე“, **ლა-ხ-ა-ქუ** „ჩააცვი“, ლნტ. **ად-ა̈-ესნა** „წაიღებდა“, **ან-ჴედენი** „მოვა“, **ლა-ხ-ა-თონი** „ასწავლის“ და სხვა.

ზმნისწინები (აგრეთვე ერთი და იმავე ზმნისწინთა პოზიციური ვარიანტები) ერთმანეთისაგან, როგორც ცნობილია, განსხვავდებიან თანხმოვანი ელემენტებითაც. III წესი შეეხება სწორედ ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტების ქცევასა და მათ მიმართებას პირის მორფემებთან.

III წესი. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (**ზმნისწინი + სუბიექტური ან ობიექტური პირის მორფემა**) თანამედროვე სვანურში თანხმოვანთა თავმოყრა, როგორც წესი, აკრძალულია. ამის გამოა, რომ თუ ზმნისწინის თანხმოვან ელემენტს უშუალოდ მოსდევს პირის მორფემის თანხმოვანი, მაშინ ერთ-ერთი მათგანი ნულთან არის გათანაბრებული.

III წესის რეალიზაციის პირობა მხოლოდ **ან-, ად-, ეს-** ზმნისწინთა შემცველ ფორმებში იქმნება, რამდენადაც მეორე ელემენტი, რომელსაც უშუალოდ მოსდევს პირის ნიშნები, მხოლოდ ამ ზმნისწინებშია თანხმოვანი (განსხვავებით **ლა-** ზმნისწინისაგან, სადაც მეორე ელემენტი ხმოვანია და არა — თანხმოვანი). III წესი, ამდენად, მხოლოდ **ან-, ად-, ეს-** ზმნისწინიან ფორმებში მოქმედებს. აქაც ამ წესის რეალიზაცია სხვადასხვაგვარად ხდება იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელ პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობასთან გვაქვს საქმე. ამის გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია III წესის სამი სხვადასხვა ვარიანტი (**III1 წესი, III2 წესი, III3 წესი**) (იქვე, 126).

III1 წესი. პროფ. ვ. თოფურიას გამოკვლევის მიხედვით, თუ **ან-, ად-, ეს-** ზმნისწინთა მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილია **O1 მ- ~ მგ-, O2 ჯ- ~ ჯგ-, S1 ლ- ~ ლგ-, O1 გუ- ~ გუ-** ან **Oe ნ- ~ ნგ-**, მაშინ ნულთან მუდამ ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტია გათანაბრებული (თოფურია 1967, 54-55), მაგ.:

[1] შდრ. ცხუმარული **ლო-ხ-ჭუედ**.

[2] შდრ. ცხუმარული **ო-ხუ-ი-კდ**.

ან- ზმნისწინი

	ბზ.	ბქ.	ლნტ.	ლშხ.	
	ა-მ-ჴიდ	ა-მ-ჴიდ	ა-მ-ჴიდ	ა-მ-ჴიდ	„მომიყვანა“
	ა-ჯ-ჴიდ	ა-ჯ-ჴიდ	ა-ჯ-ჴიდ	ა-ჯ-ჴიდ	„მოგიყვანა“
	ა-ლ-ჴიდ-დ	ო-ლ-ჴიდ-დ	ა-ლ-ჴიდ-დ	ა-ლ-ჴიდ-დ	„მოვიყვანეთ“
	ო-გუ-ჴიდ	ო-გუ-ჴიდ	ა-გუ-ჴიდ	ო-გ-ჴიდ	„მოგვიყვანა“
	ა-ნ-ჴიდ	ა-ნ-ჴიდ	————	----------	„მოგვიყვანა“
შდრ.	ან-ჴიდ	ან-ჴიდ	ან-ჴიდ	ან-ჴიდ	„მოიყვანა“

ად- ზმნისწინი

	ბზ.	ბქ.	ლნტ.	ლშხ.	
	ა-მ-შიხ	ა-მ-შიხ	ა-მ-შიხ-ე	ე-მ-შიხ-ე	„დამიწვა“
	ა-ჯ-შიხ	ა-ჯ-შიხ	ა-ჯ-შიხ-ე	ე-ჯ-შიხ-ე	„დაგიწვა“
	ო-ლ-შიხ-დ	ო-ლ-შიხ-დ	ა-ლ-ო-შიხე-დ	ო-ლ-შიხე-დ	„დავუწვით“
	ა-გუ-შიხ	ო-გუ-შიხ	ა-გუ-შიხე	ო-გ-შიხე	„დაგვიწვა“
	ა-ნ-შიხ	ა-ნ-შიხ	----------	----------	„დაგვიწვა“
შდრ.	ოთ-შიხ	ოთ-შიხ	ათ-ო-შიხე	ოთ-შიხე	„დაუწვა“

ეს- ზმნისწინი

	ბზ.	ბქ.	ლნტ.	ლშხ.	
	ე-მ-ყა	ე-მ-ყა	ა-მ-ს-აყა	ე-მ-ყა	„მიმყავს“
	ე-ჯ-ყა	ე-ჯ-ყა	ა-ჯ-ს-აყა	ე-ჯ-ყა	„მიგყავს“
	ე-ლ-ყა-დ	ო-ლ-ყა-დ	ა-ლ-ს-აყა-დ	ო-ლ-ყა-დ	„მივყავართ“
	ე-გუ-ყა	ო-გუ-ყა	ა-გუ-ს-აყა	ო-გ-ყა	„მიგვყავს“
	ე-ნ-ყა	ე-ნ-ყა	----------	----------	„მიგვყავს“
შდრ.	ეს-ყა	ეს-ყა	ას-ყა	ოს-ყა	„მიჰყავს“

ლენტეხურში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, **ას-** ზმნისწინიან ფორმაში III_1 წესის რეალიზაცია ხდება არა ზმნისწინის **ს** ელემენტის ნულთან გათანაბრებით, არამედ ზმნისწინის წყვეტილ მორფემად ქცევის, ე. ი. **ს** ელემენტის პირის ნიშანთა მომდევნოდ გადანაცვლების გზით. ამით ლენტეხური, ცხადია, განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან (იქვე, 56).

III_2 **წესი**. როდესაც გვაქვს შემდეგი კომბინაცია — ზმნისწინები **ად-, ეს- + S_1 ხუ- ~ ხ-, S_2 ხ-, O_3 ხ-**, მაშინ III წესის რეალიზაციის საფუძველზე ნულთან გათანაბრებულია პირის ნიშნები (და არა ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტები). **ეს-** ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი კი ასეთ შემთხვევაში ყოველთვის **ს**-ს სახით არის წარმოდგენილი, **ად-** ზმნისწინისა კი — უგამონაკლისოდ **თ**-ს სახით[1], მაგ.,

[1] ახლად მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ **ად-** ზმნისწინის თანხმოვნითი ელემენტი ყოველთვის უგამონაკლისოდ **თ**-ს სახით ნამდვილად არ გვხვდება (იხ. § 3.).

ეს-ა̈გუშ (ლნტ. **ას-**ა̈გუშ, ლშხ. **ეს-**გოშ) „დაასხი“, **ეს-**გუშ (ლნტ. **ას-**გუშ, ლშხ. **ეს-**გოშე) „დაასხა“, ბქ. **ოს-**ა̈გუშ „დავასხი“, ლშხ. **ოს-**აბ „დავაბი“, **ეს-**აბ „დააბი“, **ოს-**გოშ „დავასხი“, **ეს-**გოშ „დაასხი“; **ოთ-**ეჳმ „წავყევი“, **ოთ-**აბ „მივაბი“, **ათ-**აბ „მიაბი“, **ათ-**ბე „მიაბა“ და ა. შ. (ონიანი 1998, 127-128), მაგრამ ბალსქვემოური: **ად-**ბე „მიაბა“, **ად-**რეკლე „გარეკა“, **ად-**ბუჯურე „გახლიჩა“, **ად-**ბელე „გაბერა“ და ა. შ.

თანამედროვე სვანურ დიალექტებში (გარდა ლაშხურისა) ამ წესს აქვს ორი გამონაკლისი: 1. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (**ზმნისწინი + პირის ნიშანი**) დასტურდება **თხ** თანმიმდევრობების რამდენიმე ნიმუში; **ოთ-ხუ-ა̈ჲ** (ლნტ. **ათ-ხუ-**ა̈) „წავიღე“, **ათ-ხ-ა̈ჲ** (ლნტ., ბქ. **ათ-ხ-**ა̈) „წაიღე“, ბზ. **ათ-ხ-ა̈დ** „თქვა“, ბქ. **ათ-ხ-გრმ** „დაიჭირე“ (თოფურია 1967, 17-20); 2. **ად-** და **ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის მომდევნო პოზიციაში გარკვეულ შემთხვევებში დასტურდება S1 **უ-**.

III3 წესი. კომბინაციაში — ზმნისწინი **ან- + S1 ხუ- ~ ხ-, S2 ხ-,** ან **03 ხ-**, როგორც ცნობილია, ყოველთვის ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტია ნულთან გათანაბრებული, მაგ., **ო-ხუ-ა̈სყ** (ლნტ. **ა-ხუ-ა̈სყ**, ლშხ. **ო-ხუ-ასყ**) „გავაკეთე“, **ა-ხ-ა̈სყ** „გააკეთე“, **ო-ხ-სყე** (ლნტ. **ა-ხ-ოსყე**) „გაუკეთა“; ბქ. **ო-ხუ-მ̈ა̈რ** „გავამზადე“, **ა-ხ-მ̈ა̈რ** „გაამზადე“, **ო-ხუ-მ̈გრთ̈ა̈უ** „მოვმართე“, **ა-ხ-მ̈გრთ̈ა̈უ** „მომართე“ და სხვა.

როგორც ვხედავთ, III წესი ძირითადად პრეფიქსული მორფემების (**ზმნისწინებისა და პირის ნიშნების**) თანხმოვან ელემენტთა ურთიერთმიმართებას ასახავს. თუმცა სხვადასხვა მორფემების თანხმოვანთა ერთმანეთის გვერდით მოხვედრის პირობები შეიძლება წარმოიქმნას არა მხოლოდ ზმნისწინებისა და პირის ნიშნების მიჯნაზე, არამედ — ზმნისწინებისა და ძირეული მორფემების ზღვარზეც. ასეთი პირობები, როგორც წესი, **ან-, ეს-, ად-** ზმნისწინებისა და თავკიდურთანხმოვნიანი ზმნების უშუალო მიმდევრობაში წარმოიქმნება. ამ მიმდევრობისთვის კი ჩამოყალიბებულია კიდევ ერთი წესი, რომელსაც IV წეს-ს უწოდებენ (ონიანი 1998, 128).

IV წესი. ძირეული მორფემის თანხმოვნის წინ მხოლოდ **ან-, ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის არსებობა არის დასაშვები, **ად-** ზმნისწინის თანხმოვანი კი, როგორც წესი, ნულთან არის გათანაბრებული, შდრ., ერთი მხრივ, **ონ-**ჯუედ „მოვედი“, **ან-**ჯედ „მოხვედი“, **ან-**ჯად „მოვიდა“, **ონ-**ტეხ „მოვბრუნდი“, **ან-**ტეხ „მობრუნდი“, **ან-**ტახ „მობრუნდა“, **ონ-**ტხე „მოვაბრუნებ“, **ან-**ტხე „მოაბრუნებ, მოაბრუნებს“, ბზ. **ეს-**ღური „მივდივარ“, **ეს-**ღრი „მიდიხარ, მიდის“, ლშხ. **ოს-**ღური, **ეს-**ღრი, ბქ. **ოს-**ხური, **ეს-**ხრი, ლნტ. **ას-**ხური, **ას-**ხრი და, მეორე მხრივ, ა̈-ტუხე (ბქ., ლშხ. **ო-**ტხე) „დავაბრუნებ“, **ა-**ტხე „დააბრუნებ, დააბრუნებს“, ა̈-დგე (ლშხ. **ა-**დგე) „გააქრობ, გააქრობს“, ა̈-კუშე „გატეხ, გატეხს“ და სხვა. ზმნისწინთა აქ წარმოდგენილი ყველა უთანხმოვნო ვარიანტი (**ა-, ა̈-, ო-**) **ად-** ზმნისწინის კუთვნილებაა, რამდენადაც მთლიანად ემთხვევა მას მნიშვნელობით და მის სხვა ვარიანტებთან იმყოფება დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში (შანიძე 1957, 340).

ამ წესს აქვს ორიოდე გამონაკლისი: ა) თანხმოვნის წინა პოზიციაში **ან-** ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი ნულთან არის გათანაბრებული; ცნობილია ერთადერთი ზმნა, სადაც ასეთი ვითარება გვაქვს: **ო-**ღუერ „მოვედი“, **ა-**ღერ[1] „მოხვედი“, ბ) **ად-** ზმნისწინის **დ** ელემენტი თანხმოვნების წინა პოზიციაშიც წარმოდგენილია; ასეთ ვითარებას რამდენიმე ზმნასთან აქვს ადგილი და ისიც დიალექტთა მხოლოდ ერთ ნაწილში: **ოდ-**ღუერ „წავედი“, **ად-**ღერ „წახვედი“, **ოდ-**ჯუედ „მივედი, მივაღწიე“, **ად-**ჯედ „მიხვედი, მიაღწიე“, **ად-**ჯად „მივიდა, მიაღწია“ (თოფურია 1967, 246).

V წესი. უზმნისწინო ფორმებში თანხმოვნის წინ წარმოდგენილი გ ელემენტიანი პირის ნიშნები (**01 მგ-, 02 ჯგ-, 0ი გუ- < გუგ-, 0e ნგ-** და **S1 ლგ-**) ზმნისწინიან ფორმებში, ჩვეულებრივ, ამ ელემენტის (გ-ს) გარეშე გვევლინებიან, მაგრამ ვითარება ასეთია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნისწინის დართვით ამ ელემენტისათვის სარედუქციო პოზიცია წარმოიქმნება, ე. ი. როდესაც, ზმნისწინისა და პირის ნიშნის ხმოვანთა გარდა, ფორმაში მესამე ხმოვანიც მოიპოვება (რომელიც, ჩვეულებრივ,

[1] შდრ. ბალსქვემოური, კერძოდ, ცხუმარული კილოკავის ლეზგარულ თქმაში დაფიქსირებული **ან-ღიარ** „წამოდი“, სადაც **ან-** ზმნისწინი სრულად არის წარმოდგენილი.

ძირეული მორფემის კუთვნილებაა), მაგ., ა-მ-ტიხ „დამაბრუნა", ა-მ-ცურ „დამტოვა", ა-ჯ-ტიხ „დაგაბრუნა", ა-ჯ-ცურ „დაგტოვა", ო-გუ-ტიხ „დაგვაბრუნა", ო-გუ-ცურ „დაგვტოვა", ა-ნ-ტიხ „დაგვაბრუნა", ა-ნ-ცურ „დაგვტოვა", ა-ლ-ტიხ-დ „დავაბრუნეთ", ა-ლ-ცურ-დ „დავტოვეთ"... (შდრ. უზმნისწინო ფორმები მგ-ტხე „მაბრუნებს", მგ-ცურე „მტოვებს"). აქ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ხმოვნის რედუქციის ჩვეულებრივ ნიმუშთან; აღნიშნულ პირის ნიშნებში ხმოვნიან ვარიანტებთან უხმოვნო ვარიანტთა მონაცვლეობა, მაშასადამე, გ ელემენტის რედუქციის შედეგია. ბუნებრივია ამიტომ, რომ ზმნისწინიან ფორმებში გ ელემენტიანი ალომორფები მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, როდესაც ამ ელემენტის რედუქციის პირობა არ არსებობს, ე. ი. როდესაც ფორმაში მხოლოდ ორი ხმოვანია მოცემული (**ზმნისწინისა და პირის ნიშნისა**), მაგ., ა-მგ-ტხ „დამაბრუნე", ა-მგ-ცურ‖ა-მუ-ცურ „დამტოვე", ა-ჯგ-ტხ „დაგაბრუნე", ა-ჯგ-ცურ‖ა-ჯუ-ცურ „დაგტოვე", ო-გუ-ტხ „დაგვაბრუნე", ო-გუ-ცურ „დაგვტოვე", ა-ნგ-ტხ „დაგვაბრუნე", ა-ნგ-ცურ‖ა-ნუ-ცურ „დაგვტოვე" და ა. შ.

ამ წესებიდან ამოსვლით, პროფ. ალ. ონიანი შესაძლებლად თვლის როგორც ზმნისწინების, ისე პირის ნიშნების დისტრიბუციულ დახასიათებას, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ზმნისწინებზეც ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თანაც ზმნისწინთა ზოგი ალომორფი პირის გამომხატველადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, იქვე ზმნისწინთა დისტრიბუციულ ანალიზსაც წარმოგვიდგენს (ონიანი 1998, 130)[1].

§ 8. **ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზი**. განვიხილოთ ცალ-ცალკე სვანურ ზმნისწინთა ალომორფები.

ლა- ზმნისწინი. აღნიშნული ზმნისწინის ალომორფთა განაწილების სურათის დასადგენად, პროფ. ალ. ონიანის აზრით, საკმარისია I და II წესთა გათვალისწინება, ვინაიდან ლა- ზმნისწინიან ფორმაში III და IV წესთა რეალიზაციის პირობა არასდროს არ წარმოიქმნება.

I წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ძირითადად, წარმოდგენილია ლჳ- (ლაშხურში ლე-, ხოლო ბალსზემოურში ზოგჯერ ლჳ-) ალომორფი, მაგ., შდრ. ბზ. ლჳ-ალრკე „მოლოკა", ლჳ-ხუჭუედ „ვკითხე", ლჳ-ხლჳტი „შეუყვარდება", ლჳ-ტხენი „დაბრუნდება", ლჳ-ხუიშგდ „ვიკადრე", ბქ. ლჳ-ჷბ „შეიბა", ლჳ-ჷბინე „დაიწყო", ლნტ. ლჳ-ჷკიდ „აიღო", ლჳ-ხეჭუედდა „ჰკითხა", ლჳ-ხუეკადდ „მივაწყდით", ლშხ. ლე-ალრკე „მოლოკა", ლე-ხლატი „შეუყვარდება", ლე-ხჭოდდა „ჰკითხა", და ა. შ. (იქვე).

უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ლაშხურისებურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავშიც (განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ცხუმარულის შესახებ, რომელიც ზოგ მკვლევარს რატომღაც ნარევ დიალექტად მიაჩნია — იხ. თ. შარაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX—X, თბ., 1958), მაგ. შდრ. ცხუმ. ლე-ალოკე „მოლოკა", ლე-ხლჳტი „შეუყვარდება", ლე-ჷბე „შეიბა", ლე-ჷბინე „დაიწყო", ლე-ხეჭუედდა „ჰკითხა", ლე-ხტახ „მიუბრუნდა", ლე-ჷსკორე „გაიფიქრა", ლე-ხტეხნი „მიუბრუნდება" და ა. შ. პროფ. თ. შარაძენიძის გამოკვლევის მიხედვით, უმლაუტიანი ა-ს ე-დ ქცევის პროცესი ხორციელდება ზმნებში პრევერბებთან და ჳლ თემის ნიშანთან[2]. ავტორის აზრით, ზმნისწინებში ჳ-ს ე-დ ქცევა ერთი იმ პროცესთაგანია, რომელიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ცხუმარულში. ხოლო მისი გავრცელება სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის განსხვავებულია. იგი გამოყოფს ოთხი თაობის მეტყველებას: I თაობა — მოხუცები, რომლებიც, როგორც წესი, ჳ-ს ხმარობენ, ე-ს ხმარების შემთხვევები კი მათ მეტყველებაში

[1] ა. ონიანის მიერ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების შესახებ შემუშავებულ ზოგად წესებს წინამდებარე ნაშრომში დაწვრილებით წარმოვადგენთ, რადგანაც ჩვენ ამ წესებზე დაყრდნობით განვიხილავთ ზმნისწინთა დისტრიბუციას.

[2] თ. შარაძენიძის გამოკვლევაში შეგვხვდა ჩვენთვის უჩვეულო ფორმა — ლელემ [მაგ. **მერმე ჯინემოწ ლელემ** (ტჳ-) „მეორე შენ („თვითონმცა") შეუპამეო („ჯამა")"], რომელიც მომდინარეობს ლჳლემ ფორმისგან. თანამედროვე ცხუმარულში, კერძოდ, ტვიბერულ მეტყველებაში, მსგავსი რამ არ დაგვიფიქსირებია.

იშვიათია; II **თაობის** წარმომადგენლებთან, მართალია, ე-ს ხმარების შემთხვევები უფრო ხშირია, თუმცა უპირატესობა მაინც ჲ-ს ენიჭება; III **თაობის** წარმომადგენლებთან ე-ს ხმარება ჲ-ს ხმარებას უტოლდება, ე. ი. ადგილი აქვს ამ ფორმათა პარალელურ ხმარებას; რაც შეეხება IV **თაობას** (14-15 წლამდე მაინც), იგი მთლიანად ე-ზე არის გადასული. ჲ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს გამონაკლისის სახით (შარაძენიძე 1958, 233-234).

ჲ → ე, როგორც ცოცხალი მოქმედი ფონეტიკური პროცესი, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ცხუმარულის გარდა ბალსქვემოურის არც ერთ კილოკავში არ არის შემჩნეული (იქვე, 235).

ჲ → ე ფონეტიკური პროცესი, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ, მხოლოდ ცხუმარულში იყო შემჩნეული, ჩვენი დაკვირვებით, დღეს უკვე ფეხს იკიდებს ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებშიც (შდრ. ეცერ. **ლე-ჲ/ნლოკე** „მოლოკა“, **ლე-ჲ/ნტიხ** „დაიბრუნა“; ჭუბ. **ლე-ხლჲტი||ლჲ-ხლჲტი** „შეუყვარდება“, **ლე-ჲსკორე||ლჲ-ჲ/ნსკორე** „გაიფიქრა“ და ა. შ.), რაც, აშკარად, ინოვაციის იერს ატარებს.

ბალსქვემოური დიალექტის გარდა ამ ფონეტიკურ პროცესს ადგილი აქვს ისეთ დაშორებულ დიალექტში, როგორიცაა ლაშხური, ამ დიალექტებს ერთმანეთთან ფაქტობრივ რაიმე უშუალო კონტაქტი არა აქვთ. საინტერესოა აგრეთვე ის, რომ მსგავსება ცხუმარულსა და ლაშხურს შორის მხოლოდ პროცესობრივი კი არ არის, არამედ ერთსა და იმავე მასალაზედაც ხორციელდება (ლაშხურშიც სწორედ ზმნისწინებში გვაქვს ე). თ. შარაძენიძის აზრით, „ცხუმარულში ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ის პროცესი, რომელიც ლაშხურში დიდი ხნის წინ განხორციელებულა“ (იქვე, 235).

რადგანაც ჩოლურულის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაფერი თქმულა, აქედან გამომდინარე, აუცილებლად და მეტად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ გაგვერკვია რა ხდებოდა ამ მხრივ ჩოლურულ მეტყველებაში, რომლის დიალექტად მიჩნევა, როგორც ცნობილია, დღემდე საცილობლადაა ქცეული ენათმეცნიერთა შორის.

როგორც ჩვენ მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი ჩოლურული დიალექტოლოგიური მასალის ანალიზმა ცხადყო, I წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ჩოლურულში, ძირითადად, წარმოდგენილია ე, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ა-იანი ფორმებიც, მაგ.: **ლე-ჲლოკე** „მოლოკა“, **ლე-ხეჭუედა** „ჰკითხა“, **ლე-ხლატი** „შეუყვარდება“, **ლე-ჲბე** „შეიბა“, **ლე-ჲბინე** „დაიწყო“, **ლე-მშყად** „გამახსენდა“, **ლე-ხქამ** „დაემატა“, **ლე-ხრდანხ** „მიეცათ, შეეძინათ“, **ლე-ჲსკიდდა** „მოიხედა“, **ლე-ხშად** „უშველა“, **ლე-ჲსგბენე** „მოიქნია“, **ლე-ხმგქრანხ** „შეეჯიბრნენ“, **ლე-ქუხ** „თქვეს“ და ა. შ. ცხადია, პარალელურად **ლა-** ზმნისწინიანი ფორმებიც დასტურდება (შდრ. **ლა-ხაშყედა** „გახსენებია“, **ლა-ხოყგნდა** „შეეცოდა“, **ლა-ხაბიშე** „მიაწოდა“ ...)[1].

შესაძლოა **ჲ → ე** ფონეტიკური პროცესი ჩოლურულში ლაშხურის გავლენას მიეწეროს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ე-ს შემცველი ზმნური ფორმები ქვემო ჩოლურულშიც (საყდარში, ბულეშში, ჭველიერში, დურაშში...) უხვად დაიძებნა, რასაც ლაშხურის გავლენას ნამდვილად ვერ მივაწერთ, რადგანაც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ქვემო ჩოლურული ლენტეხურის ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იზიარებს (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ალ. ონიანი). ლენტეხურში კი, როგორც ზემოთ ითქვა, ძირითადად, **ლჲ-** ზმნისწინი დასტურდება, რომელიც თავდაპირველი ვითარების ამსახველად მიგვაჩნია.

[1] ვსარგებლობთ 2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის — **„ჩოლურის ხეობის სვანურის მეტყველების ნიმუშები“** მასალებით (მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი,). მასალის მოძიებაში დაგვეხმარა, აგრეთვე, წარმოშობით ჩოლურელი, 20 წლის, **შ. შავრეშიანი**, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

II წესის რეალიზაციის შემთხვევაში, როგორც პროფ. ალ. ონიანის გამოკვლევიდან ჩანს, წარმოდგენილია ლო- (ბალსზემოურსა და ჩოლურულში ხშირად, ლაშხურში იშვიათად აგრეთვე ლო-) ალომორფი, მაგ., ლო-ხუ-აბ „მივაბი“, ლო-ხუ-აჭდ „მივაყუდე“, ლო-ტეხ „დავბრუნდი“ და სხვ. რაც შეეხება ლენტეხურს, იქ, გამომდინარე იქიდან, რომ II წესი არ მოქმედებს, ამიტომ, ცხადია, ლო- ალომორფიც შესაბამისად არ არსებობს (ონიანი 1998, 130).

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ ბალსქვემოურ დიალექტში? მასალაზე დაკვირვებამ ნათლად დაგვანახა, რომ II წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ბალსქვემოურშიც, სხვა დიალექტების (ბალსზემოურის, ლაშხურისა და ჩოლურულის) მსგავსად ლო- ალომორფია წარმოდგენილი და ისიც საკმაო სიხშირით, მაგ.: ლო-ხუ-აბ „მივაბი“, ლო-ხუ-აჭდ „მივაყუდე“, ლო-ხო „მივეცი“, ლო-ხ-სგი „შევხედე“, ლო-ხ-ჭუედ „ვკითხე“, ლო-ხუ-ატხ „დავუბრუნე“, ლო-ხუ-ჯგრენ „შევეხვეწე, შევევედრე“, ლო-ხუ-მეზირ „შევულოცე“, ლო-ხუ-ტეხელენ „შევეკამათე, შევეწინააღმდეგე“, ლო-ხუ-წერალ „შევაგინე“, ლო-ხუ-ჭაბთ „დავწყევლე“, ლო-ხ-ხუიდდას „შევხვდი“, ლო-ხუ-დირენ „ვჭამე, ვისადილე“, ლო-ხუ-შდირალ „ვითამაშე“ და მრავალი სხვა.

ყველა სხვა შემთხვევაში (ე. ი. როცა არ მოქმედებს I და II წესი), როგორც ცნობილია, დასტურდება ლა- (ბალსზემოურსა და ჩოლურულში აგრეთვე ლჳ-) ალომორფი, მაგ.: ლა-ხ-სგურდა (ლენტ. ლა-ხ-ასკურდა) „შეაჯდა“, ლა-ხ-ბე (ლენტ. ლა-ხ-აბე) „მიაბა“, ლა-ხ-ხუიდ „შეხვდი“, ლა-მ-ტიხ „დამიბრუნა“, ლა-ჯ-ტიხ „დაგიბრუნა“, ლა-ლ-ტიხდ „დავუბრუნეთ“, ლენტ. ლა-ხ-ოტიხა „დაუბრუნებია“, ლა-ხუ-აბ „მივაბი“, ლა-ხუემ „მისცა“, ბზ., ჩოლ. ლჳ-ხ-გშ „დალიე“, ბზ. ლჳ-ხ-ჳმ (ჩოლ. ლჳ-ხ-ემ) „შეჭამე“, ლჳ-ტახ „დაბრუნდა“ და სხვა.

მაშასადამე, თანამედროვე სვანურში, სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი მასალის მიხედვით, გამოყოფენ ლა- ზმნისწინის შემდეგ ალომორფებს: ლა-, ლჳ-, ლჳ-, ლჯ-, ლო-, ლრ-, რომელთაც, ჩვენი აზრით, ლაშხურში, ჩოლურულსა და ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავში (ცხუმარულში, ეცერულში, ჭუბერულში...) დადასტურებული ლე- ალომორფიც უნდა დაემატოს.

ან- ზმნისწინი. სხვადასხვა პოზიციაში ან- ზმნისწინის სხვადასხვა ვარიანტები დასტურდება, ესენია: ა-, ჳ- (ე-), ო-, ან-, ჳნ- (ენ-), ონ-. ყოველი კონკრეტული მათგანი, ცხადია, სრულიად განსაზღვრულ პირობებშია წარმოდგენილი:

ჳ- — III1 ან III3 წესთან ერთად I წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ჳ-მ-ჭიდ „მომიტანა“, ჳ-ჯ-ჭიდ „მოგიტანა“, ჳ-ნ-ჭიდ „მოგვიტანა“, ჳ-ლ-სყედ „გავიკეთეთ“, ჳ-ხ-ისყ „გაიკეთე“, ბზ., ლნტ. ჳ-გუ-ჭიდ „მოგვიტანა“, ჳ-ხუ-ისყ „გავიკეთე“ და ა. შ. დიალექტთა ერთ ნაწილში კი, პროფ. ალ. ონიანის მოსაზრების თანახმად, ყველაზე რეგულარულად ლაშხურში, ასეთ შემთხვევაში ჳ-ს ნაცვლად ე- ალომორფი არის წარმოდგენილი, მაგ., შდრ. ლშხ.: ე-მ-ჭიდ, ე-ჯ-ჭიდ, ე-ლ-სყედ, ე-ხ-ისყ... (იქვე, 131). ჩვენი დაკვირვებით, ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩოლურულ მეტყველებაშიც, მაგ., შდრ. ჩოლ.: ე-მ-ჭიდ, ე-ჯ-ჭიდ, ე-ჯ-ჭიდე-ხ „მოგიტანენ“, ე-გუ-იჭდ „მოგვიტანე“ და ა. შ.

III1 ან III3 წესთან ერთად I წესის მოქმედების შემთხვევაში ბალსქვემოურ დიალექტში ყოველთვის ჳ- არ გვაქვს. აღნიშნულ დიალექტში ხშირია ჳ-ს პარალელურად ე- ალომორფიანი ფორმების ხმარების შემთხვევები, მაგ., შდრ. ბქ.: ჳ-მ-ჭიდ||ე-მ-ჭიდ „მომიტანა“, ჳ-ჯ-ჭიდ||ე-ჯ-ჭიდ „მოგიტანა“, ჳ-ნ-ჭიდ||ე-ნ-ჭიდ „მოგვიტანა“, ჳ-ხ-ისყ||ე-ხ-ისყ „გაიკეთე“..., ამასთანავე, ჳ-ლ-სყედ „გავიკეთეთ“, ჳ-გუ-ჭიდ „მოგვიტანა“, ჳ-ხუ-ისყ „გავიკეთე“ ფორმათა პარალელურად ო-ლ-სყედ, ო-გუ-ჭიდ, ო-ხუ-ისყ ფორმებიც დასტურდება. განსხვავებაა თვით ბალსქვემოური დიალექტის კილოკავთა შორისაც, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჳ-ლ-სყედ, ჳ-გუ-ჭიდ, ჳ-ხუ-ისყ ფორმები ცხუმარული კილოკავის წარმომადგენელთათვის სრულიად არაბუნებრივია.

ო- — III1 ან III3 წესთან ერთად II წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ო-გუ-ხატუე „დაგვხატა“, ო-გუ-მარე „მოგვამზადა“, ო-გუ-ჭიდ „მოგვიყვანა“, ო-ხუ-ჳსყ „გავაკეთე“, ო-ხ-ოსყ „გაუკეთე“ და სხვა.

ა- — III1 ან III3 წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის მოქმედების საფუძველი, მაგ.: ა-მ-ჴიდ „მომიყვანა“, ა-ჯ-ჴიდ „მოგიყვანა“, ა-ნ-ჴიდ „მოგვიყვანა“, ა-ლ-ჴიდდ „მოვიყვანეთ, მოვიტანეთ“, ა-ხ-ჳსყ „გააკეთე“, ლნტ. ა-ხუ-ჳსყ „გავაკეთე“ და ა. შ. (იქვე). რა თქმა უნდა, დიალექტებს შორის ნიუანსურ სხვაობებს აქაც აქვს ადგილი, ე. ი., III1 ან III3 წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის მოქმედების საფუძველი, ამ შემთხვევაში, ბალსქვემოურში ყოველთვის **ა-** ალომორფი არ გვაქვს. ალ. ონიანის მიერ დასახელებული წესისგან განსხვავებით, **ა-ლ-ჴიდდ** და **ა-ხუ-ჳსყ** ფორმათა ნაცვლად ბალსქვემოურში ყოველთვის **ო-** ალომორფიანი (**ო-ლ-ჴიდდ, ო-ხუ-ჳსყ**) ფორები გვევლინება.

რაც შეეხება **ჳნ-**ს, იგი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, მხოლოდ I წესის მოქმედების შემთხვევაში დასტურდება, მაგ.: **ჳნ-სყე** „გაიკეთა“, **ჳნ-კიდ** „აიღო“, **ჳნ-მეჴრე** (ლნტ. **ჳნ-მეჴერე**) „გაიგო“, **ჳნ-თხჳლე** „იპოვა“ და სხვა, თუმცა ლაშხურში და ზოგჯერ ბალსქვემოურში **ჳნ-** ვარიანტის ნაცვლად ასეთ შემთხვევაში **ენ-** არის წარმოდგენილი (იქვე), მაგ., შდრ. ერთის მხრივ, ლშხ. **ენ-სყე, ენ-კიდ, ენ-მეჴრე, ენ-თხჳლე**, და, მეორე მხრივ, ბქ. (უმეტესად ცხუმარული) **ენ-სყე, ენ-კიდ, ენ-მეჴრე, ენ-თხე** და ჩოლ. **ენ-სყენს** „გაკეთდეს“, **ენ-სყე, ენ-მეჴრე, ენ-მგრხდანხ** „შემცირდნენ“, **ენ-თხჳლეხ** „იპოვეს“ და ა. შ.

ონ- — IV წესის მოქმედების სფეროში, როდესაც II წესიც მოქმედებს, მაგ.: **ონ-ღური** „მოვდივარ“, **ონ-ტეხ** „დავბრუნდი“, **ონ-ჴუ** „მოვიტანე“ (იქვე), **ონ-ტჳხ** „დავაბრუნე“, **ონ-შდჲ** „დავყარე, შემოვყარე“, **ონ-ხუტ** „ამოვწყვიტე“, **ონ-ჴუედ** „მოვედი“; ჩოლ. **ონ-ჴუედ, ონ-ჴუ** და მრავალი სხვა.

ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია **ან-**, ე. ი. როცა არ მოქმედებს არც ერთი ზემოჩამოთვლილი წესი, მაგ.: **ან-სყე** „გააკეთა“, **ან-ჴიდ** „მოიტანა“, **ან-მარე** „მოამზადა“, **ან-ჯგ** „მოიტანე“ (იქვე), ზს. **ან-ლეთ˹ე˺** „დართო“, **ან-მაწუდე** „გაამართლა“, **ან-ნაყე** „გამოაცხო“, ბზ. **ან-კოკუე** „შეაგროვა“, **ან-კულთხნე** „შებორკა“, **ან-მუსე** „ჩამოთოვა“, ბქ. **ან-შდუე** „ჩამოთოვა“, **ან-ჰიე** „მოაღწია“, **ან-ფგთხნე** „ჩამობერტყა“, ჩოლ. **ან-გენალე** „ააყენა“, **ან-გან** „ადგა“ და ა. შ.

ად- ზმნისწინი. როგორც ცნობილია, სხვადასხვა პოზიციაში დასტურდება **ად-** ზმნისწინის შემდეგი ვარიანტები: **ჲ-(ე-), ო-, ა-, ჲთ-(ეთ-), ოთ-, ათ-, ჲდ-(ედ-), ად-**. ეს ვარიანტები შემდეგ შემთხვევებშია წარმოდგენილი:

ჲ- — I და III1 წესთა მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ჲ-მ-ხატუე „დამიხატა“, ჲ-ჯ-ხატუე „დაგიხატა“, ჲ-ნ-ხატუე „დაგვიხატა“, ბზ. ჲ-გუ-ხატუე (ლნტ. ჲ-გუ-ხატჳუე) „დაგვიხატა“ და სხვა. ლაშხურში **ჲ-**ს ასეთ შემთხვევაშიც მუდამ **ე-** ენაცვლება, მაგ.: **ე-მ-ხატუე, ე-ჯ-ხატუე, ე-ლ-ხატუედ** „დავიხატეთ“. რაც შეეხება ზემოსვანურ დიალექტებს, იქ, საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **ჲ-** ალომორფი დასტურდება აგრეთვე IV წესის მოქმედების სფეროში: **ჲ-ტეხე** „დააბრუნებ“, **ჲ-დგე** „ჩააქრობ“, **ჲ-კუშე** „გატეხ“, ბზ. **ჲ-ტუხე** „დავაბრუნებ“, **ჲ-შუიხ** „დავწვი“ და სხვა (იქვე, 131-132).

უნდა ითქვას, რომ I და III1 წესთა მოქმედების შემთხვევაში ბალსქვემოურში ყოველთვის **ჲ-** არ არის წარმოდგენილი, ამ უკანასკნელს ხან **ე-** ალომორფი ენაცვლება ხან კი — **ო-**, მაგ., შდრ. ბქ.: **ე-მ-ხატუე, ე-ჯ-ხატუე, ო-ლ-ხატუედ, ე-ნ-ხატუე, ო-გუ-ხატუე, ე-მ-იდრე** „დამიწერა“, **ე-მ-ხაზუე** „დამიხაზა“, **ო-გუ-იდრე** „დაგვიწერა“..., თუმცა ბალსქვემოური დიალექტის კილოკავთა უმრავლესობაში სწორედ **ჲ-** ალომორფი დასტურდება. რაც შეეხება IV წესის მოქმედების სფეროს, ამ სფეროშიც **ჲ-** ალომორფის პარალელურად **ე-** და **ო-** ალომორფები გვევლინება, მაგ., შდრ. ბქ.: **ჲ-ტხე||ე-ტხე, ჲ-დგე||ე-დგე, ჲ-კუშე||ე-კუშე, ო-შიხ.**

ო- ალომორფი თანამედროვე სვანურ დიალექტებში, როგორც გამოკვლეულია, დასტურდება ორ შემთხვევაში (ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ლენტეხური): ა) II და III1 წესთა ერთად მოქმედების სფეროში, მაგ.: **ო-გუ-ხატუე** „დაგვხატა“, **ო-გუ-მარე** „მოგვამზადა“, **ო-გუ-ჴშდგნ**

„დაგვავიწყდა"..., ბ) II და IV წესთა მოქმედების სფეროში, მაგ.: ო-კგლ „დავკეტე", ო-შიხ „დავწვი", ო-ცურ „დავტოვე" და სხვა.

ა- — III1 ან IV წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის რეალიზაციის პირობა, მაგ.: ა-ლ-ხატუედ „დავხატეთ", ა-მ-ხატუ „დამხატა", ა-ჯ-ხატუ „დაგხატა", ა-ნ-ხატუ „დაგვხატა"; ა-ტაბ „დაბრუნდა", ა-ჩად „წავიდა", ლშხ. ა-ტიხ „დააბრუნა", ა-ცური „დატოვა", ა-ტგხ „დააბრუნე" ... (იქვე, 132). ბალსქვემოურში ა-ს ნაცვლად ხშირად ო- ალომორფი გვევლინება მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, მაგ., შდრ. ბქ.: ო-ლ-ხატუედ „დავხატეთ", ო-ლ-ჯიდდ „მოვიტანეთ", ო-ლ-მეზრედ „დავლოცეთ", ო-ლ-ცურდ „დავტოვეთ", ო-ლ-დიგდ „ჩავაქრეთ", ო-ლ-მარედ „გავამზადეთ" და სხა.

ჲთ- — I და III2 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ჲთ-ყაჩ „თავი დაანება", ჲთ-იბ „შეიბი", ჲთ-შიხი „დაიწვები"... ლაშხურში, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ეთ-ალომორფია წარმოდგენილი: ეთ-ყაჩ, ეთ-იბ, ეთ-შიხი, ეთ-ჭამ „წაჰყვა", ეთ-კაფი „წაიქცევა" და ა. შ. (იქვე). ნაწილობრივ ლაშხურისებური ვითარება დაჩნდება ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავში, მაგ. შდრ.: ეთ-ყაჩ, ეთ-იბ, ეთ-შიხი, ეთ-ჭამ, ეთ-ჭერნე „წაიყვანა", ეთ-ჭერნი „წაყვება", ეთ-ღუაჭ „გაეკიდა", ეთ-ღუეჭნი „გაეკიდება", ეთ-ჯაცი „დაიღუპება", ეთ-ბემ „შეიბამ", ეთ-თირნე „წაათრია", ეთ-თირნის „წაათრევს", ეთ-ქინისგ „გაიქცევა", ეთ-უჭნი „დაეძინება", და პარალელურად ჩოლურულშიც (შდრ., მაგ., ჩოლ. ეთ-ჭამ, ეთ-ფიშტუნე „ისროლა", ეთ-ღუერან „შეჰფიცა", ეთ-სერ „გაიმეტა" და სხვა.

ოთ- გვხვდება II და III2 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ოთ-ეგჭ „გავუძელი", ოთ-ეყჩ „თავი დავანებე", ოთ-ექდ „შევცდი, ავცდი", ოთ-ეჭმ „წავყევი", ოთ-ჯიდ „მიუტანა", ოთ-ხატუ „დაუხატა" ...

ათ- — III2 წესის მოქმედების სფეროში, როცა არ მოქმედებს არც ერთი სხვა წესი, მაგ.: ათ-აბ „მიაბი", ათ-ბე „მიაბა", ათ-ჭემ „გათიბე", ათ-კუიშ „მოსტეხა" (იქვე), ათ-კუშურე „დაამტვრია, დაამსხვრია", ათ-ნებე „მიანება", ათ-კუჯარ „გადააგდო, გააგდო", ათ-კუერმე „გაყინა", ათ-ჭემე „გათიბა" და სხვა.

ჲდ- გვხვდება მხოლოდ I წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ჲდ-ხინ[ე][1] „მიუშვა", ჲდ-კუიე „შეიტყო" ... ლაშხურში ასეთ შემთხვევაში უგამონაკლისოდ მუდამ ედ- ვარიანტია წარმოდგენილი, მაგ.: ედ-ხინე, ედ-კუიე, ედ-კაფან „წაიქცა", ედ-ხატუან „დაიხატა" (იქვე), ხოლო, ბალსქვემოურსა და ჩოლურულში ჲდ- ზმნისწინის პარალელურად ედ- ვარიანტიანი ფორმებიც დასტურდება, მაგ., ბქ.: ედ-ხინ, ედ-კუიჭ, ედ-ხატუან, ედ-იჯრან „დაიწერა", ედ-დირან „დაპურდა", ჩოლ.: ედ-კაფი „წაიქცევა", ედ-კჟრლან „გაგორდა", ედ-კუერმან „გაიყინა", ედ-ბინე „დაიწყო" და სხვა.

ად- არის წარმოდგენილი ყველა სხვა შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც არ მოქმედებს არც ერთი აღნიშნული წესი, მაგ.: ად-კუარ „დააგდო", ად-ზგზე „გააგზავნა", ად-ლაშე „დათესა", ად-ხატუე „დახატა", ად-ფგრე „გაახმო", ად-შიხე „დაწვა" და ა. შ. (იქვე)[1].

ეს- (ლნტ. ას-) **ზმნისწინი.** ზმნისწინებისა და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართების განხილვისას (იხ. § 7.) აღინიშნა, რომ ამ ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტი ბალსზემოურში მუდამ ე-ს სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ლენტეხურში — ა-ს სახით, რომლის პოზიციურად მონაცვლე ვარიანტი არის მხოლოდ ჲ. რაც შეეხება სვანური ენის სხვა დიალექტებს, ამ დიალექტებში არსებობს ე-, ო- და ა- ელემენტიანი ვარიანტები, რომლებიც შემდეგ შემთხვევებში დასტურდება:

[1] ად-ზმნისწინთან დაკავშირებით იხ. § 3. სუბიექტური აფიქსები.

ე- — III1 წესის მოქმედების სფეროში, მაგ.: ე-მ-ყა „მიმყავს", ე-ჯ-ყა „მიგყავს", ე-ნ-ყა „მიგვყავს", ე-მ-ღუა „მიმაქვს", ე-ჯ-ღუა „მიგაქვს" და სხვა. რაც შეეხება ლენტეხურს, იქ ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ა—ს ვარიანტია წარმოდგენილი, მაგ., შდრ., ლნტ.: ა-მ-ს-აყა „მიმყავს", ა-ჯ-ს-აყა „მიგყავს"...

ო- არის წარმოდგენილი II და III1 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში მხოლოდ სამ დიალექტში — ბალსქვემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში, მაგ.: ო-გ-ღუა „მიგვაქვს", ო-გ-ცუირ „დაგვტოვა", ო-ლ-ცუირდ „დავუტოვეთ" და ა. შ.

ოს- გვხვდება II წესის მოქმედების სფეროში, როცა არ მოქმედებს არც ერთი სხვა წესი, მაგ.: ოს-აბ „დავაბი", ოს-აგუშ „დავასხი", ოს-ღური „მივდივარ", ოს-გე „დაუდგა", ოს-ცუირ „დაუტოვა"... აღნიშნული ვითარება, ძირითადად, ბალსქვემოურისათვის არის დამახასიათებელი. ბალსზემოურსა და ლენტეხურში კი ეს ვარიანტი, მეცნიერთა თვალსაზრისით, არ არსებობს, ბალსზემოურში მის ადგილს ეს- ალომორფიანი ვარიანტი იჭერს, ლენტეხურში კი — ას- ან აზ-, მაგ. შდრ., ბზ.: ეს-უ-აბ, ეს-უ-აგუშ, ეს-ღური... და ლნტ.: ას-უ-აბ, ას-უ-აგუშ, ას-ხური და ა. შ. ას- ვარიანტის ლენტეხურისებური დისტრიბუცია, პროფ. ალ. ონიანის აზრით, დამახასიათებელია ჩოლურული მეტყველების ზოგი კილოკავისთვისაც (მაგ., საყდრულისათვის) (იქვე), თუმცა მაგალითებს არ ასახელებს. ჩვენ საგანგებოდ მოვიძიეთ ას- ვარიანტიანი ფორმები ჩოლურულში და გაირკვა, რომ აღნიშნული ვითარება მხოლოდ საყდრულისათვის არ არის დამახასიათებელი, როგორც ამას ავტორი მიუთითებს, არამედ მსგავსი საანალიზო ფორმები ჩოლურულის სხვა კილოკავებშიც (ლეუშერულ, ჭველიერულ, ჭველფურ...) დაფიქსირდა, მაგ., შდრ.: ლეუშ. ას-აგან „დაადგა", ას-ჩაჩხუნე „დააცემინა", საყდ. ას-ღრი „მიდის", ას-ღგრდა „მიდიოდა", ჭველიერ., ჭუელფ. ას-ხუგენა „დახვედრია" და ა. შ.. იგივე ვარიანტი, ე. ი. ა-იანი დასტურდება ლაშხურშიც, ოღონდ სრულიად განსაზღვრულ შემთხვევაში, „მხოლოდ დროთა III ჯგუფის საზედაო ქცევის ფორმებში" (თოფურია 1967, 68), როდესაც არ მოქმედებს III1 წესი, მაგ.: ას-ლაკენა „მიუგნია", ას-სედენა „დარჩენია", ას-სგურენა „დასჯდომია"... თუ ამგვარ ფორმებში მოქმედებს III1 წესი, მაშინ წარმოდგენილია ა- ალომორფი, მაგ.: ა-მ-ლაკენა „წამწყდომია", ა-ჯ-ლაკენა „წაგწყდომია", ა-მ-სგურენა „დამჯდომია", ა-ჯ-სგურენა „დაგჯდომია" და სხვა.

ეს- ვარიანტია წარმოდგენილი ყველა სხვა შემთხვევაში, ე. ი. როდესაც არ მოქმედებს არც ერთი ზემოაღნიშნული წესი, მაგ.: ეს-აბ „დააბი", ეს-ბე „დაბა", ეს-აგუშ „დაასხი", ეს-გუეშ „დაასხა" (ლშხ. ეს-გოშ, ეს-გოშე), ბზ. ეს-უ-აბ „დავაბი", ეს-უ-აგუშ „დავასხი" (ონიანი 1998, 133). ბალსქვემოურში ბალსზემოური ეს-უ-აბ და ეს-უ-აგუშ ფორმების ნაცვლად ოს- ვარიანტიანი ოს-აბ და ოს-აგუშ ფორმები გვევლინება.

ამრიგად, სვანურ ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ საანალიზო ზმნისწინთა (ლა-, ან-, ად-, ეს-) ალომორფების განაწილების სურათი დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით სრულიად განსხვავებულია. საინტერესოა ისიც, რომ სხვაობას აქვს ადგილი თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი.

§ 9. **სუბიექტურ პირთა მორფემები ზმნისწინიან ფორმებში**. სხვადასხვა ზმნისწინები, როგორც უკვე ითქვა, სხვადასხვაგვარ ცვლილებებს განსაზღვრავენ პირის მორფემათა ალომორფების განაწილების იმ წესებში, რასაც უზმნისწინო ფორმებში აქვს ადგილი. ალ. ონიანმა თავის მონოგრაფიაში, „სვანური ენა" (1998, 134-140), სცადა წარმოედგინა ზმნისწინიან ფორმებში პირის ყოველი მორფემის ალომორფთა განაწილების სრული სურათი.

პირველი სუბიექტური პირის მორფემა. S1 (აგრეთვე **S2** და **03**) მორფემა სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი იმის მიხედვით, ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი ესაზღვრება მას წინა მხრიდან,

თუ — თანხმოვანი. ხმოვანია მათი მოსაზღვრე **ლა-**, **ან-** ზმნისწინიან ფორმებში (რამდენადაც **ან-** ზმნისწინი ამ მორფემების წინ ყოველთვის თანხმოვანი ელემენტის გარეშეა წარმოდგენილი, იხ. III3 წესი), თანხმოვანი კი — **ად-**, **ეს-** ზმნისწინიან ფორმებში (იხ. III2 წესი).

ხმოვნის მომდევნოდ (ე. ი. **ლა-**, **ან-** ზმნისწინიან ფორმებში) ერთგვარად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე იმის მიხედვით, ხმოვანი მოსდევს აღნიშნულ მორფემებს, თუ — თანხმოვანი (ე. ი. სინკოპირებულია ამ მორფემათა მომდევნო ხმოვანი, თუ — არა). აქ, მაშასადამე, როგორც ცნობილია, ორი სხვადასხვაგვარი პოზიცია გამოიყოფა: V-V და V-C.

V-V პოზიციაში ისეთივე ვითარება დასტურდება, როგორიც უზმნისწინო ფორმებში, **S1** მორფემა აქაც **ხუ-** და **ხ-** ალომორფებით არის წარმოდგენილი: **ხ-** — **ო**-ს წინ, **ხუ-** — ყველა სხვა შემთხვევაში, მაგ., **ო-ხუ-**ასყ (ლნტ. **ა-ხუ-**ასყ) „გავაკეთე", **ო-ხუ-**ისყ (ბზ., ლნტ. **ა-ხუ-**ისყ) „გავაკეთე", ლო-**ხუ-**აჭდ (ლნტ. ლა-**ხუ-**აჭდ) „მივაყუდე", ლო-**ხუ-**აქუ (ლნტ. ლა-**ხუ-**აქუ) „ჩავაცვი", ბზ. ლა-**ხუ-**იშხუნ „შევინახე"; **ო-ხ-**ოსყ (ლნტ. **ა-ხ-**ოსყ) „გავუკეთე", **ო-ხ-**ოტხ (ლნტ. **ა-ხ-**ოტხ) „დავუბრუნე", ლშხ. ლო-**ხ-**რშუ „შევუნთე" და სხვა. გ-ს წინ ზოგჯერ **ხ-** ალომორფია წარმოდგენილი (ლშხ. **ო-ხ-**გრმ „დავიჭირე", ლო-**ხ-**გრმენ „გავები"), ზოგჯერ კი **ხუ- + გ > ხუ**, მაგ., ლო-ხუშ /ლო-**ხუ-**გშ/ „დავლიე", ბზ. ა-ხულდეღ /ა-**ხუ-**გლდეღ/ „მოვწყემსე", ბქ. **ო-**ხურდენ / **ო-ხუ-**გრდენ/ „გავიზარდე". ლენტეხურში **S1 ხუ- + ო > ხუ**, მაგ., ა-ხუსყ /**ა-ხუ-**ოსყ/ „გავუკეთე" (ონიანი 1998, 134).

V-C პოზიციაშიც იგივე ალომორფები დასტურდება, ოღონდ **ხ-** ალომორფის გამოვლენა აქ შეპირობებულია არა მომდევნო (ქცევისნიშნისეული), არამედ — წინამავალი (ზმნისწინისეული) **ო** ელემენტით. აქედან გამომდინარე ყალიბდება შემდეგი წესი: „**S1** მორფემის **ხ-** ალომორფი მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, როდესაც II წესის რეალიზაციის საფუძველზე ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი არის **ო**, ყველა სხვა შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ **ხუ-**, მაგრამ ეს წესი, დიალექტთა მხოლოდ ერთი ნაწილის ვითარებას ასახავს: რადგანაც ლენტეხურში II წესი არ მოქმედებს და, ამდენად, ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი **ო**-ს სახით არასდროს არ წარმოგვიდგება, ამიტომ **S1** მორფემის **ხ-** ალომორფი აქ არ არსებობს. ბალსზემოურში იგი **ო** ელემენტიანი ზმნისწინის შემცველ ფორმებშიც იშვიათია (**ო-ხ-**ჩო „გავუკეთებ"), სადაც, წესის საწინააღმდეგოდ, ასეთ პოზიციაშიც **ხუ-** ვარიანტია ჩვეულებრივი (თოფურია 1967, 13), მაგ., **ო-ხუ-**ჯიდე „მოვუტანთ, მოვუყვან", **ო-ხუ-**წებ „ჩამოვკიდე", **ო-ხუ-**მჯრნჯს „მოვამზადებდი", ლო-**ხუ-**ტეხენ „მივბრუნებოდე", ლო-**ხუ-**დიჯნ „ვათხოვე" და სხვა. ლენტეხურსა და ბალსზემოურში, მაშასადამე, **S1** მორფემა V-C პოზიციაშიც, ჩვეულებრივ, **ხუ-** ალომორფით არის წარმოდგენილი. დანარჩენ დიალექტებში (ბქ., ლშხ., ჩოლ.) აღნიშნული წესი რეგულარულად არის გატარებული, V-C პოზიციაში აქ **ხუ-** ალომორფი, შეიძლება ითქვას, არ არსებობს, მოცემულია მხოლოდ **ხ-**: ლშხ. **ო-ხ-**მჯრ „მოვამზადე", **ო-ხ-**მეჯერ „გავიგე", **ო-ხ-**შომ „მოვისვენე", **ო-ხ-**გოშ „გადმოვასხი", ლო-**ხ-**გოშ „მივასხი", ლო-**ხ-**ზჯრ „მოვიზოგე"; ბქ. **ო-ხ-**თუერი „ვისწავლო", **ო-ხ-**კადუ „ავილებდი", **ო-ხ-**ჩო „გავუკეთებ", **ო-ხ-**რეკ „ჩამოვკიდე", ლო-**ხ-**ყინდ „შევეცოდე", ლო-**ხ-**ჭედ „ვკითხე", ლო-**ხ-**ტეხე „დავუბრუნდე", ლო-**ხ-**ფულ „შევუბერე" და სხვა, თუმცა ბალსზემოურისებური ნიმუშები, თავისუფლად მონაცვლე ვარიანტთა სახით, ალ. ონიანის აზრით, იშვიათად ბალსქვემოურშიც დასტურდება: ლო-**ხუ-**ყინდ||ლო-**ხ-**ყინდ „შევეცოდე" (ონიანი 1998, 135).

მასალის მიხედვით, V-C პოზიციაში **ხუ-** ალომორფი თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილ ფორმაში დადასტურდა, მაგ.: **ო-ხუ-**თუერი||**ო-ხ-**თუერი „ვისწავლო", ლო-**ხუ-**ტეხე||ლო-**ხ-**ტეხე „დავუბრუნდე", ლო-**ხუ-**ყინდ||ლო-**ხ-**ყინდ „შევეცოდე", ლო-**ხუ-**ფულ||ლო-**ხ-**ფულ „შევუბერე", ლო-**ხუ-**ჭუედ||ლო-**ხ-**ჭუედ „ვკითხე", და ა. შ. აქ წარმოდგენილ ვარიანტთა შორის ბალსქვემოელთა უმეტესობისათვის **ხუ-** მორფემიანი ფორმები უფრო ბუნებრივია, ვიდრე **ხ-**იანი .

V-V და V-C პოზიციათა ვითარებას ერთი საერთო წესით ხსნიან: „**S1** მორფემის წარმომადგენლად **ხ-** ვარიანტი იმ შემთხვევაშია მოცემული, როდესაც მას წინ უძღვის ან მოსდევს **ო** ელემენტი, ყველა სხვა შემთხვევაში მას **ხუ-** ალომორფი ენაცვლება“ (იქვე).

თანხმოვნის მომდევნოდ (ე. ი. **ად-, ეს-** ზმნისწინიან ფორმებში, რაც **III2** წესის მოქმედების სფეროს. ემთხვევა) **S1** მორფემა, როგორც წესი, წარმოდგენილია **ჳ-** ან **Ø-** ალომორფებით. ამ ალომორფთა განაწილების შესახებ კი საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია წესი, რომელიც მთელი თანამედროვე სვანურის ვითარებას ამოწურავს:

„თუ ად- და ეს- ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი ო-ს სახით არის მოცემული (ე. ი. თუ განხორციელებულია **II** წესი), **მაშინ S1 მორფემა წარმოდგენილია Ø- ალომორფით, ყველა სხვა შემთხვევაში** (ე. ი. როცა აღნიშნულ ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი არის არა **ო**, არამედ — რომელიმე სხვა ხმოვანი) — **ჳ-თი**“. ამ წესის რეალიზაციის მიხედვით კი სვანურ დიალექტებს სამ ჯგუფად ყოფენ:

1. ლაშხური და ბალსქვემოური, სადაც **S1** ფორმაში მუდამ **II** წესი ხორციელდება და, ამდენად, **ად-, ეს-** ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი ყოველთვის **ო**-ს სახით არის მოცემული (იხ. **II** წესი), **I** სუბიექტური პირის მორფემის წარმომადგენელი ამიტომ, ალ. ონიანის აზრით, მუდამ ნულოვანი ალომორფია, მაგ., **ოთ-**აბ „მივაბი“, **ოთ-**ეჭმ „წავყევი“, **ოთ-**შიხი „დავიწვები“, **ოთ-**ჳჲ „წავიღე, წავიყვანე“, **ოთ-**გრმ „დავიჭირე“, **ოს-**აბ „დავაბი“, **ოს-**აქუ „დავაფარე“, ბქ. **ოთ-**ექდ „შევცდი“, **ოთ-**ელკ „წავაწყდი, მივაგენი“, **ოს-**ჳგუშ „დავასხი“, **ოს-**ცჲდ „მივუგე“, ლშხ. **ოთ-**ქადენ „შევცდი“, **ოთ-**ლაკენ „მივაგენი“, **ოს-**გოშ „დავასხი“ და ა. შ.

2. ბალსზემოური და ბალსქვემოურის ლახამულური კილოკავი, სადაც, პირველი ჯგუფის დიალექტთაგან განსხვავებით, **S1** ფორმაში ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებშია **ო**-ს სახით წარმოდგენილი, კერძოდ კი მაშინ, როდესაც ეს ელემენტი არ არის პალატალური (იხ. **II** წესი). **ად-** ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი **ო**-ს სახით ამის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოცემული, როცა ფორმაში არ არსებობს **I** წესის (**ა > ჲ**) რეალიზაციის პირობა. **S1** მორფემის **ჳ-** ალომორფი კი ასეთ ფორმებში არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება. მაგრამ როდესაც **I** წესის რეალიზაციის პირობა მოცემულია, მაშინ **ად-** ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი არის არა **ო**, არამედ — **ჲ**, ასეთ ფორმებში კი **S1** მორფემის **ჳ-** ალომორფი მუდამ წარმოდგენილია. შდრ., ერთი მხრივ, ოთ-აბ „მივაბი“, ოთ-აგ „ავიგე, ავიშენე“, ოთ-შიხ „დავწვი“, ოთ-ატხ „დავუბრუნე“ და, მეორე მხრივ, ჲთ-ჳ-იბ „მივაბი“, ჲთ-ჳ-იგ „ავიგე, ავიშენე“, ჲთ-ჳ-შიხენ „დავიწვი“, ჲთ-ჳ-იტხ „დავიბრუნე“ და ა. შ. **ეს-** ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი ამ ჯგუფის დიალექტებში, როგორც ზემოთ ითქვა, ყოველთვის **ე**-ს სახით არის წარმოდგენილი (რადგანაც ის პალატალურია), ამიტომ ამ ზმნისწინის შემცველ ფორმებში **S1** მორფემა ყოველთვის **ჳ**-ს სახით არის მოცემული (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას **ო** მოსდევს), მაგ., ეს-ჳ-ჲგუშ „დავასხი“, ეს-ჳ-ირკ „დავიკიდე“, ეს-ჳ-ჲშდ „დავაყარე“, ეს-ჳ-ჲდ „დავდევი“. **ჳ-** პრეფიქსის ნულთან გათანაბრებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მას სასხვისო ქცევის **ო-** ალომორფი მოსდევს, მაგ., ეს-ოგუშ „დავუსხი“, ეს-ოდ „დავუდევი“ და სხვა.

3. ლენტეხური დიალექტი, სადაც ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი **ო**-ს სახით არასდროს არ არის მოცემული (რამდენადაც აქ **II** წესი არასდროს ხორციელდება), **S1** მორფემის წარმომადგენელი ამიტომ აქ ყოველთვის **ჳ-** პრეფიქსია, მაგ., ათ-ჳ-შიხ „დავწვი“, ათ-ჳ-ექდ „შევცდი“, ჲთ-ჳ-ელკ „წავაწყდი, მივაგენი“, ჲთ-ჳ-კაფენ „წავიქეცი“, ჲთ-ჳ-ეყჩ „თავი დავანებე“, ათ-ჳ-ჲკურ „დავაგდე“, ათ-ჳ-ჲდგ „გავაქრე“, ას-ჳ-ჲგშ „დავასხი“, ას-ჳ-ჲსყ „დავაწყე“, ას-ჳ-ჲკუშ „დავატეხე“, ას-ჳ-წუენ „დავინახე“, ას-ჳ-აბ „დავაბი“ და სხვა.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე სვანურში (გარდა ლენტეხური დიალექტისა) დასტურდება ზმნათა ისეთი პარადიგმები, სადაც პირველი სუბიექტური პირის ფორმა სხვა პირთა ფორმებს უპირისპირდება ზმნისწინთა **ო** ელემენტიანი ალომორფებით და განსხვავდება მათგან (ყოველ შემთხვევაში მეორე პირის ფორმისაგან) მხოლოდ ამ ალომორფებით, მაგ.:

ოთ-აბ „მივაბი“	**ოს-**ჳგუშ „დავასხი“
ათ-აბ „მიაბი“	**ეს-**ჳგუშ „დაასხი“
ათ-ბე „მიაბა“	**ეს-**გუეშ „დაასხა“

ამგვარ პარადიგმათა არსებობიდან გამომდინარე, პირველი სუბიექტური პირის გამომხატველად აქ მიიჩნევენ არა Ø, არამედ — ზმნისწინთა **ო** ელემენტიან ალომორფებს (**ოთ-**, **ოს-**) და ფიქრობენ, რომ ეს არის, სწორედ, ამ ალომორფთა დამატებითი ფუნქცია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ასეთი კვალიფიკაციის მართებულობაზე მეტყველებს ისიც, რომ **ოთ-**, **ოს-** ალომორფიან ფორმებში პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი რაიმე სხვა მორფოლოგიური ერთეული არ არსებობს, განსხვავებით ამავე ზმნისწინთა ყოველი სხვა ალომორფის შემცველი ფორმებისაგან, სადაც ამ პირის გამომხატველად **უ-** პრეფიქსიც რეგულარულად არის წარმოდგენილი, მაგ., ჲთ-უ-შიხჲნ „დავიწვი“, ჲთ-უ-იბ „მივიბი“, ეს-უ-ჳგუშ „დავასხი“, ეს-უ-ჳშდ „დავაყარე და ა. შ. (იქვე, 136-137).

ჩვენი ვარაუდით, ამგვარი კვალიფიკაციის მართებულობას, ცხადია, გარკვეული დაბრკოლება ეღობება წინ. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ პირველი სუბიექტური პირის გამომხატველად ზმნისწინთა **ო** ელემენტიანი ალომორფების (**ოთ-**, **ოს-**) მიჩნევა, ალბათ, საფუძველს მოკლებულია, რადგანაც **ოთ-**აბ „მივაბი“, **ოს-**ჳგუშ „დავასხი“ ტიპის ფორმებში, მართალია, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **-უ-** რეგულარულად არ გამოიყენება, მაგრამ არის შემთხვევები, განსაკუთრებით ბალსქვემოურში, როდესაც **-უ-** როგორც პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი მორფოლოგიური ერთეული წარმოდგენილია სწორედ **ოთ-**, **ოს-** ალომორფიან ფორმებში, მაგ.: **ოთ-უ-**აბ „მივაბი, დავაბი“, **ოთ-უ-**ჴერინ „წავიყვანე“, **ოთ-უ-**კუერმ „გავყინე“, **ოთ-უ-**ჴაც „დავღუპე“, **ოთ-უ-**ტგბინ „გადავაფურთხე“, **ოთ-უ-**კუშირ „დავამსხვრიე“, **ოს-უ-**კუშირ „დავამსხვრიე“, **ოს-უ-**ჴეიინ „დავასხი“, **ოს-უ-**ღური „მივდივარ“; შდრ. ლხმ. **ჲთ-უ-**ეპჲ „დავიმალე“, **ეს-უ-**ღური „მივდივარ“, **ეს-უ-**ტგბინ „დავაფურთხე“, **ეს-უ-**ეფშუდ „წავიქეცი“, **ეს-უ-**ლაფჲრ „დავაფარე“, **ეს-უ-**თგრილ „მივაჭირე, დავაჭირე“, **ეს-უ-**ჴუიჲნ „ბევრი დავასხი“, **ეს-უ-**ჴერი „მივყავარ“ და ა. შ. იქ, სადაც **-უ-** არ ისმის, რა თქმა უნდა, დაკარგულია, თუმცა პირის გაგება ამგვარ ფორმებში კონტექსტიდან გამომდინარე მაინც ნათლად ჩანს[1].

მეორე სუბიექტური პირის მორფემა. ხმოვნის მომდევნოდ (ე. ი. **ლა-**, **ან-** ზმნისწინიან ფორმებში) **S2** მორფემა რეგულარულად **ხ-** ალომორფით არის წარმოდგენილი ისევე, როგორც ეს იყო უზმნისწინო ფორმებში, მაგ., ლა-**ხ-**ჳუ „ჩააცვი“, ლა-**ხ-**აბ „მიაბი“, ლჲ-**ხ-**იბ „მიიბი“, ა-**ხ-**ჳსყ „გააკეთე“, ჲ-**ხ-**ისყ „გაიკეთე“, ჲ-**ხ-**შომ „მოისვენე“, ჲ-**ხ-**ბიშდ „გამოართვი“ (ლშხ. ლა-**ხ-**აქუ, ლა-**ხ-**აბ, ლე-**ხ-**იბ, ა-**ხ-**ასყ, ე-**ხ-**ისყ, ე-**ხ-**შომ, ე-**ხ-**ბიშდ) და სხვა.

თანხმოვნის მომდევნოდ (ე. ი. **ად-**, **ეს-** ზმნისწინიან ფორმებში, სადაც III2 წესი მოქმედებს) **S2** მორფემა, როგორც ცნობილია, Ø ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., ათ-აბ „მიაბი“, ჲთ-შიხი (ლშხ. ეთ-შიხი) „დაიწვები“, ჲთ-ეყჩ (ბზ. ათ-ეყჩ, ლშხ. ეთ-ეყჩ) „თავი დაანებე“, ჲთ-ექდ (ბზ. ათ-ექდ, ლშხ. ეთ-ქადენ) „შეცდი“, ეს-ჳგუშ (ლშხ. ეს-გოშ, ლნტ. ას-ჳგუშ) „დაასხი“, ეს-ირკ (ლნტ. ას-ირკ) „დაიკიდე“, ეს-ჳშდ (ლნტ. ას-ჳშდ) „დააყარე“ და სხვა. **S2 ხ-**ს შემცველი ორიოდე გამონაკლისი (ათ-**ხ-**ჳდ, ათ-**ხ-**გრმ) მხოლოდ დიალექტთა ერთ ნაწილში დასტურდება (იხ. III2 წესი) (იქვე, 137-138) .

[1] მსჯელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე გვქონდა ზემოთ სუბიექტური პრეფიქსების განხილვისას (იხ. § 3.).

მესამე სუბიექტური პირის მორფემა. როგორც უკვე ითქვა, ხუთიოდე ზმნაში ამ მორფემის წარმომადგენლად დასტურდება **ლ-** პრეფიქსი: **ლ-**ი „არის", **ლ-**ასუ (ქვსვ. **ლ-**ას) „იყო", **ლ-**გგ (ლშხ. **ლ-**გგ) „დგას", ლა-**ლ-**ემ (ბქ. ლა̈**ლ-**ემ, ლნტ. ლა-**ლ-**ემ) „შეჯამა", ლშხ. ლა-**ლ-**გშ „დალია" (თოფურია1967, 2-4). არც ერთ სხვა ზმნაში **ლ-** პრეფიქსი ამ ფუნქციით არ გვხვდება (ონიანი 1998, 138).

ლ-ს პარალელურად დასტურდება აგრეთვე **ნ-** და **ჲ-** ალომორფები, რომლებიც, ძირითადად, **ლა-** ზმნისწინიან ფორმებში არიან წარმოდგენილი, მაგ., ლა-**ნ-**ყუინე „წააწვინა", ლა̈**ნ-**ტიხ „დაიბრუნა", ლა̈**ნ-**კიდ „აიღო", ლა-**ნ-**მეზრე „დალოცა", ლა̈**ჲ-**ჳემე „მოთიბა", ლა̈**ჲ-**წგრნან „გაწითლდა" და ა. შ. (ქალდანი 1979, 209-211), ლშხ. ლე-**ნ-**ყუინე||ლე-**ჲ-**ყუინე „მოიწვინა", ლე-**ნ-**ჭუე||ლე-**ჲ-**ჭუე „ჩაიცვა", ლე-**ნ-**ცუირ||ლე-**ჲ-**ცუირ „შეირჩინა", ლა-**ჲ-**ჳემე „მოთიბა", ლა-**ჲ-**მგშე „წაიმუშავა" და სხვა. დადგენილია, რომ **ნ-** პრეფიქსი **ლა-** ზმნისწინის გარეშე არც ერთ დიალექტში არ მოიპოვება, **ჲ-** კი დიალექტთა ერთ ნაწილში (ბზ., ლნტ.) ზოგჯერ უზმნისწინო ფორმებშიც გვხვდება და ისიც მარტოოდენ გ-ს წინა პოზიციაში, მაგ., **ჲ-**გგემ „აშენებს", **ჲ-**გრმი „იჭერს", **ჲ-**გრტყუი „ყლაპავს", ლნტ. **ჲ-**გთრე „სვამს" და ა. შ. (იქვე, 213).

კავშირებითის მწკრივებში, როგორც ცნობილია, სუბიექტური პირის გამომხატველად მიიჩნევენ **-ს**'ს, რადგანაც ამ მწკრივთა პარადიგმებში **S3** ფორმა ყველა დანარჩენი პირის ფორმას სწორედ ამ სუფიქსით უპირისპირდება, მაგ., ბზ. ამა̈რე̈ე̈**-ს** „ამზადებდეს", ახტა̈უდეე̈**-ს** „ხატავდეს", ანმა̈რა-**ს** „მოამზადოს", ტეხენდე-**ს** „ბრუნდებოდეს", ლნტ. ხა̈წედენ**-ს** „ენახოს", ლშხ. ასყედე̈ე-**ს** „აკეთებდეს", ანსყა-**ს** „გააკეთოს", ხეწე̈ე-**ს** „ნახოს", ბქ. ადა̈სგუდე-**ს** „დებდეს" (იქვე, 138), ადგა̈რიდე-**ს** „კლავდეს", ა̈სყიდე̈**-ს** „აკეთებდეს" და სხვა.

ამ კვალიფიკაციას ერთგვარად ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ კავშირებითის მწკრივებში აღნიშნული სუფიქსი **ლ-**, **ნ-**, **ჲ-** პრეფიქსიან ფორმებშიც არის წარმოდგენილი, მაგ., ბზ. ლა-**ლ-**ა̈მე-**ს**||ლა-**ლ-**ა̈მა-**ს**, ბქ., ლნტ. ლა̈**ლ-**ემე-**ს**, ლშხ. ლა-**ლ-**ემა-**ს** „შეჯამოს", ლშხ. ლა-**ლ-**გშა-**ს** „დალიოს", ლ-ესე-**ს** „იყოს", ლე-**ნ-**ყუინა-**ს**||ლე-**ჲ-**ყუინა-**ს** „მოიწვინოს", ლე-**ნ-**ჭუას-**ს**||ლე-**ჲ-**ჭუა-**ს** „ჩაიცვას", ლა-**ჲ-**ჳემა-**ს** „მოთიბოს", ლა-**ჲ-**მგშე-ა-**ს** „წაიმუშაოს" და ა. შ.

ყველა სხვა შემთხვევაში **S3** მორფემა **Ø** ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., **ა̈რი** „არის", **ა̈სყი** „აკეთებს", **ახტა̈ჳი** „ხატავს", **იხტა̈ჳი** „იხატება, იხატავს", **ან-ჴიდ** „მოიტანა", **ა-ტიხ** „დააბრუნა", **ან-სყე** „გააკეთა", **არდა** „იყო" და სხვა.

რაც შეეხება **-ე**, **-ა** სუფიქსებს (ონიანი 1978, 94-95), რომლებიც თანამედროვე სვანურში აწმყოს მწკრივის მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებადაა კვალიფიცირებული (თოფურია 1967, 71), მათი **S3** მორფემაში გაერთიანების საფუძველი, პროფ. ა. ონიანის თვალსაზრისით, არ არსებობს (1978, 94-95). **-ე**'ს პირისნიშნობას, როგორც ცნობილია, ეჭვქვეშ აყენებდა გ. მაჭავარიანიც (1953, 14-18).

§ 10. **ობიექტურ პირთა მორფემები ზმნისწინიან ფორმებში.** პირდაპირი და ირიბი ობიექტური პირის მორფემები ზმნისწინიან ფორმებშიც, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

პირველი პირდაპირობიექტური პირის მორფემა. ზმნისწინიან ფორმებში ამ მორფემის წარმომადგენლად დასტურდება ალომორფები **მ-**, **მგ-**, **მუ-**. **მგ-** მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოცემული, როცა ფორმაში არ არსებობს მისი **გ** ელემენტის რედუქციის პირობა (ე. ი. როდესაც ფორმა, ამ **გ** ელემენტის გარდა, როგორც წესი, ერთზე მეტ ხმოვანს არ შეიცავს). ვითარება ასეთია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველ პირდაპირობიექტურ პირთან ერთად ზმნა შეიცავს მეორე სუბიექტურ პირსაც, მაგ., ა-**მგ-**ტხ „დამაბრუნე", ა̈-**მგ-**რდ „გამზარდე". თუ ასეთსავე გარემოცვაში ზმნის ფუძე ლაბიალურ ელემენტსაც შეიცავს, მაშინ **მგ-**ს **მუ-** ვარიანტი ენაცვლება, მაგ., ა-**მუ-**ცურ „დამტოვე" (შდრ. ასევე ბქ. ა-**მუ-**ხუტ „ამომწყვიტე", ა-**მუ-**ხურ „დამანგრიე", ა-**მუ-**რღუ „დამარღვიე", ა-**მუ-**რდიდ „მამყოფე" და ა. შ.[1]). ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია **მ-** ალომორფი, მაგ., ა-**მ-**ტიხ „დამაბრუნა", ა-**მ-**ცურ

[1] ამგვარი მაგალითები ბალსქვემოურ დიალექტში არცთუ ისე ცოტაა.

„დამტოვა", ა-მპ-მარე „მომამზადა" (შდრ. ბქ. ა-მ-მარე) და ა. შ (იქვე, 139).

ზემოთწარმოდგენილ პირველი პირდაპირობიექტური პირის ალომორფებს ზმნისწინიან ფორმებში, ბალსქვემოური დიალექტის მონაცემების მიხედვით, შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი ალომორფი (მი-) (**ეს ფაქტი საენათმეცნიერო მიმოქცევაში ჯერ კიდევ არ განიხილება**), შდრ. მაგ., ბქ.: ჲ-მი-რდ „გამზარდე", ჲ/ე-მი-ჲდ „მომიტანე", ჲ/ე-მი-კურ „გადმომიგდე", ჲ/ე-მი-ცურ „დამიტოვე", ჲ/ე-მი-ხურ „დამინგრიე", ჲ/ე-მი-ტხ „დამიბრუნე", ჲ/ე-მი-შუდ „გამირეცხე" და ა. შ. მაშასადამე, გვექნება მ-, მგ-, მუ- და მი- ალომორფები.

პირველი ირიბობიექტური პირის მორფემა მ-ს სახით არის წარმოდგენილი ყოველგვარ პოზიციაში, მაგ., ჲ-მ-სყ-ე „გამიკეთა", ჲ-მ-ისყ „გამიკეთე", ე-მ-ჲგუშ „დამასხი", ჲ-მ-ხატუე „დამიხატა" და სხვა.

მეორე პირდაპირობიექტური პირის მორფემა. ზმნისწინიან ფორმებში ყველა დიალექტში დასტურდება შემდეგი ალომორფები: ჯ-, ჯგ-, ჯუ-. მათი განაწილების პრინციპი ისეთივეა, როგორიც მ-, მგ-, მუ- ალომორფებისა. ჯგ- მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოცემული, როდესაც ფორმაში არსებობს მისი გ ელემენტის რედუქციის პირობა. ვითარება ასეთია მხოლოდ მაშინ, როცა მეორე პირდაპირობიექტურ პირთან ზმნა შეიცავს პირველ სუბიექტურ პირსაც, მაგ., ა-ჯგ-ტხ „დაგაბრუნე", ჲ-ჯგ-რდ „გაგზარდე". თუ ასეთსავე ვითარებაში ზმნის ფუძე ლაბიალურ ელემენტსაც შეიცავს, მაშინ ჯგ-ს, როგორც წესი, ჯუ- ენაცვლება, მაგ., ა-ჯუ-ცურ „დაგტოვე" (შდრ. ბქ. ა-ჯუ-ხუტ „ამოგწყვიტე"). ყველა სხვა შემთხვევაში ამ მორფემის ალომორფი არის ჯ-, მაგ., ა-ჯ-ტიხ „დაგაბრუნა", ა-ჯ-ცუირ „დაგტოვა", ა-ჯ-მპრე „მოგამზადა", ა-ჯ-ხატუე „დაგხატა" და სხვა. დიალექტთა ერთ ნაწილში (მაგ., ლაშხურში, ბალსქვემოურში) თანხმოვნის წინ (ე. ი. პოზიციაში V-C) ჯ-სთან თავისუფლად მონაცვლეობს ჲ-, მაგ., ა-ჲ-ტიხ „დაგაბრუნა", ა-ჲ-ცუირ „დაგტოვა", ა-ჲ-ხატუე „დაგხატა" და ა. შ. [ჲ- ალომორფი უზმნისწინო ფორმებში არ არსებობს (იქვე, 139-140)].

როგორც ვნახეთ, ზმნისწინიან ფორმებში მეორე პირდაპირობიექტური პირის მორფემის ალომორფებად სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია ჯ-, ჯგ- და ჯუ- ალომორფები. არაფერია ნათქვამი ბალსქვემოური ჯი- ალომორფის შესახებ, რომელიც დღესაც საკმაოდ პროდუქტიულია და არაერთ ზმნაში დასტურდება, მაგ.: ჲ/ე-ჯი-რდ „გაგზარდე" (შდრ. ზემოთწარმოდგენილი ჲ-ჯგ-რდ, რომელიც ბალსქვემოელთა მეტყველებაში არ დასტურდება; ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, ჯგ- ალომორფიან ვარიანტს), ჲ/ე-ჯი-ჲდ „მოგიტანე", ჲ/ე-ჯი-ცურ „დაგიტოვე", ჲ/ე-ჯი-კურ „გადმოგიგდე; ხელში ჩაგიგდე", ჲ/ე-ჯი-ტხ „დაგიბრუნე" და ა. შ. ცხადია, აქაც გვექნება ჯ-, ჯგ-, ჯუ- და ჯი- ალომორფები.

მეორე ირიბობიექტური პირის მორფემა. ზმნისწინიან ფორმებში ყოველგვარ პოზიციაში (როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის წინ) მეორე ირიბობიექტური პირი, წესისამებრ, გამოიხატება ჯ- პრეფიქსით, რომელთანაც თანხმოვნის წინა პოზიციაში ზოგიერთ დიალექტში (მაგ., ლშხ., ბქ.) თავისუფლად მონაცვლეობს ჲ-, მაგ., ჲ-ჯ-იშუე „აგინთო", ჲ-ჯ-ხატუე „დაგიხატა", ჲ-ჯ-ჲიდ „მოგიტანა", შდრ. ლშხ. ე-ჯ-ხატუე||ე-ჲ-ხატუე, ე-ჯ-ჲიდ||ე-ჲ-ჲიდ და სხვა (იქვე, 140). ლაშხურისებური ვითარება ვლინდება ბალსქვემოურ დიალექტშიც (შდრ. ბქ.: ე-ჯ-ხატუე||ე-ჲ-ხატუე, ე-ჯ-ჲიდ||ე-ჲ-ჲიდ, ე-ჯ-ხაზუე||ე-ჲ-ხაზუე „დაგიხაზა", ე-ჯ-კუშურე||ე-ჲ-კუშურე „დაგიმტვრია, დაგიმსხვრია", ე-ჯ-მარე||ე-ჲ-მარე „მოგიმზადა", ე-ჯ-ჳემე||ე-ჲ-ჳემე „მოგითიბა", ე-ჯ-ჳერნე||ე-ჲ-ჳერნე „წაგიყვანა", ე-ჯ-ჳან||ე-ჲ-ჳან „მოგიხნა" და მრავ. სხვა.

მესამე პირდაპირობიექტური პირი თანამედროვე სვანურში ოპოზიციის არამარკირებულ წევრად ითვლება, მისი გამომხატველი სეგმენტური მორფოლოგიური ერთეული, როგორც გარკვეულია, არც ზმნისწინიან ფორმებში არსებობს, მაგ.: **ანსყე** „გააკეთა", **ანმპრე** „მოამზადა", **აშიხ** „დაწვა", **ესბე** „დაიბა", **ანკიდ** „აიღო" და ა. შ.

მესამე ირიბობიექტური პირის მორფემა. რაც შეეხება მესამე ირიბობიექტური პირის მორფემას, ზმნისწინიან ფორმებში არსებობს ორი ალომორფი — ხ- და Ø. ხ- ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ე. ი. ლა-, ან- ზმნისწინიან ფორმებში) დასტურდება, მაგ., ლა-ხ-ტიხ „დაუბრუნა", ლა-ხ-

ჩემ „მისცა“, ა-ხ-თიშ (ლნტ. ა-ხ-ათიშ, ლშხ. ა-ხ-თიშე) „ამოარჩია“, ბზ. ა̈-ხ-ბი̈შდე-ს (ლშხ. ე-ხ-ბი̈შდე-ს, ბქ. ე-ხ-ბიშდე-ს) „გამოართვას“ და სხვა. Ø ალომორფი კი — თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ე. ი. **ად-, ეს-** ზმნისწინიან ფორმებში, რაც III2 წესის მოქმედების სფეროს შეადგენს), მაგ., **ათ-ბე** „მიაბა“, **ათ-ქუე** „ჩააცვა“, **ეს-ბე** „დააბა“, **ეს-გუ̈შ** „დაასხა“ (ლნტ. **ას-გუ̈შ**, ლშხ. **ეს-გოშე**) „დაასხა“ და სხვა. ერთადერთ გამონაკლისად ითვლება ბზ. ათ-ხ-ად (ბქ. ათ-ხ-ად, ლნტ. ათ-ხ-ადა) „თქვა“[1] (იქვე).

შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, ზმნა პოლიპერსონალურია, ე. ი. ზმნის სისტემაში გამოხატულია არა მხოლოდ სუბიექტური პირი, არამედ ობიექტური პირებიც — **პირდაპირი** (ბრუნვაცვალებადი ობიექტური პირი) და **ირიბი** (ბრუნვაუცვლელი ობიექტური პირი).

2. პირის მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით საპირისპირო ფორმები, როგორც ცნობილია, მხოლოდ ზმნას მოეპოვება. პირიან ფორმებში კი ტრადიციულად ოპოზიციის ორ სახეს გამოყოფენ: 1. ვითარების ანუ როგორობის მიხედვით დაპირისპირება, ე. ი. პირთა ოპოზიცია: **სუბიექტური—ობიექტური**, 2. რომლობის მიხედვით დაპირისპირება, ე. ი. პირთა ოპოზიცია: **პირველი—მეორე—მესამე**.

3. როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ნიშნები სვანურ ზმნაში წარმოდგენილია პრეფიქსების სახით, ხოლო მათი მრავლობითი რიცხვის ნიშნები კი — სუფიქსების სახით. თითქმის ანალოგიური სურათია სხვა ქართველურ ენებშიც, თუმცა ზოგი სახის განსხვავებები, ცხადია, აქაც შეინიშნება.

4. სუბიექტური პრეფიქსების განხილვისას მიღებულია ზმნათა ორ ჯგუფად დაყოფა: ხმოვნითდაწყებული და თანხმოვნითდაწყებული. **ხმოვნითდაწყებულ ფუძეს**, როგორც ცნობილია, პირველი სუბიექტური პირის გამოსახატავად ყოველთვის დაერთვის პრეფიქსი **ხუ-**, მეორე სუბიექტური პირის ნიშნად — **ხ-**, ხოლო მესამე პირის აღმნიშვნელად (ქართული ზმნისგან განსხვავებით) არც პრეფიქსი მოგვეპოვება და დროთა რიგში არც სუფიქსი: წმინდა ფუძეა წარმოდგენილი.

5. ცნობილია ისიც, რომ ყველა პირი, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ქართველურ ენებში თავსართების საშუალებით იწარმოება, ხოლო მესამე სუბიექტური პირის საწარმოებლად ბოლოსართები გამოიყენება. ერთგვარ გამონაკლის ვითარებას გვიჩვენებს სწორედ სვანური ენა, სადაც, სხვა ქართველური ენებისაგან განსხვავებით, რამდენიმე ზმნამ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **ლ-** პრეფიქსის სახით შემოგვინახა. მრავალრიცხოვანი დიალექტოლოგიური მასალების მოძიებისა და გულდასმით შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ უირიბობიექტო **ლა-** წინდებულიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი შემონახულია დღემდე მთელ სვანურში, ოღონდ არა მარტო **ლ**'ს, არამედ მისი ბგერინაცვლის **ჲ**'სა და **ნ**'ს სახით.

6. ობიექტური პრეფიქსების მიხედვითაც ზმნებს ორ ჯგუფად ყოფენ: **ხმოვნითდაწყებული** და **თანხმოვნითდაწყებული**. **ხმოვნითდაწყებულ ფუძეთა წინ** პირველი ობიექტური პირის აღმნიშვნელად გამოიყენება **მ-** პრეფიქსი, მეორე ობიექტური პირის აღმნიშვნელად — **ჯ-** პრეფიქსი, ხოლო მესამე ობიექტური პირის გამოსახატავად — **Ø-** და **ხ-**. მრავლობით რიცხვში კი II და III პირის ობიექტური თავსართები (**ჯ-, Ø-, ხ-**) მეორდება. **თანხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ** მხ. და მრ. რიცხვში I და II პირის **მ-, გუ-, ნ-, ჯ-** თავსართებს უჩნდება თითქოსდა თანხმოვანთგასაყარი **-გ-** ბგერა, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი რიგი ფონეტიკური მოვლენები.

7. პირთა პრეფიქსული მორფემებისათვის **ზმნისწინიან** და **უზმნისწინო** ფორმებში სხვადასხვაგვარი ფონოლოგიური პოზიცია იქმნება. ზმნისწინიან ფორმებში ეს მორფემები ხმოვნის ან თანხმოვნის მომდევნოდ არიან წარმოდგენილი, უზმნისწინო ფორმებში კი — პაუზის მომდევნოდ. აქედან გამომდინარე პირის მორფემათა უმეტესობა ამ ორ სხვადასხვაგვარ პოზიციაში სხვადასხვა ალომორფებით არის რეალიზებული.

[1] და არა მარტო ბზ. ათ-ხ-ად, არამედ ბალსქვემოური, კერძოდ, ფარულ-ეცერული ათ-ხ-გრმე „დაიჭირა“ ფორმაც, შდრ. ცხუმ.-ბეჩ.-ეცერ. ათ-გ-რმე.

8. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია პირის მორფემათა განაწილების რამდენიმე ზოგადი წესი როგორც **უზმნისწინო**, ასევე **ზმნისწინიან** ფორმებში. ამ წესებს, მეცნიერთა ვარაუდით, უზმნისწინო ფორმებში გამონაკლისი არა აქვს, **ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-** ზმნისწინიან ფორმებში კი ვითარება განსხვავებულია. სწორედ ამ წესებიდან ამოსვლით შესაძლებელია როგორც ზმნისწინების, ისე პირის ნიშნების დისტრიბუციული დახასიათება, მაგრამ ვინაიდან პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ზმნისწინებზეც ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თანაც ზმნისწინთა ზოგი ალომორფი პირის გამომხატველადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, აქედან გამომდინარე, წინამდებარე გამოკვლევაში, ალ. ონიანის მიერ შემუშავებულ ზოგად წესებზე დაყრდნობით, ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზიც წარმოვადგინეთ, რის შედეგადაც ირკვევა, რომ საანალიზო ზმნისწინთა (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**) ალომორფების განაწილების სურათი სვანურში დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით სრულიად განსხვავებულია. საინტერესოა ისიც, რომ სხვაობას აქვს ადგილი თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი.

9. თანამედროვე სვანურში (გარდა ლენტეხური დიალექტისა) დასტურდება ზმნათა ისეთი პარადიგმები, სადაც პირველი სუბიექტური პირის ფორმა სხვა პირთა ფორმებს უპირისპირდება ზმნისწინთა **ო** ელემენტიანი ალომორფებით და განსხვავდება მათგან მხოლოდ ამ ალომორფებით (მაგ.: **ოთ-**აბ „მივაბი“, **ათ-**აბ „მიაბი“, **ათ-**ბე „მიაბა“, **ოს-**ჱგუშ „დავასხი“, **ეს-**ჱგუშ „დაასხი“, **ეს-**გუშ „დაასხა“). ამგვარ პარადიგმათა არსებობიდან გამომდინარე, პირველი სუბიექტური პირის გამომხატველად აქ მიიჩნევენ არა Ø, არამედ — ზმნისწინთა **ო** ელემენტიან ალომორფებს (**ოთ-**, **ოს-**) და ფიქრობენ, რომ ეს არის, სწორედ, ამ ალომორფთა დამატებითი ფუნქცია. ჩვენი ვარაუდით, ამგვარი კვალიფიკაციის მართებულობას გარკვეული დაბრკოლება ეღობება წინ, რადგანაც **ოთ-**აბ „მივაბი“, **ოს-**ჱგუშ „დავასხი“ ტიპის ფორმებში, მართალია, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **-უ-** რეგულარულად არ გამოიყენება, თუმცა არის შემთხვევები, განსაკუთრებით ბალსქვემოურში, როდესაც **-უ-** როგორც პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი მორფოლოგიური ერთეული წარმოდგენილია სწორედ **ოთ-**, **ოს-** ალომორფიან ფორმებში, მაგ.: **ოთ-უ-**აბ „მივაბი, დავაბი“, **ოთ-უ-**ჴერინ „წვავიყვანე“, **ოთ-უ-**კუერმ „გავყინე“, **ოთ-უ-**კუშირ „დავამსხვრიე“, **ოს-უ-**ჯუიინ „დავასხი“, **ოს-უ-**ღური „მივდივარ“; შდრ. ლხმ. **ა-თ-უ-**ეპჟ „დავიმალე“, **ეს-უ-**ღური „მივდივარ“, **ეს-უ-**ეფშუდ „წავიქეცი“, **ეს-უ-**ლაფარ „დავაფარე“, **ეს-უ-**თგრილ „მივაჭირე, დავაჭირე“, **ეს-უ-**ჯუიჲნ „ბევრი დავასხი“ **ეს-უ-**ჴერი „მივყავარ“ და ა. შ. იქ, სადაც **-უ-** არ ისმის, რა თქმა უნდა, დაკარგულია, თუმცა პირის გაგება ამგვარ ფორმებში კონტექსტიდან გამომდინარე მაინც ნათლად ჩანს.

10. პირდაპირი და ირიბი ობიექტური პირის მორფემები ზმნისწინიან ფორმებშიც, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ზმნისწინიან ფორმებში **პირველი პირდაპირობიექტური პირის** მორფემის წარმომადგენლად დასტურდება ალომორფები **მ-**, **მგ-**, **მუ-**, რომელთაც ბალსქვემოური დიალექტის მონაცემების მიხედვით, შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი ალომორფი (**მი-**) (**ეს ფაქტი საენათმეცნიერო მიმოქცევაში ჯერ კიდევ არ განიხილება**), შდრ. მაგ., ბქ.: ა-**მი-**რდ „გამზარდე“, ა/ე-**მი-**ჯდ „მომიტანე“, ა/ე-**მი-**კურ „გადმომიგდე“, ა/ე-**მი-**ცურ „დამიტოვე“, ა/ე-**მი-**ხურ „დამინგრიე“, ა/ე-**მი-**ტხ „დამიბრუნე“, ა/ე-**მი-**შუუდ „გამირეცხე“ და ა. შ., ხოლო მეორე პირდაპირობიექტური პირის მორფემის ალომორფებად სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია **ჯ-**, **ჯგ-** და **ჯუ-** ალომორფები. არაფერია ნათქვამი ბალსქვემოური **ჯი-** ალომორფის შესახებ, რომელიც დღესაც საკმაოდ პროდუქტიულია და არაერთ ზმნაში დასტურდება, მაგ.: ა/ე-**ჯი-**რდ „გაგზარდე“ (შდრ. ზემოთწარმოდგენილი ა-**ჯგ-**რდ, რომელიც ბალსქვემოელთა მეტყველებაში არ დასტურდება; ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, **ჯგ-** ალომორფიან ვარიანტს), ა/ე-**ჯი-**ჯდ „მოგიტანე“, ა/ე-**ჯი-**ცურ „დაგიტოვე“, ა/ე-**ჯი-**კურ „გადმოგიგდე; ხელში ჩაგიგდე“, ა/ე-**ჯი-**ტხ „დაგიბრუნე“ და ა. შ. ცხადია, აქაც გვექნება **ჯ-**, **ჯგ-**, **ჯუ-** და **ჯი-** ალომორფები.

თ ა ვ ი II

რიცხვის კატეგორია

ოპოზიცია რიცხვის მიხედვით. ცნობილია, რომ რიცხვის მიხედვით დაპირისპირება დამახასიათებელია როგორც სახელისათვის, ისე — ზმნისათვის. ზმნის რიცხვის კატეგორიაში გულისხმობენ დაპირისპირებას იმის მიხედვით, მასში გამოხატული პირი ერთია, თუ — ერთზე მეტი: „მხოლობითია ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ერთის მოქმედებას, ერთზე მოქმედებას ან ერთის მიმართ ჩადენილ მოქმედებას; მრავლობითია ფორმა, რომელიც მასვე გვიჩვენებს მრავალზე“ (შანიძე 1973, 166). ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირება კი ახასიათებს ყველა (როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ) პირს და პირის ყოველ (პირველ, მეორე, მესამე) ფორმას (ონიანი 1998, 141).

§ 11. სუბიექტურ პირთა მრავლობითობის გამოხატვა. ქართველურ ზმნაში მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, აგლუტინაციურ ხასიათს ატარებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ცალკეა წარმოდგენილი პირის ნიშანი და ცალკე — რიცხვის ნიშნები (მაჭავარიანი 2002, 89). პირველ და მეორე სუბიექტურ პირთა მრავლობითობა თანამედროვე სვანურში **-დ** სუფიქსით გამოიხატება, მაგ., ხუ-ჲრი-**დ**, ლ-ჲრი-**დ** „ვართ“, ხ-ჲრი-**დ** „ხართ“, ხუ-ითრე-**დ**, ლ-ითრე-**დ** „ვსვამთ“, ხ-ითრე-**დ** „სვამთ“ და ა. შ. დიალექტთა ერთ ნაწილში ამ ფუნქციით სხვა მორფოლოგიური ერთეული არ არსებობს, მეორე ნაწილში კი ერთადერთ ზმნაში (ე. წ. მეშველ ზმნაში) დასტურდება **-შდ** ვარიანტი (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურის ლახამულურ კილოკავში რეგულარულად, ლაშხურში — სპორადულად):

ბზ., ლხმ. ხუ-ი-**შდ**	ლშხ. ხუ-ი-**შდ**‖ხუ-ი-**დ** „ვართ“	(ექსკლ.)
ლ-ი-**შდ**	ლ-ი-**შდ**‖ლ-ი-**დ** „ვართ“	(ინკლ.)
ხ-ი-**შდ**	ხ-ი-**შდ**‖ხ-ი-**დ**	„ხართ“
ლ-ი-**ხ**	ლ-ი-**ხ** „არიან“	

შდრ. ბქ., ლნტ.	ხუ-ი-**დ** „ვართ“	(ექსკლ.)
	ლ-ი-**დ** „ვართ“	(ინკლ.)
	ლ-ი-**ხ** „არიან“	

საგულისხმოა, რომ პირველი და მეორე სუბიექტური პირების მრავლობითობის სუფიქსები საერთო ჩანს სამივე ქართველურ ენაში:

ქართ.	ზან.	სვან.
-თ	**-თ**	**-დ**
ვარ-**თ**	ვორე-**თ**	ხუჲრი-**დ**
ხარ-**თ**	ორე-**თ**	ხჲრი-**დ**

თუმცა სვანური **-დ** სუფიქსის ქართული **თ**-სგან მიღების შესახებ არსებობს სამი შესაძლო ვარაუდი: 1) ქართულ-ზანური **-თ** და სვანური **-დ** სხვადასხვა აფიქსებია; 2) სვანური **-დ** არის **-თ**-სგან მიღებული გამჟღერებით; 3) **-დ** არის გაცვეთილი ნაშთი **შდ** კომპლექსისა, რომელიც ***თ**1-ს კანონზომიერი შესატყვისია.

ამ სამი შესაძლებლობიდან პირველი ნაკლებად დასაჯერებელია, რადგანაც სვანური, ზანური და სვანური მონათესავე ენებია და, აქედან გამომდინარე, ძნელი დასაშვებია, რომ ამ მონათესავე ენებს მრავლობითობის გამოსახატავად სხვადასხვა სუფიქსები ჰქონოდათ. მეორე შესაძლებლობა, რომ **-დ** მიღებულია **-თ**-ს გამჟღერების შედეგად, გამოირიცხება, რამდენადაც სვანურში არ არსებობს წესი იმისა, რომ აუსლაუტში ყრუ ბგერა გამჟღერდეს. რაც შეეხება მესამე შესაძლებლობას, იგი ენათმეცნიერთა აზრით (გ. როზენი, ფ. ბოპი, გ. დეეტერსი, ვ. თოფურია, ა. ონიანი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ი. მელიქიშვილი...), უფრო დამაჯერებელია (შდრ. ქართ. დათვი: სვან. დაშდუ; ქართ. თაგვი: სვან. **შდ**უგუ და ა. შ.) და იმის გამო, რომ სუფიქსია, ადვილად შეიძლებოდა მისი გაცვეთა. **შდ** კომპლექსი, როგორც ცნობილია, ერთადერთ არქაულ ზმნაში (ხუი**შდ** „ვართ", ხი**შდ** „ხართ") არის შემონახული, რომელიც სწორედ ***თ**1-ს კანონზომიერ შესატყვისს წარმოადგენს. ე. ი. ამოსავალი იყო ***თ**1, რომელიც ქართულსა და ზანურში გვაძლევდა **თ**-ს, ხოლო სვანურში — **შდ**-ს (მაჭავარიანი 2002, 90). ჩვენც ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ვიზიარებთ.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვი **-ხ** სუფიქსით გამოიხატება ყოველგვარ ზმნაში, მაგ., ლ-ი-**ხ** „არიან", ამარე-**ხ** „ამზადებენ", იშხი-**ხ** „იწვიან", ტიხე-**ხ** „აბრუნებენ", არმი-**ხ** „იჭერენ", აფრე-**ხ** „ახმობენ" და ა. შ (ონიანი 1998, 141).

სვანურ ზმნაში წარმოდგენილი მრავლობითობის **-ხ** ნიშანი, ენათმეცნიერთა ერთ ნაწილს (ჰ. შუხარდტი, არნ. ჩიქობავა), ადიღეური ენებიდან შეთვისებულად (შდრ. ადიღ. წგფგ-რ მაკოჳ „კაცი მიდის", წგფგ-**ხ'ჯრ** მაკოჳ-**ხ'** „კაცები მიდიან") მიაჩნდა.

§ 12. **ობიექტურ პირთა მრავლობითის გამოხატვა**. ზემოსვანურ დიალექტებში (ბზ., ბქ.) პირველი ობიექტური პირის მრავლობითის ფორმაში ინკლუზივის **გუ-** ~ **გუ-**ს უპირისპირდება ექსკლუზივის **ნ-** ~ **ნგ-~ ნუ-** პრეფიქსები. ერთმანეთთან ოპოზიციაში ისინი, რასაკვირველია, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მიხედვით დაპირისპირებას გამოხატავენ. იქიდან გამომდინარე, რომ არც ერთი მათგანი არ დასტურდება მხოლობითი რიცხვის ფორმაში, სადაც მათ რეგულარულად **მ-** ~ **მგ-** ~ **მუ-** უპირისპირდება, რომელიც, თავის მხრივ, არასდროს არ გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმაში, ამიტომ **მ-** ~ **მგ-** ~ **მუ**-სთან ოპოზიციაში ინკლუზივ-ექსკლუზივის **გუ-** ~ **გუ-**, **ნ-** ~ **ნგ-~ ნუ-**, ცხადია, მრავლობით რიცხვსაც გამოხატავენ. ე. ი. რიცხვის მიხედვით ოპოზიციის ერთ წევრს — მრავლობითს — გამოხატავს **მ-** ~ **მგ-** ~ **მუ-**, ხოლო მეორე წევრს — მრავლობითს — (**გუ-** ~ **გუ-**) ∞ (**ნ-** ~ **ნგ-~ ნუ-**). ამ კვალიფიკაციის მართებულობა ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ პირველი ობიექტური პირის ფორმაში რიცხვის მიხედვით ოპოზიციის უდავო გამომხატველი რაიმე სხვა მორფოლოგიური ერთეული არ არსებობს (ონიანი 1998, 142).

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ოციან წლებში არნ. ჩიქობავას სტატიაში „**-უე** ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოღიკის ურთიერთობის თვალსაზრისით" საგულისხმო ფაქტად მიაჩნდა ის, რომ არც სვანურში და არც ქართულში მრავლობითი რიცხვის პირველ პირთან **-თ** სუფიქსი (**ან მისი როლის შემსრულებელი -ხ სვანურში**) არ იხმარება. მაგ., შდრ., ერთის მხრივ, ქართ. გვიყურთხებია, გაგვიხმია, გვიწერია, გვიკითხავს, და, მეორე მხრივ, სვანური:

ნწ	**ნიმზგრა**	„ჩვენ გვიკურთხებია, დაგვილოცია“	**ნიფრა**	„გაგვიხმია“
	გუიმზგრა		**გუიფრა**	

ნწ	**ნიდრა**	„გვიწერია“	**ნიჭუდელა**	„გვიკითხავს“
	გუიდრა		**გუიჭუდელა**	

ავტორის აზრით, ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ქართულსა და სვანურში რელატიურ ზმნებში მრავლობითი რიცხვის პირველ პირში სათანადო პრეფიქსი (**გუ-**, **ნი-**) აღნიშნავს მრავლობითობას: **მიკურთხებია მე — გვიკურთხებია ჩვენ**, **მიმზგრა მი — გუიმზგრა (ნიმზგრა) ნწ** (ჩიქობავა 1923-24, 56-57).

საინტერესოა რა ვითარებაა თანამედროვე სვანურში პირველი ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში?

ჩვენ საგანგებოდ გავეცანით ამ საკითხს და აღმოჩნდა, რომ მრავლობითი რიცხვის პირველი პირის გამოსახატავად სვანურში იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება სუფიქსი **-ხ**, რაც აშკარად ინოვაციის იერს ატარებს. ამ მოვლენას ადგილი აქვს, ძირითადად, უმცროსი თაობისა და, აგრეთვე, კოდორელ სვანთა მეტყველებაში. მაგ., შდრ. ბქ.:

ნ	**ნიფრახ**	„გაგვიხმია“	**ნიჯიდახ**	„მოგვიტანია“	**ნისყახ**	„გაგვიკეთებია“ და ა. შ.
	გუიფრახ		**გუიჯიდახ**		**გუისყახ**	

კოდორელი 38 წლის მანანა გურჩიანისგან 2007 წელს ჩვენ მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში კი ასეთი ფორმა დავაფიქსირეთ:

შუანარს მა **გუიხახ**, მა ლი წეს, ეჯი მაგ ჩუ ხოხახ მიშგუ დინოლს — სვანებმა („**სვან-ებ-ს**“) რაც ვიცით, რაც წესია, ის ყველაფერი იციან ჩემმა („ჩემს“) ქალიშვილებმა („გოგოებს“)

ცხადია, უფრო მართებული იქნებოდა **გუიხა** „ვიცით“ ფორმის ხმარება, რადგანაც სვანურში ამ პირში ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად სუფიქსის ხმარება სრულებით არ არის საჭირო.

ქვემოსვანურ დიალექტებში კი (ლშხ., ჩოლ., ღნტ.), სადაც ობიექტურ პირში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას ადგილი არა აქვს, მხოლობითის **მ- ~ მგ- ~ მუ-**ს მრავლობითი რიცხვის გამომხატველად, ზემოსვანურ დიალექტთაგან განსხვავებით, მხოლოდ **გუ- ~ გუ-** ვარიანტები უპირისპირდება.

პირველი პირდაპირობიექტური პირის მხოლობითი რიცხვის ნიშანი მთელ თანამედროვე სვანურში, როგორც ცნობილია, არის **მ- ~ მგ- ~ მუ-**, მრავლობითი რიცხვისა კი — ზემოსვანურ დიალექტებში (**გუ- ~ გუ-**) ∞ (**ნ- ~ ნგ-~ ნუ-**), ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში — **გუ- ~ გუ-**, მაგ., მხ. რიცხვი: **მ-ახტაში** „მხატავს“, **მგ-ტხე** „მაბრუნებს“, **მუ-ცურე** „მტოვებს“; მრ. რიცხვი: **გუ-ახტაში** „გვხატავს“, **გუ-ტხე** „გვაბრუნებს“, **გუ-ცურე** „გვტოვებს“; ზს. **ნ-ახტაში** „გვხატავს“, **ნგ-ტხე** „გვაბრუნებს“, **ნუ-ცურე** „გვტოვებს“ და ა. შ.

პირველი ირიბობიექტური პირის მხ. რიცხვის ნიშანი კი სვანურის ყველა დიალექტში არის მ-, მრ. რიცხვისა კი — ზემოსვანურ დიალექტებში გუ- ‹ ნ-, ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში — გუ-, მაგ., მხ. რიცხვი: მ-აჰუდი (ლნტ. მ-აუედი, ლშხ. მ-აუდი) „მაძლევს“, მ-იხტაუი „მიხატავს“, მ-აყა „მყავს“; მრ. რიცხვი: გუ-აჰუდი „გვაძლევს“, გუ-იხტაუი „გვიხატავს“, გუ-აყა „გვყავს“; ზს. ნ-აჰუდი „გვაძლევს“, ნ-იხტაუი „გვიხატავს“, ნ-აყა „გვყავს“ და ა. შ. (ონიანი 1998, 142-143).

მეორე პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობა გამოიხატება -ხ სუფიქსით, რომელთანაც ყველა პოზიციაში თავისუფლად მონაცვლეობს Ø, მაგ.: ჯ-ახტაუი-ხ‖ჯ-ახტაუი ეჯა სგაჲ „გხატავთ ის თქვენ“, ა-ჯ-მარე-ხ‖ა-ჯ-მარე ეჯნემ სგაჲ „მოგამზადათ მან თქვენ“, ჯ-ადგარი-ხ‖ჯ-ადგარი ეჯა სგაჲ „გკლავთ ის თქვენ“, ჯ-ამარე-ხ‖ჯ-ამარე ეჯა სგაჲ „გამზადებთ ის თქვენ“ და ა. შ.

მეორე ირიბობიექტური პირის მრავლობითობაც -ხ სუფიქსით გამოიხატება, მაგ.: ჯ-იხტაუი-ხ ეჯა სგაჲ ეჯას „გიხატავთ ის თქვენ მას“, ჯ-აჰუდი-ხ ეჯა სგაჲ ეჯას „გაძლევთ თქვენ ის მას“, ა-ჯ-მარე-ხ ეჯნემ სგაჲ ეჯა „მოგამზადათ მან თქვენ ის“, ჯ-ალატ-ხ სგაჲ ეჯა „გიყვართ თქვენ ის“ და სხვა. სამპირიან ზმნებში -ხ-სთან Ø-ის მონაცვლეობა, არსებული მოსაზრების თანახმად, შეუძლებელი არ არის, თუმცა ამ გზით იშვიათად ხმარებულ, ე. ი. არაბუნებრივ, ფორმებს ვიღებთ.

მესამე ირიბობიექტური პირის მრავლობითობის გამომხატველადაც -ხ სუფიქსი დასტურდება, მაგრამ არა ყველა ზმნაში, არამედ — მხოლოდ გრძნობა-ქონების აღმნიშვნელ ზმნებში, მაგ.: ხ-ალატ-ხ ეჯაჱრს ეჯა „უყვართ მათ ის“, ხ-ასისგ-ხ ეჯაჱრს ეჯა „სძულთ მათ ის“, ხ-აყა-ხ ეჯაჱრს ეჯა „ჰყავთ მათ ის“, შდრ. ხ-აჰუდი ეჯაჱრს ეჯა ეჯას „აძლევს მათ ის მას“, ხ-ოხტაუი ეჯაჱრს ეჯა ეჯას „უხატავს მათ ის მას“, ხ-ოჷდე ეჯაჱრს ეჯა ეჯას „მიუტანს მათ ის მას“ და ა. შ.

მესამე პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობა კი -ხ სუფიქსით არც ერთ შემთხვევაში არ გამოიხატება, შდრ. ახტაუი ეჯაჱრს ეჯა „ხატავს მათ ის“, ანკიდ ეჯაჱრ ეჯნემ „ამოწყვიტა ისინი მან“, ანხუიტ ეჯაჱრ ეჯნემ „ამოწყვიტა ისინი მან“ და ა. შ (იქვე, 142-143).

არა მხოლოდ მესამე, არამედ — ყველა პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობის გამომხატველად თანამედროვე სვანურში მიიჩნევა სუფიქსები: ბზ. -ჳლ, -ჳლ, -ჷრ, -ურ, -იელ; ბქ., ლნტ. -ალ, -ჳლ, -ჷრ, -ურ, -იელ; ლშხ. -ჳლ, -ჷრ, -ურ, -ჷელ (თოფურია 1967, 233-234; შარაძენიძე 1954, 192-198).

თუმცა მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ აფიქსებთან შედარებით ეს სუფიქსები რამდენიმე არსებითი ხასიათის თავისებურებით ხასიათდებიან:

ა) ისინი, როგორც ზემოთ ითქვა, სამივე პირის ფორმაში დასტურდებიან.

ბ) მრავლობითის ფორმაში მათთან ყოველთვის თავისუფლად მონაცვლეობს Ø, მაგ., **ახტაუ-ჳლ-ი‖ახტაუი ეჯაჱრს** „ხატავს მათ“, **ჩუადგრმ-ჳლ-ე‖ჩუადგრმე ეჯაჱრ** „დაიჭირა ისინი“, **აშუუდ-იელ-ი‖აშუუდი ეჯაჱრს** „რეცხავს მათ“, **აკუშ-ურე‖კუშე ეჯაჱრს** „ამტვრევს, ტეხს მათ“ და ა. შ.

გ) ამასთანავე, აღნიშნული სუფიქსები ხშირად ისეთ ფორმებშიც დასტურდება, სადაც პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობა სხვა აფიქსებითაა გამოხატული და, ამდენად, ამავე ფუნქციით მათი გამოვლენა, არსებითად, ზედმეტადაა მიჩნეული, მაგ., **გუ-ახტაუ-ჳლ-ი‖გუ-ახტაუი** „გვხატავს“, **ნ-ახტაუ-ჳლ-ი‖ნ-ახტაუი** „გვხატავს“, **ჯ-ახტაუ-ჳლ-ი‖ჯ-ახტაუი-ხ ეჯა სგაჲ** „გხატავს ის თქვენ“, **გუ-აგლ-ჷრ-ე** „გვგლეჯს“, **ნ-აგლჷრ-ე** „გვგლეჯს“, **ჯ-აგლჷრ-ე-ხ ეჯა სგაჲ** „გგლეჯთ ის თქვენ“ და მრავალი სხვა (იქვე, 144).

დ) იგივე სუფიქსები ერთპირიანი ვნებითის ფორმებშიცაა დადასტურებული, იქ, სადაც ობიექტური პირი არ არსებობს საერთოდ, მაგ., **ანჷრდ-ჳლ-ჳნ-ხ‖ანჷრდჳნ-ხ** „გაიზარდნენ“, **ადუულ-ურ-ჳნ-ხ‖აუუჳლ-ხ** „გაიყვნენ“... არსებული კვალიფიკაციის მიხედვით კი, ეს სუფიქსები აქ სუბიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავენ (შარაძენიძე 1954, 195-196).

ე) დასმულ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე არსებითი, ალ. ონიანის აზრით, ის არის, რომ აღნიშნულ სუფიქსთა შემცველ ფორმებში სათანადო პირი (პირდაპირობიექტური თუ სუბიექტური) ხშირად მხოლობით რიცხვში დგას და არა — მრავლობითში, მაგ., **მ-აგლ-გრ-ე მი** „მგლეჯს, მხევს მე", **ჯ-აგლგრ-ე სი** „გგლეჯს, გხევს შენ", **აგლგრ-ე ეჯის** „გლეჯს, ხევს მას", **აცლ-გრ-ე||ცგლ-ე ფიცარს** „ხეთქს ფიცარს", **აბჯ-ურ-ე||ბუჯუნე** ზექს „აპობს შეშას", **ალაგაუ-ჳლ-ი||ალაგაური ქორს** „ალაგებს სახლს", **იფშუდ-ჲელ** „ტრაბახობს", **იკუჩხ-ჲელ** „კუნტრუშებს" და ა. შ. აშკარაა, რომ ეს სუფიქსები აქ მრავლობითობას არ გამოხატავენ. მათი მორფოლოგიური ფუნქცია არის არა მრ. რიცხვის გამოხატვა, არამედ რაღაც სხვა მნიშვნელობის გამოხატვა, რომელიც თავისი შინაარსით ახლოს დგას მრავლობითობის სემანტიკასთან. ეს არის, ერთი მხრივ, მოქმედების გამეორების (მრავალგზისობის) გამოხატვა, ხოლო, მეორე მხრივ, რაიმე ერთი ობიექტის ამა თუ იმ სახის ნაწილებად ქცევის ჩვენება (იქვე, 144-145) ანუ ის, რაც ლიტერატურაში მათ ლოკალურ ფუნქციად მიიჩნევა მხოლოდ (შარაძენიძე 1954, 194-195).

ეს რომ ასეა, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ აღნიშნულ სუფიქსთა შემცველ ფორმებში პირდაპირი ობიექტი (ან ერთპირიან ვნებითში — სუბიექტი) დგას არა მაინცდამაინც მრავლობითში, არამედ — ზოგჯერ მხოლობითშიც (რადგანაც მოქმედების გამეორება შესაძლებელია როგორც ერთის, ისე ერთზე მეტის მიმართ და ნაწილებად ქცევა შესაძლებელია როგორც ერთისა, ისე — ერთზე მეტისა), მაგ., ლშხ. **ალაგაუ-ჳლ-ი** ქორს „ალაგებს სახლს", **ჱთ-ჳლ-ი-ხ კეთილს** „ინაწილებენ ქონებას" [**იშგენს მინ ჱთჳლიხ... უჯბა კეთილს** „დანარჩენს თვითონ ინაწილებენ... საკმაოდ დიდ ქონებას" (ონიანი 1917, 29, 14)], **აჭვდ-ჳლ-ი დაბს** „ფარცხავს ყანას", **აფთჳნ-ჳლ-ი დიარს** „წმენდს პურს", **აშუუდ-ჲელ-ი** (ბზ. **აშუუდ-იჲელ-ი**) **ლეშუუდის** „რეცხავს სარეცხს", **იკუჩხ-ჲელ** „კუნტრუშებს", **იფშუდ-ჲელ** „ტრაბახობს", **იღურ-ჲელ** „იფიცება" (შდრ. **ხეღურ-ჲელ** „ეფიცება") და ა. შ. ყველა ამგვარ შემთხვევაში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, მოქმედების მრავალგზისობა გამოიხატება და არა — მრავლობითობა (ონიანი 1998, 145).

რაიმე ობიექტის დანაწევრება (და არა — მრავლობითობა) გამოიხატება ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: ლშხ. **ადგგლ-გრ-ე ეჯი** „დახია ის", **ადბუჯურ-ე ზექ** „გააპო შეშა (ბევრ ნაწილებად)", შდრ. **აბიჯუ ზექ** „გააპო შეშა (ორად)", **ადცგლ-გრ-ე ფიცარ** „დახეთქა ფიცარი", შდრ. ბზ. **დჱუდ ჩუადცგლ-გრ-ე** (**უაშლიშუილ**) „დევმა გაფატრა (ვაშლიშვილი)" (სვ. პროზ. ტექსტები 1939, 244, 21), **ჭიქ ადკუშ-ურ-ე** „ჭიქა დაამტვრია", შდრ. **ჭიქ აკუიშ** „ჭიქა გატეხა", **ქიპ ადცხგპ-გრ-ე** „ძაფი გასკვნა (ბევრგან)", შდრ. **ქიპ აცხიპ** „ძაფი გასკვნა (ერთ ადგილას)", **აკუშდან-ჲელ-ი** (ბზ. **აკუშდან-იჲელ-ი**) **თეკუს** „კეცავს თოკს (ბევრგან)", შდრ. **აკუშდენი თეკუს** „კეცავს თოკს (ორად)" და ა. შ.

ასეთ შემთხვევაში, პროფ. ალ. ონიანის მოსაზრებით, მრავლობითობის გამოხატვასთან, ცხადია, საქმე არა გვაქვს. ამის მიუხედავად, იგივე სუფიქსები მრავლობითი რიცხვის გამომხატველადაც ხშირად აღიქმება (მაგ., **ატურე მუტუჳრს** „ანთებს სანთელს" — **ატურ-ჳლ-ი მუტურ-ჳლ-ს** „ანთებს სანთლებს", **ხიპე ლგგრას** „ხეთქს კვერცხს" — **ახპ-გრ-ე ლგგრ-ჳლ-ს** „ხეთქს კვერცხებს"...), რაც მათი ზემოაღნიშნული ძირითადი ფუნქციის მრავლობითობის სემანტიკასთან სიახლოვის შედეგი უნდა იყოს (იქვე, 146).

III. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია

§ 13. **ოპოზიცია ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით**. სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, განარჩევენ მრავლობითი რიცხვის ორ სხვადასხვა სახეს: ჩვეულებრივ მრავლობითსა და დაახლოებით მრავლობითს. ჩვეულებრივია მრავლობითობის ფორმა, რომელშიც ერთი და იმავე სახეობის საგანთა და მოვლენათა სიმრავლე იგულისხმება, მაგ., ფანქრ-ებ-ი, მაგიდ-ებ-ი, ხარ-ებ-ი და ა. შ., დაახლოებითი კი არის მრავლობითი, რომელშიც იგულისხმება არა ერთი და იმავე, არამედ — სხვადასხვა სახეობის საგნები და მოვლენები, მაგ., „ოთხმოციანი წლები“ ნიშნავს არა 80+80+80..., არამედ 80+81+82 და ა. შ. 89-მდე (Есперсен 1958, 218-220).

ნაცვალსახელსა და ზმნაში ჩვეულებრივია მრავლობითი, რომელიც ერთი და იმავე პირის სიმრავლით წარმოიქმნება, დაახლოებითი კი — ისეთი ფორმა, რომელშიც სიმრავლეს სხვადასხვა პირთა (პირველის, მეორის, მესამის) კომბინაცია წარმოქმნის. მესამე პირის მრავლობითის ფორმა ყოველთვის ჩვეულებრივი მრავლობითია, რადგანაც **ისინი=ის+ის+ის** და ა. შ., ისევე როგორც **მაგიდები=მაგიდა+ მაგიდა+ მაგიდა** და ა. შ. მეორე პირს მოეპოვება როგორც ჩვეულებრივი, ისე დაახლოებითი მრავლობითი; ჩვეულებრივია მისი მრავლობითი, როდესაც **თქვენ=შენ+შენ**..., მაგრამ დაახლოებითია, როდესაც **თქვენ=შენ...+ის**..., პირველ პირს კი ჩვეულებრივი მრავლობითი არ გააჩნია, რამდენადაც ჩვენ არასდროს არ ნიშნავს **მე+მე** და ა. შ. ასეთი მრავლობითი, მაშასადამე, ყოველთვის დაახლოებითია (იქვე, 220-223). ამავე დროს აქ არსებობს დაახლოებითი მრავლობითის სამი ვარიანტი:

1. **ჩვენ=მე+შენ (თქვენ)**
2. **ჩვენ=მე+შენ (თქვენ)+ის (ისინი)**
3. **ჩვენ=მე+ის (ისინი)**

ენათა დიდ ნაწილში ამ ვარიანტებს შორის დაპირისპირება მორფოლოგიურად (რაიმე აფიქსებით) არ გამოიხატება, სამაგიეროდ არსებობს ენები, სადაც ასეთი დაპირისპირება, მორფოლოგიურად გამოხატული, დასტურდება ნაცვალსახელსა (კუთვნილებთ ნაცვალსახელებში) თუ ზმნაში. თანამედროვე ქართველურ ენათაგან ასეთია მხოლოდ **სვანური**. პირველი და მეორე ვარიანტი აქ ქმნის **ინკლუზივის** შინაარსს, ხოლო მესამე — **ექსკლუზივისას**.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, **ექსკლუზივი** არის მხოლოდ პირველ და მესამე პირთა კომბინაცია, მეორე პირი უეჭველად გამოირიცხება. **ინკლუზივი** აუცილებლად შეიცავს პირველსა და მეორე პირს, მესამეს კი შეიძლება შეიცავდეს (როდესაც ინკლუზივის ფორმაში შემავალი მეორე პირი დაახლოებითი მრავლობითია), შეიძლება — არა:

1. **ნჲჲ=მი+ეჯა (ეჯჲჲრ)**
2. **ნჲჲ=მი+სი (სგჲჲ)**

ამდენად, სვანურში **ინკლუზივ-ექსკლუზივი** (**resp. in/ex**) ისეთი მორფოლოგიური კატეგორიაა, რომლის მიხედვით დაპირისპირება მხოლოდ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში გვხვდება. მაგრამ ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა თანამედროვე სვანურ დიალექტებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან: ქვემოსვანურ დიალექტებში (ლენტეხურში, ჩოლურულსა და ლაშხურში) ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირება მხოლოდ სუბიექტური წყობის ზმნებში გვაქვს, ხოლო ზემოსვანურ დიალექტებში კი (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) — როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში (ონიანი 1998, 146-147).

სვანური ზმნა სწორედ ამ მორფოლოგიური კატეგორიის არსებობით არის გართულებული, რაც გულისხმობს მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმაში მეორე პირის გათვალისწინებასაც

(**ინკლუზივი**) ან პირიქით, მის გამორიცხვას (**ექსკლუზივი**). ეს რთული მორფოლოგიური კატეგორია, როგორც ცნობილია, აისახება არა მხოლოდ ზმნაში, არამედ კუთვნილებითი ნაცვალსახელებშიც. ინკლუზივ-ექსკლუზივის ისტორიის საკითხი მკვლევართა (არნ. ჩიქობავა, პ. ფორხჰაიმერი, თ. გამყრელიძე, ჟ. მარუზო, ქ. ლომთათიძე, ო. ახმანოვა, ვ. თოფურია, ა. შანიძე, ე. ბენვენისტი, უ. ჩეიფი, ალ. ონიანი, დ. მელიქიშვილი, ჯ. ლაიონზი, ნ. სოკოლოვსკაია, გ. კლიმოვი, ი. მელჩუკი, რ. ასათიანი, ტ. გურგენიძე...) მიერ სხვადასხვაგვარად არის გაშუქებული.

§ 14. **სუბიექტური პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები.** სუბიექტის ინკლუზივ-ექსკლუზივი, როგორც ცნობილია, ძირითადად, მცირეოდენი დიალექტური სხვაობების მიუხედავად, ერთნაირად გამოიხატება მთელ თანამედროვე სვანურში.

ინკლუზივის მორფემა. ინკლუზივის (**Si**) მორფემები ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებში ერთნაირად არ არის წარმოდგენილი. უზმნისწინო ფორმებში (ე. ი. პაუზის მომდევნოდ) ინკლუზივის მორფემას სამი ალომორფი აქვს **ლ-**, **ლგ-** და **ლუ-**. **ლ-** ხმოვნების წინ არის წარმოდგენილი, ხოლო **ლგ-** და **ლუ-** — თანხმოვნების წინ, მაგ., **ლ-ჳრი-დ** (ლშხ. **ლ-არი-დ**) „ვართ **მე+შენ||თქვენ**“, **ლ-ჳსყი-დ** (ლშხ. **ლ-ასყი-დ**) „ვაკეთებთ **მე+შენ||თქვენ**“, **ლ-ისყი-დ** „ვიკეთებთ **მე+შენ||თქვენ**“, **ლ-ოსყი-დ** „ვუკეთებთ **მე+შენ||თქვენ**“, **ლგ-დგე-დ** „ვაქრობთ **მე+შენ||თქვენ**“, **ლგ-ტხე-დ** „ვაბრუნებთ **მე+შენ||თქვენ**“, **ლგ-შდე-დ** „ვყრით **მე+შენ||თქვენ**“. ძირეულ მორფემაში **უ** ელემენტის შემცველ ზმნებთან **ლგ- > ლუ-**, მაგ., **ლუ-ცურე-დ** „ვტოვებთ **მე+შენ||თქვენ**“, **ლუ-თუფე-დ** „ვკარგავთ **მე+შენ||თქვენ**“ და ა. შ. (თოფურია 1967, 14).

ზმნისწინიან ფორმებში კი (ე. ი. ხმოვნების მომდევნოდ), ხმოვანი ელემენტის რედუქციის გამო, სუბიექტის ინკლუზივის მორფემა ყოველთვის **ლ-** ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., **ა-ლ-აშუე-დ** (ბქ., ლნტ. **ა-ლ-აშუედ**) „ავანთეთ **მე+შენ||თქვენ**“, **ჲ-ლ-სყე-დ** (ლშხ. **ე-ლ-სყე-დ**) „გავიკეთეთ **მე+შენ||თქვენ**“, **ო-ლ-სყე-დ** (ლნტ. **ა-ლ-ოსყე-დ**) „გავუკეთეთ **მე+შენ||თქვენ**“, **ა-ლ-დიგ-დ** (ბქ. **ო-ლ-დიგ-დ**) „გავაქრეთ **მე+შენ||თქვენ**“, **ა-ლ-კუიშ-დ** (ბქ. **ო-ლ-კუიშ-დ**) „გავტეხეთ **მე+შენ||თქვენ**“, **ა-ლ-ცურე-დ** (ბქ. **ო-ლ-ცურე-დ**) „დავტოვებთ **მე+შენ||თქვენ**“ და ა. შ.

ექსკლუზივის მორფემა. ფორმის მიხედვით სუბიექტის **ექსკლუზივი** (**Se**) მრავლობითის ორდინარული ფორმაა, რომელიც მხოლობითი რიცხვის ფორმისაგან მხოლოდ მრავლობითობის **-დ** სუფიქსით განსხვავდება, შდრ. **ხუ-ჳრი** „ვარ“ — ექსკლ. **ხუ-ჳრი-დ** „ვართ **მე+ის||ისინი**“; ასევე, **ხუ-ჳსყი** „ვაკეთებ“ — **ხუ-ჳსყი-დ** „ვაკეთებთ **მე+ის||ისინი**“, **ხუ-ისყი** „ვიკეთებ“ — **ხუ-ისყი-დ** „ვიკეთებთ **მე+ის||ისინი**“, **ხუ-იშხი** „ვიწვავ, ვიწვი“, — **ხუ-იშხი-დ** „ვიწვავთ, ვიწვით **მე+ის||ისინი**“, **დ-უ-იგე** (ლშხ. დგგე) „ვაქრობ“ — **დ-უ-იგე-დ** (ლშხ. დგგედ) „ვაქრობთ **მე+ის||ისინი**“, **ტ-უ-იხე** (ლშხ. ტგხე) „ვაბრუნებ“ — **ტ-უ-იხე-დ** (ლშხ. ტგხედ) „ვაბრუნებთ **მე+ის||ისინი**“, **ო-ხუ-ჳსყ** „გავაკეთე“ — **ო-ხ-სყე-დ** „გავაკეთეთ **მე+მან||მათმა**“, **ოთ-აბ** „მივაბი“ — **ოთ-ბე-დ** „მივაბით **მე+მან||მათმა**“ და სხვა.

ვინაიდან ექსკლუზივის შინაარსს **Si** მორფემასთან მრავლობითი რიცხვის ნიშნის კომბინაცია წარმოქმნის, ხოლო ინკლუზივის პრეფიქსი არასდროს არ დასტურდება მრავლობითობის სუფიქსის გარეშე (**ლ-ჳრი-დ** „ვართ“, მაგრამ არ არსებობს ფორმა „**ლ-ჳრი**“), ამიტომ არ არის შეუძლებელი ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემებში მრავლობითი რიცხვის ნიშანიც გავაერთიანოთ და, მაშასადამე, ექსკლუზივის მორფემის ალომორფები ჩავწეროთ როგორც **ხუ—დ, -უ—დ**..., ხოლო ინკლუზივისა, როგორც **ლ—დ, ლგ—დ, ლუ—დ**. მაგრამ, რამდენადაც მრავლობითობის სუფიქსი საერთოა ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმათათვის, ამდენად ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირების წარმოქმნაში ის მონაწილეობას არ იღებს. მისი დანიშნულება მრავლობითობის გამოხატვაა მხოლოდ. თანაც ცნობილია ისიც, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიციას სვანურში მხოლოდ

პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში აქვს ადგილი, ამ ფარგლებში კი საპირისპირო ფორმებს მხოლოდ პრეფიქსები წარმოქმნიან, რომელთაც არ აკისრიათ მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია, ამიტომ, პროფ. ალ. ონიანის აზრით, **უფრო ბუნებრივია ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემათა შემადგენლობაში მარტო პრეფიქსები გავაერთიანოთ, მრავლობითობის სუფიქსი კი — არა** (იქვე).

სუბიექტის ექსკლუზივის მორფემა (ხუ-), როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მთლიანად ემთხვევა პირველი სუბიექტური პირის მორფემას.

სვანური ენის ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ალ. ონიანმა მიიღო მნიშვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ მრავლობითი რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიები სხვადასხვაა და ამიტომ ზმნაში ისინი განსხვავებული მორფემებით უნდა ყოფილიყო გამოხატული (ონიანი 1965, 233).

ამრიგად, სუბიექტის ინკლუზივის გამოსახატავად სვანურ ზმნაში გამოიყენება ლ- (ლგ-, ლუ-) — -დ აფიქსები, სადაც ლ- პირველი და მეორე პირის მაჩვენებელია, -დ კი — მრავლობითისა. რაც შეეხება სუბიექტის ექსკლუზივს, იგი მხოლობითი რიცხვის ფორმისაგან **ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან** მხოლოდ მრავლობითობის -დ სუფიქსით განსხვავდება, პირველი პირის სუფიქსი ხუ- კი საერთოა ორივე რიცხვისათვის. **თანხმოვნით დაწყებული ფუძეების** წინ კი, როგორც ცნობილია, პირველი პირის ნიშნად /-უ-/ გვაქვს ინფიქსის სახით და ექსკლუზივი ამ შემთხვევაშიც -დ სუფიქსით განსხვავდება მხოლობითი რიცხვის ფორმისაგან.

სუბიექტური პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემების ნიშანთა ცხრილი

სუბიექტის ინკლუზივის (Sl) მორფემა უხმნისწინო ფორმებში	ხმოვნების წინ:	თანხმოვნების წინ:	სუბიექტის ინკლუზივის (Sl) მორფემა ხმნისწინიან ფორმებში	ხმოვნების წინ:
	ლ-	ლგ- და ლუ-		ლ-
	ლ-არი-დ „ვიმყოფებით“ ლ-ასყი-დ „ვაკეთებთ“ ლ-ისყი-დ „ვიკეთებთ“ ლ-ოსყი-დ „ვუკეთებთ“	ლგ-დგე-დ „ვაკრობთ“ ლგ-ტხე-დ „ვაბრუნებთ“ ლგ-შდე-დ „ვყრით“ ლუ-ცერე-დ „ვტოვებთ“ ლუ-თუფე-დ „ვკარგავთ“		ა-ლ-ჳშუე-დ „დავანთეთ“ ჳ-ლ-სყე-დ „გავაკეთეთ“ ო-ლ-სყე-დ „გავაკეთეთ“ ა-ლ-დიგ-დ „ჩავაკრეთ“ ა-ლ-კუიშ-დ „გავტეხეთ“ ა-ლ-ცერე-დ „დავტოვებთ“
სუბიექტის ექსკლუზივის (Se) მორფემის ალომორფები	ხმოვნების წინ:	თანხმოვნების წინ:		
	ხუ-	-უ-		
	ხუ-არი-დ „ვიმყოფებით“ ხუ-ასყი-დ „ვაკეთებთ“ ხუ-ისყი-დ „ვიკეთებთ“ ხუ-იშხი-დ „ვიწყებთ“	დ-უ-იგე-დ „ვაკრობთ“ ტ-უ-იხე-დ „ვაბრუნებთ“		

§ 15. **ობიექტურ პირთა ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები**. ობიექტურ პირს ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით საპირისპირო ფორმები, როგორც ცნობილია, მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში (**resp**. ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) მოეპოვება.

პირდაპირობიექტური პირის ინკლუზივის მორფემა. უზმნისწინო ფორმებში პირდაპირობიექტური პირის **ინკლუზივს** (**O**i) თანამედროვე ზემოსვანურში ხმოვნების წინ მუდამ **გუ**-ალომორფი გამოხატავს, თანხმოვნების წინ კი — **გუ-** (< **გუგ-**), მაგ., **გუ-**ამარე (ბქ. **გუ-**ამარე) „გვამზადებს **მე+შენ||თქვენ**“, **გუ-**ახტაში „გვხატავს **მე+შენ||თქვენ**“, **გუ-**ადგარი „გვკლავს **მე+შენ||თქვენ**“, **გუ-**ტხე „გვაბრუნებს **მე+შენ||თქვენ**“, **გუ-**ცურე „გვტოვებს **მე+შენ||თქვენ**“ და სხვა. ზმნისწინიან ფორმებში თანხმოვნის წინა პოზიციაშიც ზოგჯერ **გუ-** ალომორფია წარმოდგენილი; ვითარება ასეთია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფორმაში პრეფიქსის **უ** ელემენტის, ან **გუ**-ს მომდევნო ხმოვნის რედუქციის პირობა არსებობს, მაგ., **ო-გუ-**ტიხ „დაგვაბრუნა **მე+შენ||თქვენ**“, **ო-გუ-**ჯიდ „მოგვიყვანა **მე+შენ||თქვენ**“, **ო-გუ-**ხატუე „დაგვხატა **მე+შენ||თქვენ**“ და სხვა. **გუ-** ალომორფი კი მხოლოდ იმ ფორმებში დასტურდება, სადაც ასეთი პირობა არ მოიპოვება, მაგ., **ო-გუ-**ტხ „დაგვაბრუნე **მე+შენ||თქვენ**“, **ო-გუ-**ცურ „დაგვტოვე **მე+შენ||თქვენ**“ და ა. შ.

ირიბობიექტური პირის ინკლუზივის მორფემა. ამ მორფემის წარმომადგენლად მხოლოდ **გუ-** დასტურდება (უზმნისწინო ფორმებშიც, ზმნისწინიანშიც, ხმოვნების წინაც, თანხმოვნებისაც), მაგ., **გუ-**ათური „გვასწავლის **მე+შენ||თქვენ**“, **გუ-**აჰუდი „გვაძლევს **მე+შენ||თქვენ**“, **გუ-**იხტაში „გვიხატავს **მე+შენ||თქვენ**“, **გუ-**ეხტაში „გვეხატება **მე+შენ||თქვენ**“, **ა-გუ-**ხატუე „დაგვიხატა **მე+შენ||თქვენ**“, **ა-გუ-**სყე „გაგვიკეთა **მე+შენ||თქვენ**“, **გუ-**იხალ „ვიცით **მე+შენ||თქვენ**“ და ა. შ.

პირდაპირობიექტური პირის ექსკლუზივის მორფემა. უზმნისწინო ფორმებში ხმოვნების წინ ამ მორფემის წარმომადგენელი მუდამ არის **ნ-**, თანხმოვნების წინ კი — **ნგ-**, რომელსაც ლაბიალური ელემენტის შემცველ ფუძესთან, ჩვეულებრივ, **ნუ-** ენაცვლება, მაგ., **ნ-**ამარე (ბქ. **ნა-**მარე) „გვამზადებს **მე+მას||მათ**“, **ნ-**ახტაში „გვხატავს **მე+მას||მათ**“, **ნ-**ადგარი „გვკლავს **მე+მას||მათ**“, **ნგ-**ტხე „გვაბრუნებს **მე+მას||მათ**“, **ნუ-**ცურე „გვტოვებს **მე+მას||მათ**“, **ნუ-**ფშუდე „გვიშვებს **მე+მას||მათ**“ და სხვა. ზმნისწინიან ფორმებში თანხმოვნის წინა პოზიციაშიც ზოგჯერ **ნ-** ალომორფია წარმოდგენილი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ფორმაში **ნგ-**ს **გ** ელემენტის, ან **ნ-**ს მომდევნო ხმოვნის რედუქციის პირობა არსებობს, მაგ., **ა-ნ-**ტიხ „დაგვაბრუნა **მე+ის||ისინი**“, **ა-ნ-**ცურ „დაგვტოვა **მე+ის||ისინი**“, **ა-ნ-**ფიშუდ „გაგვიშვა **მე+ის||ისინი**“, **ა-ნ-**ხატუე „დაგვხატა **მე+ის||ისინი**“, **ა-ნ-**მარე „მოგვამზადა **მე+ის||ისინი**“ და სხვა. ზმნისწინიან ფორმებში **ნგ-**, **ნუ-** ვარიანტები მხოლოდ იმ შემთხვევაში დასტურდება, როდესაც ფორმაში მათი **გ**, **უ** ელემენტების რედუქციის პირობა არ არსებობს, მაგ., **ა-ნგ-**ტხ „დაგვაბრუნე **მე+ის||ისინი**“, **ა-ნუ-**ცურ „დაგვტოვე **მე+ის||ისინი**“ და ა. შ.

ირიბობიექტური პირის ექსკლუზივის მორფემა. ეს მორფემა **ნ-**ს სახით არის წარმოდგენილი ყოველგვარ პოზიციაში, მაგ., **ნ-**ათური „გვასწავლის **მე+მას||მათ**“, **ნ-**აჰუდი „გვაძლევს **მე+მას||მათ**“, **ნ-**იხტაში „გვიხატავს **მე+მას||მათ**“, **ნ-**ეხტაში „გვეხატება **მე+მას||მათ**“, **ა-ნ-**ხატუე „დაგვიხატა **მე+მას||მათ**“, **ა-ნ-**სყე „გაგვიკეთა **მე+მას||მათ**“, **ნ-**იხალ „ვიცით **მე+მან||მათ**“, **ნ-**აყა „გვყავს **მე+მას||მათ**“ და ა. შ. (ონიანი 1998, 149-150).

ზემოთ წარმოდგენილი ექსკლუზივის ნიშანი **ნ-** პრეფიქსი, რომელსაც ქართველურ ენებში შესატყვისი არ მოეპოვება, ენათმეცნიერთა ვარაუდით, მეორეული ჩანს, რომელიც **მ**-სგან უნდა იყოს მიღებული (ონიანი 1965, 230).

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, როგორც ცნობილია, მოიპოვება დაღესტნისა და ნახური ჯგუფის ენებში. მიუთითებენ, აგრეთვე, ამ კატეგორიის არსებობის შესახებ ინდოევროპულ ენებშიც (მაჭავარიანი 2002, 94).

ამრიგად, ობიექტური პირის ინკლუზივის (**Oi**) ნიშანია **გუ-** ალომორფი — ხმოვნების წინ, **გუ-** (< **გუ-გ**) — თანხმოვნების წინ, ხოლო ობიექტის ექსკლუზივის (**Oe**) ნიშანია — **ნ-** პრეფიქსი. ორივე პრეფიქსი, როგორც უკვე ცნობილია, კარგადაა შემონახული ზემოსვანურ დიალექტებში, ქვემოსვანურში კი მხოლოდ **გუ-** პრეფიქსია დაცული.

ობიექტური პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემების ნიშანთა ცხრილი

პირდაპირობიექტური პირის ინკლუზივის (Oi) მორფემა უზმნისწინო ფორმებში	ხმოვნების წინ:	თანხმოვნების წინ:	პირდაპირობიექტური პირის ინკლუზივის (Oi) მორფემა ზმნისწინიან ფორმებში	თანხმოვნების წინ:
	გუ-	**გუ-** (< **გუგ-**)		**გუ-** და **გუ-**
	გუ-აძარე „გვაძლევს“ **გუ-**ახტაში „გვხატავს“ **გუ-**ადგარი „გვკლავს“	**გუ-**ტხე „გვაბრუნებს“ **გუ-**ცური „გვტოვებს“		ო-**გუ-**ტიხ „დაგეიბრუნა“ ო-**გუ-**ყიდ „მოგვიტანა“
ირიბობიექტური პირის ინკლუზივის (Oi) მორფემა (უზმნისწინო ფორმებშიც, ზმნისწინიანშიც, ხმოვნების წინაც, თანხმოვნებისაც)				
გუ-				
პირდაპირობიექტური პირის ექსკლუზივის (Oe) მორფემა უზმნისწინო ფორმებში	ხმოვნების წინ:	თანხმოვნების წინ:	პირდაპირობიექტური პირის ექსკლუზივის (Oe) მორფემა ზმნისწინიან ფორმებში	
	ნ-	**ნგ-** და **ნუ-**		**ნ-**, **ნგ-**, **ნუ-**
	ნ-აძარე „გვაძლევს“ **ნ-**ახტაში „გვხატავს“ **ნ-**ადგარი „გვკლავს“	**ნგ-**ტხე „გვაბრუნებს“ **ნუ-**ცური „გვტოვებს“ **ნუ-**ფშედე „გვიშვებს“		ა-**ნ-**ტიხ „დაგვაბრუნა“ ა-**ნ-**ცური „დაგვტოვა“ ა-**ნ-**ფიშედ „გაგვიშვა“ ა-**ნ-**ხატუე „დაგვხატა“ ა-**ნ-**მარე „მოამზადა“ ა-**ნგ-**ტხ „დაგვაბრუნე“ ა-**ნუ-**ცურ „დაგვტოვე“
ირიბობიექტური პირის ექსკლუზივის (Oe) მორფემა (ყოველგვარ პოზიციაში)				
ნ				
ნ-ათური „გვასწავლის“ **ნ-**აჰუდი „გვაძლევს“ **ნ-**იხტაში „გვიხატავს“ **ნ-**ეხტაში „გვუხატება“ ა-**ნ-**ხატუე „დაგვხატა“ ა-**ნ-**სყე „გვგეყეთა“ **ნ-**იხალ „ვიცით“ **ნ-**აყა „გვყავს“				

ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემათა სქემა[1] სუბიექტურ-ობიექტურ უღლებაში

სუბ. უღლება:	ობ. უღლება:
S1 ხუ-	**O1** მ-
Se ხუ-	**Oe** *მ- → ნ-
Si ლ-	**Oi** გუ-

როგორც სქემიდან ჩანს, **S1** და **Se** გამოხატულია ერთი და იმავე პრეფიქსით (ხუ-), ხოლო **O1** და **Oe** ამოსავალში გამოიხატება ერთი და იმავე (მ-) პრეფიქსით, დღეს კი მათი გამოხატულება განსხვავებულია (**O1**-მ-; **Oe**-ნ-) (ონიანი 1965, 230).

მკვლევართა მიერ დიაქრონიული კვლევა-ძიების საფუძველზე დადგენილია, რომ ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიცია ისტორიულად, ზემოსვანურის მსგავსად, ქვემოსვანურ დიალექტებშიც უნდა გვქონოდა, რაც გარკვეულ საფეხურამდე ყველა ქართველური ენისათვის (და, ამდენად, საერთო-ქართველური ფუძე ენისათვისაც) იყო დამახასიათებელი (მისმა ნაშთებმა ძველ სალიტერატურო ქართულამდე მოაღწია). საგულისხმოა, რომ თანამედროვე სვანურში ამ მხრივაც უაღრესად შორეულ არქაიზმთან გვაქვს საქმე, ისეთ არქაიზმთან, რომელიც საერთო-ქართველურ ფუძე ენაში იღებს სათავეს და წარმოადგენს მის გაგრძელებას (ა. შანიძე, გ. დეეტერსი, ვ. თოფურია, კ. დონდუა, თ. გამყრელიძე, ზ. სარჯველაძე, თ. მეტრეველი, ა. ონიანი).

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიასთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში მრავალი საინტერესო და განსხვავებული მოსაზრება არსებობს.

განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება არნ. ჩიქობავას მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ ეთანხმება ენათმეცნიერთა იმ ნაწილს, რომლებიც „სწორედ სვანურზე დაყრდნობით იძლეოდნენ ძველი ქართულის ფორმის თავისებურ განმარტებას: **გუ-||მ-** პრეფიქსთა გამოყენება ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოვლენაა"-ო. მისი აზრით, „სვანურში **გუ**-ს ამ ფუნქციით აღჭურვა უნდა დაწყებულიყო დიალექტთა თუ ენათა შერევის შედეგად, როცა ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა **გუ-||ნ-** პრეფიქსები... მათი სიმბიოზის პროცესში **გუ-||ნ-**ს ფუნქციათა გამიჯვნა მივიღეთ, სადაც **გუ-** კილოს ხვედრითი წონა გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე **ნ**-სი (ნ- ფენის მატარებელნი კი ზემოსვანეთის თემებში არიან წარმოდგენილი)... ძველ ქართულში **გუ-** პრეფიქსი არც მრავლობითის ნიშანი იყო (რაზეც მეტყველებს **გან-გუ-აახლ-ნ-ა** ტიპის ფორმათა წარმოება) და არც მისი ინკლუზიურობის მაჩვენებელი" (ჩიქობავა 1946, 120). როგორც ვნახეთ, არნ. ჩიქობავამ თავისი მსჯელობით მოხსნა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხი ძველ ქართულში, ხოლო ტ. გურგენიძემ პირი და რიცხვი ერთ მთლიან გრამატიკულ კატეგორიად მიიჩნია და ქართული ენის ვ-არ-თ, ხ-არ-თ, გ-აქვ-თ, Ø-უ-ხარია-თ ტიპის მაგალითებში ვ- — -თ, ხ- — -თ, გ- — -თ, Ø- — -თ განიხილა როგორც ძირის მიერ წყვეტილი ერთიანი, მთლიანი აფიქსი, ანუ ცირკუმფიქსი, ამ ტერმინის ი. მელჩუკის (მელჩუკი 1963, 27-40) მიერ შემოთავაზებული გაგებით (გურგენიძე 1969, 75-76). ასევე ერთ მთლიან გრამატიკულ კატეგორიად მიიჩნია მრავლობითობისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიები, რის საფუძველზეც ივარაუდა, რომ „მრავლობითობისა და **in/ex**-ის გამომხატველი აფიქსები განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთიანი, მთლიანი აფიქსები; კერძოდ, ქართველურ ენათა კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით, რიგ შემთხვევებში — როგორც ცირკუმფიქსები (გურგენიძე 1983, 21).

[1] აღნიშნული სქემა ეკუთვნის პროფ. ალ. ონიანს.

რაც შეეხება პროფ. ვ. თოფურიას, იგი ქვემოსვანურში ობიექტური ინკლუზივისა და ექსკლუზივის გაქრობაში ქართულის წვლილს ხედავს, რომლის ძლიერი გავლენით შეგნება ინკლუზივ-ექსკლუზივისა შესუსტდა, რასაც შედეგად **ნ**-ს დაკარგვა მოჰყვა. როგორც მკვლევარი ვარაუდობს, „ობიექტურებთან დაკავშირებით ეს იმიტომ მოხდა, რომ ქვემოსვანურს **გუ**-ს სახით საერთო ფორმანტი მოეპოვებოდა მის გამვლენელ ქართულთან“. გამოთქმული მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად კი უშგულურს იშველიებს, რომელშიც, ლაშხურის გავლენით, **გუ**-სა და **ნ**-ს ხმარების წესი საკმაოდ არეულია და ამას ინკლუზივ-ექსკლუზივს შორის არსებული სხვაობის წაშლისა და **ნ**-ს დაკარგვის დასაბამად მიიჩნევს. მისი აზრით, „უშგულური დღეს იმ საფეხურზე დგას, რომელიც ქვემოსვანურმა უკვე გაიარა, და თუ ლაშხურის გავლენა კვლავ გაგრძელდა, საფიქრებელია, რომ უშგულური ამ მხრით სრულებით მას დაემსგავსება“ (თოფურია 1967, 25-26). საინტერესოა, რის საფუძველზე აკეთებს ამგვარ დასკვნას პროფ. ვ. თოფურია? ვფიქრობთ, იმ საილუსტრაციო მასალის ანალიზის შესაბამისად, რომელიც მან უშგულური ტექსტების მასალაზე ჩაატარა. მაგ., უშგ. **მ̌ჲ̈ჲ̈ ჯეკუეს, ეჯა გუშ̈უყრ** „რაც გსურდეს („გინდოდეს“), ის გვიყავი („დაგვმართე“); ...**ჲდედი ჲ'ოგუხუშტ** „ან ამოგვწყვიტე“ და სხვა. როგორც წესი, მოსალოდნელი იყო **ნ̈უყრ** და **ჲ'ანუხუშტ** ფორმათა ხმარება, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ პროცესს ადგილი მხოლოდ უშგულურში აქვს, რადგანაც **გუ- ნ**-ს ადგილას სვანური პოეზიაში ხშირად ფიქსირდება [შდრ. მულახ. აშ **გუბინა** ლიზ-ლიჩედი „ასე დაგვიწყია წასვლა („სვლა-წასვლა“)“; შყაუმიშ ქარუან სგა **ლოგხუიდდა** „მწყრის ქარავანი შემოგვხვდა“; მესმე ლებნშან ალა **გუერა** „მესამე ნიშანი ეს გვექნება“ და ა. შ.]. რა თქმა უნდა, აქაც მოსალოდნელი იყო **ნ**-იანი ფორმები: **ნიბინა, ლანხუიდდა** და **ნერა**.

ვ. თოფურიას მიერ უშგულურ კილოკავში დადასტურებული მაგალითები არნ. ჩიქობავას ძველი ქართულის **გადმოგჯითარგმნე ჩუენ, განგჯიღე ჩუენ, გჯიბრძანე ჩუენ**... რიგისად მიიჩნია და ფიქრობს, რომ საქმე გვაქვს **გუ**- პრეფიქსის ზოგადი მნიშვნელობით გამოყენებასთან და არა მის აღრევასთან (ჩიქობავა 1946, 117). „იქ, სადაც **გუ-||ნ**- პრეფიქსიან ფორმათა გამიჯვნა არ ხერხდება, სწორედ ძველი ვითარებაა დაცული“-ო, შენიშნავს იგი (იქვე, 120). არნ. ჩიქობავას ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ და მიგვაჩნია, რომ ვ. თოფურიას მიერ იფარსა და ეცერულში დაფიქსირებული რამდენიმე შემთხვევა, მაგ., ბზ. (იფარ.) **შუიდებდუ ლოგუჩედა** (შენ+ჩვენ, ე. ი. **Oi**) „კეთილი იყოს შენი მობრძანება („მშვიდობითმცა მოგვსვლია“); ბქ. (ეცერ.) **სიოღუ გუირი შუიდებდ** (მე+მას||მათ) „შენი თავი გვიმყოფოს ღმერთმა მშვიდობით („შენმცა გვყავხარ მშვიდობით“)“! და, აგრეთვე, ქ. მარგიანი-სუბარის მიერ უფროსი თაობის ჩუბეხეველი წარმომადგენლისგან (ასერთი წლის მოხუცისგან) ჩაწერილი შემდეგი ფრაზა: **ისგუ თხუიმოლ გუირი ჰედუირდ ობაშ ხანს** (მე+მას||მათ) „შენი თავი გვიმყოფოს ღმერთმა დიდხანს („შენი თავიმცა გვყავს სრულად ბევრხანს“!)“![1] უფრო არჩაულ მოვლენას უნდა ასახავდეს და, როგორც ავტორი შენიშნავს, ამგვარი შემთხვევები არამც და არამც არ უნდა მივიჩნიოთ უშგულურის ანალოგიად (მარგიანი-სუბარი 2009, 118).

ვ. თოფურიას მიერ შემჩნეული ფორმები, ცხადია, არც ჩვენი მეტყველებისთვის არის უცხო და ცხუმარულ კილოკავშიც დაგვიფიქსირებია უფროსი თაობის ადამიანთა მეტყველებაში[2].

ჩვენი აზრით, რადგანაც უშგულური თავისი არქაულობით მართლაც გამოირჩევა სვანურ დიალექტ-კილოკავთა შორის, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ მეტად რთულ გრამატიკულ კატეგორიაში სწორედ ძველი ვითარებაა დაცული, რასაც იდიომატური გამოთქმებიც უჭერენ მხარს, და ლაშხურის

---

[1] ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დღევანდელი კანონებიდან გამომდინარე, ნაცვლად ზემოთ წარმოდგენილი ფორმებისა, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო **ლანჯედა** და **ნარი**.

[2] როდესაც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს (**მაკა სალღობანსა** და **ანა მილდიანს**) ზემოთ წარმოდგენილი სვანური წინადადების ქართული თარგმანები წავუკითხე და მათი ე. წ. **„გადმოსვანურება“** ვთხოვე, ჩვენდა გასაკვირად, მათ **შუიდებდუ ლანჯედა**-ს პარალელურად **შუიდებდუ ლოგუჩედა**-ც გამოიყენეს და თითქოსდა თავის გასამართლებლად მოგვახსენეს, რომ ეს უკანასკნელი ფორმა უხუცესებისგან სმენიათ.

გავლენას გამოვრიცხავთ.

როგორც ცნობილია, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ზემოსვანურ დიალექტთა კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც აისახება, მაგ.: **გუშგუედ** (ბზ.), **გუიშგე** (ბქ.) „ჩვენი (ე. ი. ჩემი + შენი||თქვენი)" **Oı**, **ნიშგუედ** (ბზ.), **ნიშგე** (ბქ.) „ჩვენი (ე. ი. ჩემი + მისი||მათი)" **Oe**. ვ. თოფურიას აზრით, სვანური **შგუ**-ს ეკვივალენტია ქართული **ჩვ-** (**ჩუ-**), ხოლო **გუი** (იგივე **გუ-**), **ნი-** და **მი-** იშლება **გუ-ი, ნ-ი-, მ-ი-** ელემენტებად, **-ი-** კი იგივე **-ი-** უნდა იყოს, რაც ზს. **ი-სგუ**, ლშხ. **ი-სგუ-ი**, ლნტ. **ი-სკუ-ი** „შენი" და ბზ. **ი-სგუ-ედ**, ბქ. **ი-სგ-ე**, ლშხ. **ი-სგუ-ე**, ლნტ. **ი-სკუ-ე**-ში „თქვენი" არის. ე. ი. ე. წ. კუთვნილებით ნაცვალსახელთა ელემენტები **ჩვ-** (**ჩუ-**), **გუი** (იგივე **გუ-**), **ნი-**, **მი-** და ზმნაში გამოყენებული **მ-**, **გუ-**, **ნ-** ერთი და იგივენი არიან (თოფურია 1967, 27). რადგანაც ქვემო სვანურში ნაცვალსახელთა ექსკლუზივის ფორმები არ არსებობს, ამდენად ინკლუზივი **გუშგუე, გუშკუე** ზოგადი მნიშვნელობით „ჩვენი" გამოიყენება (ონიანი 1998, 93).

ზემოთ საუბარი გვქონდა უშგულური კილოკავის შესახებ, სადაც **გუ**-სა და **ნ**-ს ხმარება საკმაოდ არათანმიმდევრული აღმოჩნდა. როგორც ენათმეცნიერთა დაკვირვების შედეგად გაირკვა, უშგულურ კილოკავში არც კუთვნილებით ნაცვალსახელებში აღმოჩნდა საანალიზო კატეგორია მყარი. ქეთევან მარგიანი-სუბარის დაკვირვებით, ზოგჯერ ერთსა და იმავე კონტექსტში ზმნა ექსკლუზიურია, მაგრამ სწორედ კუთვნილებითი ნაცვალსახელი არ იცავს წესს და ინკლუზიური ფორმით გვევლინება, მაგ.:

ნაჲ ნუღუე (Oe) უოქურე ზარფაშა (სვ. პროზ. ტ., I., 1939, 68) „ჩვენ გვაქვს ოქროს ზარდახშა"

გუშგუე უოქურე ზარფაშა ნაბოზს ცარიელ ლი (იქვე) „ჩვენი ოქროს ზარდახშა საღამოს ცარიელია"

გუიშგე (Oı) მახუში, ისგუა ლაღაშგალდ მად მეჯდე ხუიშდ (Se) (იქვე, 60) „ჩვენო უხუცესო, შენთან სადავოდ („შენს შე'საცილებლად, წასართმევად") არ მოვსულვართ („არმოსული ვართ") (მარგიანი-სუბარი 2008, 118).

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიასთან დაკავშირებით უშგულურში დადასტურებული მოვლენა არ ეხება ზემოსვანურის არც ერთ სხვა კილოკავს, სადაც ცოცხალ მეტყველებაში ეს ფორმები დღემდე, როგორც ცნობილია, საკმაოდ მკაცრად არის გამიჯნული. უშგულურის ეს მოვლენა კი გაოცებას იწვევს, რადგანაც აღნიშნული მეტყველება ყველაზე მეტი არქაულობით გამოირჩევა ზემოსვანურში, მაგრამ, ვინაიდან, მთელ სვანურში ძველ ფორმათა გვერდით არაერთი ინოვაციაა სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნული, ამიტომ, სრულიად ბუნებრივია ვ. თოფურიას დასკვნა უშგულურ კილოკავზე ლაშხურის გავლენის შესახებ (თოფურია 1967, 25-26), რაც ყველაზე მეტად ქვემოსვანურთან ქართული ენის ძლიერი ინტერფერენციის შედეგია (მარგიანი-სუბარი 2008, 118).

მოგვიანებით ინკლუზივ-ექსკლუზივის საკითხს შეეხო დამანა მელიქიშვილიც, რომელსაც მსგავსი შეხედულება აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი ვარაუდით, სუბიექტურ უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება სვანურის საერთოქართველურიდან გამოყოფის შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგანაც ქართულში არავითარი კვალი არ არის დარჩენილი სუბიექტურ უღვლილებაში ამ ოპოზიციის არსებობისა. რაც შეეხება ქართულს, იქ სუბიექტურ უღვლილებაში ეს დაპირისპირება არ განვითარებულა და ობიექტურშიც თანდათან მოიშალა, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო ექსკლუზივის ფორმის ობიექტური პირის მხოლობითი რიცხვის ფორმასთან სრულ დამთხვევას (მელიქიშვილი 1980, 187). ამასთანავე, მკვლევარს მიაჩნია, რომ ექსკლუზივის კატეგორიის ნიშნით გაფორმება ობიექტურ უღვლილებაში მეორეული მოვლენაა, სუბიექტურ უღვლილებაში კი დაცულია ამოსავალი ვითარება: ექსკლუზივს ნიშანი არა აქვს, მაგრამ სვანურში იგი ფორმით მაინც განსხვავდება მხოლობითის ფორმისაგან მრავლობითი რიცხვის სუფიქსით: **Si — ხუაშხი** „ვწვავ", **Si — ლაშხიდ** „ვწვავთ", **Se — ხუაშხიდ** „ვწვავთ" (მელიქიშვილი 1977, 164-165).

პროფ. დამანა მელიქიშვილი, სტატიაში „ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში", ცნობილ ენათმეცნიერთა (ვ. თოფურია, ა. შანიძე, ა. ონიანი, არნ. ჩიქობავა) ნაშრომებზე დაყრდნობითა და საკუთარი არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე საბოლოოდ დაასკვნის, რომ

1. **გუ-** პრეფიქსი, ისტორიულად ინკლუზივის ნიშანი, **O2 + O1** პრეფიქსთა კომბინაციითა შედგენილი (იხ. თოფურია, 1967, 26): **გმ > გუ** (საერთოქართველურ ფუძეენაში?);

2. ექსკლუზივს ნიშანი ისტორიულად არ ჰქონია, რადგანაც განსაკუთრებულ აფიქსს მხოლოდ **II** პირის არსებობის აღნიშვნა საჭიროებდა. ობიექტურ უღვლილებაში მხოლობითის ფორმისაგან განსხვავების საჭიროებამ გზა გაუხსნა ფონეტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის განხორციელებას: **ნაჲ მაყა > ნაჲ ნაყა** „ჩვენ (მე||ჩვენ + შენ||თქვენ) გვყავს" და, ამგვარად, სვანურში ობიექტურ უღვლილებაში ექსკლუზივის ნიშნად საბოლოოდ გაფორმდა **ნ-** პრეფიქსი;

3. რაც შეეხება სუბიექტურ უღვლილებას, იქ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევა სვანურში შედარებით გვიანდელ მოვლენად მიაჩნია და, აქედან გამომდინარე, მის გამოხატვის წესს არ დასდებია საფუძვლად ორი პირის ნიშნის კომბინაცია. ინკლუზივი საგანგებო **ლ-** პრეფიქსითაა აღნიშნული, რომელიც შესაძლოა ისტორიულად **S3** პრეფიქსს დაუკავშირდეს, ექსკლუზივს კი აქაც არა აქვს ნიშანი;

4. ქართულში, სავარაუდოდ, სუბიექტურ უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირების გაჩენამდე ეს კატეგორია ობიექტურ უღვლილებასაც უნდა დაეკარგა, განსხვავებით ზემოსვანურისაგან, სადაც ეს კატეგორია კიდევ უფრო გაძლიერდა და სუბიექტურ უღვლილებაში მოხდა ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმალური გარჩევა;

5. ქვემო სვანურში კი იმის გამო, რომ ექსკლუზივის ფორმა არ დაპირისპირებია ერთი მხრივ — მხოლობითისა და მეორე მხრივ — ინკლუზივის ფორმას, ე. ი. არ მიეცა გასაქანი ზემოთდასახელებულ ფონეტიკურ პროცესს (**ნაჲ მაყა — ნაჲ ნაყა**). გამოდის, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება აღარც სუბიექტურ უღვლილებაში მომხდარა. შემდგომ კი ქართულის გავლენით ეს დაპირისპირება ობიექტურ უღვლილებაშიც შესუსტდა და საბოლოოდ მოიშალა;

6. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის სქემა ისტორიულად, პროფ. დ. მელიქიშვილის აზრით, ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

ობიექტურ უღვლილებაში სვანურში

O1 მ-	O1 გუ < გმ
	Ce ნ- < O1) < Ø

ქართულში

C1 მ-	Oi გუ- < გმ
	Ce Ø

სუბიექტურ უღვლილებაში სვანურში

C1 ხუ-	C1 ლ- < (დ)
	Ce Ø- < (დ)

როგორც ავტორი ვარაუდობს, „ქართულში სუბიექტურს უღვლილებაში ამგვარი დაპირისპირება არ განვითარებულა" (მელიქიშვილი 1977, 164-165).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში, როგორც უკვე ითქვა, გამოთქმული იყო მოსაზრება საანალიზო კატეგორიის მეორეულობის შესახებ, რომელსაც არ ეთანხმება მეცნიერთა დიდი ნაწილი და თვლის, რომ გარკვეულ საფეხურამდე აღნიშნული ოპოზიცია ყველა ქართველური ენისათვის იყო დამახასიათებელი, რომლის ნაშთებმა ძველ სალიტერატურო ქართულამდე მოაღწია.

ძველი ქართული და სვანური ენების მასალების ანალიზის საფუძველზე, პროფ. კარპეზ დონდუა, თავის ცნობილ ნაშრომში „სვანურისა და ძველი ქართულის პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსთა რაობა მრავლობითში", მიიჩნევს, რომ **ინკლუზივ-ექსკლუზივი უძველესი კატეგორიაა სვანურში**; მათი მორფოლოგიური განსხვავებულობის კვალი აშკარაა ასევე ძველ ქართულშიც: "С течением времени, при ослаблении функции этой грамматической категории, последовавшем в связи с нарождением новых форм восприятия действительности, префикс გუ- gu- начинает все больше вытеснять свою эксклюзивную разновидность и, наконец, становится единственным объектным префиксом мн. числа в современном грузинском с его говорами, равно в нижнесванских диалектах, испытывающих вообще сильное влияние грузинского языка" — აღნიშნავს ავტორი (დონდუა 1967, 292). მისი აზრით, **გუ-** პრეფიქსის **მ**-სთან შედარებით დაწინაურებას ძველ ქართულში შესაძლოა ხელი შეუწყო მხოლობითისა და მრავლობითის ფორმათა დიფერენციაციის სურვილმა: "Сравнительно большая последовательность в употреблении объектного префикса м- m- в древнегрузинских текстах — одно из косвенных доказательств существования грамматической категории инклюзива и эксклюзива в древнегрузинском языке" (იქვე, 295). მოგვიანებით კი მან გაიზიარა არნ. ჩიქობავას დებულება იმის შესახებ, რომ **გუაქუს||მაქუს** ფორმათა სხვაობას ინკლუზიური გაგება საფუძვლად ძველ ქართულში არ უდევს და იქვე შენიშნავს: პირველადია ეს კატეგორია სვანურში თუ მეორადი — ეს სხვა საკითხია-ო (იქვე, 105).

აღნიშნულ პრეფიქსებთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, წარმოდგენილია სხვადასხვა თვალსაზრისი. პროფ. ალ. ონიანის აზრით, მართალია, ძველ ქართულში **გუ-** და **მ**- პრეფიქსთა ადრინდელი ფუნქცია მოშლილია, მაგრამ ზმნის უღლების სისტემაში ისინი კვლავ ტრადიციულად იხმარებიან და არქაული ვითარება აქვთ დაცული. სვანურში კი ამ მხრივ, როგორც უკვე ითქვა, „უაღრესად შორეულ არქაიზმთან გვაქვს საქმე, ისეთ არქაიზმთან, რომელიც საერთო-ქართველურ ფუძეენაში იღებს სათავეს და წარმოადგენს მის გაგრძელებას" (ონიანი 1965, 231; 1998, 150). თანაც იგი არ ეთანხმება პროფ. დ. მელიქიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **„ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივს კი — არა"** (მელიქიშვილი 1977, 162) და აყენებს საკითხს ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმაში პრეფიქსების (სვან. **ხუ-** და **მ**-, ქართ. **მ**-) ექსკლუზივის გამომხატველად მიჩნევის კანონზომიერების შესახებ, რომელთაც ასეთი ფუნქცია არა აქვთ მხოლობითი რიცხვის ფორმაში. ალ. ონიანს მიაჩნია, რომ „ასეთი გაგება სრულიად კანონზომიერია, რადგანაც აღნიშნული პრეფიქსები ექსკლუზივს გამოხატავენ მხოლოდ ისეთ ფორმებში, რომელთაც მოეპოვებათ საპირისპირო ფორმები საპირისპირო (ინკლუზიური) მნიშვნელობით, სადაც პირველი პირის მრავლობითი რიცხვი, სადაც **ხუ-** და **მ**- პრეფიქსებით წარმოქმნილ ექსკლუზივს უპირისპირდება **ლ-** და **გუ-** პრეფიქსებით წარმოქმნილი ინკლუზივის ფორმა. იგივე პრეფიქსები არ გამოხატავენ ექსკლუზივს ისეთ ფორმებში, რომელთაც არ მოეპოვებათ საპირისპირო (ინკლუზიური) მნიშვნელობის მქონე საპირისპირო ფორმები (I პირს მხ. რიცხვის ფორმა)" (ონიანი 1965, 242).

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხს შეეხო თ. მეტრეველიც, რომელმაც აღნიშნული კატეგორია ძველი ქართულის მონაცემებზე დაყრდნობით განიხილა და დიდძალი ენობრივი მასალის (ჯრუჭ-პარხლისა და ადიშის ოთხთავები) ანალიზის საფუძველზე ქრონოლოგიურად დაადასტურა: ა) **მ** პრეფიქსიან ფორმებს მხოლოდ ექსკლუზიური გაგებით; ბ) **გუ** პრეფიქსიან ფორმებს, რომელთაც აქვთ როგორც ინკლუზიური სემანტიკა, ისე ექსკლუზიურიც (ქართული ენის განვითარების ის სტადია, როცა

გათანაბრების პროცესი უკვე საკმაოდ შორსაა წასული და სხვაობა **მ** და **გუ** პრეფიქსიან ფორმებს შორის ნაშთის სახითღაა შემორჩენილი). მისი აზრით, გათანაბრება, უპირველეს ყოვლისა, **გუ** პრეფიქსიან ფორმებს შეხებია. ამასთანავე, ძველი ქართული ენის ძეგლებში აშკარად ჩანს ნაშთის სახით შემორჩენილი ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალი, თუმცა თავად კატეგორია ამ პერიოდის ცოცხალი სამეტყველო ენისათვის უცხოა; იგი ძველ ქართულში გაცილებით უფრო ადრე უნდა მოშლილიყო და ამიტომაა, რომ **მ**-ანიანი ფორმების ხმარება ძველ ქართულში ერთგვარ არქაულ ელფერს ატარებს (მეტრეველი 1980, 187-190).

სწორედ ძველი ქართულის მონაცემებთან მიმართებაში განიხილავს ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიას პროფ. ზ. სარჯველაძეც და თვლის, რომ „სვანურისა და ძველი ქართულის მონაცემები საერთო-ქართველური ფუძეენის სისტემაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დაშვებისათვის საკმაო საფუძველს გვაძლევენ, თუმცა, მისი აზრით, „ძველი ქართული ასახავს იმ ვითარებას, როცა **გუ**- და **მ**- პრეფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიას კი არ აღნიშნავენ, არამედ ისინი მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ნიშნის ალომორფებია. **მ**- ამ ფუნქციით თანდათან მოიშალა **გუ**-პრეფიქსის გაბატონების შედეგად" (სარჯველაძე 1984, 407-408).

საანალიზო ოპოზიციამ, რომელიც ქართველურ ენათაგან დღემდე მხოლოდ სვანურმა შემოინახა და რომელსაც არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიეძღვნა, ყურადღება მიიქცია კოდორის ხეობის სვანურენოვანი მოსახლეობის მეტყველებაშიც.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ (1970 წელს) პროფ. მ. ქალდანი სტატიაში „დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში" საგანგებოდ მსჯელობდა იმ რთული თავისებურებების შესახებ, რომლებიც კოდორის (**resp**. დალის) ხეობის სვანურენოვანი მოსახლეობის მეტყველებისთვის იყო დამახასიათებელი. სწორედ ეს დიალექტოლოგიური სურათი განაპირობებდა, მისი აზრით, ამ ხეობაში მცხოვრებ სვანთა მეტყველების ახალ, მეტად რთულ და საინტერესო დიალექტად ჩამოყალიბებას (ქალდანი 1970, 82-91). როგორც ცნობილია, აღნიშნულ ხეობაში დღემდე მიმდინარეობს სამეტყველო კოდების შერევა, რაც გამოიხატება ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ურთიერთშერევის (**ინტერფერენციის**) პროცესში. ეს პროცესი კი განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ თაობის მეტყველებისათვის, რომელიც დაბადებული და აღზრდილია კოდორის ხეობაში. რაც შეეხება უფროს თაობას, მის მეტყველებაში ასეთი მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა (იქვე, 84), თუმცა, როგორც მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, მცირეოდენი თავისებურებანი უფროსი თაობის მეტყველებაშიც შეინიშნება (საღლიანი 2008, 131).

კოდორის (**resp**. დალის) ხეობის დიალექტთა ურთიერთშერევის პროცესის ძირითადი საფუძველი, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სვანური ენის ორი დიალექტის — ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის — ფონეტიკურ-გრამატიკულ მოვლენათა აღრევაა აქაურ სვანთა მეტყველებაში. გარდა ამისა, თვალშისაცემია, აგრეთვე, ბალსქვემოურ დიალექტზე მოლაპარაკეთა კილოკაური ურთიერთმიმართებაც.

კოდორული მეტყველება და იქ წარმოდგენილი კილოკავები, როგორც ცნობილია, ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქცია, დელაბიალიზაცია, მეტათეზისი, ბგერის ჩართვა-დაკარგვა...), მორფოლოგიურ-სინტაქსურ თუ ლექსიკურ თავისებურებათა არსებობა-არარსებობით, რაც, ფაქტია განაპირობა ზემოსვანური დიალექტების წარმომადგენელთა წლების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრებამ (იქვე).

საინტერესოა, რა ვითარებაა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მხრივ კოდორულ სვანურში?

ქ. მარგიანმა-სუბარმა საგანგებოდ შეისწავლა აღნიშნული საკითხი კოდორული დიალექტების მიხედვით და დიდძალი საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე წარმოგვიდგინა მეტად საინტერესო დაკვირვებანი პირის ნიშნებთან დაკავშირებულ ინტერფერენციულ მოვლენებზე კოდორის ხეობაში მცხოვრებ სვანთა თანამედროვე მეტყველების მიხედვით. მისი აზრით, „ინკლუზივ-

ექსკლუზივის კატეგორიაში აქ კილოთა შორის ინტერფერენცია მოსალოდნელი არ იყო, რადგან ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა წარმომადგენლების მემკვიდრეები სახლობენ, რომლებმაც ინკლუზივ-ექსკლუზივი დღემდე ცოცხლად შემოგვინახეს" (მარგიანი-სუბარი 2008, 119). როგორც მკვლევარი შენიშნავს, იგი სხვა კუთხით დაინტერესდა, კერძოდ: „ხომ არ შესუსტდა ეს ფენომენი საუკუნენახევრის წინ ზემო სვანეთიდან გადასახლებულ, ენგურის ხეობიდან მეტნაკლებად იზოლირებულად მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში"? (იქვე). როგორც საკითხის შესწავლამ აჩვენა, „რთული დიალექტოლოგიური სურათის გამარტივების პროცესი" (ქალდანი 1970, 83) ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიასაც „შეჰპარვია" (მარგიანი-სუბარი 2008, 119), რაც, ძირითადად, ობიექტის ექსკლუზიური ფორმების ნაცვლად ობიექტის ინკლუზიური ფორმების ხმარებაში გამოიხატება (მაგ.: **გუ**-ინჳრინადა (**Oı**) „მივყავდით", **გუ**-იხალდა (**Oı**) „ვიცოდით", **გუ**-ჳდდა (**Oı**) „გვქონდა" და ა. შ. ნაცვლად **ნ**-ინჳრინადა (**Oe**), **ნ**-იხალდა (**Oe**), **ნ**-ადდა (**Oe**) ფორმებისა) (იქვე, 119-120), თუმცა, საილუსტრაციო მასალის მიხედვით, აღნიშნული კატეგორიის შესუსტება, როგორც ნაშრომიდან ჩანს, მხოლოდ ზმნას ეხება (ნაცვალსახელებში მსგავსი რამ ჯერჯერობით არ დადასტურებულა) და მხოლოდ ობიექტური წყობის ინკლუზივს.

ქ. მარგიანი-სუბარის აზრით, „კოდორის ხეობაში მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების „აღრევა" ინოვაციის იერს ატარებს და ფორმათა უნიფიკაციის პროცესის დასაბამს წააგავს, პროცესის ხელშემწყობი ფაქტორი კი, შესაძლოა, ქართულთან ანალოგია იყოს (შდრ. **გვ- Oı** ქართულ და **გუ- Oı** სვანურ პრეფიქსთა მატერიალური მსგავსება) იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხეობის სვან მოსახლეობას, ბოლო დროის მოვლენებამდე, შეიძლება ითქვას, ყოველდღიური და საქმიანი ურთიერთობა სწორედ აფხაზეთის ქართულენოვან მოსახლეობასთან ჰქონდა" (იქვე, 121).

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სვანური ენის შემსწავლელი ჯგუფი (ე. გაზდელიანი, რ. ჭკადუა, მ. საღლიანი, ქ. მარგიანი-სუბარი, ქ. მარგიანი, რ. იოსელიანი) პროფ. ი. ჩანტლაძის ხელმძღვანელობით უკვე რამდენიმე წელია იკვლევს სვანური ენის თითქმის შეუსწავლელ უბანს — კოდორის (**resp**. დალის) ხეობის მეტყველებას ზემოსვანურ დიალექტთა მონაცემების მიხედვით, რომელიც, ძირითადად, სწორედ ინტერფერენციული მოვლენებით შემოიფარგლება.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოსვანურ დიალექტთა მონაცემების გარდა, კოდორულ ტექსტებზე მუშაობის პერიოდში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამავე არეალში, კერძოდ, სოფელ გვანდრაში მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის, კოდორელი ბალსქვემოელების, გუჯეჯიანების, რძლის, ორმოცი წლის ირმა კოჭბიანის, მეტყველების თავისებურებებმა, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვეკვლია ინტერფერენციული მოვლენები ისეთ დაშორებულ დიალექტებს შორის, როგორიცაა ლაშხური და ბალსქვემოური (საღლიანი, გაზდელიანი 2009, 180).

როდესაც ქ. მარგიანი-სუბარი ზემოთაღნიშნულ საანალიზო კატეგორიას იკვლევდა კოდორულ დიალექტებში, მაშინ მას ლაშხური მეტყველების ნიმუშებზე ხელი არ მიუწვდებოდა და, რასაკვირველია, დაკვირვებასაც ვერ მოახდენდა.

ჩვენს ხელთ არსებული ლაშხური მეტყველების ნიმუშების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ირმა კოჭბიანის მეტყველებაში არამცთუ შესუსტებულია აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორია, არამედ, პირიქით, ბალსქვემოურის გავლენის შედეგად მის მეტყველებაში სწორედ ობიექტის ექსკლუზივის **ნ**- პრეფიქსიანი (**ნ**-ეყნედდა „გვყავდა") ინტერფერენციული ფორმაც დაფიქსირდა ნაცვლად ლაშხური ინკლუზიური **გუ**-ეყნედა ფორმისა [შდრ. ბქ. **ნ**-ეყადდა (იქვე, 187)].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ინკლუზივ-ექსკლუზივი** არის ერთ-ერთი რთული მორფოლოგიური კატეგორია სვანურში, სადაც ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები დღემდე მკაცრადაა გამიჯნული როგორც ზმნაში, ისე ნაცვალსახელში. ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა თანამედროვე სვანურ დიალექტებში, როგორც

საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან: ქვემოსვანურ დიალექტებში (ლენტეხურში, ლაშხურსა და ჩოლურულ მეტყველებაში) ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას მხოლოდ სუბიექტური წყობის ზმნებში აქვს ადგილი, ხოლო ზემოსვანურ დიალექტებში კი (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) — როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში. მიუხედავად აღნიშნული კატეგორიის მყარი პოზიციისა, უშგულურ მეტყველებაში, რომელიც თავისი არქაულობით მართლაც გამოირჩევა სვანურ დიალექტ-კილოკავთა შორის, **გუ**-სა და **ნ**-ს ხმარების წესი საკმაოდ არეულია როგორც ზმნაში, ასევე ნაცვალსახელშიც, რასაც ლაშხურის გავლენას მიაწერენ, მაგრამ, რადგანაც **გუ**-სა და **ნ**-ს ხმარების წესი ზემოსვანურში სხვა კილოკავებშიც (მაგ.: **ოფარ.**, **ეცერ.**, **ცხუმ.**) არის შემჩნეული, ვფიქრობთ, ამ მეტად რთულ გრამატიკულ კატეგორიაში სწორედ ძველი ვითარებაა დაცული, რასაც იდიომატური გამოთქმებიც უჭერენ მხარს, და ლაშხურის გავლენა შესაძლოა გამოირიცხოს, რასაც ვერ ვიტყვით კოდორის ხეობაში მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში დაფიქსირებული ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების აღრევის შესახებ, რომელიც ინოვაციის იერს ატარებს და ქართულთან ანალოგიას მიეწერება. რაც შეეხება კოდორელი ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში დაფიქსირებულ ექსკლუზივის **ნ**- პრეფიქსიან (**ნ**-ეყუედა „გვყავდა“) ინტერფერენციულ ფორმას, ის უთუოდ ბალსქვემოურის გავლენის შედეგია.

სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი

I. სუბიექტური პირის ნიშნები

მხოლობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი	
პირი	A. ხმ. დაწყ. ფ.	B. თანხმ. დაწყ. ფ.	A. ხმ. დაწყ. ფ.	B. თანხმ. დაწყ. ფ.
1	ხუ-	-უ-, *ჰუ-	Sl ლ- — -დ Se ხუ- — -დ	ლ-გ- — -დ -უ-, *ჰუ- — -დ
2	ხ-	Ø-, *ჰ- (პრევერბ + ჯ-ით)	ხ- — -დ	Ø-, *ჰ- — -დ
3	ლ-, Ø-	Ø-	ლ-, Ø- — -ხ	Ø- — -ხ

II. ობიექტური პირის ნიშნები

მხოლობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი	
პირი	A. ხმ. დაწყ. ფ.	B. თანხმ. დაწყ. ფ.	A. ხმ. დაწყ. ფ.	B. თანხმ. დაწყ. ფ.
1	ჳ-	ჳ-გ-	01 გუ- 0e ნ-	გუ- ← გუ- + -გ- ნ-გ-
2	ქ-	ქ-გ-	ქ- — -ხ	ქ-გ- — -ხ
3	Ø-	Ø-	Ø-	Ø-
	*ჰ-, ხ-		*ჰ-, ხ- — -ზ'	

III. სუბიექტურ-ობიექტური აფიქსები რელატიურ ზმნებში

A. რელატ.-გარდაუვალი				B. რელატ.-გარდამავალი					
a. ერთობიექტიანი						b. ორობიექტიანი			
α. ხმ. დაწყ. ფ.				β. თანხმ. დაწყ. ფ.					
პრეფ.		სუფ.		პრეფ.	სუფ.	პრეფ. სუფ.		პრეფ.	სუფ.
S	O	S	O^{d}	S	O^{d-n}	S	O^{d-n}	S O^{d}	O^{d-n}
1	2	Ø-	ჯ-	ფლობიელობითი კრავლი		Ø-	ჯ-ჷ-	Ø- ჯ-	Ø-
	3	ხუ-/*ჰუ-	Ø-			-უ-	Ø-	ხუ-/*ჰუ- Ø-	Ø-
2	1	Ø-	მ-			Ø-	მ-ჷ	Ø- მ-	Ø-
	0e	Ø-	ნ-			Ø-	ნ-ჷ	Ø- ნ-	Ø-
	3	ხ-	Ø-			Ø-	Ø	ხ- Ø-	Ø-
3	1		მ-			*-	მ-ჷ-	*- მ-	Ø-
	Oi		ბუ-				ბუ-	ბუ-	Ø-
	0e		ნ-				ნ-ჷ-	ნ-	Ø-
	2		ჯ- —, -ხ				ჯ-ჷ- — , -ხ	ჯ-	Ø- — , -ხ
	3		ხ- —, -ხ		Ø-		Ø-	ხ-/*ჰ-	Ø-
1	2	Ø-	ჯ- — -დ	ფლობიელობითი ინვერსივი		Ø-	ჯ-ჷ- — -დ	Ø- ჯ-	Ø- — -დ
	3	ხუ-/*ჰუ-	Ø- — -დ			-უ-	Ø- — -დ	ხუ-/*ჰუ- Ø-	Ø- — -დ
	3	ლ-	Ø- — -დ			ლ-ჷ-	Ø- — -დ	ლ- Ø-	Ø- — -დ
2	1	Ø-	მ- — -დ			Ø-	მ-ჷ- — -დ	Ø- მ-	Ø- — -დ
	0e	Ø-	ნ- — -დ			Ø-	ნ-ჷ- — -დ	Ø- ნ-	Ø- — -დ
	3	ხ-	Ø- — -დ			Ø-	Ø- — -დ	ხ- Ø-	Ø- — -დ
3	1	*-	მ- — -ზ, -ხ	*-	მ- — -ხ	*-	მ-ჷ- — -ხ	*- მ-	Ø- — -ხ
	Oi		ბუ- — -ზ, -ხ		ბუ- — -ხ		ბუ- — -ხ	ბუ-	Ø- — -ხ
	0e		ნ- — -ზ, -ხ		ნ- — -ხ		ნ-ჷ- — -ხ	ნ-	Ø- — -ხ
	2		ჯ- — -ზ, -ხ		ჯ- — -ხ		ჯ-ჷ- — -ხ	ჯ-	Ø- — -ხ
	3		ხ- — -ზ, -ხ		Ø- — -ხ		Ø- — -ხ	ხ-/*ჰ-	Ø- — -ხ

სუბიექტური წყობა და ობიექტური წყობა

§ 16. **სუბიექტური და ობიექტური წყობა**. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, სვანურ ზმნაში, ისევე როგორც ქართულში, საგანგებო ნიშნითაა წარმოდგენილი სუბიექტიცა და ობიექტიც, თუმცა შეიძლება ზმნაში ხან მხოლოდ სუბიექტური პირი ჩანდეს (მაგ.: ხუ-ადგარი „ვ-კლავ“, ხუ-ასყი „ვაკეთებ“, ხუ-აჳნი „ვხნავ“, ხუ-ახტაუი „ვხატავ“ და ა. შ.), ხან — მხოლოდ ობიექტური (მაგ.: ჯ-ადგარი „გკლავ“, ჯ-ისყი „გიკეთებ“, ჯ-იჳნი „გიხნავ“, ჯ-ახტაუი „გხატავ“ და ა. შ.), ხანაც — არც ერთი (მაგ.: ადგარი „კლავს“, ასყი „აკეთებს“, აჳნი „ხნავს“, ახტაუი „ხატავს“ და ა. შ.). **საგულისხმოა, რომ სვანურ ზმნაში, ქართულისგან განსხვავებით, ორ და სამ პირიან ზმნებში სუბიექტისა და ობიექტის (პირდაპირი ან ირიბი) პირის ნიშნები ერთდროულად არასდროს არ არის წარმოდგენილი** (შდრ. ქართ. მ-ხატავ-ს და სვან. მ-ახტაუი, ქართ. მ-კლავ-ს და სვან. მ-ადგარი, ქართ. მ-იკეთებ-ს და სვან.

მ-ისყი, ქართ. მ-იხნავ-ს და სვან. მ-იჳნი, ქართ. მ-იცხობ-ს და სვან. მ-ინყე და სხვ.). როდესაც ზმნას ვაუღლებთ (ანუ ვცვლით მას პირისა და რიცხვის მიხედვით), შეიძლება:

ა) ვცვალოთ მხოლოდ სუბიექტური პირი და უცვლელი დავტოვოთ ობიექტური:

მი	(S1)	ხუ-ადგარი „ვკლავ"	ეჯას‖ეჯის (03)
სი	(S2)	ხ-ადგარი „კლავ"	
ეჯა‖ეჯი	(S3)	ადგარი „კლავს"	
ნა˘ღ˘	(S1)	Si ლ-ადგარი-დ „ვკლავთ"	
		Se ხუ-ადგარი-დ „ვკლავთ"	
სგა˘ღ˘	(S2)	ხ-ადგარი-დ „კლავთ"	
ეჯღარ	(S3)	ადგარი-ხ „კლავენ"	

იმგვარ წყობას, როდესაც იცვლება სუბიექტის პირები (რიცხვის მიხედვითაც), ობიექტისა კი — არა, **სუბიექტური წყობა** ეწოდება.

ბ) ვცვალოთ ობიექტური პირი და სუბიექტური კი უცვლელი დავტოვოთ:

ეჯა‖ეჯი (03)	მ-ადგარი „მკლავს"	მი	(01)
	ჯ-ადგარი „გკლავს"	სი	(02)
	ადგარი „კლავს"	ეჯას‖ეჯის	(03)
	0i გუ-ადგარი „გვკლავს"	ნა˘ღ˘	(01)
	0e ნ-ადგარი „გვკლავს"	ნა˘ღ˘	(01)
	ჯ-ადგარი-ხ „გკლავენ"	სგა˘ღ˘	(02)
	ადგარი „კლავს"	ეჯღარს	(03)

თუ სუბიექტური პირი უცვლელია, ობიექტისა კი — ცვალებადი, ე. ი. ეს არის **ობიექტური წყობა**.

როგორც ცნობილია, ქართული ორ და სამპირიანი ზმნების უმრავლესობას ორივე წყობა გააჩნია, მაგ.: ვ-აქებ... მ-აქებ-ს..., ვ-ათბობ... მ-ათბობ-ხ..., ვ-აწითლებ... მ-აწითლებ-ს და სხვ., რასაც ვერ ვიტყვით სვანური ზმნის შესახებ, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, ორ და სამპირიან ზმნებში სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები (ე. ი. **სუბიექტური** და **ობიექტური წყობა**) ერთდროულად დადასტურებული არ არის. სვანურში გვაქვს ისეთი ზმნები, რომელთაც, როგორც წესი

ა) ან მხოლოდ **სუბიექტური წყობა** აქვთ (უცვლელ ობიექტად ამ შემთხვევაში მესამე ობიექტური პირია):

მი	(S1)	ხუ-ახტაში „ვხატავ"	[ეჯას‖ეჯის (03)]
სი	(S2)	ხ-ახტაში „ხატავ"	
ეჯას‖ეჯის	(S3)	ახტაში „ხატავს"	
ნა˘ღ˘	(S1)	Si ლ-ახტაში-დ „ვხატავთ"	
	(S1)	Se ხუ-ახტაშიდ „ვხატავთ"	
სგა˘ღ˘	(S2)	ხ-ახტაში-დ „ხატავთ"	
ეჯღარს	(S3)	ახტაში-ხ „ხატავენ"	

ბ) ან მხოლოდ **ობიექტური** (უცვლელი პირი, ამჯერად სუბიექტი, კვლავ მესამეა):

მი	(01)	მ-ჳგდი „მეძინება“	[ეჯი‖ეჯა (S3)]
სი	(02)	ჯ-ჳგდი „გეძინება“	
ეჯას‖ეჯის	(03)	ნ-ჳგდი „ეძინება“	
ნჳ˹ჲ˺	(01)	0i გუ-ჳგდი „გვეძინება“	
	(01)	0e ნ-ჳგდი „გვეძინება“	
სგჳ˹ჲ˺	(02)	ჯ-ჳგდი-ნ „გეძინებათ“	
ეჯჲჳრს	(03)	ნ-ჳგდი-ნ „ეძინებათ“	

მი	(S1)	მ-იხალ „ვიცი“	ეჯა‖ეჯი (03)
სი	(S2)	ჯ-იხალ „იცი“	
ეჯას‖ეჯის	(S3)	ნ-ოხალ „იცის“	
ნჳ˹ჲ˺	(S1)	Si გუ-იხალ „ვიცით“	
	(S1)	Se ნ-იხალ „ვიცით“	
სგჳ˹ჲ˺	(S2)	ჯ-იხალ-ნ „იცით“	
ეჯჲჳრს	(S3)	ნ-ოხალ-ნ „იციან“	

ზემოთ წარმოდგენილი იყო ერთპირიან და ორპირიან ზმნათა უღლების ნიმუშები, სადაც ან მხოლოდ **სუბიექტური წყობა** გვქონდა, ან მხოლოდ **ობიექტური**; რა შეიძლება ითქვას სამპირიანი ზმნების შესახებ? რა თქმა უნდა, აქაც იგივე მდგომარეობა გვაქვს, თუმცა თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ სამპირიანი ზმნის უღლების ნიმუშებს როგორც **სუბიექტური**, ასევე **ობიექტური** წყობისას:

ა) **სუბიექტური წყობის** სამპირიანი ზმნა:

მი	(S1)	ნუ-აჰუდი „ვაძლევ“	[ეჯის‖ეჯას ეჯის‖ეჯას (03)]
სი	(S2)	ნ-აჰუდი „აძლევ“	
ეჯა‖ეჯი	(S3)	ნ-აჰუდი „აძლევს“	
ნჳ˹ჲ˺	(S1)	Si ლ-აჰუდიდ „ვაძლევთ“	
	(S1)	Se ხუ-აჰუდიდ „ვაძლევთ“	
სგჳ˹ჲ˺	(S2)	ნ-აჰუდიდ „აძლევთ“	
ეჯჲარ	(S3)	ნ-აჰუდი-ნ „აძლევენ“	

ბ) **ობიექტური წყობის** სამპირიანი ზმნა:

ეჯა‖ეჯი (S3)	მ-აჰუდი „მაძლევს“	მი	(01)	ეჯის‖ეჯას	(03)
	ჯ-აჰუდი „გაძლევს“	სი	(02)	ეჯის‖ეჯას	(03)
	ნ-აჰუდი „აძლევს“	ეჯას‖ეჯის	(03)	ეჯის‖ეჯას	(03)
	0i გუ-აჰუდი „გვაძლევს“	ნჳ˹ჲ˺	(01)	ეჯის‖ეჯას	(03)
	0e ნ-აჰუდი „გვაძლევს“	ნჳ˹ჲ˺	(01)	ეჯის‖ეჯას	(03)
	ჯ-აჰუდი-ნ „გაძლევთ“	სგჳ˹ჲ˺	(02)	ეჯის‖ეჯას	(03)
	ნ-აჰუდი „აძლევს“	ეჯჲარს	(03)	ეჯის‖ეჯას	(03)

უღლების პარადიგმები აწმყოში

(პირთა ყველა შესაძლო კომბინაციით)

1. ერთპირიანი აბსოლუტური ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოში

S1	ხუირდი მი „ვიზრდები მე"	Si ლირდიდ ნაჲ „ვიზრდებით ჩვენ" Se ხუირდიდ ნაჲ „ვიზრდებით ჩვენ"
S2	ხირდი სი „იზრდები შენ"	ხირდიდ სგაჲ „იზრდებით თქვენ"
S3	ირდი ეჭი||ეჭა „იზრდება ის"	ირდიხ ეჭიაჯრ „იზრდებიან ისინი"

2. ორპირიანი გარდაუვალი ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოში

სუბიექტური უღლება

S103	ხუერდი მი ეჭას (ეჭიაჯრს) „ვზრდები მე მას (მათ)"	Si ლერდიდ ნაჲ ეჭას (ეჭიაჯრს) „ვზრდებით ჩვენ მას (მათ)" Se ხუერდიდ ნაჲ ეჭას (ეჭიაჯრს) „ვზრდებით ჩვენ მას (მათ)"
S203	ხერდი სი ეჭას (ეჭიაჯრს) „ზრდები შენ მას (მათ)"	ხერდიდ სგაჲ ეჭას (ეჭიაჯრს) „ზრდებით თქვენ მას (მათ)"
S303	ხერდი ეჭა ეჭას (ეჭიაჯრს) „ზრდება ის მას (მათ)"	ხერდიხ ეჭიაჯრ ეჭას (ეჭიაჯრს) „ზრდებიან ისინი მას (მათ)"

ობიექტური უღლება

S301	მერდი ეჭა მი „მეზრდება ის მე"	Oi გუერდი ეჭა ნაჲ „გვეზრდება ის ჩვენ" Oe ნერდი ეჭა ნაჲ „გვეზრდება ის ჩვენ"
S302	ჭერდი ეჭა ხი „ეზრდები შენ მას (მათ)"	ჭერდიხ ეჭა სგაჲ „ეზრდებათ ის თქვენ"
S303	ხერდი ეჭა ეჭას „ეზრდება ის მას (მათ)"	ხერდიხ ეჭა ეჭიაჯრს „ეზრდებათ ის მათ"

S301	მერდიხ ეჭიაჯრ მი „მეზრდებიან ისინი მე"	Oi გუერდიხ ეჭიაჯრ ნაჲ „გვეზრდებიან ისინი ჩვენ" Oe ნერდიხ ეჭიაჯრ ნაჲ „გვეზრდებიან ისინი ჩვენ"
S302	ჭერდიხ ეჭიაჯრ ხი „გეზრდებიან ისინი შენ"	ჭერდიხ ეჭიაჯრ სგაჲ „გეზრდებიან ისინი თქვენ"
S303	ხერდიხ ეჭიაჯრ ეჭიაჯრს „ეზრდებიან ისინი მათ"	ხერდიხ ეჭიაჯრ ეჭიაჯრს „ეზრდებიან ისინი მათ"

S101	——	——
S201	მერდი ხი მი „მეზრდები შენ მე "	Oi გუერდი ხი ნაჲ „გვეზრდები შენ ჩვენ" Oe ნერდი ხი ნაჲ „გვეზრდები შენ ჩვენ"

S201	მერდი ეჭა მი „მეზრდება ის მე"	01 გუერდი ეჭა ნჳი „გვეზრდება ის ჩვენ" 0e ნერდი ეჭა ნჳი „გვეზრდება ის ჩვენ"
S101	———	———
S201	მერდიდ სგჳი მი „მეზრდებით თქვენ მე"	01 გუერდიდ სგჳი ნჳი „გვეზრდებით თქვენ ჩვენ" 0e ნერდიდ სგჳი ნჳი „გვეზრდებით თქვენ ჩვენ"
S301	მერდიხ ეჭაჳრ მი „მეზრდებიან ისინი მე"	01 გუერდიხ ეჭაჳრ ნჳი „გვეზრდებიან ისინი ჩვენ" 0e ნერდიხ ეჭაჳრ ნჳი „გვეზრდებიან ისინი ჩვენ"

S102	ჭერდი მი ხი „გეზრდები მე შენ"	ჭერდი მი სგჳი „გეზრდები მე თქვენ"
S202	———	———
S302	ჭერდი ეჭა ხი „გეზრდება ის შენ"	ჭერდიხ ეჭა სგჳი „გეზრდებათ ის თქვენ"

S102	ჭერდიდ ნჳი ხი „გეზრდებით ჩვენ შენ"	ჭერდიდ ნჳი სგჳი „გეზრდებით ჩვენ თქვენ"
S202	———	———
S302	ჭერდიხ ეჭაჳრ ხი „გეზრდებიან ისინი შენ"	ჭერდიხ ეჭაჳრ სგჳი „გეზრდებიან ისინი თქვენ"

3. ორპირიანი გარდამავალი ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოში

სუბიექტური უღლება

S103	ხეირდი მი ეჭას (ეჭაჳრს) „ვზრდი მე მას (მათ)"	Si ლირდიდ ნჳი ეჭახ (ეჭაჳრს) „ვზრდით ჩვენ მას (მათ)" Se ხეირდიდ ნჳი ეჭახ (ეჭაჳრს) „ვზრდით ჩვენ მას (მათ)"
S203	ხირდი ხი ეჭას (ეჭაჳრს) „ზრდი შენ მას (მათ)"	
S303	ირდი ეჭი ეჭას (ეჭაჳრს) „ზრდის ის მას (მათ)"	ხირდიდ სგჳი ეჭას (ეჭაჳრს) „ზრდით თქვენ მას (მათ)"

ობიექტური უღლება

S102	ჭირდი მი ხი „გზრდი მე შენ"	ჭირდი მი სგჳი „გზრდით მე თქვენ"
S202	———	———
S302	ჭირდი ეჭა ხი „გზრდის ის შენ"	ჭირდი ეჭა სგჳი „გზრდით ის თქვენ"

S102	ჭირდიდ ნჳი ხი „გზრდით ჩვენ შენ"	ჭირდიდ ნჳი სგჳი „გზრდით ჩვენ თქვენ"
S202	———	———
S302	ჭირდიხ ეჭაჳრ ხი „გზრდიან ისინი შენ"	ჭირდიხ ეჭაჳრ სგჳი „გზრდიან ისინი თქვენ"

S101	——	——
S201	მირდი ხი მი „მზრდი შენ მე"	Oi გუირდი ხი ნჯი „გვზრდი შენ ჩვენ" Oe ნირდი ხი ნჯი „გვზრდი შენ ჩვენ"
S302	მირდი ეჯი მი „მზრდის ის მე"	Oi გუირდი ეჯი ნჯი „გვზრდის ის ჩვენ" Oe ნირდი ეჯი ნჯი „გვზრდის ის ჩვენ"

S101	——	——
S201	მირდიდ სგჯი მი „მზრდით თქვენ მე"	Oi გუირდიდ სგჯი ნჯი „გვზრდით თქვენ ჩვენ" Oe ნირდიდ სგჯი ნჯი „გვზრდით თქვენ ჩვენ"
S302	მირდიხ ეჯაჯრ მი „მზრდიან ისინი მე"	Oi გუირდიხ ეჯაჯრ ნჯი „გვზრდიან ისინი ჩვენ" Oe ნირდიხ ეჯაჯრ ნჯი „გვზრდიან ისინი ჩვენ"

S3 მხოლობითი

S301	მირდი ეჯი მი „მზრდის ის მე"	Oi გუირდი ეჯი ნჯი „გვზრდის ის ჩვენ" Oe ნირდი ეჯი ნჯი „გვზრდის ის ჩვენ"
S302	ჯირდი ეჯი სი „გზრდის ის შენ "	ჯირდიხ ეჯი სგჯი „გზრდით ის თქვენ"
S303	ირდი ეჯის ეჯის „ზრდის ის მას "	ირდი ეჯი ეჯაჯრს „ზრდის ის მათ"

S3 მრავლობითი

S301	მირდიხ ეჯაჯრ მი „მზრდიან ისინი მე"	Oi გუირდიხ ეჯაჯრ ნჯი „გვზრდიან ისინი ჩვენ" Oe ნირდიხ ეჯაჯრ ნჯი „გვზრდიან ისინი ჩვენ"
S302	ჯირდიხ ეჯაჯრ სი „გზრდიან ისინი შენ "	ჯირდიხ ეჯაჯრ სგჯი „გზრდიან ისინი თქვენ"
S303	ირდიხ ეჯაჯრ ეჯის „ზრდიან ისინი მას "	ირდიხ ეჯაჯრ ეჯაჯრს „ზრდიან ისინი მათ"

4. საობიექტო მიმართების ორპირიანი გარდამავალი ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოში

ა) იცვლება სუბიექტური და ირიბი ობიექტური პირების მიხედვით:

სუბიექტური წყობა

S10303	ხორდი მი ეჯის/ეჯაჯრს ეჯის/ეჯაჯრს „ეუზრდი მე მასმათ მასმათ"	Si ლორდიდ ნჯი ეჯის/ეჯაჯრს ეჯის/ეჯაჯრს „ეუზრდით ჩვენ მასმათ მასმათ" Se ხორდიდ ნჯი ეჯის/ეჯაჯრს ეჯის/ეჯაჯრს „ეუზრდით ჩვენ მასმათ მასმათ"

S20303	ხორდი სი ეჭას/ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „უზრდი შენ მას/მათ მას/მათ“	ხორდიდ სგუშა ეჭას/ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „უზრდით თქვენ მას/მათ მას/მათ“
S30303	ხორდი ეჭა ეჭას/ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „უზრდის ის მას/მათ მას/მათ“	ხორდიხ ეჭაშრ ეჭას/ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „უზრდიან ისინი მას/მათ მას/მათ“

ობიექტური წყობა

S10103	———	———
S10203	ჯირდი მი სი ეჭას/ეჭაშრს „გიზრდი მე შენ მას/მათ“	ჯირდიდ ნუშა სი ეჭას/ეჭაშრს „გიზრდით ჩვენ შენ მას/მათ“
S10303	ხორდი მი ეჭას ეჭას/ეჭაშრს „ვეზრდი მე მას მას/მათ“	ხორდიდ ნუშა ეჭას ეჭას/ეჭაშრს „ვეზრდით ჩვენ მას მას/მათ“

S10103	———	———
S10203	ჯირდი მი სგუშა ეჭას/ეჭაშრს „გიზრდი მე შენ მას/მათ“	ჯირდიდ ნუშა სგუშა ეჭას/ეჭაშრს „გიზრდით ჩვენ თქვენ მას/მათ“
S10303	ხორდი მი ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „ვეზრდი მე მათ მას/მათ“	ხორდიდ ნუშა ეჭაშრს ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „ვეზრდით ჩვენ მათ მათ მას/მათ“

S20103	მირდი სი მი ეჭას/ეჭაშრს „მიზრდი შენ მე მას/მათ“	მირდიდ სგუშა მი ეჭას/ეჭაშრს „მიზრდით თქვენ მე მას/მათ“
S20203	———	———
S10303	ხორდი სი ეჭას ეჭას/ეჭაშრს „უზრდი შენ მას მას/მათ“	ხორდიდ სგუშა ეჭას ეჭას/ეჭაშრს „უზრდით თქვენ მას მას/მათ“

S20103	გუირდი სი ნუშა ეჭას/ეჭაშრს „გეზრდი შენ ჩვენ მას/მათ“	01 გუირდიდ სგუშა ნუშა ეჭას/ეჭაშრს „გეზრდით თქვენ ჩვენ მას/მათ“ 0e ნირდიდ სგუშა ნუშა ეჭას/ეჭაშრს „გეზრდით თქვენ ჩვენ მას/მათ“
S20203	———	———
S20303	ხორდი სი ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „უზრდი შენ მათ მას/მათ“	ხორდიდ სგუშა ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „უზრდით თქვენ მათ მას/ მათ“
S30103	მირდი ეჭა მი ეჭას/ეჭაშრს „მიზრდის ის მე მას/მათ“	01 გუირდი ეჭა ნუშა ეჭას/ეჭაშრს „გეზრდის ის ჩვენ მას/მათ“ 0e ნირდი ეჭა ნუშა ეჭას/ეჭაშრს „გეზრდის ის ჩვენ მას/მათ“
S30203	ჯირდი ეჭა სი ეჭას/ეჭაშრს „გიზრდის ის შენ მას/მათ“	ჯირდიხ ეჭა სგუშა ეჭას/ეჭაშრს „გიზრდით ის თქვენ მას/მათ“
S30303	ხორდი ეჭა ეჭას ეჭას/ეჭაშრს „უზრდის ის მას მას/მათ“	ხორდი ეჭა ეჭაშრს ეჭას/ეჭაშრს „უზრდის ის მათ მას/ მათ“

S30103	მირდიხ ეჭაშრ მი ეჭას/ეჭაშრს „მიზრდიან ისინი მე მას/მათ“	01 გუირდიხ ეჭაშრ ნუშა ეჭას/ეჭაშრს „გეზრდიან ისინი ჩვენ მას/მათ“ 0e ნირდიხ ეჭაშრ ნუშა ეჭას/ეჭაშრს „გეზრდიან ისინი ჩვენ მას/მათ“
S30203	ჯირდიხ ეჭაშრ სი ეჭას/ეჭაშრს „გიზრდის ის შენ მას/მათ“	ჯირდიხ ეჭაშრ სგუშა ეჭას/ეჭაშრს „გიზრდიან ისინი თქვენ მას/მათ“
S30303	ხორდიხ ეჭაშრ ეჭას ეჭას/ეჭაშრს „უზრდიან ისინი მას/მათ“	ხორდიხ ეჭაშრ ეჭას/ეჭაშრს „უზრდიან ისინი მას/ მათ“

ბ) იცვლება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის მიხედვით:

S10303	(სგა)ხუბრეუნი მი ეჭახ/ეჭაპრს ეჭახ/ეჭაპრს „(მი)ვაბარებ მე მას/მათ მას/მათ“	Si (სგა)ლუბრეუნიდ ნუა ეჭახ/ეჭაპრს ეჭახ/ეჭაპრს „(მი)ვაბარებთ ჩვენ მას/მათ მას/მათ“ Se (სგა)ხუნუბრეუნიდ ნუა ეჭახ/ეჭაპრს ეჭახ/ეჭაპრს „(მი)ვაბარებთ ჩვენ მას/მათ მას/მათ“
S20303	(სგა)ხუბრეუნი ხი ეჭახ/ეჭაპრს ეჭახ/ეჭაპრს „(მი)აბარებ შენ მას/ მათ მას/მათ“	(სგა)ხუბრეუნიდ სგუა ეჭახ/ეჭაპრს ეჭახ/ეჭაპრს „(მი)აბარებთ თქვენ მას/მათ მას/მათ“
S30303	(სგა)ხუბრეუნი ეჭა ეჭახ/ეჭაპრს ეჭახ/ეჭაპრს „(მი)აბარებს ის მას/ მათ მას/მათ“	(სგა)ხუბრეუნიხ ეჭაპრ ეჭახ/ეჭაპრს ეჭახ/ეჭაპრს „(მი)აბარებენ ისინი მას/მათ მას/მათ“

S30103	(სგა)მუბრეუნი ეჭა მი ეჭახ/ეჭაპრს „(მი)მაბარებს ის მე მას/მათ“	0i (სგა)გუნუბრეუნი ეჭა ნუა ეჭახ/ეჭაპრს „(მი)გვაბარებს ის ჩვენ მას/მათ“ 0e (სგა)ნუბრეუნი ეჭა ნუა ეჭახ/ეჭაპრს „(მი)გვაბარებს ის ჩვენ მას/მათ“
S30203	(სგა)ჭუბრეუნი ეჭა ხი ეჭახ/ეჭაპრს „(მი)გაბარებს ის შენ მას/მათ“	(სგა)ჭუბრეუნიხ ეჭა სგუა ეჭახ/ეჭაპრს „(მი)გაბარებთ ის თქვენ მას/მათ“
S30303	(სგა)ხუბრეუნი ეჭა ეჭახ/ეჭაპრს „(მი)აბარებს ის მას/მათ“	(სგა)ხუბრეუნი ეჭა ეჭაპრს ეჭახ/ეჭაპრს „(მი)აბარებს ის მათ მას/მათ“

S30103	(სგა)მუბრეუნიხ ეჭაპრ მი ეჭახ „(მი)მაბარებენ ისინი მე მას“	0i (სგა)გუნუბრეუნიხ ეჭაპრ ნუა ეჭახ „(მი)გვაბარებენს ისინი ჩვენ მას“ 0e (სგა)ნუბრეუნიხ ეჭაპრ ნუა ეჭახ „(მი)გვაბარებენს ისინი ჩვენ მას“
S30203	(სგა)ჭუბრეუნიხ ეჭაპრ ხი ეჭახ „(მი)გაბარებენ ისინი შენ მას“	(სგა)ჭუბრეუნიხ ეჭაპრ სგუა ეჭახ „(მი)გაბარებენ ისინი თქვენ მას “
S30303	(სგა)ხუბრეუნიხ ეჭაპრ ეჭახ ეჭახ „(მი)აბარებენ ისინი მას მას“	(სგა)ხუბრეუნიხ ეჭაპრ ეჭაპრს ეჭახ „(მი)აბარებენ ისინი მათ მას “

S10203	(სგა)ჭუბრეუნი მი ხი ეჭახ „(მი)გაბარებ მე შენ მას“	(სგა)ჭუბრეუნიდ ნუა ხი ეჭახ „(მი)გაბარებთ ჩვენ შენ მას“
S20203	————	————
S30203	(სგა)ჭუბრეუნი ეჭა ხი ეჭახ „(მი)გაბარებს ის შენ მას“	(სგა)ჭუბრეუნიხ ეჭაპრ ხი ეჭახ „(მი)გაბარებენ ისინი შენ მას“

S10203	(სგა)ჭუბრეუნიდ მი სგუა ეჭახ/ეჭაპრს „(მი)გაბარებთ მე თქვენ მას/მათ“	(სგა)ჭუბრეუნიდ ნუა სგუა ეჭახ/ეჭაპრს „(მი)გაბარებთ ჩვენ თქვენ მას/მათ“
S20203	————	————
S30203	(სგა)ჭუბრეუნიხ ეჭა სგუა ეჭახ/ეჭაპრს „(მი)გაბარებთ ის თქვენ მას/მათ“	(სგა)ჭუბრეუნიხ ეჭაპრ სგუა ეჭახ/ეჭაპრს „(მი)გაბარებენ ისინი თქვენ მას/მათ“

გ) იცვლება ირიბი ობიექტის მიხედვით:

S10303	(სგა)ხუშბრეუში მი ეჭახ/ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი)ვაბარებ მე მასთან მასთან"	Si (სგა)ლუშბრეუიდ ნჳი ეჭახ/ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი) ვაბარებთ ჩვენ მასთან მასთან" Se (სგა)ხუშბრეუიდ ნჳი ეჭახ/ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი) ვაბარებთ ჩვენ მასთან მასთან"
S20303	(სგა)ხუბრეუში ხი ეჭახ/ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი)აბარებ შენ მასთან მასთან"	(სგა)ხუბრეუიდ სგჳი ეჭახ/ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი) აბარებთ თქვენ მასთან მასთან"
S30303	(სგა)ხუბრეუში ეჭა ეჭახ/ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი)აბარებს ის მასთან მასთან"	(სგა)ხუბრეუიხ ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი)აბარებენ ისინი მასთან მასთან"

S30103	(სგა)მუბრეუში ეჭა მი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)მაბარებს ის მე მასთან"	Oi (სგა)გუშბრეუში ეჭა ნჳი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გვაბარებს ის ჩვენ მასთან" Oe (სგა)ნუბრეუში ეჭა ნჳი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გვაბარებს ის ჩვენ მასთან"
S30203	(სგა)ჭუბრეუში ეჭა ხი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გაბარებს ის შენ მასთან"	(სგა)ჭუბრეუიხ ეჭა სგჳი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გაბარებთ ის თქვენ მასთან"
S30303	(სგა)ხუბრეუში ეჭა ეჭახ ეჭახ/ეჭაშრ „(მი)აბარებს ის მას მასთან"	(სგა)ხუბრეუში ეჭა ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი)აბარებს ის მათ მასთან"

S30103	(სგა)მუბრეუიხ ეჭაშრ მი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)მაბარებენ ისინი მე მასთან"	Oi (სგა)გუშბრეუიხ ეჭაშრ ნჳი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გვაბარებენ ისინი ჩვენ მასთან" Oe (სგა)ნუბრეუიხ ეჭაშრ ნჳი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გვაბარებენ ისინი ჩვენ მასთან"
S30203	(სგა)ჭუბრეუიხ ეჭაშრ ხი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გაბარებენ ის შენ მასთან"	(სგა)ჭუბრეუიხ ეჭაშრ სგჳი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გაბარებენ ისინი თქვენ მასთან"
S30303	(სგა)ხუბრეუიხ ეჭაშრ ეჭახ ეჭახ/ეჭაშრ „(მი)აბარებენ ისინი მას მასთან"	(სგა)ხუბრეუიხ ეჭაშრ ეჭაშრ ეჭახ/ეჭაშრ „(მი)აბარებენ ისინი მათ მასთან"
S10103	————————	————————
S10203	(სგა)ჭუბრეუში მი ხი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გაბარებ მე შენ მასთან"	(სგა)ჭუბრეუიდ ნჳი ხი ეჭახ/ეჭაშრ „(მო)გაბარებთ ჩვენ შენ მასთან"
